კვირის პალიტრა

დილა

N27 (212) 1/VII.-7/VII.2004.

ფასი 60 თ.

1168
2004

„ნეტავ, წაიკითხოს ეს ინტერვიუ“

— დუტას საზაფხულო და სხვა თავგადასავლები

"ЛАРИСУ ИВАНОВНУ ХОЧУ!.."

ანუ საქართველოს პრეზიდენტების „ლეგენდარული სტიუარდესა“

ქეთი მელუაძ ლოს-ანჯელესში ხუთჯვრიანი დროშები აფრიალა

გამოვნება — ეთო ვარსიმაშვილი ოდას არ მისდევს...

შეუცნობელი — იპოლიტე ხვიჩიას ქალიშვილის იმქვეყნიური პაემანი



ბაკურიანი

სასტუმრო „მელისი"

ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55

სათაო ოფისი: თბილისი, უზნაძის ქ. 113ბ

ტელ: 94-23-55; 8(99) 24-86-86

№27 (212)
1 - 7 ივლისი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„დიდხანს ველოდით, ახლა ჩვენი დროა“ ანუ ჩაშვების ინსტიტუტი აცხადებს მიღებას... 3
ერთი კითხვა 4,7
პრობლემა
ტყუილ-მართალი გველების და მათი ნაკბენის თვითმკურნალობის შესახებ 5
პროექტი
„მშობლებს სიამაყის გრძნობა გვიპყრობდა და ბავშვიც დიდ გამოცდილებას იძენდა“ 8
სასიძო
„გაირდები, თუ ცოლად მომიყვან, ბაგარში სულ მე ვივლი“ 9
საპატარძლო
Ларису Ивановну хочу... ანუ ქართველი პრეზიდენტების „ლეგენდარული სტიუარდესა“ 10
პირველი პაემანი
„...ეს ყველაფერი გლაპარივით მახსოვს“ 12
კრიმინალი
● დაგარალებულად მიჩნეული, მკვლელი აღმოჩნდა – აცხადებს პროკურატურა 14
● რა კავშირი აქვს გახმაურებულ მკვლელობაში მამხილებელ მნაცაკანიანს ტრეფიკერთა მიერ თბილისში ჩამოყვანილ უზბეკ გოგონებთან? 17
სცენა
ქეთი მელუამ ლოს-ანჯელესში ხუთჯვრიანი დროშები ააფრიალა 18
მარტივი კითხვები
როგორ უნდა მოიქცეს ქალი ან მამაკაცი, რომ ის რჩეულმა არ მიატოვოს? 20
გემოვნება
ავთანდილ ვარსიმაშვილი – მოდური რექისორი, რომელიც მოდას არ მისდევს 21
ტესტი
ერთგული მკითხველი 23
თემა
სახიფათო ტენდენცია – აგრესია ოჯახში 24
გზავნილები
„ჩემო საყვარელო პრეზიდენტო, მოგვხედეთ დუშელებს, შეგვჭამეს...“ 27
ჯანმრთელობა
● ციური მნათობის მღელვარება 30
● კითხვა-პასუხი 31
● როგორ შევინარჩუნოთ მოთმინებლობა მგზავრობისას 31
სასარგებლო რჩევები 33

სახიფათო ტენდენცია – აგრესია ოჯახში

ოჯახის წევრებს შორის ძალადობისა და მკვლელობის ფაქტებზე სტატისტიკას არ აწარმოებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ მსგავსმა შემთხვევებმა, მიმდინარე წელს მასშტაბური ხასიათი მიიღო. რამ განაპირობა ოჯახის წევრებს შორის მომხდარი მკვლელობების ასეთი მასშტაბურობა?

24

ქეთი მელუამ ლოს-ანჯელესში ხუთჯვრიანი დროშები ააფრიალა

კონცერტში რამდენიმე ჯგუფი მონაწილეობდა. ისეთი ხმაური და ბრახაბრუხი ატყდა, რომ თავი ამტკივდა. ქეთი გამოვიდა გიტარით ხელში და დაამშვიდა დარბაზი. ის რომ უკრავდა და მღეროდა, თავი ეკლესიაში მეგონა. მისი მუსიკა ძალიან დამაწყნარებელია.

18

„ნებავ, წაიკითხოს ეს ინტერვიუ...“ – დუტას საზაფხულო და სხვა თავგადასავლები

ხოჭოებიან „სუპს“ გვაჭმევდნენ ხოლმე. დილით ექვს საათზე გვაყენებდნენ და სამ კილომეტრს გვარბენინებდნენ. ეგ არის დასვენება და კარგი ამბავი?! რაც კარგად მახსენდება, კოცონთან გატარებული საღამოებია და კიდევ – ჩვენი დირექტორი თენგო, რომელმაც ფოკუსი მასწავლა...

57

იპოლიტე ხვიჩიას ქალიშვილის საიქიოში დანიშნული პაემანი

– ის, რაც ახლა უნდა გიამბოთ, მხოლოდ ორმა ადამიანმა ვიცოდით. ის დაიღუპა, მე კი უკვე მოვხუცდი... ამიტომ გადავწყვიტე, გიამბოთ ყოველივე და საიდუმლო თან არ გავიყოლო... მხოლოდ ერთ რამეზე შევთანხმდეთ: პიროვნება, რომელსაც ჩემი ამბავი ეხება, ძალზე ცნობილი კაცი იყო, ამიტომ მას მხოლოდ სახელით მოვიხსენიებ.

48

ტაქარი
რატომ იწოდება „მამაო ჩვენო“ საუფლო ლოცვად 34
შთამომავლობა
მეფეთა მკურნალი თურმანიძეები 35
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 36
ვარსკვლავი
მადონა და მისი მილიონები 38
ბომონდი 39
ავტო 41
რომანი
რუსულან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაგრძელება) 42
მეოჯახე
უკონფლიქტო ცოლ-ქმარი, კომპლიმენტი საჩუქრად და მეუღლის მშობლებთან ოპტიმალური დისტანციის განსაზღვრის წესი... 46
ცხოვრება
საიქიოში დანიშნული პაემანი – იპოლიტე ხვიჩიას ქალიშვილის უჩვეულო სიყვარულის ამბავი 48
მსახიობი
მთაწმინდის უბნისა და მარჯანიშვილის თეატრის „აკადემიაში“ ნასწავლი ამირან ბუაძის ოინები და... ნოსტალგია 51
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაგე 53
„ევრო-2004“
პირში ჩალაგამოვლებული ფავორიტები და ამაოდ „დამაშვრალი“ შიშველი სხეულები... 54
როგორ ვისვენებთ
„ნეტავ, წაიკითხოს ეს ინტერვიუ...“ – ღუტას საგაუხულო და სხვა თავგადასავლები 57
ჯაზფესტივალი
უჩვეულო იმპროვიზაციები თბილისის ჯაზფესტივალზე 58
ჰოროსკოპი
კვირის (5-11 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
რამდენად რთულია წონასწორობიდან თქვენი გამოყვანა? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ქართველი პრეზიდენტების „ლეგენდარული სტიშარდესა“

ნუ გამიბრაზდებიან ქართველი მამაკაცები, თუ ვიტყვი, რომ უცხოელები სრულიად განსხვავებულები არიან. მათ სიმპათიის გამოხატვაც სხვანაირად ეხერხებათ. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: უცხოელ მამაკაცს მოვწონებივარ, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამს...

10

მეუღლის მშობლებთან ოპტიმალური დისტანციის განსაზღვრის წესი...

მე მუდამ ასეთ წესს ვიცავ: თუ ერთხელ ნივთს ვაჩუქებ, მეორედ – კომპლიმენტს ვუძღვნი. ეს უფრო იაფია. თუ ერთ დღეს საჩუქარში ფულს დავხარჯავ, მეორე დღეს უკვე კომპლიმენტს ვჩუქნი. ასე ეკონომიასაც აკეთებ და ქალსაც ასიამოვნებ.

46

მადონა და მისი მილიონები

როგორც დასავლური პრესის ფურცლებზე აღნიშნავენ, მადონა თავის გარემოცვაზე ყოველთვიურად სულ 130 ათას დოლარს ხარჯავს. რაც შეეხება შემოსავლებს – როგორც ცნობილია, ისინი მოაქვს საკონცერტო გამოსვლებს, გამოშვებულ დისკებს და...

38

მცაცვებლის ინსტინქტი

– შვილი – არაფერში, აი, ცოლს კი... – სველი ტუჩები უშნოდ გააწკლაპუნა სულიკომ. – ჩვენთან სიარული ხშირ-ხშირად მოუწევს...

მეგიმ ცხადად დაინახა, როგორ აუთამაშდა ანდროს სახის ყოველი კუნთი, შემდეგ სკამიდან ოდნავ წამოიწია და გამომძიებელს პირდაპირ ყელში სწვდა...

42

„ლოხანს ვეტოლით, ახლა ჩვენი დროა“ ანუ ჩაშვების ინსტიტუტი აცხადებს მიღებას...



ჩემი წერილების კითხვისას ალბათ ბევრჯერ გიფიქრიათ – ვინაა ეს ინტრიგანიო? – მაგრამ მე ასეთად კი არ დავბადებულვარ. ცხოვრებამ გამაპროვოკატორა, თორემ, ორი ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. წლების მანძილზე მალულად მიხდებოდა წერა, მაგრამ დადგა ნანატრი დრო, მეც გამოვედი იატაკქვეშეთიდან და თამამად ვწერ ყველასა და ყველაფერზე – კანონი არ მიწყობს ხელს თუ რა?!

განსაკუთრებით მომეწონა კანონი დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაციის შესახებ და მისი დანართი – ორ სხვას რომ ჩაუშვებ, ერთი საკუთარი გეპატიებაო... ოლიმპიური სისტემაა, რა: ჩაუშვებ – წადი. ვენაცვალე ჩვენს მთავრობას! აი, ესაა დემოკრატია. ტყუილად კი არ შეარქვეს ნატოს სამიტზე ჩვენს მამა-მარჩენალსა და მის აზერბაიჯანელ „ყარდაშს“ კავკასიის დემოკრატიზაციის რეჟისორები (ალიევს ფილმისათვის – „მამის სკამი“, სააკაშვილს კი – ფილმებისთვის „ბაბუს სკამი-1“ და „ბაბუს სკამი-2“)...

ბნელია დღეს ხალხი და ვერ ხვდება, რომ ამდენი სპეცოპერაცია და დაჭერ-დაპატიმრება სწორედ დაუსაბუთებელი ქონების გამო ხდება. რასაც საბუთი არა აქვს, ე.ი. ნაქურდალ-ნამამაძაღლარია. ამას წინათ, ტელევიზორი ვიყიდე უბნის ბიჭებისგან 20 ლარად. ეჩქარებოდათ, ფული სჭირდებოდათ ძალიან, თორემ ასეთი, 200 დოლარი ღირს. კი ვიყიდე, მაგრამ საბუთი არ ჰქონდა – ე.ი. მოპარული იყო. იმას შევიტანდი სახლში?! ერთი უკულმართი მეზობელი მყავს და იმას მივყიდე 100 ლარად. მართალია, ერთ საათში პოლიცია დაადგა თავზე და დაიჭირა, მაგრამ „რა ჩემი ბრალია“? რას ყიდულობდა? ან რას ერჩოდა ჩემს ჭერს, ორჯერ რომ ჩამომიშვა წყალი?..

ა, ესაა პოლიტიკა, მეტი კი არაფერი. დაიჭირეს მანქანების გამტაცებლები, აყვირდნენ – ჩაგვიდესო! (გეკითხებით, თორმეტი მანქანა როგორ ჩაუდეს?!); დაიჭირეს „ნარკობარიგები“, აყვირდნენ – ჩაგვიდესო; ფაქტზე დაიჭირეს მეძავები, აყვირდნენ – „ჩაგვიდესო“. თუ არ უნდოდათ, ძალით ვინ რას ჩაუდებდა?! ან, როდის იყო, პოლიცია დაუსაბუთებელს უდებდა ვინმეს რამეს?..

მიდით, მიაწექით, ბატონებო, სანამ თქვენ ამ წვრილმანი ქონების კონფისკაციებს მოილევთ, მე გაცილებით მსხვილი ქონების შესახებ მოგაწვდით „ნაკოლებს“, ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ „ნაკოლშჩიკსაც“ ეკუთვნის პატარა წილი...

კოკოითი რომაა, ხომ იცით, რომ შტიმავს თვალებს ცხინვალში და იძახის – ჩემია მთელი სამხრეთ ოსეთიო!.. შეუმოწმეთ ერთი, თუ აქვს საბუთები. დარწმუნებული ვარ, ამის დამადასტურებელი დამოუკიდებლობის დეკლარაცია კი არა, კომკავშირის კრების ოქმიც არ გააჩნია. ჰოდა, ჩამოვართვათ და იძახოს მერე რამდენიც უნდა – А мы едем на север-ო... ამ ინფორმაციისთვის მე ბევრს კი არაფერს ვითხოვ: ერთი საბაჟო „ბუტკა“ ჩამიდგით საზღვარზე, ათასი ოხრობა შედი-გამოდის და მეც დამრჩება „ორი კაპიკი“ სიგარეტის ფულად...

ახლა ენგურს გაღმა გავიხედოთ და აფხაზეთის თვითგამოცხადებულ პრეზიდენტსაც მივადგეთ: ჩემს ბავშვობაში მესმოდა ასეთი საუბრები ოთხჯერ ნაციხარ ადამიანებზე: ისეთი „ვესი“ აქვს, რომ თქვას – ქურდი ვარ, იმწამსვე ქურდი გახდებაო... ე, სწორედ ასე მოიქცა არძინბაც: თქვა – პრეზიდენტი ვარ და კი პრეზიდენტობს უკვე 13 წელია. იფ, რა კაია!.. პრეზიდენტი „ნი მენშე“ შვიდ ენას უნდა ფლობდეს, წელიწადში ორ რევოლუციას უნდა ახდენდეს და ნაქირავებ ბინაში უნდა ცხოვრობდეს. მისთვის კი, ტიტულიდან დაწყებული და თვითონ აფხაზეთით დამთავრებული, ყველაფერი დაუსაბუთებელი ქონებაა და უნდა ჩამოერთვას დაუყოვნებლივ. მე კი, როგორც „ნაკოლშჩიკს“, ბიჭვინთაში რომ სამთავრობო აგარაკია, ის მომეცით, ოღონდ – გაფორმებით, თორემ, თქვენი ამბავი რომ ვიცი, მეორე დღესვე, ახლა უკვე მე მომადგებით...

დაბოლოს, ყველაზე საინტერესო ინფორმაცია – ვალები, რომლებიც წელში გვწყვეტს ამდენი წელია. წინა ხელისუფლება რომ სესხულობდა და სესხულობდა გაუთავებლად, მთელი საერთაშორისო საფინანსო კომისიები იკვლევენ და ვერ დაუსაბუთებიათ, რისთვის ვისესხეთ – ე.ი. ის ვალებიც დაუსაბუთებელია და უნდა ჩამოგვერთვას!..

აი, ხომ ხედავთ, სამი სოლიდური დაუსაბუთებელი ქონება უკვე ჩავუშვი და მეტი რაღა გინდათ? დროზე იმოქმედეთ, თორემ, ბიჭვინთის „ზაგარი“ მომენატრა...

P.S. სპეცრაზმი კორუმპირებული ჩინოვნიკის ბინაში:

– აბა, მიჩვენეთ ქონების კანონიერების დამადასტურებელი საბუთები!

– იცით, ვერ ვპოულობ.

– გასაგებია. ბიჭებო, გაიტანეთ დაუსაბუთებელი ქონება!

ცოლი:

– სად მიგაქვთ ჩემი ოქროულობა?!.

– ეს ქალი ვინაა?

– ჩემი ცოლია.

– მაჩვენეთ ქორწინების მოწმობა!

– ხელი არ გვაქვს მოწერილი.

– გასაგებია. ბიჭებო, გაიყვანეთ დაუსაბუთებელი ქონება!..

პროვოკატორი

„დამნაშავეთა სასახლეები მინისტრების საკუთრებაში არ უნდა გადავიდეს“

— პროკურატურამ თანამდებობის პირთა ქონების კონფისკაციაზე დაიწყო მუშაობა. თქვენი აზრით, ე.წ. „შავ სიაში“ მოხვდებიან თუ არა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები?

ზვიად ძიძიგური, *პარლამენტის წევრი:*

— ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა გააქტიურება ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად აუცილებელია, მაგრამ უნდა არსებობდეს მათი გაკონტროლების მექანიზმი. ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცავები საკუთარი ინიციატივით, საპროცესო ნორმების დაცვის გარეშე მოქმედებენ, რასაც ზურგს უმაგრებს მმართველი ძალის პოლიტიკური ნება. ამიტომ არის, რომ ჯერ ხდება ფაქტი, შემდეგ კი პარლამენტს სისხლის სამართლის კოდექსში შეაქვს ცვლილებები, სამართლადამცავთა ქმედებების უკანონობა რომ არ დაფიქსირდეს. პროცესუალური ნორმების დაცვით კი, ხელისუფლების წარმომადგენელთა ქონებისა და ფინანსური მდგომარეობის გადამოწმებაც უნდა დაიწყოს. ახალ გუნდს მართვის ბერკეტები იმისთვის კი არ აუღია ხელში, რომ ერთი უკანონობა მეორით შეეცვალა!.. მკაცრად უნდა გაკონტროლდეს მოქმედი ჩინოვნიკების საქმიანობა, თუნდაც — მათი ქონების წარმომავლობა. დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაცია, მხოლოდ იმ ადამიანებს არ უნდა შეეხოს, რომლებიც წინა ხელისუფლების მხარდამჭერებად მოიაზრებიან. ეს უნდა იყოს კანონზე დამყარებული სამართლებრივი პროცესი და არა პოლიტიკური ანგარიშსწორება. სამწუხაროა, რომ პოლიციელების მხრიდან ნარკოტიკების თუ იარაღის ჩადება იმ პირებისთვის, ვისი დაკავებაც გადაწყვეტილი აქვთ, დღემდე გრძელდება. ამ მხრივ სიტუაცია ფაქტობრივად, არ გამოსწორებულა, ამიტომ საზოგადოებამ და არასამთავრობო სექტორმა უნდა იაქტიუროს. არის კიდევ ერთი საკითხი: უნდა დავინტერესდეთ, ვის ხელში გადავა ჩამორთმეული ქონება. დამნაშავეთა სასახლეები მინისტრების საკუთრებაში არ უნდა გადავიდეს. ■

„ფსიქიატრიული დიაგნოზის დასმაზე, პატიოსანი ექიმები იმუშავებენ“

— ჯანდაცვის სამინისტრომ სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზა გააუქმა, ამ დარგის ყველა თანამშრომელი დათხოვნილია, ვინ დაუსვამს პატიმრებს ფსიქიატრიულ დიაგნოზს?

ლადო ჭიპაშვილი, *ჯანდაცვის მინისტრი:*

— საბჭოთა ფსიქიატრია იყო საბჭოთა სოციალისტური წყობის განუყოფელი ნაწილი, შესაბამისად ის წესები და კანონები, რომლითაც ფსიქიატრი მუშაობდა, ბოლო წლების განმავლობაში რეალურად არ შეცვლილა. ამიტომ აუცილებელია რადიკალური რეფორმების გატარება. არ შეიძლება, ადამიანი, რომელიც ციხიდან ფსიქიატრიული დიაგნოზის გამო გამოვიდა, ერთ თვეში ისევ მკვლელობის გამო მოხვდეს ციხეში. ქართულ სინამდვილეში ეს ტიპური მოვლენა იყო. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზის გაუქმების შესახებ. უფრო მეტიც — მთლიანად გაუქმებულია ის აბსურდული სპეციალობა მედიცინაში, რომელსაც სასამართლოს ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჰქვია. ასეთი დარგი, ასეთი სპეციალობა საქართველოში აღარ არსებობს. ფსიქიატრიული დიაგნოზის დასმაზე იმუშავებენ წესიერი და პატიოსანი ფსიქიატრები, რომელთაც ფსიქიატრიული ექსპერტიზის გამოცდილება და კვალიფიკაცია ექნებათ. რამდენიმე დღეში, საქართველოში ჩამოვა უმაღლესი დონის საერთაშორისო ექსპერტ-ფსიქიატრი, რომელიც ახალი, ჯანსაღი ფსიქიატრიული ექსპერტიზის სისტემის შექმნაში დაგვეხმარება. ის ახალგაზრდა, პატიოსან ფსიქიატრებთან 3 თვის განმავლობაში იმუშავებს, შემდეგ კი საქმეს ქართველი სპეციალისტები თავად გაუძღვებიან. ■

„კანონპროექტი შიშსა და უნდობლობაზეა დაფუძნებული“

— პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი აჭარის სტატუსთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენ „კონსტიტუციის წაბილწვა“ უწოდეთ. რა არის თქვენი აღშფოთების მთავარი მიზეზი?

ივლიანე ხაინდრავა, *პარლამენტის წევრი:*

— პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის სამართლებრივი მხარე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ამას ადასტურებს დამოუკიდებელი ქართველი და ვენეციელი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი შეფასებებიც. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს პროექტი არა მხოლოდ თანამედროვე დემოკრატიულ ტენდენციებსა და ნორმებს უშლის ხელს, არამედ ქვეყანაში არსებული პირველი რიგის ამოცანების გადაჭრასაც ეწინააღმდეგება. ამის ხმამაღლა გაცხადება არ უნდათ, მაგრამ ფაქტი მეტყველებს, რომ ამ კანონპროექტის ავტორები თვითმმართველობის ნაცვლად, აჭარაში საპრეზიდენტო მმართველობას გვთავაზობენ. ცალკე სალაპარაკო თემაა ზნეობრივი მხარე: კანონპროექტი შიშსა და უნდობლობაზეა დაფუძნებული. როგორც ჩანს, ასლან აბაშიძემ თბილისი სერიოზულად შეაშინა და ახლა ამ დოკუმენტით უნდობლობას აჭარის თითოეულ მოქალაქეს ვუცხადებთ, იმ ადამიანებს, რომლებიც ბათუმის ქუჩებში გამოვიდნენ და აბაშიძის დასამხობად საკუთარი სიცოცხლე სერიოზული საფრთხის ქვეშ ჩააგდეს. დღეს მათ არ ვანდობთ საკუთარი ხელისუფლების არჩევას, მთავრობის დაკომპლექტებას, ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში ისეთი ცხოვრების მოწყობას, როგორიც სურთ და რისკენაც მიისწრაფვიან. მე ვთქვი, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი, დამტკიცების შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად უნდა იქცეს, რაც ჩვენი კონსტიტუციის წაბილწვა იქნება. ■

ზაფხულის დადგომასთან ერთად თბილისში აქტუალური ხდება ქვეწარმავალთა პრობლემა. მათთან შეხვედრის ალბათობის ზრდა თურმე მაისის შუა რიცხვებიდან იწყება და ივნისის შუა რიცხვებამდე გრძელდება. შემდეგ, სექტემბერში ქვეწარმავლებთან შეხვედრის გაზრდილი საშიშროება კვლავ გველის, რადგან ამ დროს ისინი მრავლდებიან. პრობლემაზე სასაუბროდ, ქვეწარმავლებისა და მორიელების გაუვნებელყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს ავთანდილ ჟოლოკავას ვესტუმრეთ.

ცუდი-მარადი გველების და მათი ნაჭვენის თვითმყურნალობის შესახებ

ემა ტუხიაშვილი

— ახლანდელი თბილისის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ქვეწარმავლები ჯერ კიდევ მანამდე არსებობდნენ, სანამ თბილისი დაარსდებოდა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ თავისთავად ქვეწარმავლებს არავინ ებრძვის: მიუხედავად იმისა, შხამიანია თუ არა ცოცხალი არსება, ის კანონითაა დაცული. მაგრამ სულ სხვა საკითხია, რომ წლის სხვადასხვა პერიოდში თბილისში ქვეწარმავლების რაოდენობა იზრდება და ადამიანებთან მათი შეხვედრის საშიშროება მატულობს. უკანასკნელ პერიოდში კი, ამის ალბათობა, გარემოს დაუცველობის გამო, კიდევ უფრო გაიზარდა: მიტოვებული ფაბრიკა-ქარხნები, დაუმთავრებელი სამშენელო ობიექტები, ნაგავსაყრელების სიმრავლე — ყოველივე ეს შესანიშნავ პირობებს უქმნის ქვეწარმავალს საიმისოდ, რომ ქალაქში დაიბუდოს.

— ხშირად მსმენია, რომ თბილისის ამა თუ იმ უბანში, მოქალაქეებს ქვეწარმავლები საცხოვრებელ ბინაშიც კი აღმოუჩენიათ...

— უამრავი ასეთი შემთხვევა გვაქვს დაფიქსირებული და ჩვენი გამოძახება, სწორედ ბინაში მათი აღმოჩენით არის ხოლმე განპირობებული. ქვეწარმავლის ესა თუ ის სახეობა გვინახავს, როგორც საცხოვრებელი სახლის სარდაფში, ასევე პირველ, მეოთხე და მეშვიდე სართულებზეც კი. ყველაზე ხშირად, ქვეწარმავლები თბილისის ისეთ უბნებში გვხვდება, რომლებიც უკაცრიელ გარემოს ესაზღვრება — მაგალითად, მდინარეთა ხეობებში, მტკვრის სანაპიროზე, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, ვერის ხეობაში, გლდანულას მიდამოებში, ვარკეთილის ტერიტორიაზე, მთაწმინდასა და კრწანისში... თუმცა ჩვენ მიერ დაფიქსირებული გამოძახებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვეწარმავლებთან შეხვედრის ალბათობა თბილისის თითქმის ყველა უბანშია შესაძლებელი. მაგალითად, ნუცუბიძეზე საცხოვრებელ ბინაში ჭრელი მორიელი დაფიქსირდა, ხეთაგუროვის ქუჩაზე გეკონი აღმოვაჩინეთ, კაკაბაძის ქუჩაზე — წენგოსფერი მცურავი, დიდ დიღომში — წითელმუცელა მცურავი, ისნის რაიონში — ჩვეულებრივი ანკარა, კოსტავას ქუჩაზეც კი აღმოგვიჩენია ჩვეულებრივი ანკარა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ექვსი თვის განმავლობაში ვმუშაობთ — პირველი მაისიდან, ნოემბრის ბოლომდე. შარშან ამ პერიოდის განმავლობაში 122 გამოძახება გვქონდა. თითქმის ანალოგიური სურათი გვაქვს წელსაც, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ შედარებით გვიან დაცხა, თუმცა სიცხეების დადგომისთანავე ქვეწარმავლებს არ დაუყოვნებიათ და რამდენიმე დღის წინ, ერთ დღეში ოთხი გამოძახება გვქონდა. დღემდე სულ 50 გამოძახება გვქონდა.



ქვეწარმავლებთან შეხვედრის ალბათობა თბილისის თითქმის ყველა უბანშია შესაძლებელი

— დაგესვლა რამდენად ხშირად ხდება?

— შარშან, ჯიქიას ქუჩაზე, სადაც ბავშვთა სახლი მდებარეობს, ერთ ბავშვს წითელმუცელა მცურავმა უკბინა. მაგრამ ეს შხამიანი გველი არაა. მას შხამის მცირე რაოდენობა აქვს ნერწყვში, რაც დაგესვლის შემთხვევაში მხოლოდ მსუბუქ ანთებას იწვევს. შემდგომ გართულებასა თუ ლეტალურ შედეგებზე ლაპარაკიც ზედმეტია. რუსთავში კი, შარშან, გიურზამ დაგესლა ორი ადამიანი, რომლებიც სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს.

— რამდენი სახეობის გველია გავრცელებული თბილისის მოდამოებში და როგორ განვასხვავოთ შხამიანი გველის ნაკბენი არაშხამიანისგან?

— საქართველოში 21 სახეობის გველია აღმოჩენილი, თბილისსა და მის შემოგარენში კი — მხოლოდ 15 გვხვდება. ამ 21 სახეობიდან შხამიანი ექვსია, მაგრამ ტიპური შხამის მქონე, რომელსაც ადამიანის მოწამვლა შეუძლია — მხოლოდ ოთხი. საქართველოში გავრცელებული ყველაზე შხამიანი გველია გიურზა, შემდეგ მოდის ცხვირრქოსანი გველგესლა, ველის გველგესლა და კავკასიური გველგესლა. აქედან თბილისის მიდამოებში თრიალეთის ქედზე, ბაგების ტერიტორიაზე მხოლოდ ცხვირრქოსანი გველგესლა გვხვდება. გიურზა აღმოგვიჩენია კრწანისის ტერიტორიაზე (სამთავრობო რეზიდენციის მიღმა). კრწანისში წელს მოპოვებული გიურზა უკანასკნელი 50-60 წლის განმავლობაში მეექვსეა. თბილისის მიდამოებში გვხვდება შხამიანი გველის კიდევ ორი სახეობა — ხვლიკჭამია და კატისთვალა. შხამიანი კბილები მათ პირის ღრუში ძალზე ღრმად აქვთ ჩამჯდარი და ადამიანს ისინი ვერ დაგესლავენ. შხამიანი გველის ნაკბენს უეჭველად აღენიშნება ორი წერტილოვანი ჭრილობა, ხოლო არაშხამიანი გველის ნაკბენს — მცირე წინწკლები ზემოდან და ქვემოდან.

— საიდან შეიძლება მოხვდეს ქვეწარმავალი, მაღალსართულიანი სახლის ვთქვათ, მეშვიდე სართულზე?

— ამის საპასუხოდ, ერთ მაგალითს მოვიყვან. ცოტა ხნის წინ, გამოგვიძახეს ვაკის პარკთან მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, სადაც საბაზანოში

საქართველოში 21 სახეობის გველია აღმოჩენილი, თბილისსა და მის შემოგარენში კი – მხოლოდ 15 გვხვდება

მოთავსებულ წყლით სავსე გასაბერ სანავშვო აუზში გველი აღმოაჩინეს. მთელი ოჯახი შოკში ჩავარდა, ვერაფრით გაეგოთ, საიდან უნდა მოხვედრილიყო გველი აბაზანაში: ბინაში ევრორემონტი იყო გაკეთებული... ვიფიქრეთ, რომ შესაძლოა, ოჯახის რომელიმე წევრი ცოტა ხნით მეზობელთან გავიდა, კარი ღია დარჩა, ქვეწარმავალი თაგვს მოჰყებოდა და ბინაში ასე შეაღწია. მაგრამ აბაზანაში მოსახვედრად მას ოთხი ოთახი უნდა გაევლო, ამიტომ აუცილებლად შეამჩნევდა ვინმე. აქვე მინდა დავამატო, რომ გველი შესანიშნავად მოძრაობს კიბეზე. მას შეეძლო, ბინაში შეეღწია აგრეთვე სავენტილაციო მილიდან, რომელიც გარედან დამცავი ბადით არ იყო დაფარული. გვქონდა შემთხვევა, საირმის ქუჩაზეც: საცხოვრებელი სახლის მეშვიდე სართულზე მცხოვრებმა ოჯახმა ლოჯიაში დააფიქსირა გველი. ოჯახის წევრები ირწმუნებოდნენ, რომ ლოჯიაში საკმაოდ დიდი ზომის გველი იყო. გადავატრიალეთ ყველაფერი, წინდებსაც კი ვაბრუნებდით და ვუჩვენებდით ოჯახის წევრებს, მაგრამ გველი ვერაფრით აღმოვაჩინეთ. როგორც ჩანს, სადღაც მცირე ზომის გასაძრომი იპოვა და იქაურობა დატოვა.

— როდესაც გველს იჭერთ, შემდეგ სად მიგყავთ და რა დანიშნულებით იყენებთ?

— ბიოლოგიის ინსტიტუტში გვყავს მოთავსებული სპეციალურ ვოლიერებში. საკმაოდ ბევრი დაგვიგროვდა და საკვების უმარისობის გამო გვეცოდებიან. უახლოეს მომავალში, სურათებს გადავუღებთ და ქალაქგარეთ გავუშვებთ.

— თქვენი თანამშრომლები გველებს ალბათ სპეციალური ხელსაწყოს საშუალებით იჭერენ, მაგრამ სულ ცოტათი მაინც არ ეშინიათ?

— ჩვენი ჰერმეტოლოგები ისე იჭერენ გველს ხელში, როგორც მეთევზე – თევზს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ერთ-ერთ ჰერმეტოლოგს, მისივე გაუფრთხილებლობის გამო ხელზე გიურზამ უკბინა. მართალია, მან დროულად გაიკეთა ანტიგიურზინი, მაგრამ თითი მაინც დაკარგა და ერთი თვე საწოლს მიჯაჭვულმა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გაატარა. რა თქმა უნდა, ამის გამო პროფესიისთვის თავი არ დაუნებებია და ჩემსავით დაბერდა ამ სამსახურში... გველის დაჭერის რამდენიმე ხერხი არსებობს. მაგალითად, ის ჯერ სპეციალური ხელსაწყოს საშუალებით უნდა გააჩერო და შემდეგ დაიჭირო. მაგრამ თუ ხელსაწყოს მომარჯვება ვერ მოასწარი, გველს კუდში უნდა ჩაავლო და ტომარაში მოათავსო: კუდის კუნთები გველს შედარებით სუსტი აქვს...

— ამბობენ, თბილისში ხვლიკებიც მომრავლდაო, მართალია?

— ხვლიკები, აბსოლუტურად უვნებელნი არიან. მსოფლიოში ერთადერთი სახეობის შხამიანი ხვლიკი ამაზონიის ხეობაში ბინადრობს. თბილისში გავრცელებული ხვლიკის სახეობა, გეკონი ჩვენში დაახლოებით 50-60 წლის წინ აზერბაიჯანიდან შემოვიდა. იგი საკმაოდ გავრცელებულია თბილისში და ხშირად გვხვდება საცხოვრებელ ბინებშიც. სიცხეში გეკონი ტენიან ადგილებს ეძებს, ამიტომ ის შედის სამზარეულოში, სააბაზანო ოთახში. ის შეიძლება შეგვხვდეს წყლის ნიჟარაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ხვლიკი არ შეიძლება გადმოჰყვეს წყალს ონკანიდან, რადგან ონკანის სადინარი მხოლოდ 4 მილიმეტრზე იხსნება (4 მმ-იანი ხვლიკი კი არ არსებობს) და თანაც ის ხომ ჩვენსავით ატმოსფერული ჰაერით სუნთქავს.

— მორიელი რამდენად საშიშია?

— აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ ერთი სახეობის – ჭრელი მორიელი, რომელიც თბილისის მიდამოებში საკმაოდ ხშირად გვხვდება. უხეშად რომ გითხრათ, მთაწმინდის პლატოზე რამდენ ქვასაც გადააბრუნებ, შეიძლება, თითოეულის ქვეშ 3-4 მორიელი იპოვო. ხრიოკი და მშრალი ადგილები უყვარს მორიელს. ის ღამით აქტიურდება. თბილისში მისი გამოჩენა გამოწვეულია ან საკვების ძებნით, ან იმით, რომ ნიაღვარი ჩამორეცხავს ხოლმე მთიდან. ჯანმრთელი, ზრდასრული ადამიანისთვის მორიელის ნაკბენი სასიკვდილო არაა, მაგრამ შესაძლებელია, მწვავე ანთებითი პროცესი გამოიწვიოს. მორიელის ნაკბენი საშიშია ჩვილი ბავშვებისა და მოხუცი ადამიანებისთვის.

— თუ შხამიანმა ქვეწარმავალმა გვიკბინა, მანამდე, სანამ პირველ სამედიცინო დახმარებას აღმოგვიჩენენ, დამოუკიდებლად რისი გაკეთება შეგვიძლია?

— წლების წინ გავრცელებული მეთოდები – ლახტის დადება, სისხლის გამოწოვა, ნაკბენი ადგილის გაჭრა და ა.შ. – დღეს მიღებული არ არის. ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო სამსახურმა გადმოგვცა პოლივალენტური შხამების ჩამონათვალი, სადაც მითითებულია, თუ რომელ საავადმყოფოებს შეგვიძლია მივმართოთ დასახმარებლად. ნაკბენის შემთხვევაში აუცილებლად უნდა მივმართოთ სამედიცინო დაწესებულებას – ექიმები უეჭველად მოასწრებენ საჭირო ზომების მიღებას.

— ახლა საკურორტო სეზონია, რამდენად საშიშია წყალში გავრცელებული გველები?

— საერთოდ, გველს თუ არაფერი დაუშავე, თვითონ არ შემოგიტევს. მაგრამ მცურავი გველები მეტად აგრესიულები არიან. ისინი ერთი მეტრის მანძილზეც კი გრძნობენ ადამიანის მიახლოებას და შესაძლოა, რომ მოულოდნელად დაგგესლონ. თუმცა, ჩვენში არ არის გავრცელებული მცურავი გველების შხამიანი სახეობები, ამიტომ გველის ნაკბენმა შეიძლება, მხოლოდ ადგილობრივი ანთებითი პროცესი გამოიწვიოს. ზღაპარია გავრცელებული აზრი, თითქოს გველი წყალში ჩასვლამდე შხამს ქვაზე ტოვებს. გველები ხმელეთზე არ არიან ისეთი შხამიანი, როგორიც წყალში. ტროპიკულ წყლებში გავრცელებულია უძლიერესი შხამის მქონე გველები, რომლის შხამი მომენტალურად მოქმედებს და მყვინთავს თუ უკბინა, ზედაპირზე ამოსვლასაც კი ვერ მოასწრებს. მინდა დავამშვიდო თქვენი მკითხველები: შხამიანი გველები შავ ზღვაში არ გვხვდებიან, არც თბილისის ზღვასა და კუს ტბაზე.

— მსმენია, რომ გველების გან-

შარშან ამ პერიოდის განმავლობაში 122 გამოძახება გვქონდა. თითქმის ანალოგიური სურათი გვაქვს წელსაც, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ...

სადევნად კარგ საშუალებას წარმოადგენს გოგირდი...

— გოგირდი ნამდვილად ეფექტურია, თუ იცით, რომ გველი დახურულ სივრცეში იმყოფება და იქ დაწვავთ. ღია ცის ქვეშ გველს გოგირდის არ ეშინია. ჩემი თვალით მინახავს, ვაშლოვანის ნაკრძალში როგორ იწვა ჩვენ მიერ დადებულ, გოგირდით სავსე ტომარაზე დიდი გიურზა.

— შესაძლოა, ცოტა შეუსაბამო იყოს ერთმანეთთან გველი და კურიოზი, მაგრამ იქნებ, მაინც გაიხსენოთ რაიმე თავგადასავალი?

— ერთ-ერთი ექსპედიციის დროს სამი გიურზა მოვიპოვეთ და უამრავი გველხოკერა, რომელიც არ არის შხამიანი და საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია. დედოფლისწყაროში, ერთ-ერთ სასტუმროში ვიმყოფებოდით და ეს გველები გვყავდა მოთავსებული რძისთვის განკუთვნილ რკინის ბიდონებში, რომლებიც მჭიდროდ იყო დახურული. რა თქმა უნდა, გიურზები ცალკე, ერთ ბიდონში გვყავდა და არაშხამიანი გველები — ცალკე, მეორეში. ჩვენი არყოფნის დროს, ნომერში დამლაგებელი შესულა და ხედავს თურმე, რომ ამ რკინის ბიდონებს შიგნიდან რაღაც არყევს. ცნობისმოყვარეობამ სძლია, მაგრამ ბედი მისი, რომ გველხოკერების ბიდონს მოხადა თავსახური. გველები უცებ ამოხტნენ ტყვეობიდან, დამლაგებელს კი შიშისგან გული წაუვიდა... სასტუმროში მოსულებს, ყველა გარეთ გამოსული დაგვხვდა, ცხადია, ვერავინ ბედავდა ჩვენს ნომერში შესვლას. წესით, სასტუმროში გველების გაჩერება არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ იქით მოვდეთ შარი დამლაგებელს: თუ ყველგან ძვრება, ჩვენს ჩემოდნებსაც არ „დაინდობდა“-თქო... მრავალი წლის წინ, როდესაც მანქანა დიდ იშვიათობად ითვლებოდა, დახურული სატვირთო მანქანით, რამდენიმე ახალგაზრდა ყმაწვილი ექსპედიციაში შირაქში წავედით. ნაწვიმარი იყო და თან მცხუნვარე მზე აჭერდა, ამიტომ გზად იმდენი გველხოკერა შევაგროვეთ, რომ პირდაპირ ვყრიდით მანქანაში. უკვე გითხარით, რომ ეს გველი შხამიანი არ არის, ამიტომ ზოგ ჩვენგანს უბეში უძვრებოდა, ზოგს ფეხებზე აცოცდებოდა და ა.შ. უკვე თითქმის დაგვავიწყდა ამ გველების არსებობა, როდესაც გზად მიმავალმა რამდენიმე აზერბაიჯანელმა ქალმა მანქანის გაჩერება გვთხოვა. ჩვენთან ერთად უკან დავსვით და გზა განვაგრძეთ. მოულოდნელად კივილი ატეხეს: ზოგს კალთაში აუცოცდა, ზოგს წელზე შემოეხვია... კარი რომ გავუღეთ და სამშვიდობოს დაიგულეს თავი, სულ გინებ-გინებით გარბოდნენ ჩვენი შემთხვევითი მგზავრები...

■

„ერგნეთის ბაზრობის აღდგენა არ მოხდება“

— სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება როკის გვირაბის გახსნის სანაცვლოდ, ერგნეთის ბაზრობის აღდგენას მოითხოვს. განიხილება თუ არა კოკოითის ულტიმატუმის დაკმაყოფილების რაიმე ვარიანტი?

გიგი უგულავა, *უშიშროების მინისტრის მოადგილე:*

— ერგნეთის ბაზრობის დაკეტვით საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყანაში კონტრაბანდული ტვირთის შემოდინების აღკვეთას შეუწყო ხელი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, კონტრაბანდა იყო ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც მაშინდელმა მთავრობამ არ ისურვა. ერთიანი ძალისხმევით ახალმა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა მოახერხა. უკან დახევას ნამდვილად არ ვაპირებთ. კოკოითის მოთხოვნები სრულიად უსაფუძვლოა, პროტესტის ფორმა კი, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელი. როკის გვირაბის ჩაკეტვა არის კიდევ ერთი პროვოკაცია დე ფაქტო მთავრობის წევრების მხრიდან, რომლებმაც ხალხს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ჩვენ არც ამ პროვოკაციას წამოვეგებით, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებას ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მშვიდობიანი გზა აქვს არჩეული. პრემიერ-მინისტრის განკარგულების საფუძველზე, თუ ლარსის გამშვებ პუნქტზე გამარტივებული სავიზო რეჟიმი ამოქმედდა, ყველა მოქალაქეს, რომელიც ავტომანქანით იმგზავრებს საქართველოს ან რუსეთის მიმართულებით, ცხინვალის გვერდის ავლით, თავისუფლად მოძრაობის საშუალება მიეცემა. უკვე აღდგენილია გზის მონაკვეთი, რომელიც დაბა გუდაურთან მომხდარი მეწყრის გამო იყო გადაკეტილი. უნდა დავაზუსტოთ, რომ ის 6 ტონამდე წონის მქონე ავტომანქანებისთვისაა გათვალისწინებული, მაგრამ უახლოეს დღეებში მძიმე სატვირთო მანქანებით მოძრაობაც გახდება შესაძლებელი. ლარსის გამშვები პუნქტი იმუშავებს იმდენ ხანს, რამდენიც პრობლემის მოგვარებას დასჭირდება...

■

„დაასახელონ ფაქტები, თუ მართლა კატის და ძაღლის ხორცს გვაჭმევენ“

— გავრცელებული ინფორმაციით, ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი ხორცის პროდუქტების უმეტესობა დაავადებული ან საკვებად უვარგისი ცხოველების ხორცისგანაა დამზადებული. „საქსტანდარტის“ მიერ ჩატარებული შემოწმების დროს, თუ გამოვლინდა მსგავსი შემთხვევები?

ვასილ ძარსელაძე, *„საქსტანდარტის“ ინსპექციის უფროსი:*

— უცხოეთიდან შემოტანილი და საქართველოში წარმოებული სოსისი, ძეხვი და ხორცის სხვა პროდუქტები არაერთხელ მოექცა ჩვენი სამსახურის ყურადღების ცენტრში. ნიმუშების აღება და მასზე ლაბორატორიული კვლევის ჩატარება ცალკეულ შემთხვევებში მომხმარებლის საჩივრის საფუძველზეც დაწყებულა. უნდა ითქვას, რომ ლაბორატორიულმა კვლევამ არაერთ მათგანში სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიში ნივთიერებების შემცველობა დაადასტურა. თუმცა, ამ პროდუქტების 90% საკვებად უვარგისი მხოლოდ იმიტომ იყო, რომ მისი შენახვის პირობები არ ჰქონდათ დაცული. როდესაც მალფუჭებადი პროდუქტი, კვირების განმავლობაში თაკარა მზის ქვეშ აწყვია, ბუნებრივია, მისი ვარგისიანობა დარღვეული იქნება. არადა, ჩვენს სამსახურს ასეთი პროდუქტების რეალიზატორების წინააღმდეგ მხოლოდ ფულადი ჯარიმის დაწესება შეუძლია და საკვებად უვარგისი პროდუქტი კი დახლებს ისევ „ამშვენებს“... რაც შეეხება დაავადებული ხორცის გამოყენებას, ჩვენ ხორცის მწარმოებელი რამდენიმე ფირმა შევამოწმეთ და ადგილზე რაიმე დარღვევა არ დაგვიფიქსირებია. არ ვიცი, რის საფუძველზე წერენ ჟურნალისტები, რომ ვიღაც-ვიღაცები კატისა და ძაღლის ხორცს გვაჭმევენო. თუკი ასეთი ფაქტი მართლაც იციან, მაშინ კონკრეტული პროდუქტისა და მწარმოებლის დასახელებაც უნდა შეეძლოთ. კვების პროდუქტების ვარგისიანობის თვალსაზრისით, მართლაც სახიფათო ზღვარს ვუახლოვდებით და მოსახლეობაში უფრო მეტი შიშის დათესვა საჭირო არ არის.

■

ეფექტი

„მშობლებს სიამაყის გრძნობა გვიპყრობდა და ბავშვიც დიდ გამოცდილებას იძენდა“

ლელა ჭანკოტაძე

5 სექტემბრიდან ჟურნალ „რეიტინგისა“ და ტელეკომპანია „მზის“ ერთობლივი უპრეცედენტო პროექტი იწყება. სკოლის მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ ყოველკვირეულ სატელევიზიო ვიქტორინაში. გამარჯვებულ მოსწავლესა და მისი კლასის დამრიგებელს დაენიშნებათ 50-50-ლარიანი ყოველთვიური სტიპენდია, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში მიიღებენ. უფრო დაწვრილებით პროექტის მიმდინარეობის შესახებ ჟურნალ „რეიტინგიდან“ შეიტყობთ. ჩვენ კი აღვნიშნავთ, რომ „ეტალონი“ მიმდინარეობს უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

პროექტს უამრავი სხვადასხვა პროფესიის მხარდამჭერი (პოლიტიკოსები, სპორტსმენები, მსახიობები, მწერლები, მუსიკოსები და სხვა) ჰყავს, რომელთა შორისაა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც. ტელეგადაცემის ერთ-ერთი პირველი სტუმარი სწორედ ქალბატონი ნინო იქნება.

კითხვები, რომლებზეც მოსწავლეებს პასუხების გაცემა მოუწევთ, სასკოლო პროგრამიდან შეირჩევა. ფინალისტს, სტიპენდიის გარდა, გადაეცემა „ეტალონის“ დიპლომი, პროექტის დროშა და საქართველოს სახელმწიფო ხუთეკვრიანი დროშა, რომელიც სკოლის თავზე აფრიალდება.

ქალბატონმა ნინომ თავის ამასწინანდელ სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, რომ პროექტი ძალზე მოსაწონი და დროულია

ქალბატონმა ნინომ თავის ამასწინანდელ სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, რომ პროექტი ძალზე მოსაწონი და დროულია. ამჯერად კი, საკუთარი აზრის გამოთქმა ისურვა პარლამენტის თავმჯდომარის მამამ, ბატონმა ანზორ ბურჯანაძემ:

— სწავლა რომ აუცილებელია, ამის მტკიცება დღეს გახდა საჭირო, თორემ, ადრე ყველამ იცოდა ცოდნის ფასი... ნინო ძალიან კარგად სწავლობდა. ისეთი ენთუზიაზმით მეცადინეობდა ხოლმე, პირველი კლასიდან მოყოლებული, რომ ყველას გვიკვირდა. მან ქუთაისის მეორე საშუალო სკოლა დაამთავრა. ფრიადის გარდა, ნიშანი თითქმის არ მიულია. მაგრამ ბოლოს, კურიოზული ამბავი მოხდა: მეთერთმეტე კლასის გამოცდები ფრიადებზე ჩაბარა, არც ერთი ოთხიანი არ მიულია, მაგრამ ოქროს მედალი არ მისცეს — რაიკომის მდივნის შვილია და უხერხულიაო... ამის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა, თუ ვისი შვილი იყო, დახმარება არ დასჭირვებია. უნივერსიტეტიც ხუთებზე დაამთავრა და ასევე წარმატებით დაასრულა მოსკოვში ასპირანტურაში სწავლა. ერთი სიტყვით, წარჩინებული ბავშვი გახლდათ და ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის საქმეს. ნინოს, რა თქმა უნდა, ჩვენც ვუწყობდით ხელს, მაგრამ მან მაინც დამოუკიდებლად, თავისი მუყაითობითა და ცოდნით მიაღწია ყველაფერს. ბევრს კითხულობდა. განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურის კითხვა უყვარდა. მთელი ზაფხულის განმავლობაში, წიგნიდან თავს არ იღებდა.

— სკოლის პერიოდში კონკურსებში თუ მონაწილეობდა?

— რამდენჯერმე რესპუბლიკურ კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა. ყოველთვის

გამარჯვებული გამოდიოდა. ყველა მისი დიპლომი შენახული მაქვს.

— ქალბატონი ნინო უფრო ბევრითი მოსწავლე იყო თუ მისი შვილები არიან უფრო შრომისმოყვარეები?

— შედარება ცოტა ძნელია, რადგან ახლა სწავლა უფრო გაიოლებულია — ინფორმაციის მიღების უამრავი საშუალებაა. ჩემი პატარა შვილიშვილი რეზიკო ჯერ მეექვსეკლასელია, მაგრამ კომპიუტერთან მუშაობა უკვე თავისუფლად შეუძლია. თითს დააჭერს ეს პატარა ეშმაკუნა კლავიატურას და ხან ამერიკაში აღმოჩნდება, ხან — ავსტრალიაში... კომპიუტერული ტექნიკის ათვისებამ ჩვენს ახალგაზრდობაზე ძალიან კარგად იმოქმედა. რეზიკოც კარგი მოსწავლეა და ანზორიკოც კარგად სწავლობდა სკოლაში. ყოჩაღებიც არიან და ნიჭიერებიც. მაგრამ მე მგონია, რომ ნინო უფრო ღრმა ცოდნას იღებდა და მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სწავლას. თუმცა, არც ჩემს შვილიშვილებს აკლიათ პასუხისმგებლობის გრძნობა.

— ქალბატონი ნინო მხარს უჭერს პროექტს, რომელიც სექტემბრიდან დაიწყება და რომელში გამარჯვებულსაც სტიპენდია დაენიშნება. როგორ გგონიათ — ქალბატონი ნინოს ბავშვობაში რომ ყოფილიყო მსგავსი ვიქტორინა, შეძლებდა გამარჯვებას?

— ეჭვი არ მეპარება, რომ ნინო ასეთ კონკურსში აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას და ვფიქრობ, რომ გაიმარჯვებდა კიდეც. სკოლის ასაკში ანზორიკომაც გაიმარჯვა რამდენიმე კონკურსში. ის რომ ახლაც მოსწავლე იყოს, უეჭველად მიიღებდა მონაწილეობას და ვფიქრობ, გაიმარჯვებდა კიდეც. რაც შეეხება პატარა რეზიკოს, მე მისი იმედიც მაქვს. ძალიან ნიჭიერია, თუმცა ზოგიერთ საგანში ზარმაცობს. თვითონ თქვა, თორემ, მე არ გავცემდი... მგონია, რომ „ეტალონის“ ვიქტორინაში, სხვა ბავშვებივით, ისიც მიიღებს მონაწილეობას და დამარცხებული არც ის დარჩება.

— თქვენი აზრით, რამდენად საჭიროა, მოსწავლის ცოდნის გამოვლენის მიზნით, კონკურსების ჩატარება?

— აუცილებელია. ნინო ხშირად მონაწილეობდა კონკურსში და როცა იმარჯვებდა, ძალიან გვიხაროდა. ჩვენ, მშობლებს სიამაყის გრძნობა გვიპყრობდა და ბავშვიც დიდ გამოცდილებას იძენდა. ■

„გკიჩდები, თუ ცოლად მომიყვან, ბაზარში სულ მე ვიყვი“

„გზის“ წინა ნომრის „სასიძო“ ქალაქის სანიტარული სამსახურის უფროსი, 25 წლის დათო მესხიშვილი გახლდათ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, გოგონების უმრავლესობას პოეტური მუზა ეწვია. სწორედ ამიტომ, გამოხმაურებათა უმეტესი ნაწილი ლექსი გახლავთ... ვიდრე გამოხმაურებებს გაგაცნობთ, მინდა, იმ საუბრის შინაარსი გადმოგცეთ, რომელიც ჩემსა და ერთ-ერთ ჩვენს მკითხველ გოგონას შორის შედგა:

— ალო, მარი ხართ?

— დიახ.

— იცით, მე დათოსთან დაკავშირებით ვრეკავ. ვარ კარატისტი, საკმაოდ კარგი ფიზიკური წვრთნა მაქვს გავლილი. 5-6 კაცს რამდენიმე წუთში დავაგდებ ძირს. როგორც ჩანს, დათოს ბევრი ვაჭარი ემტერება. სრულიად უსასყიდლოდ ვიმუშავებ მის პირად მცველად. ასეთი ბიჭი ვინმემ რომ დაჩაგროს, ეს უსამართლობა იქნება... მე მირანდა მქვია და ვარ 23 წლის. მერე იქნებ, ერთმანეთი შეგვიყვარდეს კიდეც და... მოკლედ, დათოს ყველაფერი სიტყვასიტყვით გადაეცით და ერთ კვირაში პასუხისთვის დაგირეკავთ...

როგორც ხედავთ, ჩვენს „სასიძოს“ ახლა უკვე თამამად შეუძლია, ნებისმიერ რეიდზე წასვლა. ახლა კი მის სახელზე მოსულ გამოხმაურებებს გადავხედოთ.

მარი ჯაფარიძე

„დათო, შენი არ იყოს, მეც ძალზე მიყვარს წესრიგი, მაგრამ რატომღაც ამას ყოველთვის ვერ ვახერხებ. ალბათ სტრატეგია ვერ შევიმუშავე... ხომ არ დამეხმარებოდი?“

„მე რომ შემძლებოდა, ვყოფილიყავი ის, რაც მინდოდა, ვიქნებოდი ცრემლი, რომ დავბადებულიყავი შენს თვალებზე, მეცხოვრა შენს ლოყაზე და მოვმკვდარიყავი შენს ტუჩებზე. მიყვარხარ. თამუნა“.

„თქვენს ანგარიშზე დარჩენილია ჩემი სიცოცხლე, რომელიც არასოდეს ამოიწურება. სიყვარულის გადაუხდელობის შემთხვევაში, გაგეთიშებათ გული, რომელსაც მე ასე ვუფრთხილდები“.

„ჩემო დათო, მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი ჩემს საყვარელ ხალზე. მარიკა“.

„სხვის ინტელექტსა და გარეგნობაზე საუბარი ძალიან ადვილია. დათო, ძვირფასო, შენი ინტელექტი არ ვიცი, მაგრამ ერთი დიდი სარკე კი გჭირდება. ლიკუნა“.

„შენ ლამაზი და საყვარელი ხარ, შენზედ ვაბოდებ... ასე მგონია, რომ შენზე უკეთესი არავინაა ამ ქვეყანაზე. შენი მშვენიერება მხიბლავს. მაიკო“.

„დააბიჯებს ჩვენს ქუჩებში ერთი ბიჭი ტლიკინა, აღარავის ტოლს არ უდებს, თავი მოაქვს დიდ ტვინად. თვალებს ისე დაგინაბავს, იყოს ჩიტი, ნიბლია, ეჰ, დათუნა, როგორ ვიცი, შენი გულის ფიქრია...“

„ამინდი აირია, ქარი აიწეწა, ხეებს აუყენა ერთი რია-რია, მე — შენმა მონატრებამ, მე — შენმა სიყვარულმა, მაგრამ ეს ქარი რაღამ გადარია?“

„დათო, უნივერსიტეტიდან გიცნობ, წინ კიდევ არაერთი ბრძოლაა, გისურვებ წარმატებებს. მჯერა, ამას იმსახურებ. ნინო“.

„დათო, მინდა, რომ მარტო მე მეკუთვნოდე. ირგვლივ მიმოიხედე და დამინახავ. ქეთუშა“.

„დათო მესხიშვილს! მეც კახელი გოგო ვარ და პირდაპირობა მიყვარს. კარგი ბიჭი ხარ, კარგად ლაპარაკობ, მაგრამ შენი ნაცნობები ამბობენ, რომ ძალიან ამაყი ხარ და ყველას ზემოდან უყურებ. მართალია?“

„ისე, „სანიტარულ-ჰიგიენურობას“ ექიმობა არ სჯობდა? ხალხს განკურნავდი და არც არავინ დაგემუქრებოდა. თუმცა, ექიმობასაც გააჩნია. იქნებ, შენთვის მართლაც მანდ ჯობდეს?“

„გიხდება შავ-შავი თვალები, შუბლზე ჩამოშლილი კულული, მაინც ვერ გავიგე, ვინა ხარ, იადონი თუ ბულბული?“

„დათო, შორიდან გიცნობ. კარგი ბიჭი ხარ. ღიმილი — გიხდება, ცრემლები — გამშვენებს, ოოოვრანინა... „კოკონა“.

„მაგ ბიჭს დიდი ხანია, თვალი დავადგი. რა მნიშვნელობა აქვს მის თანამდებობას? კვარკვალა თვალები აქვს და მთავარი ეს არის. ცოლი ჰყავდა? ეს ნაკლი სულაც არ არის; მე არ გწუნობ. დათო, დამირეკე“.

„შენ ქართული ჯიშის „ეტალონი“ ხარ. ისე, ცოტა სიმაღლე რომ გქონდეს, კარგი იქნებოდა, რადგან შენზე გაცილებით მაღალი ვარ. აფსუს!“

„შენ ახლა წლები არ გემატება, ეს მე მტვირთავენ წლები, ზოდები, რაც წლები გადის, უფრო მიყვარხარ, უფრო და უფრო გიახლოვდები. თაკო“.

„რა მოხდა, თუკი ვეღარ შევხვდებით? ამქვეყნად, რაც კი ხდება შემთხვევით, მარადიული ის არის მხოლოდ და ასეთია ყოველთვის ბოლო“.

„და მე ვარ ჯვარიც და ეშაფოტიც, და ჩემი სულის ყველა ნაფოტი, იმ კოცონისთვის გროვდება ახლა, რომელზეც შენი სურვილით ახვალ... ტყუილად გამირბი და მემალები, ჩემო ცუნცულავ, მაინც ჩემი იქნები“.

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა დათოს, არ გინდა ჩემი ალერსი? ჯერ დაგიჭერ და... ვნახოთ“.

„დათო, გპირდები, თუ ცოლად მომიყვან, ბაზარში სულ მე ვიყვი. პროდუქტს იმ გამყიდველისგან შევიძენ, რომელსაც ყველა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმა ექნება დაცული. თუ ქალი იქნება, პირდაბანილი და დამანიკიურებული უნდა იყოს, თუ კაცი — პირგაპარსული და ოდეკოლონნაპკურები, ხომ?.. ეჰ, მასეთი გამყიდველი კაცი თუ ვნახე, შენ ვისღა გაახსენდები?“

„ვარ უმანკო, მშვენიერი, კახეთში გაზრდილი გოგო, „სანიტარულ-ჰიგიენური“. მინდა დათოს გაცნობა, რაღა თქმა უნდა, ოჯახის შექმნის მიზნით. მისი ინტერვიუ რომ წავიკითხე, სულ მთლად გადავირიე. კახეთს ბევრი სახელოვანი ვაჟკაცი გაუზრდია სამშობლოსთვის, მათ შორის ერთ-ერთია დათოც. ასეთი „სასიძო“ კარგა ხანია, არ გყოლიათ“.

„აუუ! მაგას დედის გინება ეცოდინება! როგორც ჩანს, ჩუმჩუმელაა. არ ვიგინებიო, — თავს გვაწონებს. გინახავთ კახელი, რომელმაც გინება არ იცის?.. ეგ არაფერი, მაგას მოგაშლევინებ, მაგრამ ბაზარში სიარულს ვიცი, არ მოიშლი. ნუნუ“.

„მომხიბვლელი გარეგნობა, მომნუსხველი მზერა, ნაზი ხელები, ჰაეროვანი მიხრა-მოხრა... ეს დათოს დახასიათებაა. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს შორიდან. მაგარია, ერთი ნახვით შემიყვარდა. გენაცვალე, ბიჭო, კაკლი მურაბასავით თვალებში და მარწყვივით ტუჩებში. ნინო ხ“.

■



ცნობილი ქართული ფილმის სათაურის არ იყოს, სიყვარული ყველას უნდა და მათ შორის მშვენიერ ბორტგამყოლსაც. მაგრამ როგორ გინდა, პირად ბედნიერებაზე იზრუნო, როდესაც ავიაკომპანიები ძალზე მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ სტიუარდესებს?.. დღევანდელ „საპატარძლოსთან“ — „აირზენას“ სტიუარდესასთან თამუნა ძათამაძესთან ინტერვიუზე შეთანხმება გაჭირდა, რადგან პრესცენტრის თანხმობის გარეშე, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ფოტოს გადასაღებად ტანისამოსის შერჩევაც კი პრესსამსახურის უფროსთან შევათანხმეთ. ზემოთ ხსენებული ფილმის გმირის, ქეთო ყარაულაშვილის არ იყოს, აექამდე (კისრამდე) საყელოსა და აექამდე (მაჯამდე) სახელოების გარდა, სხვანაირ კაბაი ეგ ვერ ჩაიცვამსო... — დაახლოებით ასეთი პასუხი მივიღე. მაგრამ დიდი ძალისხმევის შემდეგ, როგორც იქნა, დავითანხმე კომპანიის პრესცენტრის ხელმძღვანელი იმაზე, რომ „საპატარძლოს“, საზაფხულო სეზონის შესაფერისად შეერჩია სამოსი. ახლა კი ვნახოთ, რა მოთხოვნები აქვს ჩვენს მშვენიერ ბორტგამყოლს.

ËÀÐÈÑÓ ÈÂÀÍÎÂÍÓ ÕÎ×Ó...

ანუ ქართველი პრეზიდენტების „ლეგენდარული სტიუარდესა“

მარი ჯაფარიძე

— **თამუნა, გაგვაცანი შენი ოჯახი.**

— ვცხოვრობ მშობლებთან და შვილთან ერთად. ორი უფროსი ძმა მყავდა. სამწუხაროდ, ერთი დაიღუპა, მეორე ძმას ოჯახი აქვს და ცალკე ცხოვრობს. მე ნაბოლარა შვილი ვარ და ამიტომ საკმაოდ ხანში შესული მშობლები მყავს. სამწუხაროდ, ოჯახი კარგა ხანია, დამენგრა და უკვე ათი წელია, მარტო ვარ. დედა ექიმი გახლავთ და მეც მისი პროფესია ავირჩიე.

— **„დიდ ავიაციაში“ როგორ მოხვდი?**

— საავადმყოფოში ინტერნატურაზე გახლდით, კარდიოლოგიურ განყოფილებაში. ერთი პაციენტი გვყავდა, მფრინავი. მან შემომთავაზა, რომ სტიუარდესად მემუშავა. თავდაპირველად, ოჯახის მხრიდან ძალზე დიდ წინააღმდეგობას წავაწყდი, რადგან მკაცრი მშობლები მყავს და არ უნდოდათ ამ სამსახურში ჩემი გაშვება. შემდეგ რამდენიმე ახლობელი ჩაერია, ჩემსა და მშობლებს შორის შუამავლის როლი იკისრეს და როგორც იქნა, დამთანხმდნენ. მივიღე მონაწილეობა შესარჩევ კონკურსში და გავიმარჯვე. თავდაპირველად, „ეარ ჯორჯიაში“ დავიწყე მუშაობა და იოლად ვახერხებდი ექიმობისა და ბორტგამყოლობის შეთავსებას. შემდეგ გადავედი „აირზენაში“. აქ ინსტრუქტორის თანამდებობაც დამემატა და უკვე იძულებული გავხდი, ექიმობას შევლეოდი. თუმცა, ორივე პროფესია ჩემთვის ძვირფასია, რადგან ორივეზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ეს ოცნება რეალობად მექცა.

— **დაახასიათე საკუთარი თავი.**

— ვარ ძალზე ერთგული, მეგობრული და უბოროტო. ყველასთვის სიკეთე მინდა. რისი შესაძლებლობაც მაქვს, ბოლომდე გავიღებ ახლობელი ადამიანებისთვის.

— **საოჯახო საქმე თუ გეხერხება?**

— ყველანაირი საქმე მეხერხება, რაც ქალმა უნდა იცოდეს: შემიძლია კერვა, ქსოვა, სახლის დალაგება, რეცხვა, ხეხვა, ყველანაირი კერძის მომზადება და სადღესასწაულო ტორტის გამოცხობაც კი. მაგრამ ვფიქრობ, თანამედროვე ქართველ მამაკაცებს ეს სულაც არ აინტერესებთ. ვინც მე მიცნობს, რატომღაც ვერ იჯერებენ, რომ შემიძლია ამ ყველაფრის გაკეთება ან ბაზარში პროდუქტის საყიდლად სიარული, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ნამდვილად ასეა. თქვენ წარმოიდგინეთ, გაფუჭებული ავეჯის შეკეთება და რბილი ავეჯის გადაკვრაც კი შემიძლია.

— **ნამდვილად სასურველი საპატარძლო ხარ. დარწმუნებული ვარ, კარგი მზითვიც გექნება...**

— კი, მზითვიც მაქვს — ლეიბები, ბალიშები, საბნები, თეთრეული, ჭურჭელი...

— **ძალიან კარგი. ბარემ, ისიც გაგვიმხილე, როგორი მამაკაცები მოგწონს.**

— ვაღიარებ, რომ გარეგნობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მე მის ხასიათზე უფრო გავამახვილებ ყურადღებას. რა ჯობს, თუ მამაკაცი სიმპათიური და კარგი აღნაგობის იქნება და ამასთან, განათლებული, ერთგული, მშვიდი და ხალისიანიც?!. უნდა უყვარდეს პირველ რიგში, ჩემი შვილი, შემდეგ — ჩემი ოჯახი, მეგობრები და პატივს სცემდეს ჩემს პროფესიას. რაც შეეხება მატერიალურ მხარეს — სასურველია, რომ ღატაკი არ იყოს, მაგრამ არც სოლიდურ სბანკო ანგარიშს აქვს ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებთან ერთად, საშუალოდ შეძლებულიც უნდა იყოს, რომ ოჯახის რჩენა შეეძლოს და ჩემს ხელფასზე არ იყოს დამოკიდებული. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ უნდა ვუყვარდე.

— **მოკლედ, თუ შენი მოსაწონი მამაკაცი შეგხვდება, ოჯახის შექმნაზე უარს არ იტყვი.**

— იცით, იმ ქალების უმეტესი ნაწილი, ვისაც ერთხელ არ გაუმართლა და ოჯახი დაენგრა, შეშინებულია და გათხოვებაზე აღარ ფიქრობს. მე მიმაჩნია, რომ ოჯახი აუცილებელია და ყველაზე მთავარიც. აქედან გამომდინარე, ვოცნებობ კარგ, მყუდრო და სიყვარულით შექმნილ ოჯახზე. მენატრება ოჯახური სითბო და...

— **...მამაკაცის ტანსაცმლის რეცხვაც?**

— არც მაგის გამო გამოვთქვამ პრეტენზიას. როდესაც ოჯახს შევქმნი, არანაირ საქმეს არ ავარიდებ თავს და მეუღლეზე გადამეტებულადაც კი ვიზრუნებ. ცოლის მოვალეობა სხვა რა არის?.. ამაში სათაკილოს ვერაფერს ვხედავ.

ვაღიარებ, რომ გარეგნობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს... (იტალიის ეროვნული ნაკრების მეკარე ფრანჩესკო გოლდოსთან ერთად)

კონკრეტულად ამ თემაზე არ გვისაუბრია, მაგრამ ხშირად უთქვამს ჩემთვის: თამუნა, რაგომ იწუნებ ყველას, ვისაც უყვარხარო?..

— მოდი, შენს შვილზეც გვიამბე...

— ჩემი მელიტა უკვე 14 წლის გახლავთ და არაჩვეულებრივად კარგი ურთიერთობა გვაქვს. მისი სახელი ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად „თაფლის გორას“ ნიშნავს. ძალზე თბილი ბავშვია და ხშირად მეუბნება: დედიკო, ჩემს თავზე მეტად მიყვარხარო. ყოველ წუთას მესიჯს მწერს და მეუბნება, რომ ვუყვარვარ და ვენატრები. გარეგნულადაც მშვენიერი გოგონაა და დარწმუნებული ვარ, ძალზე ლამაზი იქნება. უზომო სიამაყე ვიგრძენი, როდესაც სკოლაში მისი ამბის საკითხავად მივედი და მათემატიკის მასწავლებელმა მითხრა: — მართალია, ჩემს საგანში ცოტა უჭირს, მაგრამ მათემატიკა ხომ არ არის მთავარი?.. არაჩვეულებრივი ბავშვია, ძალზე კარგი შვილი გყავთო.

— ოდესმე თუ გისაუბრიათ იმის შესახებ, რომ შესაძლოა, გათხოვდე?

— კონკრეტულად ამ თემაზე არ გვისაუბრია, მაგრამ ხშირად უთქვამს ჩემთვის: თამუნა, რატომ იწუნებ ყველას, ვისაც უყვარხარო?.. ვგრძნობ, რომ სადღაც გულის სიღრმეში უნდა, მე და მამამისი ერთად ვიყოთ, მაგრამ ხვდება, რომ ეს შეუძლებელია და ამის გამო არასოდეს მსაყვედურობს. მამამისთან ურთიერთობა აქვს და ისიც ძალიან უყვარს.

— შენი პროფესიიდან გამომდინარე, ბევრ ცნობილ ადამიანთან გიწევს ურთიერთობა. ვის გამოარჩევდი? ვინ არის ყველაზე კარგი მგზავრი?

— არ მინდა, ვინმეს გული დავწყვიტო, ამიტომ ვერავის გამოვარჩევ. ყველა თავისებურია, ყველას სხვადასხვა მოთხოვნა აქვს...

— ვიცი, რომ თქვენი ეკიპაჟი ემსახურებოდა როგორც ძველ, ისე ახალ პრეზიდენტს. როგორი მგზავრია მიხეილ სააკაშვილი?

— არაჩვეულებრივი. ბატონი მიშა გაპრეზიდენტებამდეც ხშირად მგზავრობდა ჩვენი ავიაკომპანიის თვითმფრინავით. ძალზე კარგი მეხსიერება აქვს, ჯერ კიდევ „ეარ ჯორჯიიდან“ ვახსოვდი და „ლეგენდარული სტიუარდესაც“ კი შემარქვა. ის ძალზე უშუალო, მოძრავი და მხიარული მგზავრია.

— ტელეფონზე ზარს რომ პასუხობ, ხშირად ხომ არ ისმენ ხოლმე ფრაზას — Ларису Ивановну хочу...

— სხვათა შორის, ძალზე კარგი პერსონაჟია. გარეგნობითაც მშვენიერი გოგოა და თავდაჭერილიც: მიმინო რომ დაურეკავს, იოლად სულაც არ თანხმდება პაემანზე... მეუბნებიან ხოლმე მაგ ფრაზას, მაგრამ არც ისე ხშირად.

— უცხოელი მგზავრები თუ განსხვავდებიან ქართველებისგან?

— ნუ გამიბრაზდებიან ქართველი მამაკაცები, თუ ვიტყვი, რომ უცხოელები სრულიად განსხვავებულები არიან. მათ სიმპათიის გამოხატვაც სხვაგვარად ეხერხებათ. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: უცხოელ მამაკაცს მოვწონებივარ, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამს, არც არაფერი უგრძნობინებია. თბილისში რომ ჩამოფრენილა, შემდეგ დაურეკავს ჩვენს კომპანიაში და უთქვამს, რომ ასეთი და ასეთი გარეგნობის სტიუარდესამ ამა და ამ რეისზე ძალზე დიდი დახმარება აღმომიჩინა; სამწუხაროდ, მადლობა ვერ გადავუხადე და იქნებ, მისი ტელეფონის ნომერი მომცეთ, რომ მადლიერება გამოვხატოო. ნომერი მიუციათ. ერთ მშვენიერ დღეს, სამსახურში დამირეკა და მითხრა, რომ ძალზე მოვეწონე. ქართველი მამაკაცები კი, იმწუთას იწყებენ „ჩალიჩს“, ტელეფონის ნომრისა თუ პაემნის თაობაზე... ერთ ქართველ მგზავრს გავიხსენებ, რომელმაც შეუდარებელი კომპლიმენტი მითხრა. გამაჩერა სალონში და მეკითხება: — უკაცრავად, მამათქვენი მხატვარია? — არამეთქი, — ვუპასუხე. — აბა, მოქანდაკეა? — ისევ გავიქნიე უარის ნიშნად თავი და ვიფიქრე, რომ ვიღაცაში ვეშლებოდი. — არა, არა, ნამდვილად ხელოვანი იქნებოდაო... — არა, ბატონო, გეშლებათ-მეთქი. — აბა, ასეთი მშვენიერი როგორ გამოგძერწაო?.. — ისე თქვა, რომ არასოდეს დამავიწყდება... სხვათა შორის, ბევრი ჩვენი ბორტგამყოლი გოგონა გათხოვდა ჩვენსავე მგზავრზე და თავს ძალზე ბედნიერად გრძნობს.

— დარწმუნებული ვარ, შენი გარეგნობის წყალობით, ბევრი მამაკაცისთვის აგიბნევია თავგზა...

— იცით, ხშირად მითქვამს, რომ შინაგანად გაცილებით უკეთესი ვარ... არ მინდა, მამაკაცმა გარეგნობით შემიყვაროს. მინდა, რომ ჯერ ჩემი ბუნება და თვისებები დაინახოს და შემდეგ — გარეგნობა, რადგან მიმაჩნია, რომ „თვალებით“ სიყვარული უფრო ზედაპირულია. გარეგნობა, სილამაზე, შარმი — ეს ყველაფერი წარმავალია. წლების შემდეგ, შესაძლოა, ეს ყველაფერი აღარ იყოს. რაც რჩება, ის უნდა შეიყვაროს. ჩემი შინაგანი სამყარო ხომ ცხოვრების ბოლომდე გამყვება!.. ამდენი ხნის განმავლობაში მარტო სწორედ იმიტომ ვარ, რომ ველი, როდის გამოჩნდება ასეთი მამაკაცი...

— შენი პირველი პროფესიის, ექიმობის გამოყენება თუ დაგჭირვებია ფრენისას?

— საერთოდ, ყველას უკვირს, როდესაც გაიგებენ, რომ ექიმი ვარ და სტიუარდესად ვმუშაობ, მაგრამ როდესაც რაიმე ЧП ხდება და ვამბობ — ნუ გეშინიათ, ექიმი ვარ და დაგეხმარებითმეთქი, — იმედიანად მგზავრობენ ხოლმე. ერთხელ ასეთი შემთხვევა გვქონდა: ახალგაზრდა მამაკაცი სიკვდილს გადავარჩინე და პრემიაც კი მივიღე, რადგან მგზავრი ცუდად შეიქნა და თვითმფრინავი სათადარიგო აეროდრომზე უნდა დაესვათ, მაგრამ ჩემი ძალისხმევის შედეგად მომჯობინდა. აეროპორტში „სასწრაფო დახმარების“ ჯგუფი დახვდა, მაგრამ მას უკვე აღარ ესაჭიროებოდა ექიმის ჩარევა. ამ მგზავრს მადლობაც არ უთქვამს, რადგან ისე მოულოდნელად გახდა ცუდად, რომ თქმაც ვერ მოასწრო და ვერც გაეგო, თუ რა დახმარება აღმოვუჩინეთ და როგორი საშიშროების წინაშე იდგა... ერთი საკმაოდ ცნობილი ადამიანი მგზავრობს ხოლმე ჩვენი რეისით და ძალზე პრეტენზიული მგზავრი გახლავთ, მის მოსაწონს ვერაფერს გააკეთებ. ჰოდა, ერთხელ, ეს კაცი ცუდად გახდა და ჩემი დახმარება დასჭირდა. იმის შემდეგ, ძალზე მშვიდი გახდა და რომ დამინახავს, — ჩემი გადამრჩენი მოვიდაო! — იტყვის ხოლმე...

აი, ასეთი პირმშვენიერი, ტანმშვენიერი და ფეხმშვენიერი, „ლეგენდარული“ „საპატარძლო“ გვყავს. ვინც ასეთ მეუღლეზე ოცნებობთ, შეგიძლიათ დამირეკოთ ან დამიმესიჯოთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. შეგახსენებთ, რომ ტელეფონის ნომერი ჟურნალისტისაა და არა რესპონდენტის...

■

როდესაც რაიმე ЧП ხდება და ვამბობ — ნუ გეშინიათ, ექიმი ვარ და დაგეხმარებით-მეთქი, — იმედიანად მგზავრობენ ხოლმე

მსახიობი მარინა კახიანი არაერთხელ ყოფილა გატაცებული. თუმცა, სიყვარული მხოლოდ ერთხელ — გია მატარაძის გაცნობის შემდეგ ეწვია. მართალია, მათი ურთიერთობა ნაადრევად დამთავრდა, მაგრამ მსახიობი მაინც ბედნიერია, რომ ეს უმშვენიერესი გრძნობა განუცდია. ზოგი ხომ საერთოდ, ისე მიდის ამ ქვეყნიდან, რომ სიყვარული მისთვის უცხო ხილად რჩება...

„ეს ყვავ-ყვავი ხოლმე ამბობდ"

მერი კობიაშვილი

— რომ გითხრათ, სიყვარული ბავშვობაში მწვევია-მეთქი, მოგატყუებთ. თუმცა, მქონდა პატარ-პატარა გატაცებები. ხშირად, მოზარდობის პერიოდში ჰგონიათ ხოლმე, რომ შეყვარებულები არიან და გვიან ხვდებიან — ეს მხოლოდ ბავშვური გატაცება იყო. ჩემს შემთხვევაში ასე არ ხდებოდა: ყოველთვის ვიცოდი, როდის მიყვარდა და როდის ვიყავი უბრალოდ, გატაცებული. პირველად, მოწონების მაგვარი გრძნობა პირველ კლასში მეწვია. ალბათ ეს საპირისპირო სქესის აღმოჩენა უფრო იყო. მერე, წლების მანძილზე, ეს გრძნობა აღარ განმიცდია. ქორეოგრაფიულ და პირველ მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობდი. მთელი დღეები საკმაოდ დაკავებული ვიყავი. ვერ ვიტყვი, მკაცრ ოჯახში ვიზრდებოდი-მეთქი, მაგრამ ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვიმყოფებოდი. რა თქმა უნდა, საშუალება მქონდა, რომ ეზოში მეთამაშა, მაგრამ ბევრი დრო მეგობრებთან სასიარულოდ და სათამაშოდ არასდროს მქონია. ასე რომ, ბავშვობიდან, შემოქმედებით საქმიანობაში ვიყავი ჩაბმული. ერთი სული მქონდა, ივლისი როდის დადგებოდა: ამ დროს, მთელი ოჯახით ოქროყანაში მივდიოდით ხოლმე დასასვენებლად. 13 წლის ვიქნებოდი, როცა ოქროყანაში ერთი ბიჭი მომეწონა. ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ერთმანეთის თვალებში ჩახედვით შემოიფარგლებოდა. მასთან პაემანზეც კი არ წავსულვარ. საღამოობით მეგობრებთან ერთად კინოთეატრში მივდიოდით. ჩვენთვის პაემანის ტოლფასი იყო, თუ შემთხვევით ერთმანეთის გვერდით აღმოვჩნდებოდით... სხვათა შორის, ოქროყანის კინოთეატრში კარგი ფილმები გადიოდა. მაშინ განებივრებული არ ვიყავით ამდენი ახალი უცხოური ფილმით.

— შეყვარებული, დაბნეული იყავით?

— რა თქმა უნდა. როცა ვინმე მოგწონს, არათუ 13 წლის, არამედ საკმაოდ მოწიფულ ასაკშიც შეიძლება, დაიბნე. შეყვარებული ადამიანი ხანდახან ისეთ საქციელს სჩადის, მერე ნანობს კიდეც... 13-14 წლის ასაკში ყველაფერს ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებ. გგონია, შენ გარშემო მოძრაობს სამყარო. მოგვიანებით, რა თქმა უნდა, ხვდები, რომ ეს ასე არ არის. როცა ადამიანი გულის, სულის და გონების ერთად ან ცალ-ცალკე მოძრაობას გრძნობს, მაშინ იბადება გრძნობა, რომელსაც გინდათ, სიყვარული დაარქვით, გინდათ — მოწონება. ხანდახან კი, სიყვარული ლავასავით დაგვეტაკება ხოლმე... ეს არის ფანტასტიკური გრძნობა, რომელიც ცხოვრებაში ძალიან იშვიათად მოდის. პირადად მე, 13 წლის შემდეგაც მქონდა პატარ-პატარა გატაცებები, მაგრამ სიყვარული მეოთხე კურსზე მეწვია, რომელიც ქორწინებით დამთავრდა. მართალია, ჩვენი სიყვარულის ისტორია ტრაგიკულად დასრულდა (ის გარდაიცვალა), მე მაინც ბედნიერი ვარ, რომ მსგავსი გრძნობა განვიცადე. ხშირად ამბობენ, რომ სიყვარულის დასამტკიცებლად შეყვარებულები რაღაც გმირობებს სჩადიანო. ჩემთვის გმირობის ტოლფასი ის იყო, რომ ყოველთვის ვცდილობდი, სცენაზე ისე მეთამაშა, რომ პირველ რიგში, გიას მოსწონებოდა და აღფრთოვანებულიყო. როცა ჩემი მეუღლე ავად იყო, თვეების მანძილზე არ ვშორდებოდი. სულ ვცდილობდი, მის გვერდით ვყოფილიყავი. ამას მე გმირობად არ ვთვლი. ასე ნებისმიერი მეუღლე უნდა იქცეოდეს.

— პირველი პაემანი როგორ გახსენდებათ?

— ვერ ვიტყვი, თაყვანისმცემლები მაკლდა-მეთქი. ზოგიერთი ძალიან რომანტიკულიც იყო. ერთხელ, ჩემი დაბადების დღის მეორე დღეს შინ რომ მივედი, უამრავი ყვავილი დამხვდა. სახლში ამდენი ყვავილისთვის საჭირო ლარნაკები არ გვქონდა და ამიტომ, ზოგი მათგანი სამლიტრიან ქილაში ჩავაწყვეთ. ბინა ძალიან ლამაზ ორანჟერეას ჰგავდა... სტუდენტობის დროს, ჩემ გამო უჩხუბიათ კიდეც ბიჭებს. მართალია,

...გიასთან კი, ერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა. თუმცა, ეს გაბუტვა არც იყო. გიას მეუღლე ჰყავდა, ჩვენ კი სიყვარული ლავასავით დაგვატყდა თავს

ქალები ევას შთამომავლები ვართ და ყველა ჩვენგანშია მზაკვრობის „მომენტი“, მაგრამ მე ნამდვილად არ მიხაროდა, როცა ორი ყმაწვილი ჩემ გამო ჩხუბობდა, პირიქით – ვცდილობდი, გამეშველებინა. მაშინ ამ ყველაფერს ტრაგიკულადაც კი განვიცდიდი, მაგრამ ახლა გახსენება სასიამოვნოც კია... რამდენჯერმე პაემანზეც მივსულვარ. მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემს მეუღლესთან პირველი პაემანი იყო. ახლაც რომ ვიხსენებ, არაჩვეულებრივი განცდა მეუფლება. პირველი იანვარი იყო. თბილისში არ თოვდა. ოქროყანაში ასვლა გადავწყვიტეთ. იქ კი საოცრად ბარდნიდა. ოქროყანა ზღაპრულად ლამაზი იყო. ყველაფერი ისე იყო, როგორც ფილმებშია ხოლმე. ასეთ ლამაზ ადგილას ვიყავით. მანქანაში მუსიკა იყო ჩართული. ამ ყველაფერს სიყვარულის დაწყების განცდა ემატებოდა. როცა გრძნობ, რომ სულში რაღაც თბილი გეღვრება, როცა ხვდები, რომ შენ გვერდით არის მამაკაცი, რომლისთვისაც განსაკუთრებული და ძალიან ძვირფასი ხარ, ეს ყველაფერი ზღაპარივით გახსოვს. 2 იანვარი დგებოდა და დაგვებედა კიდეც ერთად ყოფნა...

— შეყვარებულთან ხშირად ჩხუბობდით?

– სტუდენტობის დროს, ერთ თაყვანისმცემელს რომ გავებუტე, აღარც შევრიგებივარ. გიასთან კი, ერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა. თუმცა, ეს გაბუტვა არც იყო. გიას მეუღლე ჰყავდა, ჩვენ კი სიყვარული ლავასავით დაგვატყდა თავს. მისი მეუღლის გამო გადავწყვიტეთ, ერთმანეთს აღარ შევხვედროდით. მხოლოდ ერთი დღე არ შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ გიამ ვერ გაძლო და საღამოსვე მითხრა, რომ უჩემოდ სიცოცხლე არ შეეძლო... მსგავსი რამ რამდენჯერმე გავაკეთეთ: გვინდოდა, გამოგვეცადა ჩვენი გრძნობა, გვაინტერესებდა, ღირდა თუ არა ის ოჯახის დანგრევად. ფაქტია, რომ ბოლოს, ჩვენ ერთად აღმოვჩნდით. ეს ალბათ ბედისწერა იყო. სიყვარულს ხომ ხელს ვერაფერი უშლის!..

— ლექსი თუ დაუწერინებია თქვენთვის სიყვარულს?

– თქვენ წარმოიდგინეთ, კი. პირველად ლექსი სიყვარულმა კი არა, შემოქმედით აღფრთოვანებამ დამაწერინა: ლექსი მივუძღვენი ვახტანგ ჭაბუკიანს, რომელიც ჩემი პედაგოგი იყო. მერე საკმაო ხანი ლექსებს აღარ ვწერდი... ჩემი მეუღლე რომ გარდაიცვალა, მაშინ მქონდა ლექსის წერის პერიოდი. ვუძღვნიდი ჩემს მეუღლეს, შვილს... რამდენიმე წელია, ლექსი აღარ დამიწერია. ეტყობა, მუზებმა მიმატოვეს... ჩემთვისაც არაერთი ლექსი მოუძღვნიათ, როგორც თაყვანისმცემლებს, ისე – ჩემი შემოქმედებით აღფრთოვანებულებს.

— სასიყვარულო სცენებში თამაში საკმაოდ ხშირად გიწევთ. პარტნიორისადმი სიმპათიები არასდროს გაგჩენიათ?

– მსგავსი რამ არასდროს დამმართნია. მსახიობი ვარ და ყველაფერი უნდა ვითამაშო. ეტყობა, ამ შემთხვევაში გონება არ მტოვებს ხოლმე.

— მამაკაცმა თქვენი ყურადღება რით შეიძლება მიიქციოს?

– მამაკაცი ძლიერი უნდა იყოს, რომ ქალმა მის გვერდით თავი დაცულად იგრძნოს. მისი სიყვარული ჩემ მიმართ სათუთი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ მე არა ვარ ჩვიდმეტი წლის გოგონა...

■

დაზარალებულად მიჩნეული, მკვლელი აღმოჩნდა – აცხადებს პროკურატურა

შემთხვევიდან ოთხ დღეში, ბრალდებულს სახლ-კარი დაუწვეს

50 წლის დავით ბაბაშვილი გორის რაიონულმა პროკურატურამ ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დაზარალებულად ცნო. დადგენილების თანახმად, შუაღამეს, შინ მარტო მყოფ ბაბაშვილს ნიღბიანი და შეიარაღებული პიროვნება შეუვარდა და მოკვლით დაემუქრა, თუ გადანახულ ფულს უკლებლივ და დაუყოვნებლივ არ გადასცემდა. წინააღმდეგობის გაწევისას, სახლის პატრონმა თავდამსხმელი საკუთარი სანადირო თოფით სასიკვდილოდ დაჭრა, შემდეგ პირდაპირ პოლიციაში წავიდა და მომხდარის შესახებ განაცხადა, თან თავისი თოფიც წარუდგინა სამართალდამცავებს. ისიც დასძინა, რომ თავდამსხმელს ნიღაბი ახადა და იცნო. მისი თქმით, იგი გორში მცხოვრები არჩილ დათუაშვილი იყო. დაჭრილი დათუაშვილი იმავე ღამით, ბაბაშვილის სახლიდან „სასწრაფო დახმარების“ მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. დათუაშვილი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების გამო პროკურატურამ ყაჩაღობის ფაქტზე საქმე შეწყვიტა, თუმცა ორი დღის შემდეგ, სამართალდამცავებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სინამდვილეში, ყაჩაღური თავდასხმა კი არა, განზრახ მკვლელობა მოხდა. მკვლელობაში ბრალდებულად მათ დავით ბაბაშვილი გამოაცხადეს.

პროკურატურის ცნობით, შემთხვევიდან მეოთხე დღეს, აღელვებულმა ჭირისუფალმა ბაბაშვილის სახლ-კარს ცეცხლი წაუკიდა, რის შედეგადაც იქაურობა ნაცარტუტად იქცა. როგორც შევიტყვეთ, აწ გარდაცვლილ არჩილ დათუაშვილს არც მშობლები და არც ცოლ-შვილი არ ჰყავდა, იგი თავის და-ძმასთან ერთად ობლობაში, ბებიამ გაზარდა...

პროკურატურის ინფორმაციით, დავით ბაბაშვილი წლების მანძილზე ავტომანქანებს არემონტებდა, სახელოსნო მას საკუთარ სახლში ჰქონდა მოწყობილი. 2002 წელს მან ინდსაწარმო „დავით ბაბაშვილი“ დაარეგისტრირა. საწარმოს საკუთრებას წარმოადგენდა გორის რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე მდებარე ხის დამამუშავებელი ქარხნის ადმინისტრაციული და ორსართულიანი შენობები და დამხმარე სათავსები. აღნიშნულ ქარხანაში განთავსებული იყო რკინის დამამუშავებელი საამქროს დაზგა-დანადგარები, რომლებიც არჩილ დათუაშვილს ეკუთვნოდა. ეს უკანასკნელი იმ ქარხანაში წლების მანძილზე ხარატად მუშაობდა.

ბაბაშვილი კარგად იცნობდა დათუაშვილს, რომელიც შორიახლოს ცხოვრობდა. სთხოვა, შენობა დანადგარებისგან გათავისუფლებინა, მაგრამ დათუაშვილმა ამის გაკეთება დათქმულ ვადაში ვერ შეძლო; სანაცვლოდ, შესთავაზა – ყოველთვიურად ქირას გადაგიხდიო. ბაბაშვილმა ამაზე კატეგორიული უარი უთხრა და ოთხი თვის ვადა კიდევ მისცა. დათუაშვილმა არც ამ ხნის მანძილზე დაცალა შენობა, როგორც ამბობდა, ვერ ახერხებდა.

საქმის მასალების მიხედვით, განაწყენებული ბაბაშვილი, 2003 წლის 19 ივლისს, დათუაშვილის ბებიასა და ნათესავთან საუბრისას დაიმუქრა, რომ თუ მისი მოთხოვნა უახლოეს მომავალში არ შესრულდებოდა, ის დათუაშვილს მოკლავდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბაბაშვილმა მიზანს რომ ვერ მიაღწია, მკვლელობა განიზრახა.

პროკურატურის ინფორმაციით, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ბაბაშვილმა 2003 წლის 26 ივლისს, ღამის პირველის ნახევარზე მიაკითხა დათუაშვილს შინ, იქიდან მოტყუებით, თავის სახლში წაიყვანა, ვითომდა შერიგების მიზნით, და დიდი რაოდენობით ალკოჰოლური სასმელი დაალევინა. როცა დარწმუნდა, რომ დათუაშვილი ძალიან დათვრა და წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ შეძლებდა, ოთახიდან ძალით გაათრია და სარდაფის კიბესთან ხელით უბიძგა. დათუაშვილი კიბეზე დაგორდა და კეფის, მხრისა და წელის არეში დაზიანებები მიიღო.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ამ დროს თავად ბაბაშვილიც წაიქცა და შედეგად, ისიც დაშავდა. თუმცა, წამოდგომა მაინც შეძლო და ოთახიდან, როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, წინასწარ მომზადებული სანადირო თოფი გამოიტანა. ბრალდების თანახმად, დათუაშვილს მან ორჯერ ესროლა, თუმცა, აწ გარდაცვლილს მხოლოდ ერთი ტყვია მოხვდა მუცლის არეში და ის სასიკვდილოდ დაიჭრა.

გამოძიების ინფორმაციით, სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ბაბაშვილმა, რომ ყაჩაღური თავდასხმის სცენა „დაედგა“. მეტი დამაჯერებლობისთვის, დაჭრილის კუთვნილი შავი ქუდისგან ნიღაბი დაამზადა და იქვე დააგდო. მან ცეცხლსასროლ იარაღზეც იზრუნა და ერთლულიანი, კონდახგადაჭრილი თოფი სარდაფის შესასვლელთან მიაგდო. ბაბაშვილი ამბობს, რომ აღნიშნული თოფი დათუაშვილს ჰქონდა თან, პროკურატურის განცხადებით კი, ბაბაშვილმა ეს იარაღი უკანონოდ შეიძინა და თავად გადააკეთა კუსტარული წესით.

როგორც ბრალდების მხარე აღნიშნავს, ალიბის შესაქმნელად, ბაბაშვილს საკმარისი დრო ჰქონდა, რადგან გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობა დაახლოებით ღამის პირველ საათსა და ოც წუთზე მოხდა, პოლიციაში კი იგი დილის ოთხ საათსა და ხუთ წუთზე გამოცხადდა. მანამდე მეზობლებს დაუძახა, თუმცა, ისე გაემართა გორის შს სამმართველოს რაიგანყოფილებისკენ, რომ მათ გამოხმაურებას არც დალოდებია.

ბაბაშვილმა ბრალის წარდგენისას კატეგორიულად უარყო დანაშაული. თანაც აღნიშნა, რომ შემთხვევა მოხდა დაახლოებით დილის ოთხის ნახევრისთვის.

დავით ბაბაშვილი (წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):

„დათუაშვილს ვიცნობდი... ვკამათობდით ქარხნის შენობასთან დაკავშირებით... 25 ივლისს საკუთარ სახელოსნოში ვმუშაობდი, მანქანას ვარემონტებდი. მუშაობას ღამის 12 საათისთვის მოვრჩი და დასაძინებლად წავედი. საძინებლის

კარი არ დავკეტე, რადგან გარეთ ძალი მეგულებოდა, წვიმდა და ვიფიქრე, რომ შინ შემოვიდოდა... გვიან ღამით ძალის ყეფამ გამაღვიძა. გარეთ გასვლა დავაპირე და საძინებლის კართან ნიღბიანი მამაკაცი შემეფეთა, ხელში ერთლულიანი თოფი ეჭირა და მე მიმიზნებდა – არ გაინძრე, ფული მომეცი, თორემ მოგკლავო! – მითხრა. მარცხენა ხელი მისი თოფის ლულას წავავლე, მარჯვენაში კი, მანამდე აღებული საკუთარი სანადირო თოფი მეკავა. ჭიდილი დავიწყეთ და ორივენი სარდაფში ჩამავალ კიბეზე ჩავგორდით. იმის შიშით, რომ არ ესროლა და არ მოვეკალი, ორჯერ გავისროლე. ნიღბიანმა შემგინა, მერე ხელიდან თოფი გაუვარდა და თქვა – დავიჭერიო. ნიღაბი ავხადე და არჩილ დათუაშვილი ვიცანი. დაბნეული, მაშინვე პოლიციისკენ გავიქეცი და განვაცხადე“...

დამატებითი დაკითხვისას, ბაბაშვილმა სამართალდამცავებს განსხვავებული ჩვენება მისცა: *„კარზე აბრახუნებდნენ. – ვინა ხარ, რა გინდა-მეთქი? – ვიკითხე. – გააღე კარი და გაიგებ, ვინცა ვარო, – მიპასუხა. ხან წყნარად მთხოვდა კარის გაღებას, ხან – აგრესიულად. ხმაზე ვიცანი დათუაშვილი. რამდენჯერმე გავძახე – წადი, შარს არ გადამკიდო-მეთქი, – მაგრამ მაინც დაჟინებით ითხოვდა კარის გაღებას... თავში მტკივნეული დარტყმა ვიგრძენი, სისხლი წამომივიდა... შესაშინებლად გავისროლე... დავინახე, რომ დაჭრილი, კიბეზე ზემოთ ამოდიოდა. ვიფიქრე – იქნებ, ვინმე ახლავს-მეთქი და კარის ღრიჭოდან გავიხედე; დავინახე ორი პიროვნება, რომლებიც სიგარეტს ეწეოდნენ... მაშინ კარი გავაღე და მეზობლის დასაძახებლად გავიქეცი...“*

დალიდა თათეშვილი, ბაბაშვილის ადვოკატი:

„არ ვფიქრობ, რომ ბაბაშვილმა გამოძიებას განსხვავებული ჩვენებები მისცა. უბრალოდ, დამატებითი დაკითხვისას მან უფრო დააკონკრეტა დეტალები, მითითება ამის თაობაზე კი მას გამომძიებელმა მისცა. იმ ორ უცნობ პიროვნებაზე, რომელიც მან ეზოში შენიშნა, დაზუსტებით დღესაც ვერაფერს ამბობს, არ იცის, ნამდვილად დათუაშვილს ახლდნენ თუ არა, ამას მხოლოდ ეჭვობს“.

ადვოკატს წინასწარი გამოძიების მიმართ ბევრი პრეტენზია აქვს. მისი თქმით, პროკურატურის თანამშრომლებმა კანონი განგებ დაარღვიეს, რათა აწ გარდაცვლილის ნათესავებისთვის გაეწიათ ანგარიში და მათი ინტერესები დაეცვათ.

დალიდა თათეშვილი:

„დაზარალებული თავიდანვე ვერ შეეგუა იმ ფაქტს, რომ დათუაშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში საქმე აღიძრა და მას ყაჩაღობაში დასდეს ბრალი. დაზარალებულის მხარემ ეს გარდაცვლილის სახელის შებღალვად მიიჩნია, გამწარდა და ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ეს ინფორმაცია გაებათილებინა. მაშინდელი დეპუტატების ჩარევით საქმე ბაბაშვილის საწინააღმდეგოდ შეატრიალეს. საქმის მასალებში დევს გორის ერთერთი გაზეთიდან ამონაჭერი, სადაც დაზარალებული დიდ მადლობას უხდის დეპუტატ ვახტანგ ყანჩაველს (გიორგი კანდელაკის სიმამრს) დახმარებისთვის და აღნიშნავს – ის რომ არა, ამ საქმეს ვერ შევატრიალებდითო. აქედან გამომდინარე, საფუძვლიანი ეჭვი მიჩნდება, რომ პროკურატურა ზეგავლენის ქვეშ მოექცა და ბაბაშვილის უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები გააყალბა. მაგალითად, მათ სრულყოფილად არ დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, არ გამოიკვლიეს ცეცხლსასროლი იარაღი, გააყალბეს დანაშაულის ჩადენის დრო და სხვა. რაც ყველაზე მთავარია, პროკურატურამ ყაჩაღობის ფაქტი საერთოდ არ გამოიძია, საქმე აღძრა და იმავე დღეს შეწყვიტა, ორ დღეში კი, მკვლელობის მუხლი წაუყენა ბაბაშვილს. ამიტომაც ვთვლი, რომ საქმე დამატებით ძიებაშია დასაბრუნებელი, მაგრამ ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ დაზარალებულის მხრიდან ზეწოლის გამო, დამატებითი ძიება არაფერს მოგვცემს, არც ვაპირებ, ამ მოთხოვნით მივმართო სასამართლოს“.

ბაბაშვილი ამჟამად, უზენაესი სასამართლოს განსასჯელი გახლავთ. იგი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და სასამართლოსგან გამართლებას მოითხოვს. პროკურორმა ჩვენთან საუბრისას უარყო განსასჯელის ადვოკატის არგუმენტები და ბრალის ძირითად მტკიცებულებად მოწმეების ჩვენებები მოიყვანა. ამ მოწმეებს კი ის მეზობლები წარმოადგენენ, რომლებმაც ბაბაშვილის სახლიდან იმ ღამით ჩხუბისა და სროლის ხმა გაიგონეს. სასამართლო თვლის, რომ დანაშაულის ჩადენის დროისა და ბევრი სხვა დეტალის დადგენის მიზნით, მათი დაკითხვა აუცილებელია, მაგრამ მოწმეები, უწყებების მიღების მიუხედავად, სასამართლოში არ ცხადდებიან. დაზარალებულის მხარე აღნიშნავს, რომ ისინი ბაბაშვილის საწინააღმდეგოდ არიან განწყობილი და პროცესზე მისი დანახვაც არ სურთ, განსასჯელის ადვოკატი კი აცხადებს, რომ მოწმეებზე დაზარალებული და მისი წრე ახდენს გავლენას და სხდომაზე გამოცხადებას უკრძალავს მათ. თუ ბაბაშვილის მეზობლები მომდევნო სხდომაზეც არ გამოცხადდებიან, სასამართლო მათი იძულების წესით – პოლიციის დახმარებით მოყვანას აპირებს. ■

ინტერპოლის ვაშინგტონის ბიუროს ძებნილი ქართველი დააკავა

28 ივნისს, აშშ-ის ინტერპოლის ვაშინგტონის ბიუროს, სამი ადამიანის მკვლელობისთვის, ე.წ. წითელი ცირკულარით 2001 წლიდან საერთაშორისო ძებნაში გამოცხადებული ქართველი – თამაზ ვაჟას ძე ტოროშელიძე დააკავა. საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციით, ვაშინგტონის ინტერპოლმა ტოროშელიძის შესახებ ცნობა საქართველოს ინტერპოლის ეროვნული, ცენტრალური ბიუროსგან მიიღო. ტოროშელიძე სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით (ძველი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისთვის იძებნებოდა. სამართალდამცავთა ცნობით, მან 1998 წლის 23 სექტემბერს, ურთიერთშელაპარაკებისას, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სამი ადამიანი – დავით ჩოჩია, გიორგი ჭკუასელი და ლუკა ბოლქვაძე მოკლა. ინტერპოლიდან მიღებული წერილის თანახმად, აშშ-დან საქართველოში ტოროშელიძის დეპორტაცია 2004 წლის 14 ივლისს მოხდება. ■

ქალები ყაყაჩოს რეალიზაციაში დაადანაშაულეს

28 ივნისს, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა აფხაზეთიდან ლტოლვილი ორი ქალი – რიტა გერგედავა და დალი ბოკუჩავა დააკავეს. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, მათ სარეალიზაციოდ გამზადებული, დიდი რაოდენობით ყაყაჩოს თესლი აღმოაჩნდათ. შს სამინისტროს ინფორმაციით, რიტა გერგედავას პოლიციამ გასაყიდად გამზადებული 5 პაკეტი ყაყაჩოს თესლი უპოვა, მის საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკისას კი, 23 პაკეტი დაფასოებული იგივე ნივთიერება აღმოაჩინა. რაც შეეხება დალი ბოკუჩავას – პოლიციამ მას 140 ლარი ჩამოართვა, რადგან, როგორც სამართალდამცავები ირწმუნებიან, ბოკუჩავას ეს თანხა ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად ჰქონდა მოპოვებული.

გერგედავა და ბოკუჩავა შს სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აიყვანეს. გამოძიებას მომხდართან დაკავშირებით, საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური აწარმოებს. ■

ბულგარეთის მოქალაქის დაყაჩაღებისთვის ძებნილი საპყრობილეში ჩასვეს

ორი წლის წინ – 2002 წლის 21 ოქტომბერს, უცნობმა პირებმა ხობის რაიონის სოფელ საგვიჩიოსთან ბულგარეთის რესპუბლიკის მოქალაქე – პაჩო ბამბელოვი დააყაჩაღეს. ბოროტმოქმედები ბამბელოვს ავტომატით წაადგნენ თავს და მოკვლის მუქარით 10.400 დოლარი, მობილური ტელეფონი და პირადი ნივთები წაართვეს. თავდამსხმელებმა მიმალვა მოახერხეს. მათ ორი წლის მანძილზე უშედეგოდ ეძებდა პოლიცია. ამჟამად სამართალდამცავებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი მათგანი, რომელზეც ძებნა იყო გამოცხადებული, რამდენიმე დღის წინ – 25 ივნისს დააკავეს. დაკავებული, 1969 წელს დაბადებული უშანგი ჯიქია აღმოჩნდა. რაც შეეხება მეორე ბოროტმოქმედს – მისი ვინაობა გამოძიებამ ჯერჯერობით ვერ დაადგინა. ■

გამომძალველი ქალის დაშანტაჟებისთვის დააპატიმრეს

29 ივნისს, თბილისელი კახა კარსელიშვილი თაღლითობისთვის აიყვანეს. პოლიციელთა ინფორმაციით, იგი თბილისელ მანანა ბაღათურიას ტელეფონით აშანტაჟებდა და სოლიდურ თანხას სძალავდა. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, კარსელიშვილი ქალბატონს პერიოდულად ტელეფონით უკავშირდებოდა, ეუბნებოდა, თითქოს ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი იყო და თუ ბაღათურია 5.000 დოლარს არ გადაუხდიდა, მის შვილიშვილებს ამერიკაში გამგზავრებაში შეუშლიდა ხელს, რადგან საამისოდ საჭირო მნიშვნელოვანი დოკუმენტები ჰქონდა. ბაღათურია იძულებული გახდა, 500 დოლარი გადაეხადა, მაგრამ მალე ამის შესახებ პოლიციამაც შეიტყო. კარსელიშვილი დააკავეს, პირადი ჩხრეკისას კი, როგორც სამართალდამცავები ამბობენ, ის 500 დოლარი ამოიღეს. ■

ქურდული ტრადიციების მიმდევარმა ოჯახი დააყაჩაღა და დიასახლისი გააუპატიურა

28 ივნისს, შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, სენაკელი მამუკა ლაშქარავა დააკავეს. სამართალდამცავთა ცნობით, 2004 წლის 27 ივნისს, ლაშქარავა სხვა პირთან ერთად (ამ უკანასკნელის ვინაობას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ასახლებენ) ლ. ბ-ს ოჯახს დაესხა თავს. ლაშქარავა დიასახლისს დანით დაემუქრა და ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვა, მაგრამ 20 ლარზე მეტი რომ ვერ იპოვა, ძალადობას მიმართა – დიასახლისი გააუპატიურა. ■

მამა-შვილი ბინებს ქურდავდა

გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა 28 ივნისს, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, მათ შორის მამა-შვილი – მერაბ და ვიტალი წახნაგიები დააკავეს. ისინი ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლეწურწუმეს მკვიდრები არიან. მამა – მერაბ წახნაგია, სამართალდამცავთა ინფორმაციით, წარსულში მრავალჯერ იყო ნასამართლევი. მათივე ცნობით, იგი თავის შვილთან ერთად დროებით თბილისში ცხოვრობდა და მარტვილის რაიონის სოფელ დიდ ჭყონში მცხოვრებ გოჩა ნაჭყებიასთან ერთად ბინებს ქურდავდა. ■

პოლიციელი ტაქსის მძღოლს აყაჩაღებდა

ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომელი ზაზა ფავლენიშვილი გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციელებმა მაშინ დააკავეს, როცა ის ტაქსის მძღოლს აყაჩაღებდა. გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის უფროსის – დავით კეკუას განცხადებით, ფავლენიშვილი დანაშაულის ჩადენის დროს ნასვამი გახლდათ, ტაქსის მძღოლს ფულს და პირად ნივთებს სთხოვდა, თან ყელში თოკს უჭერდა. აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის მუხლით აღიძრა და როგორც სამართალდამცავები ამბობენ, ყოფილი პოლიციელი კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს. ■

რამდენიმე დღის წინ, ბევრი ჩვენი თანამოქალაქე გააოგნა ცნობამ იმის შესახებ, რომ თბილისში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში ტრეფიკინგის „ბუდე“ აღმოაჩინეს: სამართალდამცავები იქ, აღმოსავლეთის ქვეყნებში სამუშაოდ მოწყობის საბაბით ჩამოყვანილ უზბეკ გოგონათა ჯგუფს წააწყდნენ. თურმე, ეს ბინა ეკუთვნის მარიამ მნაცაკანიანს, რომლის სახელიც ჩვენი მკითხველებისთვის, ერევანში მომხდარი, გახმაურებული მკვლელობის ამსახველი წერილებიდანაა („გზა“, №№7, 23) ცნობილი.

მარიამ მნაცაკანიანი, რომელიც კრასნოდარელი ლუდმილა ლიაპკუსოვას განზრახ, სადისტურ მკვლელობაში თბილისელ ცოლ-ქმარს – ბესარიონ და ციცო საბაშვილებს ამხელს, რამდენიმე დღის წინ ტრეფიკინგის მუხლით მისცეს პასუხისგებაში. აქამდე მნაცაკანიანი ლიაპკუსოვას მკვლელობის დაფარვისთვის შინაპატიმრობაში გახლდათ. საბაშვილები, რომლებიც ამჟამად ციხეში სხედან, დაკავების დღიდან თავს უდანაშაულოდ აცხადებენ. მათი თქმით, მკვლელობაში მხოლოდ მნაცაკანიანია დამნაშავე. ისინი ჯერ კიდევ სასამართლო პროცესის დასაწყისში აღნიშნავდნენ, რომ მნაცაკანიანი და მისი ოჯახის წევრები, ისევე, როგორც ლიაპკუსოვა, ტრეფიკინგით იყვნენ დაკავებული. თავად მნაცაკანიანი ამას კატეგორიულად უარყოფდა, თუმცა 2004 წლის 22 ივნისს მომხდარმა ფაქტმა, მისი სიტყვების სისწორეში რეალურად დააეჭვა სამართალდამცავები.

აღნიშნულ დღეს, სამართალდამცავებმა რუსთაველზე ორი გოგონა შენიშნეს, რომლებიც ფეხშიშველები სადღაც გარბოდნენ. როცა გამოელაპარაკნენ, ისინი უზბეკები აღმოჩნდნენ. გოგონებმა პოლიციელებს უთხრეს, რომ ტაშკენტიდან თბილისში მოტყუებით ჩამოიყვანეს ვითომდა სამუშაოდ, სინამდვილეში კი, საშინელ პირობებში, საჭმელ-სასმლის გარეშე გამოამწყვდიეს. მათ იმ ადგილზე და ბინაზეც მიუთითეს, სადაც რამდენიმე დღის მანძილზე სხვა ახალგაზრდა გოგონებთან ერთად იყვნენ გამოკეტილები და დასძინეს, რომ თავად გაქცევა მოახერხეს... სამართალდამცავებს მითითებულ ბინაში კიდევ

რა კავშირი აქვს გახმაურებულ მკვლელობაში მამხილებელ მნაცაკანიანს ბრეფიკერთა მიერ თბილისში ჩამოყვანილ უზბეკ გოგონებთან?

13 უზბეკი გოგონა დახვდათ. ბინა კი მარიამ მნაცაკანიანისა და მისი მეუღლის აღმოჩნდა. გოგონებმა მნაცაკანიანი, მამიდამისი – მარიამ ოგანესიანი და ამ უკანასკნელის ქმარი – აშოტ ოგანესიანი ამხილეს. როგორც ამბობენ, აღნიშნული პირები მათ ჯერ გურიაში, შემდეგ კი დუბაიში დასაქმებას (ვითომდა, ჩაის შესაფუთად) და თვეში დაახლოებით 1.000 დოლარის ანაზღაურებას დაჰპირდნენ. მომხდარ ფაქტზე პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მნაცაკანიანი, ისევე, როგორც მამიდამისი და ბიძამისი, პასუხისგებაში მისცა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, უზბეკი გოგონები მათ თბილისში სხეულით სავაჭროდ ჰყავდათ ჩამოყვანილი. აშოტ ოგანესიანი დაპატიმრებულია, მარინა ოგანესიანი კი, როგორც ამბობენ, ამჟამად დუბაიში იმყოფება. რაც შეეხება მარიამ მნაცაკანიანს – 2004 წლის 24 ივნისს, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მას აღმკვეთ ღონისძიებად შინაპატიმრობა განუსაზღვრა. მომხდარმა ფაქტმა ლიაპკუსოვას მკვლელობის საქმეში, რომელსაც უზენაესი სასამართლო განიხილავს, მნაცაკანიანის პოზიცია საგრძნობლად შეარყია. შესაბამისად, ეჭვქვეშ დადგა იმ ჩვენების ჭეშმარიტებაც, რომელიც მან სასამართლოს მისცა და რომლის შესახებაც „გზის“ №23-ში ვწერდით.

საბაშვილების ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ირაკლი ჩიკვაიძემ უზენაეს სასამართლოში გამართულ პროცესზე პროტესტი გამოთქვა მნაცაკანიანისთვის მეორედ შინაპატიმრობის განსაზღვრის ფაქტზე და კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა. ადვოკატმა მნაცაკანიანის დაპატიმრება და საბაშვილების ციხიდან გათავისუფლება მოითხოვა.

ირაკლი ჩიკვაიძე:

„მნაცაკანიანისთვის მეორედ შინაპატიმრობის განსაზღვრა სრული უკანონობაა. როგორც ჩანს, პროკურატურაში მას იმდენად მფარველობენ, რომ განგებ უყურადღებოდ დატოვეს უმნიშვნელოვანესი გარემოებები, კერძოდ ის, რომ მნაცაკანიანის წინააღმდეგ იმ დროისთვის უკვე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, თანაც – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან დაკავშირებით და ამისთვის შინაპატიმრობაშიც იმყოფებოდა. სხვათა შორის, მნაცაკანიანი შინაპატიმრობით გათვალისწინებულ აკრძალვებსაც უხეშად არღვევდა. როგორც ჩანს, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ ამის თაობაზე საქმის კურსში არ ჩააყენა იმავე რაიონის სასამართლო, რის შედეგადაც მნაცაკანიანი ციხეში არ ჩასვეს. ცხადია, რომ მითითებები ქალაქის პროკურატურიდან მოდის. მნაცაკანიანს რომ იქ მფარველები ჰყავს, ეს ჯერ კიდევ ლიაპკუსოვას საქმის გამოძიებისას გამოჩნდა. თავის დროზე არავინ მიაქცია ყურადღება ტყუილებს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ის ჯერ კიდევ ერევანში გახლდათ ტრეფიკინგით დაკავებული და სწორედ ამ მიზნით ჰყავდათ მას და ლიაპკუსოვას ოთხი უზბეკი გოგონა ჩაყვანილი იმ ბინაში, სადაც საქმის მასალების თანახმად, მკვლელობა მოხდა. მაშინ მნაცაკანიანი თავს ებრაელ ლენად ასაღებდა, შემდეგ – მონიკად. ახლა კი, ფეხშიშველი უზბეკი გოგონები რომ არ დაენახათ რუსთაველზე, ვერავინ გაიგებდა, რომ მან მორიგი დანაშაული ჩაიდინა. ვინ იცის, კიდევ რამდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, პროკურატურა კი მას ხელს აფარებს“.

ადვოკატ ჩიკვაიძის შუამდგომლობა სასამართლო კოლეგიამ, მოსამართლე ლოტბერტ კუპატაძის თავმჯდომარეობით, არ დააკმაყოფილა, რის საფუძვლადაც მიუთითა, რომ მნაცაკანიანისთვის აღმკვეთი ღონისძიების დამძიმების შესახებ შუამდგომლობა ბრალდების მხარეს ან დაზარალებულს უნდა დაეყენებინა, რაც არ მომხდარა. რაც შეეხება ცოლქმარ საბაშვილებს, მოსამართლის თქმით, პატიმრობიდან მათ გასათავისუფლებლად ადვოკატის მიერ მოყვანილი არგუმენტები სასამართლო განხილვის შედეგად ჯერ დადასტურებული არ არის. აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მიერ განჩინების გამოცხადებამდე, ჩიკვაიძის შუამდგომლობას არც სახელმწიფო ბრალმდებელმა დაუჭირა მხარი, იმ მოტივით, რომ 2004 წლის 22 ივნისს მნაცაკანიანის დაკავებისა და მის მიმართ ტრეფიკინგის მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. ამის შემდეგ, ადვოკატმა ჩიკვაიძემ სასამართლო კოლეგიის წინაშე ახალი შუამდგომლობა დააყენა – პროკურორის აცილების მოთხოვნით. *„აშკარაა, რომ პროკურორი მიკერძოებული და არაობიექტურია. ის აქამდეც არაობიექტურ შეფასებას აძლევდა დაცვის შუამდგომლობებსა და საქმეში არსებულ გარემოებებს. არ შეიძლება, პროკურორს 22 ივნისს მნაცაკანიანის დაკავების შესახებ არ შეეტყო, რადგან ამის შესახებ ტელევიზიითაც გადმოსცეს და პრესაშიც დაიწერა. ამას გარდა, ყოველი გამოვლენილი დანაშაულის ფაქტი კრებსის* (საგამოძიებო მასალების შეკვრა. – ავტ.) *სახით გენერალურ პროკურატურაში იყრის თავს“.*

პროკურორის აცილების საკითხს კოლეგია მომავალ სხდომაზე განიხილავს. სავარაუდოდ, საბაშვილებიც მაშინ მისცემენ ჩვენებებს სასამართლოს. რაც შეეხება მნაცაკანიანის ადვოკატს, ომარ მდივნიშვილს – იგი საბაშვილების ადვოკატის ყოველ სიტყვას უარყოფს, 22 ივნისს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კი აცხადებს, რომ მნაცაკანიანის დანაშაული ტრეფიკინგის მუხლით ჯერ დადასტურებული არ არის და ამას გამოძიება გაარკვევს.

■

ქეთი მელუა გასტროლებზე აშშ-ში, კერძოდ — ლოს-ანჯელესში იმყოფება. მის კონცერტზე ქართული დიასპორა ხუთჯერიანი დროშებითა და ხელში სანთლებით მივიდა. წარმატება გრანდიოზული იყო. კონცერტის ფირზე აღბეჭდვის უფლება არავის მისცეს. ქეთის დედასაც კი აუკრძალეს სამოყვარულო ვიდეოკამერით შვილის წარმატების დაფიქსირება...

ქეთი მელუამ

ლოს-ანჯელესში ხუთჯერიანი დროშები ააფრიალა

ლელა ჭანკოტაძე

ქეთი მელუა 1984 წელს, ბათუმში დაიბადა. ბავშვობის დიდი ნაწილი სწორედ ბათუმში გაატარა. მისი პირველი სიმღერის მასწავლებელი მზია ღამბაშიძე იყო, რომელმაც ქართველი მომღერლების რამდენიმე თაობა აღზარდა. ახლა ქეთის პროდიუსერი ცნობილი იმპრესარიო მაიკ ბატია. უკვე გაყიდულია მისი მილიონნახევარი დისკი. მას ძალიან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მომხიბვლელ და ნიჭიერ ქართველ გოგონას ინგლისის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ. ქეთი ყოველთვის ცოცხლად მღერის, რადგან მიაჩნია, რომ სიმღერის შესრულების სხვა ფორმა აუდიტორიისთვის შეურაცხმყოფელია...

თბილისში ქეთის ბაბუა, ამირან მელუა და ბებია თამარ ჯორბენაძე ცხოვრობენ. ქეთიზე სასაუბროდ სწორედ ბატონ ამირანს ვესტუმრეთ. ის სახელმწიფო უნივერსიტეტში მარკეტინგისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობს.

ამირან მელუა:

— ქეთი ჩემი უფროსი ვაჟის ამირანის ქალიშვილია. ამირანმა სკოლა წარმატებით დაამთავრა, შემდეგ კი, სამედიცინო ინსტიტუტი — წითელ დიპლომზე. იმ წელს, ორ სტუდენტს მოსკოვში ორდინატურის გასავლელად უშვებდნენ. ერთი ადგილი ცხადია, ამირანს ეკუთვნოდა, მაგრამ მის მაგივრად ორდინატურის გასავლელად სხვას უშვებდნენ. შინ დაღვრემილი მოვიდა. გავიქეცი მაშინდელ განათლების მინისტრთან. ჯანმრთელობის მინისტრთანაც მივედი. მითხრეს: შენი შვილი ქირურგად დავნიშნეთ დიღმის საავადმყოფოში, ეგ ადგილი 100.000 მანეთი ღირსო... მაგრამ ჩემს შვილს ეს არ აკმაყოფილებდა. ოთარ ჩერქეზიასაც შევხვდი *(იმ დროს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. — ავტ.)*, ის ჩემი მეგობარი იყო. კომისია გამოყო, რომელსაც უნდა გაერკვია, თუ ვის ეკუთვნოდა მოსკოვში სასწავლებლად წასვლა. საკითხი ამირანის სასარგებლოდ გადაწყდა და მან ორდინატურა მოსკოვში გაიარა. 5 წელი ქირურგად იმუშავა, სამეცნიერო ხარისხიც დაიცვა. მერე ბათუმში დაბრუნდა. სამ საავადმყოფოში მუშაობდა, თავს არ ზოგავდა...

— ინგლისში რატომ წავიდა?

— ლონდონში ექიმების კონკურსი ტარდებოდა. წავიდა, საკუთარი თავი რომ გამოეცადა, კონკურსში გაიმარჯვა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მიკროქირურგად დაიწყო მუშაობა. 5 წელი ბელფასტში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. მერე ინგლისის ყველაზე ცნობილ კლინიკაში მიიწვიეს, სადაც სამეფო ოჯახიც მკურნალობს. დღემდე იქ მუშაობს. ოპერაციებს აკეთებს და ხალხის სიცოცხლისთვის ზრუნავს.

— ქეთის დედა ვინ არის? რას საქმიანობს?

— ჩემი რძალი გახლავთ თამრიკო ნოზაძე. წარმოშობით ქუთაისელია. ძალიან თბილი და ყურადღებიანი ადამიანია. „მამას“ მეძახის და ისეთი სიყვარულით მეპყრობა, რომ ვერც აღგიწერთ... ისიც ექიმია. სამედიცინო ინსტიტუტი დონეცკში დაამთავრა. სანამ მატერიალური პრობლემები ჰქონდათ, მოხუცებულთა თავშესაფარში მუშაობდა ექიმად. როცა ამირანი მატერიალურად მოძლიერდა, თამრიკომ მუშაობას თავი დაანება და მთლიანად ოჯახის საქმეებზე გადაერთო. ლონდონთან ახლოს ცხოვრობენ. ორსართულიანი სახლი აქვთ, რომელიც ჩემმა შვილმა კრედიტით შეიძინა. თანხა 25 წლის მანძილზე უნდა დაეფარა, მაგრამ ქეთი მიეხმარა და უკვე მთლიანად დაფარეს.

— ქეთიმ როდის დაიწყო სიმღერა?

— 4 წლის იყო, როცა ამღერდა... მე და ჩემი მეუღლე ბათუმიდან თბილისში საცხოვრებლად წლების წინ გადმოვედით. ქეთი ჩვენთან სტუმრად ჩამოდიოდა ხოლმე. ერთ დღეს ჩვენს მეზობლად მოვიდა მზია ღამბაშიძე, ცნობილი პედაგოგი. რომ მოუსმინა, ძალიან მოეწონა. მაშინ ქეთი 8 წლის იყო. საგალობელი — „წმინდაო ღმერთო“ იმღერა მუსიკის გარეშე, სწორედ ქალბატონი მზიას რჩევით, ქეთი ხელოვნების სკოლაში გადავიყვანეთ. სულ მალე ფილარმონიაში იმღერა პატარა ბიჭთან ერთად. მერე ინგლისში წავიდნენ და ქეთის აღმასვლაც დაიწყო. როცა ჩრდილოეთ ირლანდიაში ცხოვ-

კონცერტის დაწყებამდე, ქეთისთვის უთქვამთ — ქართულ დიასპორას თქვენთან ერთად რესტორანში საღამოს გატარება სურსო. ქეთი დათანხმებულა. მთელი ჯგუფი წაუყვანიათ რესტორანში

ქეთი გამოვიდა გიტარით ხელში და დაამშვიდა დარბაზი. ის რომ უკრავდა და მღეროდა, თავი ეკლესიაში მეგონა. მისი მუსიკა ძალიან დამაწყნარებელია

რობდნენ, ქეთი კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა. როგორც თავად ქეთი ამბობს, მას მომღერლობა ყოველთვის არ ნდომებია. 13 წლის რომ იყო, პოლიტიკოსობა სურდა. რადგან ჩემი ვაჟი სხვადასხვა ადგილას მუშაობდა, ქეთისაც სკოლის გამოცვლა ხშირად უწევდა. მან შვიდ სკოლაში ისწავლა. ბოლოს, ბრიტის ხელოვნების სკოლა დაამთავრა... ახლა კომპოზიტორობს კიდეც, სიმღერებსაც თვითონ წერს. პირველი სიმღერა მას შემდეგ დაწერა, რაც მისი საყვარელი მუსიკოსი — ევა კასიდი გარდაიცვალა. ამ სიმღერამ დიდი წარმატება მოუტანა.

— ვისგან გადაეცა ეს ნიჭი ქეთის? ოჯახში რომელიმეს თუ გაქვთ კარგი მუსიკალური მონაცემები?

— დედამისმა მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა. ის ყოველთვის კარგად მღეროდა. მუსიკის ნიჭი ქეთის მისგან გამოჰყვა. ჩემმა რძალმა გუშინ დამირეკა. ქეთის ამერიკის შეერთებულ შტატებში აქვს გასტროლები. მითხრა: კონცერტი ლოს-ანჯელესში აწშლაგით ჩატარდაო. თურმე დარბაზი იქ მცხოვრები ქართველებით იყო სავსე. ისინი ქართულ დროშებს აფრიალებდნენ. კონცერტის დაწყებამდე, ქეთისთვის უთქვამთ — ქართულ დიასპორას თქვენთან ერთად რესტორანში საღამოს გატარება სურსო. ქეთი დათანხმებულა. მთელი ჯგუფი წაუყვანიათ რესტორანში და ძალიან ამაღელვებელი საღამო ყოფილა.

— თქვენ თუ ხართ ინგლისში, შვილის ოჯახში ნამყოფი?

— არა. მიმიწვიეს და ვერ წავედი. მაგრამ ქეთის კონცერტზე დასწრების ბედნიერება მაინც მქონდა. მოსკოვში ჟურნალ „კოსმოპოლიტენის“ 10 წლის იუბილეზე ქეთი მიიწვიეს. ერთი კონცერტი კრემლის საკონცერტო დარბაზშიც გაიმართა. მე და ჩემი შუათანა ვაჟი ვიყავით წასულები. ბილეთები ქეთიმ გამოგვიგზავნა. კონცერტში რამდენიმე ჯგუფი მონაწილეობდა. ისეთი ხმაური და ბრახაბრუხი ატყდა, რომ თავი ამტკივდა. ქეთი გამოვიდა გიტარით ხელში და დაამშვიდა დარბაზი. ის რომ უკრავდა და მღეროდა, თავი ეკლესიაში მეგონა. მისი მუსიკა ძალიან დამაწყნარებელია. სულ „ბრავო, ბრავო“ იძახეს რუსებმა. ორი წლის უნახავი მყავდა. ყველა გამაცნო. სასტუმრო „ბალჩუგში“ იყო დაბინავებული. ძალიან ძვირად ღირებული სასტუმროა. ისეთ ნომერში ვცხოვრობდი, რომ გაოცებას ვერ ვფარავდი: ორი აბაზანა მქონდა, რად მინდოდა?.. ბედნიერებისგან ერთი აბაზანიდან მეორეში შევრბოდი. ხალათს და თეთრეულს ყოველდღე მიცვლიდნენ, მნიშვნელობა არ ჰქონდა, გამოვიყენებდი თუ არა... ქეთი წუთით არ მცილდებოდა, მხოლოდ რეპეტიციების დროს მტოვებდა. დილის 8 საათიდან ეწყებოდა მეცადინეობა. სადილის დროს თავისუფლდებოდა, მერე ისევ რეპეტიციაზე გარბოდა. ძალიან თბილი და მოსიყვარულეა. ვერც შეატყობთ, თუ ასეთ წარმატებას მიაღწია. ყოველდღე მესიჯებს უგზავნის ბებიას და ყველა სიახლეს ატყობინებს. ინგლისი მისი რეკლამებითა და ბილბორდებითაა აჭრელებული. ის კი დადის დახეული ჯინსით და ბენდენით. ვინ წარმოიდგენს, რომ ქეთი მელუა ასე გაივლის?! ამიტომ ყურადღებასაც არ აქცევენ.

— მოსკოვში ყოფნისას, ალბათ, ქეთის ხელმძღვანელიც გაიცანით, არა?

— მაიკ ბატი არაჩვეულებრივი ადამიანია. ამბობს, რომ ქეთი მისი ერთ-ერთი ყველაზე ფანტასტიკური აღმოჩენაა და რომ ქეთი ყველაზე ნიჭიერი მომღერალია მათ შორის, ვისთანაც ბოლო წლების განმავლობაში უმუშავია. მაიკ ბატთან საუბარი BBC-ის კორესპონდენტის დახმარებით მოვახერხე, ის ქეთის ინგლისიდან ჩამოჰყვა და თარჯიმნობას გვიწევდა. ბანკეტი რომ გაიმართა, თამადა მე ვიყავი. ჩვენგან განსხვავებული ქეიფი იციან: აიღებენ სასმისს და დადიან აქეთ-იქით. ამის გამო, თავიდან თამადობა გამიჭირდა კიდეც... მერე იქ მყოფი ერთ-ერთი ფეხმძიმე გოგო ვადღეგრძელე. ვთქვი: ჩვენ შორის არის ქალბატონი, რომელიც ახალ სიცოცხლეს ატარებს მუცლითმეთქი!.. მაშინვე გაისუსნენ, სადღეგრძელო ისე მოეწონათ, რომ მერე სულგანაბულები მისმენდნენ.

— ქეთი თბილისში ჩამოსვლას და აქ კონცერტის გამართვას არ აპირებს?

— თბილისში ფესტივალი „საჩუქარი“ სანამ გაიხსნებოდა, ქალბატონმა ქეთი დოლიძემ დამირეკა და მთხოვა: ქეთის მოწვევა გვინდა, იქნებ, დაგვეხმაროთო. ქეთის დავურეკე. ძალიან გაუხარდა, მაგრამ მითხრა: უკვე დაგვიანებულია, 4 დღეში ჩამოსვლას ვერ შევძლებთ, თან ამერიკის გასტროლებისთვის ვემზადებითო... უფრო ადრე რომ გახსენებოდათ ქეთის ჩამოყვანა, აუცილებლად შეძლებდა ჩამოსვლას. უკვე 3 წელია, აქ არ ყოფილა. მანამდე ყოველ ზაფხულს ჩადიოდა ბათუმში. არადა, საქართველო ძალიან უყვარს. როგორც წყალი მოსწყურდება ადამიანს, ისე უნდა აქ ჩამოსვლა. მისი პოპულარობა დღითი დღე იზრდება. მისი სახელი უკვე ინგლისის ფარგლებს გასცდა. მას კიდევ უფრო მეტი შრომა მოუწევს. ამიტომ არც კი ვიცი, ჩამოსვლას როდის შეძლებს.

— სიმართლეა, თითქოს ინგლისის დედოფალი ქეთის ფანია?

— ელიზაბეტ მეორემ ქეთი რამდენიმე მომღერალთან ერთად მიიწვია. ვიცი, რომ უთხრა: თქვენს სიმღერებს ხშირად ვუსმენ და თქვენი თაყვანისმცემელი გავხდიო.

„მე ვეძებდი ისეთ ადამიანს, რომელსაც შეეძლო ჯაზისა და ბლუზის ახლებურად, საინტერესოდ შესრულება. მაგრამ არასდროს მქონდა იმედი, რომ ვიპოვიდი ისეთს, როგორიც ქეთია, — წერს იმპრესარიო მაიკ ბატი. — მის ხმაში არის რაღაც, რაც ედიტ პიაფსა და ბევრ სხვა ცნობილ მომღერალს მოგაგონებთ. ქეთი საკუთარ თავში დარწმუნებულია და თავის ასაკთან შედარებით ბევრად მოწიფულიც. იგი ქარიზმატული სასცენო მომღერალია და ძალიან ლამაზი, მომნუსხველი თვალები აქვს“.

ქეთი მელუას, ნორა ჯონსს ადარებენ. თავშეკავებული და მომთხოვნი ინგლისელი მსმენელი მის ყოველ გამოსვლას აპლოდისმენტებითა და ოვაციებით ხვდება. ის ჯერ მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ როგორც მისი იმპრესარიო ამბობს, სულ მალე მთელ მსოფლიოს მოხიბლავს. ■

ამირან მელუა მეუღლესთან თამარ ჯორბენაძესთან ერთად

როგორ უნდა მოიქცეს ქალი ან მამაკაცი, რომ ის რჩეულმა არ მიატოვოს?

მაშ ასე, ქალებმაც და მამაკაცებმაც ერთმანეთი უკვე მოვხიბლეთ, სიდედრები და დედამთილებიც „მოვათვინიერეთ“ (იხ. „გზა“ №25, 26) და ახლა, ისლა დაგვრჩენია, საყვარელი ადამიანის შენარჩუნებაზე ვიზრუნოთ...

როგორ უნდა მოიქციეს ქალი ან მამაკაცი, რომ ის რჩეულმა არ მიატოვოს? ამ მარტივ კითხვაზე მარტივი პასუხის გაცემა ჩვენი რესპონდენტებისთვის არც ისე იოლი აღმოჩნდა.

სოფო ყარალაშვილი

ქეთი ფარესაშვილი:

— ქალი არ მიატოვებს მამაკაცს, რომელიც არასდროს აუმაღლებს ტონს, სიყვარულით და პატივისცემით მოექცევა თავის რჩეულს; თუ ის შეგნებული, დამთმობი და მისი ნამდვილი დასაყრდენი იქნება... საჭირო მომენტში კი ყოველთვის შეძლებს ქალის დაცვას. ისე, კარგ მამაკაცს ქალი არასდროს მიატოვებს...



გურანდა გაგუნია:

— ქალი ვერასდროს მიატოვებს მამაკაცს, რომელსაც ჭეშმარიტად უყვარს.

თათა ვარდანაშვილი:

— ქალი ვერ მიატოვებს მამაკაცს, თუ ის ცვალებადია და ამოუცნობი, თუ არასდროს მოადუნებს ყურადღებას ქალის მიმართ, გაიღიმებს მაშინაც კი, როცა თავს ცუდად გრძნობს. მამაკაცი ყოველთვის კარგად უნდა გამოიყურებოდეს და ყოველი შეხვედრისას ქალს თავსატეხი უნდა დაუტოვოს...

გივი გერიკაშვილი:

— რაც უნდა ბევრი საქმე ჰქონდეს ქალს, მაინც „ფორმაში“ უნდა იყოს და არ დაივიწყოს, რომ არის ცოლი, დედა, შვილი... ასეთ ქალს კაცი არ მიატოვებს... საერთოდ კი, ქალიცა და მამაკაციც ერთმანეთს უნდა გაუფრთხილდნენ, იმიტომ, რომ სიყვარული წყვეტს ყველაფერს!

კახა კუხიანიძე:

— ქალი რომ არ მივატოვო, ერთგული უნდა იყოს და სიყვარულის დამტკიცება ნებისმიერ დროს შეეძლოს. თანაც, ზედმეტად ეჭვიანი არ უნდა იყოს. არ მსიამოვნებს, როცა ურთიერთობაში სუსტი სქესის წარმომადგენელი აქტიურობს. ქალი ალერსიანი უნდა იყოს და ჩემს საქმიანობასაც პატივს სცემდეს.

თემურ მლეგრიშვილი:

— თუ ქალს უნდა, რომ არ მიატოვო, ენა უნდა დაიმოკლოს, ჭიპი არ უნდა უჩანდეს, მეუღლეს პატივს სცემდეს და მისით ამაყობდეს და... არ უნდა იბოზოს! კიდევ... აუცილებელია, რომ სიდედრსაც მოკლე ენა ჰქონდეს!..

ვახტანგ ჯაფარიძე, *ფსიქოლოგი:*

— არც ქალი და არც მამაკაცი არ მიგატოვებს, თუ: ბოლომდე არ სჯერა, რომ მისი ხარ; ეშინია ტკივილის, რომელიც საყვარელი ადამიანის დაკარგვის შემდეგ შეიძლება განიცადოს; თუ მუდმივად ხელიდან უსხლტები ანუ ჰგონია,

რომ „დაგითრია“, მაგრამ — უკვე მერამდენედ ჰგონია; თუ ხან ძალზე ალერსიანი ხარ და ხან თითქმის — უცხო; მის მეგობრებს მოსწონხარ; თუ ბევრს ფიქრობს შენზე და მაინც ეჭვი უჩნდება, რომ ამოუხსნელი ხარ...

■

რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი თურმე პროფესიონალი „ჩელისტია“ და თავის დროზე არჩევანის წინაშეც კი იდგა — კონსერვატორიაში ჩაებარებინა თუ თეატრალურში. არ ვიცი, რა დაკარგა „ჩელისტთა“ სამყარომ, მაგრამ მას რომ სხვა გადაწყვეტილება მიეღო, თბილისში სულ ცოტა, ორი თეატრით ნაკლები იქნებოდა და ბევრ კარგ სპექტაკლსაც ვერ ვნახავდით.

გემოვნებაზე სასაუბროდ მას გრიბოედოვის თეატრში ვეწვიე, რომლის სამხატვრო ხელმღვანელიც გახლავთ. მის კაბინეტში დგას სამუშაო მაგიდა, კედლებზე გაკრულია ბევრი ფოტოსურათი, რომლებზეც აღბეჭდილია სცენები მისი სპექტაკლებიდან „რაშენ ბლუზი“, „კომედიანტები“, „პროვოკაცია“ და ა.შ. იქვე საქართველოს დროშაც კიდია.

ყველასთვის ცნობილი ანდაზის მიუხედავად ბატონ ავთოს მიაჩნია, რომ სწორედ გემოვნებაზე დაობენ ყველაზე მეტს. ამ დავას აზრი არა აქვს, მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ უნდა გაჩუმდე...

ავთანდილ ვარსიმაშვილი

ბოდუჩი ჩექოსოჩი, ჩოგელიც ბოდას აჩ ბისდევს

ნათია თენიეშვილი

— თუ გემოვნება მაქვს, ეს გენეტიკურია და მინდა, ჩემს მშობლებს ამისთვის მადლობა ვუთხრა. ბავშვობიდან შემიყვარდა წიგნი და ის გახდა ჩემი ცხოვრების მთავარი მეგზური. ბავშვობიდანვე მიყვარდა კლასიკური მუსიკაც და ვფიქრობ, ამან ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. უზარმაზარი როლი ჩემი გემოვნების ჩამოყალიბებაში ითამაშეს რუსთაველის თეატრმა და რობერტ სტურუამ. ასევე სერგო ფარაჯანოვმა, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. ბავშვობიდან მიყვარდა წიგნი-მეთქი, ვთქვი. მამა ყიდულობდა ხოლმე ჩემთვის საბავშვო ლიტერატურას. თუმცა, საკმაოდ სწრაფად გადავედი ე.წ. სერიოზულ ლიტერატურაზე. ძალიან ადრე გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში დოსტოევსკი, რომელიც ასევე გახდა ჩემი ცხოვრების მეგზური.

— რომელია თქვენი საყვარელი ლიტერატურული გმირი?

— საკმაოდ ბანალური ვიქნები და ვიტყვი, რომ ესენი არიან ჰამლეტი და დონკიხოტი — არაჩვეულებრივი გმირები. ვფიქრობ, საერთოდ ლიტერატურულ სამყაროში მათზე წინ ვერასდროს ვერავინ წავა, მომავალშიც კი. რაც შეეხება ავტორებს — ესენი არიან შექსპირი, რომელიც ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, მთავარი ავტორია, დოსტოევსკი და გალაკტიონ ტაბიძე. მესმის, რომ ბანალური პასუხია, მაგრამ ისინი თავ-თავიანთ სფეროებში ყველაზე მაღალ მწვერვალებზე არიან. მე ხშირად ვუბრუნდები მათ და მგონია, რომ თუ ამ სამი ავტორის შემოქმედებას კარგად იცნობ, შეგიძლია თქვა, რომ იცნობ ყველა ლიტერატურულ პროცესს, რაც კი ხდება მსოფლიოში.

— თქვენ ახსენეთ რობერტ სტურუა და სერგო ფარაჯანოვი. როცა დამწყები რეჟისორი იყავით, არ მდგარხარ იმის საშიშროების წინაშე, რომ მათი გავლენის ქვეშ მოქცეულიყავით?

— თუ ვინმეს გავლენას არ განიცდი, ვერ გახდები გავლენიანი. გავლენა არცთუ ისე ცუდია, აუცილებელიც არის, საწყის ეტაპზე: უნდა განიცდიდე ვიღაცის გავლენას, რომ შემდეგ, იპოვო საკუთარი ხელწერა და დამოკიდებულება ნებისმიერი მოვლენისადმი. მე საკმაოდ დიდხანს ვიყავი რობერტ სტურუას, როგორც შემოქმედებითი გავლენის, ასევე პიროვნული მომხიბვლელობის გავლენის ქვეშ და ამას დღეს სიამაყით ვამბობ. ეს დამეხმარა იმაში, რომ მერე, ყველაფრისთვის საკუთარი თვალით შემეხედა.

— თქვით — ბავშვობიდან კლასიკურ მუსიკას ვუსმენდიო; ალბათ უსმენდით პოპულარულ მუსიკასაც. თუ იყავით ვინმეს ფანი?

— კი, კლასიკურთან ერთად, როკ-მუსიკაც მიყვარდა. ჩემი ბავშვობის მუსიკა იყო „ფარფლები“, „პინკ ფლოიდი“, „ზეპელინგები“. თან, მაშინ ძალიან ხმამაღლა ვუსმენდი მუსიკას. როდესაც ჩავრთავდი „ფარფლებს“ და იქ განწირული ხმით მღეროდნენ და საშინელ თავბრუდამხვევ რიტმში უკრავდნენ, ჩემი მშობლები ყვირილს იწყებდნენ — ჩაუწიეო. მაშინ პლაკატები არ იშოვებოდა. მერე უცებ გაჩნდა ბულგარული პლაკატები, ძალიან პატარა შავ-თეთრი ფოტოები და ეს ყველაფერი რატომღაც ფეხსაცმლის მწმენდავების ჯიხურებში იყიდებოდა. მე, თითქმის მთელი ბავშვობა, ნახევარ წელს ლენინგრადში ვატარებდი: თვალები მქონდა სამკურნალო და იქ ძალიან კარგი კლინიკა იყო. ლენინგრადში უფრო იშოვებოდა ასეთი რაღაცები და პირველს მე მქონდა „ზეპელინგების“ პლაკატი. მეგობრები მოდიოდნენ მის სანახავად. ნევის პროსპექტზე ვიყიდე „ბარიგისგან“, რომელმაც დიდხანს მატარა ჩიხებში, ვინმეს რომ არ დავენახეთ. იმ დროისთვის საშინელი ფასი — 8 მანეთი გადავიხადე... ლენინგრადში ვიყიდე ასევე რენტგენის ფურცელზე ჩაწერილი „ზეპელინგები“ და „ბითლზი“. მერე რუსულმა ხმის ჩამწერმა ფირმა „მელოდიამ“ გამოუშვა „ბითლზის“ ოთხი სიმღერა. ის, რომ რეალური ფირფიტა გვქონდა, ეს რევოლუციური მომენტი იყო ჩვენს ცხოვრებაში...

— რამდენად მოდური ადამიანი ხართ? აქცევთ თუ არა ყურადღებას მოდას?

— ჩაცმულობაში — არანაირად, ვყიდულობ იმას, რაც მომწონს და არც

საკმაოდ დიდხანს ვატარებდი გრძელ, მხრებამდე გაზრდილ თმას...

ვუყურებ, რა ფირმის არის და ა.შ. საერთოდ კი, ზოგადად მოდას ანგარიშს ვუწევ. არსებობს ქცევის, ინტონაციის, ესთეტიკის, სტილისტიკის მოდა. ამ ყველაფერს საკმაოდ აქტიურად ვაკვირდები, ვსწავლობ და მერე ვიყენებ ჩემს სპექტაკლებში. ამის გარეშე ძალიან ძნელია ელაპარაკო თანამედროვე მაყურებელს.

— ახლა არ აქცევთ მოდას ყურადღებას. ადრეც ასე იყო?

— ჩემს ბავშვობაში მოდაში იყო შლაქსები, გრძელსაყელოიანი პერანგები და ა.შ. მერე შემოვიდა გახეხილი ჯინსი და ჩვენც ვხეხავდით ჯინსებს თეთრი აგურით — წითელი არ ვარგოდა, აფუჭებდა, თეთრი კი კარგად ხეხავდა... მაშინ არ იყო იმის საშუალება, რომ ბოლომდე დაგვეცვა მოდა. ეს უფრო ფსევდომოდა იყო. ვიგებდით, რა იყო საზღვარგარეთ გავრცელებული და ვცდილობდით, შეგვექმნა იმის იმიტაცია.

— შეიძლება, ეს პროტესტის თავისებურ ფორმად ჩავთვალოთ?

— კი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ შეგნებული პროტესტი იყო, ალბათ, უფრო — ქვეცნობიერი. მაშინ შემოვიდა მოდაში აგრეთვე გრძელი თმა.

— თქვენ გქონდათ გრძელი თმა?

— ეს დღეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ კი. საკმაოდ დიდხანს ვატარებდი გრძელ, მხრებამდე გაზრდილ თმას. რუსთაველის თეატრში რომ მივედი, გავბედე და საკმაოდ თავხედურად გავიკეთე „კასიჩკა“. მერე, უკვე თმა გამცვივდა...

— „თავისუფალ თეატრს“ გემის ფორმა აქვს. რატომ?

— ეს ჩემი იდეა იყო. რადგან თავისუფალი ჰქვია, ე.ი. თავისუფლებისთვის მებრძოლი თეატრია. თავისუფლების სიმბოლო კი, ჩემთვის არის გემი, რომელიც თავისუფლად ცურავს. მე ჩემს წიგნში — „ფრაზები და პერიფრაზები“ — მიწერია ასეთი რამ: ცხოვრების დინებას უნდა მიჰყვეო... კარგი, ბატონო, თუ ასეა, დავუჯერებ ამ რჩევას და მივყვები დინებას, მაგრამ პატარა კორექტივს მაინც შევიტან ამ თეზაში: თუ მაინცდამაინც საჭიროა, რომ ცხოვრების დინებას მივყვე, მაშინ მირჩევნია, თავისუფალი სტილით ვიცურო“. თეატრის გახსნის პირველსავე დღეს ვთქვი, რომ ეს თეატრი იქნება ადგილი, სადაც ჩვენ ვისაუბრებთ პიროვნების თავისუფლებაზე. ვფიქრობ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც საერთოდ სჭირდება ადამიანს.

— თქვენ ხართ თავისუფალი?

— ვფიქრობ, მთლიანად თავისუფალი არავინ არის ამ ქვეყანაზე, იმიტომ, რომ ხშირად გვიწევს ბევრი რაღაცისთვის ანგარიშის გაწევა. მე შემიძლია ვთქვა, რომ ვარ ადამიანი, რომელიც ყოველთვის მიილტვის თავისუფლებისაკენ.

— ე.ი. თქვენ „თავისუფალი თეატრის“ კაპიტანი ხართ?

— კი, კაპიტანიც ვარ და ბოცმანიც.

— როგორი უნდა იყოს ქალი, რომ მოგეწონოთ — უპირველესად, ლამაზი თუ ჭკვიანი?

— სილამაზე ძალიან უცნაური ფენომენია. ქალს პირველ რიგში, უნდა ჰქონდეს ბიოდენი, შარმი, რომელიც გაისვრის იმპულსს; ამას ემთხვევა შენი იმპულსი და იკვრება ელექტრონული ველი... თუ ეს მოხდება, მაშინ მომეწონება ქალი, მახინჯიც რომ იყოს. მარტო იმის გამო, რომ ის ნაკითხია, არ მომეწონება. არა მგონია, ინტერნეტზე უფრო ნაკითხი იყოს, მაშინ ინტერნეტი შემიყვარდებოდა... ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად მქონია საქმე მოდელებთან. ისინი ერთი შეხედვით, საკმაოდ ლამაზები არიან, მაგრამ ძალიან ცოტა მათგანს თუ მოვუხიბლივარ. ამ დროს არის ვიღაც, რომელსაც ერთი შეხედვით, არაფერი არა აქვს „წესრიგში“ — არც ფეხები, არც ტანი, არც მკერდი, — მაგრამ აქვს რაღაც აუხსნელი, რაც განადგურებს და გინდა, რომ მთლიანად ფლობდე ამ ქალს... მოკლედ, ისეთი მომხიბვლელობა უნდა ჰქონდეს, რომელიც შენ უცებ შეგაზანზარებს.

— ბევრი ასეთი ქალი შეგხვედრიათ?

— მოწონების დონეზე — ბევრი, ათასამდე. შეყვარების დონეზე — ცოტა, ალბათ თხუთმეტი.

— თქვენს სპექტაკლებს, უკვე დამთავრებულს, როცა უყურებთ, მოგწონთ?

— არასდროს არ მომწონს. როგორც კი ვუშვებ სპექტაკლს, ის ეგრევე კვდება ჩემთვის. არ შევდივარ და არ ვუყურებ. მეტსაც გეტყვით — მავიწყდება კიდეც და თუ გარკვეული პერიოდის მერე მიწევს მისი ყურება, ვუყურებ ისე, თითქოს სრულიად უცხო ადამიანი ვიყო და არანაირი კავშირი არ მქონდეს მასთან. შემიძლია, ვიცინო, ვიტირო, ვთქვა — ეს რა საშინელება ვნახე ან პირიქით — რა კარგი სპექტაკლია-მეთქი!.. თავის დროზე, ეს ამბავი მაღელვებდა. მოვუყევი საკმაოდ სერიოზულ და გამოცდილ ფსიქოთერაპევტს და მან დამაწყნარა, მითხრა — პირიქით, ეს

თავის დროზე, ეს ამბავი მაღელვებდა. მოვუყევი საკმაოდ სერიოზულ და გამოცდილ ფსიქოთერაპევტს და მან დამაწყნარა...

ძალიან კარგია: ე.ი. თქვენ ყველა ახალ სპექტაკლს ახალი ფურცლით იწყებთ; ნუ აგაღელვებთ ეგ ამბავი და ასევე გააგრძელეთ ცხოვრებაო. მე არ მიყვარს ჩემი სპექტაკლები. ბევრი ჩემი კოლეგისგან გამიგონია – ჩემი სპექტაკლები ჩემი შვილები არიანო. თუ მაინცდამაინც შვილებზეა ლაპარაკი, მე შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი სპექტაკლები ჩემი ნაბიჭვრები არიან...

— სპექტაკლი თუ ჩაგვარდნიათ?

– კი. ალბათ ყველა რეჟისორის შემოქმედებაში ყოფილა ისეთი სპექტაკლი, რომლის გახსენებისაც მას რცხვენია. ჩემთვის ასეთი იყო „მოკვეთილი" რუსთაველის თეატრში. დღემდე კოშმარივით მახსენდება იმ სპექტაკლზე მუშაობაც და რეზულტატიც.

— ეს რისი ან ვისი ბრალი იყო?

– ყველას ბრალი იყო, მათ შორის, ჩემიც და ალბათ დროის. პროფესიონალმა რეჟისორმა უნდა გაითვალისწინოს დრო, სივრცე და ის, თუ რომელი და როგორი მაყურებლისთვის აკეთებს სპექტაკლს. შეიძლება, იყო ნიჭიერი, იგონებდე არაჩვეულებრივ რაღაცებს, მაგრამ მაყურებელს შენი არ ესმოდეს. ის სპექტაკლი, ბევრ რამეში „სცოდავდა", მაგრამ მთავარი იყო ის, რომ სივრციდან ამოვარდნილი აღმოჩნდა და არ იყო განკუთვნილი იმ მაყურებლისთვის, რომელიც იმ დროს თეატრში მოდიოდა...

— პრეზიდენტის ინაუგურაციას თავიდან რომ აკეთებდეთ, თუ შეცვლიდით რამეს?

– არ ვიცი. ვფიქრობ, კარგი იყო. შევეცადე, გამეკეთებინა ისე, რომ თითოეულ ქართველში, საქართველოს მოქალაქეში გაღვიძებულიყო სიამაყისა და ღირსების გრძნობა. მინდოდა, მეჩვენებინა, რომ ჩვენ ვართ ღირსნი კარგი ქვეყნისა და კარგი პრეზიდენტისა. ჩემი რეჟისორული გათვლა სწორედ ეს იყო – ღირსების და სიამაყის წამოწევა. ინაუგურაციას მე არ აღვიქვამ, როგორც ჩემს სპექტაკლს. მე მას აღვიქვამ როგორც ჩემს მოქალაქეობრივ აქციას.

— ბატონო ავთო, დღეს თბილისში ძალიან პოპულარულია „სარდაფი", რომელიც თქვენი დაარსებულია. პოპულარულია „თავისუფალი თეატრიც" და „გრიბოედოვიც" — მას შემდეგ, რაც იქ „რაშენ ბლუზი" დაიდგა. გამოდის, რომ თქვენ მოდური რეჟისორი ხართ. ეს კარგია თუ ცუდი?

– რაღაც მომენტში, თეატრისთვის ეს კარგია, რეჟისორისთვის კი – ცოტა სახიფათო. შეიძლება, ისე მოხდეს, რომ შენსავე აღმოჩენილ რაღაცებში გაიჭედო და გამეორებები დაიწყო. იგივე „რაშენ ბლუზის" შემდეგ, უნდა შეზღუდო საკუთარი თავი, რომ მეორე „რაშენ ბლუზი" კი არ გააკეთო, არამედ სულ სხვა რამ. ცუდს ვერაფერს ვხედავ მოდურ რეჟისორობაში, მაგრამ გონიერება ყოველთვის ჩართული უნდა გქონდეს, რათა არ აჰყვე შენსავე გამოგონილ მოდას და ყური უგდო მაყურებელს, რომელიც ძალიან სწრაფად იცვლება.

P.S. ავთო ვარსიმაშვილის წიგნში – „ფრაზები და პერიფრაზები", იმ თავში, რომელსაც „ცოტა რამ საკუთარ თავზე" ჰქვია, წერია: „მე მაწყობს ვერსია, რომ „თეატრი ტაძარია", მაწყობს იმიტომ, რომ თუ ეს ვერსია სწორია, არასდროს აღმოვჩნდები ჯოჯოხეთში, რადგან ღმერთმა ხომ იცის, რომ სადაც არ უნდა მოვხვდე, ვერ მოვისვენებ და მაინც გავხსნი იქ სადმე თეატრს. გეკითხებით და მიპასუხეთ: უნდა ახლა ღმერთს ჯოჯოხეთში ტაძარი?"

■

შ.პ.ს. «დელტა»

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები

მაღალი ხარისხი-მისაღები ფასები

მის: მ.ლაღიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. დაასრულეთ გენიალური მხატვრის სალვადორ დალის გამონათქვამი — „ჩემსა და გიჟს შორის ის განსხვავებაა, რომ მე...

ა) გიჟი არა ვარ";
ბ) ჭკვიანი გიჟი ვარ";
გ) ორჯერ გიჟი ვარ".

2) რას ეძახდნენ ძველი რომაელები ბროწეულს?

ა) მარცვლოვან სისხლს;
ბ) მარცვლოვან ვაშლს;
გ) სისხლიან ვაშლს.

3. რა ეწოდება შიშველი სხეულის გამოსახულებას ხელოვნებაში?

ა) ნიუ;
ბ) არტი;
გ) ჰაუ.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

სასიფვანი ცენტრია – ავრცელია ფჯახში

რატომ კლავენ ოჯახის წევრები ერთმანეთს?

„...შინ რომ მივედი, დედაჩემმა მისაყვედურა — რატომ დალიეო? ჩხუბი დამიწყო. ყვიროდა და მლანძღავდა. ამ დროს ძმაკაცმა და მეგობარმა გოგონებმა მომაკითხეს... მათი თანდასწრებით განაგრძო ყვირილი და ლანძღვა. ძალიან გავბრაზდი და საფერფლე ვესროლე. ასცდა, მან კი ტირილი დაიწყო. მეგობრებმა დამამშვიდეს და რამდენიმე წუთში წავიდნენ... შევბრუნდი თუ არა, გაბრაზებულმა ხელი გავარტყი... ძირს დაეცა. მაშინ გონება დამებინდა, თავს ვეღარ ვაკონტროლებდი... წიხლებით დავუწყე ცემა წაქცეულს“.

მეგი ცანავა

ასეთი ჩანაწერია 17 წლის ვალერი ზ-ს ჩვენებაში, რომელმაც იმ დღეს საკუთარი დედა სადისტურად გამოასალმა სიცოცხლეს. იმდენ ხანს ურტყა წიხლები თავსა და მუცელში, ვიდრე სული არ ამოხდა უმწეო ქალს. ეს ფაქტი 2000 წელს, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში მოხდა.

ვალერი დედასთან ერთად ცხოვრობდა. ოჯახის ახლობლების თქმით, მათ მატერიალურად უჭირდათ. ვაჟი იმ წელს სკოლას ამთავრებდა და არსად მუშაობდა, დედა კი მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაზრობაზე საკუთარი ხელით მოქსოვილ მაქმანებს ყიდდა. თუმცა, ეს შემოსავალი დედა-შვილს პურის ფულად ძლივს ჰყოფნიდა. ჩადენილი დანაშაულისთვის ვალერი ზ-ს რაიონულმა სასამართლომ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

45 წლის ივანე ნ-მ საკუთარი 15 წლის ვაჟი – გიორგი დანით მოკლა. აღნიშნული ფაქტი 2001 წელს სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში მოხდა. როგორც გამოძიების ოქმებიდან ჩანს, ივანე ნ-მ შემზარავი დანაშაული უმნიშვნელო მიზეზით, ყოფით საკითხზე ურთიერთშელაპარაკებისას ჩაიდინა. მან საკუთარ თავზე კონტროლი მთლიანად დაკარგა და დანის რამდენიმე დარტყმის შემდეგ, შვილს ყელი გამოჭრა... როგორც ამბობენ, ამ დანაშაულის შემდეგ მკვლელი მამა შეიშალა. ეს ცნობა სასამართლო განჩინებითაც დასტურდება: ივანე ნ-ს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა დაუნიშნეს.

42 წლის ვლადიმერ ა. სასამართლომ ცოლის განზრახ მკვლელობისთვის გაასამართლა. მეუღლე მან ეჭვიანობის ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრა. ეჭვებით გონებაამღვრეულმა ქმარმა ცოლი ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ კი წლების მანძილზე შენახული პისტოლეტი აიღო, დაუმიზნა და ქალის მუდარის მიუხედავად, პირდაპირ გულმკერდის არეში ესროლა ტყვია. მკვლელს დანაშაულისთვის 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მთელი საზოგადოება შეძრა ორი წლის წინ თბილისში მცხოვრები ძეგველიშვილების ოჯახში მომხდარმა საზარელმა მკვლელობამ, როცა 19 წლის აჩიკო ძეგველიშვილმა მძინარე მშობლები საწოლში ცეცხლსასროლი იარაღით ჩახოცა...

ბევრია გაუხმაურებელი ფაქტიც. მსგავსი დანაშაულები, სამწუხაროდ, ახლაც ხდება. ოჯახის წევრებს შორის ძალადობისა და მკვლელობის ფაქტებზე სამართალდამცავ სტრუქტურებში ციფრებით ვერ საუბრობენ, რადგან კონკრეტულად ამ კუთხით სტატისტიკას არ აწარმოებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ მსგავსი შემთხვევები განსაკუთრებით ბოლო დროს გახშირდა, მიმდინარე წელს კი მასშტაბური ხასიათი მიიღო. ამ სახის დანაშაულებრივ ქმედებათა ზრდის ტენდენციის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ იურისტები, ექსპერტები და ფსიქოლოგები. შს სამინისტროს მონაცემების თანახმად, მარტო ბოლო ორი თვის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, ოჯახებში მომხდარი ძალადობის 20-მდე ფაქტი დაფიქსირდა. ამავე უწყების ინფორმაციით, 2004 წლის მაისსა და ივნისში ამ სახის დანაშაულებში ეჭვმიტანილი და უკვე ბრალდებული ათზე მეტი პირი დააკავეს. ესენი არიან: ქუთაისელი ელდარს. (ბრალად ედება საკუთარი ქალიშვილისთვის პატივისა და ღირსების შელახვა. საქმე აღძრულია ხულიგნობის მუხლით); გარდაბნის რაიონში მცხოვრები ბაჩუკი ი. (სამ თანამზრახველთან ერთად თავისი 8 წლის ვაჟიშვილი ანგარების – ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა); გორის რაიონის მკვიდრი, 25 წლის გრიგოლ ი. (ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ბიძაშვილი); გარდაბნელი, 21 წლის კონსტანტინე ბ. (თავში ნაჯახის ჩარტყმით მოკლა მამა – 45 წლის იოსებ ბ., შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, გვამი საკუთარი სახლის ეზოში მდებარე ჭაში ჩაუშვა); თბილისელი, 63 წლის თამაზ გ. (თავის სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას დანით მოკლა 36 წლის ვაჟიშვილი – დავით გ.); საგარეჯოელი, 53 წლის თემურ მ. (სანადირო თოფით თავში დაჭრა მეუღლე, 46 წლის მარიამ მ.); თბილისელი, 41 წლის თამაზ ა. (ურთიერთშელაპარაკებისას, დანით მუცელსა და გულმკერდის არეში დაჭრა მამა – 69 წლის უსუფ ა.); გალის რაიონში მცხოვრები 63 წლის ზაურ ქ. (სანადირო თოფით მოკლა ძმა – კოტე ქ.). სიღნაღის რაიონის მკვიდრი, 22 წლის გიორგი ც. (ურთიერთშელაპარაკებისას, დანით მოკლა საკუთარი მამა – 48 წლის ივანე ც.).

გამოვლენილი ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ დანაშაულები წარმოუდგენელი სისასტიკითა და სადიზმითაა

განხორციელებული. შემზარავი მკვლელობების ავტორებად ხშირად, 19-25 წლის ახალგაზრდები გვევლინებიან, ისინი დაუნდობლად უსწორდებიან მათზე სუსტ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახის წევრებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი უმრავლესობა უმუშევარია, საშუალო ან არასრული განათლების მქონეა, ისინი ეტანებიან ალკოჰოლს და მძიმე მატერიალურ პირობებში ცხოვრება უწევთ. დანაშაულების მოტივად უმეტესად, ურთიერთშელაპარაკება სახელდება.

რა იწვევს ადამიანებში აგრესიას და შეუწყნარებლობას ერთმანეთის მიმართ? რამ განაპირობა ოჯახის წევრებს შორის მომხდარი მკვლელობების ასეთი მასშტაბურობა? რა არის მიზეზი — სოციალური გარემო, საზოგადოების ინტელექტუალური და ზნეობრივი დონის მკვეთრი დაცემა თუ მოსახლეობაში პათოლოგიური დარღვევების მქონე, ანომალიური პირების მომრავლება? ამ კითხვებით ცნობილ ფსიქიატრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფილაქტიკური მედიცინისა და ეკოლოგიური მეცნიერების აკადემიების აკადემიკოსს — მირიან მესტიაშვილსა და ასევე ცნობილ ფსიქოლოგს — ნანა ჩაჩუას მივმართეთ.

მირიან მესტიაშვილი:

— ის, რომ აგრესია სულ უფრო ხშირად იძენს კრიმინოგენურ ხასიათს და კანონსაწინააღმდეგო ქცევისა და დანაშაულებრივი ქმედებების სახით ვლინდება, ჩვენთვის — სპეციალისტებისთვის კარგადაა ცნობილი. უკანასკნელ წლებში მეცნიერთა შორის დამკვიდრდა ისეთი ცნებები, როგორიცაა: პათოლოგიური და კრიმინალური აგრესია; საუბრობენ „კრიმინალურ გენზე". ბევრ ქვეყანაში შეიქმნა ახალი დარგები: აგრესოლოგია და კრეოთეოლოგია (ძალადობის თეორია). ეს ძალზე აქტუალური პრობლემა გახლავთ და აგრესოლოგიის დარგში მომუშავე ყველა სპეციალისტი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით იმატა მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშულის რიცხვმა. ახალგაზრდებში აგრესიულობის გაღვივებას კი ძირითადად, განაპირობებს სამი ფაქტორი: ორგანიზმის გარკვეული ბიოლოგიური უკმარისობა, პიროვნების ხასიათის თავისებურებანი, სოციალური და განსაკუთრებით — მიკროსოციალური უარყოფითი გარემო. უარყოფით მიკროსოციალურ გარემოს, რომელშიც დესტრუქციული ოჯახი და ინტენსიური ოჯახური კონფლიქტი იგულისხმება, აგრესიის გამომწვევ ფაქტორებს შორის უპირატესობა ენიჭება. ერთ-ერთი ან ორივე მშობლის სისტემატური აგრესიული გამოვლინებები, ჩხუბი, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, აღზრდაში დაშვებული შეცდომები — უმეთვალყურეობა, სოციალური ხელმიშვებულობა, ქუჩის და განსაკუთრებით, ანტისოციალური ჯგუფების გავლენა, ხშირად, ოჯახის მატერიალური სიდუხჭირე — აი, ყოველივე ეს იწვევს ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტს. ოჯახის ფაქტორი მრავლისმომცველია, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უშუალოდ შვილების მიმართ მშობლების ძალადობისა და აგრესიულობის გამოვლენა. მაგალითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ყოველწლიურად 40 მილიონი ბავშვი და მოზარდი განიცდის ძალადობას ოჯახში. მონაცემები ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე ჩვენც გვაქვს: მოზარდების 43% უკმაყოფილებას გამოთქვამს ოჯახში მათ მიმართ უფროსების დამოკიდებულების გამო. ძირითად მიზეზად სახელდება ხშირი შეურაცხყოფა, ფიზიკური დასჯა, თავისუფლების ნაკლებობა, უთანხმოება ოჯახის წევრებს შორის, აგრესიულობა და დესპოტიზმი. ასეთი ოჯახური ურთიერთობა და მუდმივი ნერვული დაძაბულობა, უკიდურესად საზიანო ფაქტორს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელი ფსიქიკის ჩამოყალიბებისას. ყოველივე ეს იწვევს მოზარდის, როგორც პიროვნების ორგვარ შეცვლას: ერთ შემთხვევაში მას უვითარდება მყარი ასთენიური ნევროზული მდგომარეობა — შიში, დასჯის მოლოდინი, უსუსურობისა და დათრგუნვის განცდა; მეორე შემთხვევაში მოზარდი ბოროტდება, თანდათან სულ უფრო ავი და შეუბრალებელი ხდება, იქცევა აგრესიულად და სასტიკად. ეს სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს — გინებით, მუქარით, ასევე ვიღაცის ცემით, წვალებით, მკვლელობით, სექსუალური ძალადობით, ზოგჯერ სუიციდითაც — თავის მოკვლის ცდით. ასე რომ, პრაქტიკაში ასეთი მაგალითებით არაერთხელ დადასტურდა დებულება — „აგრესია წარმოშობს აგრესიას". საერთოდ, აგრესია თავისი არსით ორი სახის არსებობს: არაპათოლოგიური და პათოლოგიური (ავადმყოფური). არაპათოლოგიური ფორმისთვის დამახასიათებელია გარეგანი მოტივაცია — ანუ გადამწყვეტი როლი ენიჭება სიტუაციურ ფაქტორებს. ასეთ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის მომენტში ადამიანი აცნობიერებს თავის ქმედებას, აგრესიული აქტის შემდეგ კი, ჩვეულებრივ ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას უბრუნდება და ახსოვს მომხდარი. რაც შეეხება პათოლოგიურ ფორმას, აქ საქმე გვაქვს აგრესიის გამომწვევ მიზეზსა და საპასუხო აფექტურ რეაქციას შორის სრულ შეუსაბამობასთან. პათოლოგიური აგრესიულობა ხშირად ვლინდება ფსიქიკურად — შიზოფრენიით, ეპილეფსიით — დაავადებულ ადამიანებში. ბოლო წლებში დაფიქსირებული ფაქტებიდან გამომდინარე ნათელია, რომ განსაკუთრებით ახალგაზრდების ანტისაზოგადოებრივმა ქცევამ და დანაშაულებრივმა ქმედებებმა არნახული აგრესიულობისა და სისასტიკის სახე მიიღო, თანაც მასობრივად. ასეთ დროს მიზეზი შემდეგში უნდა ვეძებოთ: საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობის დარღვევაში, სოციალურ და ეკონომიკურ დესტაბილიზაციაში, ყოფის დამკვიდრებული წესების შეცვლასა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მორალურ დეგრადაციაში. აშკარად შეინიშნება საზოგადოებაში ზნეობრივი და სულიერი ფასეულობის დეფიციტი. განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა უკულტურობა, უწიგნურობა... ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის ზეგავლენის შედეგად, მოზარდებს და ახალგაზრდებს უჭირთ სოციალური ადაპტაცია. ვფიქრობ, რომ მათზე რელიგიური რწმენის უქონლობაც მოქმედებს. ეკლესიისკენ შემობრუნება თითქოს თანდათანობით უფრო მეტ ახალგაზრდას ეტყობა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ამას ფორმალური და შეიძლება ითქვას, მოდური ხასიათი აქვს. აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ფილმებს, რომლებშიც ძალადობისა და მკვლელობის დეტალური სურათებია ასახული.

ასეთი ფილმები მოზარდის ფსიქიკაზე დამღუპველად მოქმედებს. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასადასტურებლად, თუ როგორ გამოიყენეს ახალგაზრდებმა დანაშაულის ჩადენისას კინოში ნანახი ძალადობის ხერხები. ეს კრიმინალური აგრესიის ერთ-ერთი სახეობა — „სცენარული“ აგრესია გახლავთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ მოზარდს უაღრესად მგრძნობიარე ფსიქიკა და მიმბაძველობის უნარი აქვს. ინტენსიური ნერვული დაძაბულობა, უარყოფითი ფსიქოსოციალური გარემო და სისასტიკის ამსახველი ფილმების სისტემატური ჩვენება ამ ასაკის ახალგაზრდებში ძალადობის გაღვივებასა და დამნაშავის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ნანა ჩაჩუა:

— საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანებს ინფორმაციულობის გარკვეული დეფიციტი აქვთ. საუბარია საკუთარი თავის შესახებ ცოდნის ნაკლებობაზე. ამ მდგომარეობას ფსიქოლოგები „დაბრმავებულ მე“-ს უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში, ადამიანს აქვს ინფორმაცია სხვის, მაგრამ არა საკუთარი თავის შესახებ. ინფორმაციულობის დეფიციტი ვლინდება „დაფარული მე“-ს დროსაც — როცა პიროვნებამ გარკვეული რამ იცის საკუთარი თავის შესახებ, მაგრამ ნაკლები ინფორმაცია აქვს სხვაზე. ამ შემთხვევაში, ადამიანი მალავს პირად გრძნობებს, არ აფიქსირებს თავის პოზიციას, რადგან ეშინია მეორე ადამიანის საპასუხო რეაქციისა. ინფორმაციულობის დეფიციტის მესამე გამოხატულება გახლავთ ე.წ. „აღმოუჩენელი მე“ — პიროვნებამ არც საკუთარ თავზე იცის რაიმე და არც — სხვაზე. „აღმოუჩენელი მე“-ს მდგომარეობა, როცა აგრესიაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან იგი ყველაზე მეტად ფეთქებადია. ამ დროს პიროვნება ვერ ერკვევა სიტუაციაში და აქედან გამომდინარე, ძალზე დიდია გაუგებრობის ალბათობა, დაძაბულობა გარდაუვალია. ოჯახი კი ისეთ ვიწრო სივრცეს წარმოადგენს, სადაც დაძაბულობა გაცილებით ფეთქებადი ხდება, ვიდრე სხვაგან.

ფსიქოანალიტიკოსი ფროიდი აღნიშნავდა, რომ ადამიანებში ორი სახის ინსტინქტი არსებობს: სიყვარულის და სიკვდილის. სიკვდილის ინსტინქტი სწორედ აგრესიულ ქცევაში ვლინდება. თავად აგრესიაც ორი სახის გახლავთ: ინსტრუმენტული და მტრული: მტრულ აგრესიასთან გვაქვს საქმე, როცა ერთი ადამიანის მიერ მეორისთვის ზიანის მიყენება ხდება; როცა ერთი მეორეს კლავს — ეს არის ინდივიდის მიერ სიკვდილისადმი პრიმიტიული ლტოლვის, ენერგიის გადატანა სხვა, გარე ობიექტზე. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ აგრესიული ენერგია გამოსავალს თავის დროზე ვერ პოვებს, მაშინ იგი გროვდება, დაგროვილი ენერგია კი, შესაძლოა, აფეთქდეს შესაბამისი სტიმულის დროს. არის შემთხვევა, როცა ასეთი ენერგია თავისთავად ფეთქდება, ყოველგვარი სტიმულის გარეშე. ამიტომაც არის აუცილებელი, აგრესიულმა ენერგიამ თავის დროზე იპოვოს გამოსავალი და არ დაგროვდეს — მაგალითად, პრობლემაზე, გასაჭირზე ახლობლებთან და მეგობრებთან საუბრის დროს. ბავშვები ასეთ უარყოფით ენერგიას თამაშის პროცესში ხარჯავენ... აგრესიას თავისი გამომწვევი ფაქტორები აქვს. ესენია: ნერვული სისტემის გავლენა, გენეტიკური გავლენა, ბიოქიმიური ფაქტორი, ადამიანის ორგანიზმში სასქესო ჰორმონების — ტესტოსტერონის სიჭარბე, ასევე ფრუსტრაცია. ბიოქიმიურ ფაქტორში ადამიანის სისხლის ქიმიური შემადგენლობა იგულისხმება. მაგალითად, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფნი უფრო ადვილად პროვოცირდებიან აგრესიულ ქცევაზე, ვიდრე ფხიზელი ადამიანები. ალკოჰოლის მიღების დროს ორგანიზმის ინტოქსიკაცია ხდება, ადამიანი კარგავს საკუთარ თავზე კონტროლს, გონივრული განსჯის უნარს, აგზნებული და აგრესიულია. რაც შეეხება სასქესო ჰორმონს — ტესტოსტერონს, ამ მხრივ სპეციალური გამოკვლევა ჩაატარეს მეცნიერებმა. გამოიკვლიეს ისეთი პატიმრები, რომლებიც არაპროვოცირებულ დანაშაულებში იყვნენ ბრალდებულები — ანუ აგრესიაზე მათი პროვოცირება არავის მოუხდენია, თუმცა ძალადობა და სისასტიკე მაინც ჩაიდინეს. აღნიშნულ ბრალდებებში ტესტოსტერონის შემცველობა მეტი იყო, ვიდრე იმ პატიმრებში, რომლებიც ნაკლებად მძიმე დანაშაულებისთვის იხდიდნენ სასჯელს. აგრესიას იწვევს ადამიანში ყველაფერი ის, რაც ხელს უშლის მას მიზნის მიღწევაში. როცა პიროვნება, განსაკუთრებით კი 19-20 წლის ახალგაზრდა რაღაც მიზანს დაისახავს ან ელის რაიმე სიამოვნებას და ვერაფრით აღწევს მას, მაშინ მასში აგრესია იღვიძებს. მას სურს კარგი ცხოვრება, ფუფუნება, აღიარება, უნდა, დაიკმაყოფილოს სოციალური, ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური მოთხოვნილებები, მაგრამ ყოველი მისი მცდელობა უშედეგოა და იგი მარცხს განიცდის — ყოველივე ეს ახალგაზრდას აღიზიანებს და მასში უარყოფითი, აგრესიული ენერგიის დაგროვებას უწყობს ხელს. ფსიქოლოგიაში ამ შემთხვევას ფრუსტრაცია ეწოდება, ასეთ ადამიანს კი — ფრუსტრირებული. ფრუსტრირებულ ადამიანს თავისი აგრესია გადააქვს არა პირველწყაროზე — ანუ მისი გაღიზიანების გამომწვევ ობიექტზე, არამედ სხვა სამიზნეზე. სამიზნედ ის უფრო უმწეო, დაუცველ ადამიანს ირჩევს, ასეთი კი ყველაზე მეტად მას თავის ოჯახში ეგულება. როცა ოჯახის წევრებს შორის განხორციელებული ძალადობის, დანაშაულებრივი ფაქტების მიზეზებს ვარკვევთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, თუ სად, რა გარემოსა და სიტუაციაში უხდებოდა დამნაშავეს ცხოვრება, რამდენი იყო მისი საცხოვრებელი ბინის ფართი, რამდენი სული ცხოვრობდა ოჯახში და სხვა. რადგან სივიწროვე, სივრცის უკმარისობის შეგრძნება ადამიანს აგრესიულს ხდის. განსაკუთრებით ხშირია კონფლიქტი ისეთ მრავალსულიან ოჯახებში, რომლებსაც საკმარისი საცხოვრებელი ფართი არა აქვთ. ყოფითი პრობლემები კი ასეთ შემთხვევაში ადვილად ახდენს აგრესიული ოჯახის წევრების პროვოცირებას დანაშაულზე.

ფსიქიატრები და ფსიქოლოგები ხაზს უსვამენ იმას, რომ დანაშაულის ფაქტები უმთავრესად სოციალურად დაუცველ ადამიანებში ხდება, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს კი სწორედ ისინი შეადგენენ. მათივე თქმით, პრობლემის მოგვარება მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდით, მათი მოთხოვნილებებისა და მორალური შეხედულებების სწორი ჩამოყალიბებით უნდა დავიწყოთ, ამისათვის კი ჯანსაღი სოციალური გარემოა საჭირო. ამას გარდა, სპეციალისტთა აზრით, აუცილებელი და დროულია, შეიქმნას ისეთი სამსახური, რომელიც მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის რეალურ კომპლექსურ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ჩაატარებს. ამ ღონისძიებებში იგულისხმება ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობაც — ფსიქიკური ანომალიის მქონე მოზარდების გამოვლენა. სამართალდამცავ უწყებათა დაქვემდებარებაში რამდენიმე პროფილაქტიკური სამსახური არსებობს, მაგრამ წლების მანძილზე ამ დაწესებულებებში აღნიშნული პრობლემისადმი ზერელე დამოკიდებულება და არასრულფასოვანი მუშაობა შეინიშნებოდა. არადა, ექიმი-ფსიქიატრების ინფორმაციით, დადგენილია, რომ ამგვარი კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად დანაშაულთა 70%-ის აცილებაა შესაძლებელი. ■

წერილი ჩემს საყვარელ და მონატრებულ...

წინათ ადამიანები წერილებს თიხის ფირფიტებზე წერდნენ და ადრესატის სახლის კართან მიაყუდებდნენ ხოლმე. შემდეგ დამუშავებული ტყავი იქცა საწერ მასალად, უფრო მოგვიანებით კი, ქაღალდი გამოიგონეს ჩინელებმა და ეშველა კაცობრიობას, რადგან ზოგჯერ საიდუმლო წერილს ყლაპავდნენ კიდეც, არასასურველ ადამიანს ხელში რომ არ ჩავარდნოდა. ქაღალდის გადაყლაპვა კი გაცილებით იოლია, ვიდრე თიხის ფირფიტის... წერილის გაგზავნის ხერხიც სხვადასხვაგვარი გახლდათ: ზოგჯერ შიკრიკს ატანდნენ, ზოგჯერ — მტრედს, ხანდახან ბოთლშიც დებდნენ, დალუქავდნენ და ზღვაში აგდებდნენ. ზოგჯერ კი მეზობელ ბავშვს გაუწევია ფოსტალიონობა. ამას კი როგორი შედეგი მოჰყვება, პირველი რესპონდენტის მესიჯიდან შეიტყობთ.

„ჩემო საყვარელო პრეზიდენტო, მოგვხედეთ დუშელებს, შეგვჭამეს...“

მარი ჯაფარიძე

„ჩემი ეშმაკობა გამქღავნდა“...

„რადგან „გზავნილების“ თემად, წერილი გაქვთ, სურვილი მაქვს, მოგიყვეთ, რა როლი ითამაშა წერილმა, რომელიც ადრესატს მე მივუტანე. სულ პატარა ვიყავი, ასე 4-5 წლის, როდესაც წინა კორპუსში მცხოვრებმა ახალგაზრდა ბიჭმა დამიძახა, სარაფნის ჯიბე კანფეტებით ამივსო, წერილი მომცა და მითხრა: — მეორე სართულზე რომ ნანა ცხოვრობს, იცნობ? — კი, — თავი დავუქნიე. ჰოდა, ეს წერილი მას მიუტანე, ოღონდ, არავის უთხრაო. — იმ სადარბაზოში ორი ნანა ცხოვრობდა, ერთი — მეორე, მეორე კი — მესამე სართულზე. ორივე კარგი გოგო იყო, მაგრამ მესამე სართულზე მცხოვრები ნანა ძალზე მიყვარდა, მეორეს კი მაინცდამაინც კარგი თვალით არ ვუყურებდი. ჰოდა, მეც ავდექი და ეს წერილი მესამე სართულზე მცხოვრებ ნანას მივუტანე. მან პასუხი გამატანა... ასე გავხდი მათი ფოსტალიონი. ერთიც კანფეტებით მასაჩუქრებდა და მეორეც. ამ ბიჭს ეგონა, იმ ნანას სწერდა, რომელიც მოსწონდა. ნანას კი ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ წერილები მას ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, დიტომ (ასე ერქვა ბიჭს) ერთ-ერთ წერილში პაემანი დაუთქვა ნანას და შეხვედრაზე სულ სხვა ნანა მივიდა. ჩემი ეშმაკობა მაშინ გამჟღავნდა. მეორე დღეს დიტომ დამიძახა და მკითხა: — ვისთან მიგქონდა ჩემი წერილებიო? — ბავშვური გუმანით მივხვდი, რომ მიმიხვდნენ ეშმაკობას და აღარ დავმალე... — კარგი გოგო ხარო, — მითხრა და მაკოცა. თურმე, მოსწონებია ეს ნანა და სულ მალე იქორწინეს კიდეც. მე საპატიო ადგილას, ნეფე-დედოფალს შორის ვიჯექი, თუმცა არ ვიცოდი, საგანგებოდ გამოპრანჭული იქ რატომ დამსვეს. შემდეგ სტუმრად ხშირად მივდიოდი მათთან და დიდი პატივით მეპყრობოდნენ. დღესაც ბედნიერი ოჯახია, უკვე შვილშვილები ჰყავთ და ჩემი სურათი დღემდე საპატიო ადგილზე, კედლის შუაში უკიდიათ. აი, რა გამახსენდა წერილებთან დაკავშირებით. წერილი კარგია, მაგრამ ფოსტალიონსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. პატივისცემით, ნარგიზა, 40 წლის“.

თანამედროვე ახალგაზრდებს შიკრიკი და ფოსტალიონი სულაც არ სჭირდებათ. ელექტრონული ფოსტა ან მესიჯები უფრო მოსახერხებელი არ არის? წინათ თუ მთელი თვე (ან იქნებ, მეტიც) იყო საჭირო, გაგზავნილ წერილზე პასუხის მისაღებად, ახლა რამდენიმე წამში შეიძლება დაიკმაყოფილოთ ის ცნობისმოყვარეობა, რომელიც ნებისმიერი წერილის დასაწყისში იკითხება: ყველა წერილი ხომ ასე იწყება — როგორ ხარ? — გამონაკლისი არც ჩვენი მეორე რესპონდენტია, რომელიც წერილს თავის პირველ შეყვარებულს სწერს.

„იცი, მასაც ჰყოლია შეყვარებული...“

„გამარჯობა, ვასიკო, როგორ ხარ? თითქმის მთელი საუკუნე გავიდა, რაც არ მინახავხარ, მთელი ოცი წელი. ალბათ გაჭაღარავდი, ოჯახიც გეყოლება და საკმაოდ მოზრდილი შვილებიც. სიმართლე რომ გითხრა, საერთოდ არაფერი ვიცი შენ შესახებ. არადა, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი! ერთ დღესაც კი ვერ ვძლებდი უშენოდ. როცა თვალს ვერ მოგკრავდი, ის დღე ყველაზე უბედური იყო ჩემთვის. იცი, რამდენჯერ მიტირია შენ გამო ამ ოცი წლის მანძილზე?.. ეს ცრემლები რომ მოვაგროვო, თავსხმა წვიმად ერთი დღე ეყოფა მთელ დედამიწას. ნეტავ, როგორი ხარ ახლა? ისევ ისე ჭმუხნი ხოლმე ცხვირს, როცა რაიმე არ მოგწონს? გახსოვს, სეტყვაში რომ მოვყევით? სულ მთლად გავილუმპეთ, ტანისამოსიდან წყალი წვეთავდა, მე კი მაინც მიხაროდა, პატარა ბავშვივით ვხტოდი და — წვიმა ვარ-მეთქი, — ვამბობდი. შენ კი გაბრწყინებული სახით მიყურებდი... ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ!..

ალბათ ჩემს ამბავსაც იკითხავ. კარგად ვარ. ორი შვილი მყავს. ჩვენი დაცილების შემდეგ, ვერავის შეყვარება ვერ შევძელი, ბიჭო. მთელი თორმეტი წელი ველოდე სიყვარულს და ბოლოს, უსიყვარულოდ გავთხოვდი, რადგან უკვე 34 წლის ვიყავი და დრო იყო, ოჯახი შემექმნა. ამიტომ პატარა შვილები მყავს — 6 და 4 წლის. ჩემი ქმარი წყნარი, მოსიყვარულე ადამიანია. ოჯახზე ზრუნვა მისთვის ყველაზე მთავარია. იცი, მასაც ჰყოლია შეყვარებული. გაგიკვირდება და მათ შორისაც დედა ჩამდგარა — ჩემი დედამთილი. კარგა ხანს, ორივე ვდუმდით ამ თემაზე. მერე ერთმანეთს გული გადავუშალეთ. არ დავუმალე და ვუთხარი — პირველად რომ მაკოცე, ვასიკო გამახსენდა და გული შემეკუმშა-მეთქი. — მეც ჩემი ძველი სიყვარული გამახსენ-

და მაგ დროსო, – მითხრა. ამ საერთო დარდმა თითქოს შეგვადულაბა და ვცდილობთ, ერთმანეთს არ ვაწყენინოთ... აი, ასე ვცხოვრობთ. შენ კი მუდამ მახსოვხარ. ნეტავ, როგორი ცოლი გყავს? გაგიმართლა? შენ ხომ ისეთი მომთხოვნი და პრინციპული იყავი. თუმცა დედასთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდი და მე დამთმე... ნუ გეწყინება, ამას რომ გეუბნები. ეს ხომ სრული სიმართლეა?! ამას წინათ, ქუჩაში ვიღაცას მიგამსგავსე. გულმა ბაგაბუგი დაიწყო. მაგრად გგავდა, მაგრამ შენ არ იყავი. ჩავთვალე, ვითომ შენ გნახე და ძალზე გახარებული ვიყავი. ისევე მიყვარხარ, ჩემო თვალისჩინო, გული ვერ გივიწყებს... ვერც გონება... შენი ნაჩუქარი ღილი მაქვს. გახსოვს, პერანგიდან რომ აგწყდა და მაჩუქე? ამ წლების განმავლობაში მუდამ ჩემს ტანისამოსზეა დაკერებული, ოღონდ – შიგნიდან, რომ ტანზე მეხებოდეს; კაბა რომ გაცვდება, ახალ კაბაზე ვაკერებ და ასე... გემშვიდობები. მიყვარხარ... ნეტავ, შენც?..“

წინათ, ფრონტიდან სამკუთხა ბარათები მოდიოდა ხოლმე. რატომ? იმიტომ, რომ ჯარისკაცებს კონვერტები არ ჰქონდათ, ქალალდი კი ასე, სამკუთხად უფრო მოხერხებულად იკეცება, რომ გზაში არ გაიხსნას. „გზის“ ბოლო ნომრის გამოსვლის დღესვე, ასაკოვანი ქალბატონი დამიკავშირდა და შვილის მიერ გამოგზავნილი ბარათი გადმომცა. წერილი 1982 წლითაა დათარიღებული და რუსეთის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილიდანაა გამოგზავნილი, სადაც ქართველი ბიჭი – გურამ კოპალიანი მსახურობდა.

როდესაც „გზავნილების“ თემად, წერილი საყვარელ ადამიანს შემოგთავაზეთ, არ მოფიქრია, რომ თვითმკვლელობამდე დაწერილი წერილის გამოქვეყნებაც მომიწევდა...

„ნუ ტირი, ჩემო დედიკო...“

„გამარჯობა, ჩემო დედიკო... ახლა, როცა ამ წერილს კითხულობ, ვიცი, ცრემლები გიშლის ხელს ნაწერის გარჩევაში. თუ აქამდე არ გიპატიებია ჩემთვის ეს ნაბიჯი, ახლა უნდა მაპატიო. ვიცი, ბევრჯერ გაიფიქრე – რატომ? – იმიტომ, რომ მე ასე მსურდა, დედა. შენ ხომ ყოველთვის გჯეროდა ჩემი და ამბობდი – თუ გურიკო ამბობს, ესე იგი ასეა საჭიროო... ჰოდა, შენმა გურიკომ ასე ჩათვალა საჭიროდ. იცი, როგორ მენატრები? ყველაზე მეტად შენ მენატრები, ჩემო „ოთარაანთ ქვრივო“. თბილისიც მენატრება, ის ჭადარიც, ჩვენი ფანჯრის წინ რომ დგას და ის ჩიტიც, მასზე ბუდე რომ ჰქონდა გაკეთებული. ჩვენი ბინის სუნი მენატრება. იცი, აქ ყველაზე მეტად რა მაკლდა? დილით, მძინარეს, შემწვარი კვერცხისა და კაკაოს სუნი რომ შემიღიტინებდა ხოლმე ცხვირში. სამზარეულოდან ჭურჭლის ხმა რომ ისმოდა და წყლის ჩხრიალი. ეს ყოველგვარ მუსიკაზე უფრო მშვენიერია. ამას აქ, ჯარში მივხვდი. ჩემო ლამაზო დედა... მამის უბედურებამ წელში მოგტეხა, ჩემი უბედურება – წაგაქცევს. დე! ის ლამაზი გოგო რომ მოდიოდა ხოლმე ემა დეიდასთან, გახსოვს? ის გოგო მიყვარდა. აქაც ხშირად მესიზმრებოდა... ახლა ღამის სამი საათია. სულ დაწვრილებით გავიხსენე ყველაფერი, რაც თავს გადამხდენია. სკოლის ბანკეტი გახსოვს? სიძესავით რომ ვიყავი გამოწყობილი. კარგი, ნუ ტირი, ჩემო დედიკო. ახლა მე შენ წინ ვდგავარ და გიყურებ. სულ შენ გვერდით ვარ. მაპატიე... აღარასოდეს გაიფიქრო – რატომ? ხელებს გიკოცნი. დე, მამუკა მომიკითხე. ერთი გაფიქრება გავიფიქრე – ჩემ გვერდით რომ ყოფილიყავი, ნეტავ მაინც არ დავიხევდი უკან?!.. გიკოცნი მოცახცახე ხელებს, ცრემლიან თვალებს, ჭაღარა თმას და შავი კაბის კალთას. შენი ცრემლი გზას გამინათებს იქ, სადაც ბოლოს ყველა ერთად ვიქნებით. შენი გურიკო. 07.03.1982 წ. ღამის 4 საათი“.

ეს წერილი ქალბატონმა მაიამ შვილის დასაფლავებიდან მე-18 დღეს მიიღო...

ახალს ვერაფერს ვიტყვი, თუ შეგახსენებთ, რომ ქართველთა დიდი ნაწილი უცხოეთშია წასული. ზოგი სასწავლებლად, ზოგიც – სამუშაოდ. შემდეგი წერილი გერმანიიდან მივიღეთ. მადონა ლაცაბიძე დედას სწერს.

„ის პატარა გოგო აღარ ვარ...“

„ჩემო საყვარელო დედიკო! როგორც იქნა, გადავწყვიტე, რომ წერილი მოგწერო და დაწვრილებით მოგიყვე ჩემი ამბები. მანამდე კი გეტყვი, რომ უზომოდ მენატრები და ვამაყობ იმით, რომ შენისთანა დედიკო მყავს...

დედა, ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა და ისე აეწყო, რომ ვერც კი გავიგე, როგორ აღმოჩნდი ამ უცხო ქვეყანაში სრულიად მარტო. იცი, რა რთულია, იცხოვრო იმ ადამიანების გარეშე, ვინც შენთვის მეტისმეტად ძვირფასია? ჭირვარამსაც კი ვერავის გაუზიარებ. შენ არ ინერვიულო, მე ყველაფერს შევეგუე. და ახლა მართლაც რომ დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოვყალიბდი, რომელსაც მარტო საკუთარი თავისა და ღმერთის იმედი აქვს.

ზაფხული აქ უჩვეულოდ ცხელი ამინდებით დაიწყო. განწყობა არაჩვეულებრივი მაქვს. ამას წინათ, იებს ვკრეფდი და შენი სიტყვები გამახსენდა... იმედია, მომდევნო გაზაფხულს მაინც მომილოცავს ის „ვიღაც“...

ჩემი ცხოვრების რიტმი უფრო სხვანაირი გახდა. კვირაში ერთი დღე უნივერსიტეტში, სპორტულ დარბაზში, ჯგუფელებთან ერთად ბადმინტონს ვთამაშობ. დანარჩენ დღეებში კი, ჩემს პოლონელ მეგობარ გოგონასთან ერთად ზღვის სანაპიროზე დავრბივარ. ჩემმა მეგობარმა ქართველმა გოგონებმა ჩემი სირბილის რიტმს ვერ გაუძლეს და მალევე დაანებეს ვარჯიშს თავი... მართალია, ჩემს წონას ჯერ ბევრი ვერ მოვაკელი, მაგრამ სამაგიეროდ, თავს ჯანსაღად და ენერგიულად ვგრძნობ. რაც შეეხება ჩემს სწავლა-განათლებას, ჩავბარე საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოცდა ლათინურ ენაში. ძალზე ბედნიერი ვარ. ახლა კი ინგლისურის სწავლაც დავიწყე, რადგან ვიცი, რომ მარტო გერმანულით ფონს ვერ გავალ.

დედიკო, ახლა დაწვრილებით უნდა მოგიყვე ჩემი დაბადების დღის ამბები: დილით, იუბილეს აღსანიშნავად, არაბმა მეზობელმა საუზმე გამიმზადა. საერთო სამზარეულოში რომ შევედი, ლამაზად და გემოვნებით გაწყობილმა სუფრამ ისე მიიქცია ჩემი ყურადღება, რომ კედელზე გაკრული ჩემი სურათი და ინგლისურ და გერმანულ ენებზე დაწერილი კეთილი სურვილები ვერც კი შევნიშნე. ეს ყველაფერი ამ არაბ ბიჭსა და მის ქართველ მეგობარს მოუფიქრებიათ. ძალზე გამიხარდა. ამ დღეს მხოლოდ ქართველი სტუმრები მყავდა. მეორე დღეს კი ჩემს 15 „ინტერნაციონალ“ მეზობელს მოვუყარე თავი და უზომოდ კარგი დრო გავატარეთ. მეზობლებიდან 1-2 ბიჭი მეფარცქვალება, მაგრამ ურჯულო რა შავ ჭირად მინდა?!.

აღდგომისთვის წანდილი, ტოლმა, თაფლიანი და ყველიანი კვერები, ნამცხვარი მოვამზადე და ჩემი ხელით ჩამოქნილი სანთლებით მამიკოსა და ბებია-ბაბუების სულები მოვიხსენიე. ალბათ, გაიფიქრებ – ამას შენ ვერ მოახერხებდიო, – მაგრამ იცოდე, რომ ის პატარა გოგო აღარ ვარ, რომელსაც იმედი აქვს, რომ ერთი დაიკო საჭმელს მოუმზადებს, მეორე კი შარვალს გაუუთოებს. ის დრო წარსულს ჩაჰბარდა. შენ მიერ გამოტანებულმა სითბომ თავისი გაიტანა და გერმანიის მკაცრად დაპროგრამებულმა ცხოვრების რიტმმა ჯერჯერობით თავისი კვალი ვერ დამაჩნია.

დედა, აგვისტოში ქეთისთან (და. – *ავტ.)* ჩასვლას ვაპირებ საბერძნეთში და იმედია, ხელს არაფერი შემიშლის. ერთი სული მაქვს, როდის ჩავეხუტები ჩემს „ფუმფულას“. მართალია, შენთან ჩახუტება უფრო მინდა, მაგრამ ამ ზაფხულს

მადონა ლაცაბიძე მარცხნიდან მეორე

თბილისში ვერ ჩამოვალ... გკოცნი. შენი მოსიყვარულე შვილი, მადონა. მიყვარხარ, მენატრები, შორიდან გეფერები...“

ახლა კი, მოკლე ბარათებს გადავხედოთ:

„როგორც გამაგიჟე, ისე დამაწყნარე“...

„ჩემს საყვარელ და მონატრებული ბექას. ძალზე მენატრები, უფრო კი შენი მომწვანო თვალები მენატრება. მითხარი, ოდესმე შემამჩნევ? შენზე ვგიჟდები, საყვარელო“.

„ფარულავას ქალო, რა ლამაზი ხარო, წამომყვევი სახლში, დედა გავახარო... იცი, ჩემში შენი მონატრება კივის“.

„შენს სიყვარულს დავიფიცებ, დაიჯერო იქნება, წარბს ნუ შეკრავ, გენაცვალე, გაღიმება გიხდება. ანუშკები, გთხოვ, ერთხელ დამელაპარაკე, ლიკუს გაფიცებ“.

„ანანო, ოცნებად მყავდი, ოცნებად მრჩები, თუმც არ მინათებ ცხოვრების ცისკარს, რა ვუყოთ, მთვარეც არ არის ჩემი... ჩემი არ არის და მაინც მიყვარს...“

„ეჰ, მარი, მე ისეთი ვინმე მენატრება, ვინც ახლობლად მთვლის. ბესო ბ. მართლა უზომოდ მენატრები. იქნებ, ცოტა შენ გარშემოც მიმოიხედო? მენატრები“.

„ჩვენს საყვარელ და მონატრებულ თაზო ად-ას. ძვირფასო თაზო, ვიცით, რომ შენ, მე და ჩემი დაქალი, ორივენი მოგწონვართ. სიყვარულით, ციალა და ლამარა“.

„ოჰ, ნეტავი, ერთად იყოს ათენი და საქართველო. ამ მონატრების მესიჯს დედიკოს ვუგზავნი. წაიკითხავს და ჯერ გაეღიმება, მერე კი ბევრს იტირებს. ძალიან მენატრები, დედა!“

„წერილი ჩემს საყვარელ და მონატრებულ ქმარს. გვენატრები უზომოდ და გვაკლია შენი ყურადღება. დაგელოდებით ცხოვრების ბოლომდე. იმედი არ დაკარგო. გვიყვარხარ. რუსო და ხატია. საჩხერე“.

„ჩემი საყვარელი და მონატრებული ადამიანი ჩემი მამიკოა, რომელიც გარდაიცვალა და ერთი დღეც არ გასულა, მასზე რომ არ მეფიქროს. მამა, მენატრები. ნეტავ, როდის ვნახავ?“

„მენატრები, ჩემო სიყვარულო, მინდა იცოდე, რომ მიყვარხარ. ის დრო მინდა დაბრუნდეს, როდესაც პირველად შენი ხმა გავიგონე. ნათი, მიყვარხარ. გიო“.

„ჩემი უსაყვარლესი არსება ჩემგან შორს, სოფელ სამგორში ცხოვრობს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მენატრება. თეო, იცოდე, მიყვარხარ და ძალიან, ძალიან მენატრები, შენს თავს ვფიცავარ, შენს თავს არავის დავუთმობ. მე მოვდიოდი მარტო, სულ მარტო და თავზე თოვლის ფოფქი მცვიოდა, შენზე ვფიქრობდი და ვერც კი ვგრძნობდი, თურმე თვალებზე ცრემლი მდიოდა. სამგორის დედოფალს, თეონა მ-ს. ახალციხე. ლევანი“.

„ეჰ, რომ იცოდეთ, რამხელა წერილს მივწერდი ჩემს საძაგელ და ამავე დროს ძალზე საყვარელ ოთიკოს, მაგრამ ღირსი არ არის. ოთო, მაინც მიყვარხარ და რა ვქნა, ამ გრძნობას ვერსად წავუვალ. მოკლედ, იცი, რას გეტყვი? როგორც გამაგიჟე, ისე დამაწყნარე. ანანო“.

„ჩემს საყვარელ და მონატრებულ არსებას, ქობულეთელ მამუკას: ნუთუ, ის, რაც ზღაპარივით დაიწყო, ასე უნდა დასრულდეს?!. მენატრება შენი მეტყველი თვალები, შენი სუნთქვა... მიყვარხარ უზომოდ და უიმედოდ. je t`aime სოფო. ბათუმი.“

„ეჰ, რომ შემეძლოს, სიამოვნებით გავუგზავნიდი წერილს ჩემს საყვარელ და მონატრებულ ადამიანს კოსოვოში, მაგრამ არ შემიძლია. გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ, იქ რა უნდა?! თიკო“.

„რაც ერთ წელიწადში არ ხდება, ის შესაძლოა, ერთ წამში მოხდეს. მეც ამ წამის მოლოდინში ვარ. იქნებ, შემიყვარო. როდესაც ვიღაც მძულს, რაღაც მაკლდება. როდესაც მიყვარს, იმით ვმდიდრდები, ვინც მიყვარს. ჰოდა, შენ ხარ ჩემი სიმდიდრე. მიყვარხარ. დათო, გთხოვ, დამირეკე... გევედრები... შენი „მფარველი ანგელოზი“. თიკო“.

„წუხელ სიზმრად გნახე, ნაზად მომელანდე, რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი? ალბათ, მომენატრე? როგორ დავემდურო ბედს, როცა შენ ამქვეყნად ხარ! მე ხომ სამი რამ მინდა არსებობისთვის: მზე, მთვარე და შენ. მზე დღისთვის, მთვარე — ღამისთვის, შენ კი — ჩემი სიცოცხლისთვის. მამუკა, ეს მე ვარ, ანუშკები“.

„დათო, გახსოვს ბავშვობა? ჩვენი გაცნობის დღე? ყველაფერი ზუსტად 6 წლის წინ, პირველ ივლისს დაიწყო. ჩვენ ორივეს მთელი არსებით გვიყვარდა ერთმანეთი. მაშინ ყველაფერი ნათელ ფერებში გვესახებოდა, მაგრამ ცხოვრება ასე იოლი არ ყოფილა. ბევრი ადამიანი ჩადგა ჩვენ შორის, ბევრი ეცადა, დავეშორებინეთ. თითქმის მთელი სამყარო დაგვიპირისპირდა, მაგრამ ჩვენს ძლიერ გრძნობას ვერაფერი დააკლეს. იცოდე, რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის ვეცდები, გაგიგო, ყოველთვის გვერდით დაგიდგები, ზურგს არასოდეს შეგაქცევ. სწორედ ახლა, როგორც არასდროს, ისე მჯერა შენი სიყვარულის. უსაზღვროდ მენატრები, მთელი ცხოვრება დაგელოდები. მჯერა, ოდესმე ერთად ვიქნებით. მე უშენობას ვერ გადავიტან. მინდა, ვიყვირო: ხალხო! დათო მთელი არსებით მიყვარს და ნუ შეეცდებით ჩვენს დაშორებას. ნინო“.

„ჩემო საყვარელო და მონატრებულო ადამიანო, ზური შ-ძე, მაგრად მენატრები. რატომ არ მირეკავ? დაგავიწყდი?.. უცნობი ნაცნობი“.

„რა დამავიწყებს შენს თვალებს, ხმას ან ტუჩებს? შენ უამრავი რამ მასწავლე იმის მიუხედავად, რომ არასოდეს შეგხვედრივარ. მსიამოვნებდა ყოველი შენი სიტყვა, ჩემი მისამართით ნათქვამი, ცუდიც და კარგიც, რადგან დაუვიწყარმა თვეებმა განვლო შენთან საუბრით. გახსოვს, ის ღამე, შენ რომ მელოდი? ან ნუცა და მისი გაუთავებელი გინება ავარიისას?.. არა, როგორ დაივიწყებ, როცა შეგიყვარდი და ჩემზე გიჟდებოდი?! შენ რომ არ გეთქვა, ნუ მირეკავო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. ისიც მახსოვს, ანამ რომ გაგვაბრაზა, რომ გეუბნებოდა — მე ვაინტერესებ და არა შენო... მე მხოლოდ შენთვის ვცოცხლობ და გთხოვ, ხშირად იარე ქუჩაში, რომ დაგინახო შენ და დავინახო შენი მკერდი. აუცილებლად იყიდე „გზა“, რომ შეძლო ის, რაც მე მინდა! „ბიჭი „ნივიდან“ და ტკბილი სიტყვა“.

„ეჰ, წერილს ჩემს თავს მივწერდი, იქნებ, ასე მაინც გავრკვეულიყავი გრძნობებში, ან ისეთ ადამიანს, ვინც გამარკვევს. ნინო“.

„გამარჯობა, ჩემო მონატრებულო და საყვარელო სოხუმო. იცი, როგორ მინდა შენს ქუჩებთან ჩახუტება? ძალზე მენატრები. ცოტაც და... მალე, სულ მალე დავბრუნდები... გელა“.

„ჩემო საყვარელო პრეზიდენტო, მოგვხედეთ დუშელებს, შეგვჭამეს, აგვაწიოკეს. იქნებ, ჩვენამდეც მოაღწიოთ? დუშელების სახელით, პატივისცემით, დათო“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად კი გთავაზობთ: არა შეჯდა მწყერი ხესა... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა ვერ შეიშნოვა თქვენმა ახლობელმა. გეშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ციური მნათობის მღელვარება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მზეზე მიმდინარე ყველა პროცესი როდი იწვევს მაგნიტურ ქარიშხალს ან ამინდის ცვლილებას. და მაინც... ამჟამად ასტრონომები საშუალოდ, საათში ერთ აფეთქებას აფიქსირებენ, ხოლო მზის პლაზმის გამოტყორცნა დაახლოებით დღეში 10-ჯერ ხდება — ეი. მზე 2-3-ჯერ უფრო ხშირად ბობოქრობს თავისი მინიმალური აქტიურობის პერიოდთან შედარებით. როგორ ავიცილოთ მოსალოდნელი უსიამოვნებები?

მაგნიტური ქარიშხალი

მზის აქტიურობით გამოწვეული მაგნიტური ქარიშხლების პერიოდში, ადამიანის ორგანიზმში მატულობს ადრენალინის გამოტყორცნა სისხლში. იგი იწყებს შედარებით ნელ და წყვეტილ დინებას, გულს კი დიდი დატვირთვა ადგება. ეს შეიძლება გახდეს ჰიპერტონიული კრიზის, ინფარქტის, ინსულტის მიზეზი. ამიტომ მნიშვნელოვანია კოსმოსური ამინდის გათვალისწინება და საჭირო ზომების მიღება.

ყველაფრის წყარო

მზე ადამიანისთვის ცნობილი, პრაქტიკულად ყველა სახის გამოსხივების წყაროა. ხილული სინათლე ელექტრომაგნიტური გამოსხივების მხოლოდ ერთ-ერთი სახეა. ელექტრომაგნიტურია აგრეთვე: რადიოტალღები, ინფრაწითელი, ულტრაიისფერი და რენტგენული გამოსხივებები. ასეთი ტალღების გარდა, ჩვენი მნათობისგან გამოდის ისეთი ნაწილაკების ნაკადები, როგორებიცაა ნეიტრონები, აგრეთვე მზის ქარი — დამუხტულ ნაწილაკთა (წყალბადის ატომის ბირთვების) და ელექტრონების ნაკადი.

იისფერი გამოსხივება

მზის ულტრაიისფერი გამოსხივება ადამიანისთვის საზიანო არ არის, თუ ატმოსფეროს ოზონურ შრეს შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სიმკვრივე და აკავებს ულტრაიისფერი ნაკადის 99,9%-ს. მაგრამ ოზონური შრის დარღვევა დამატებით ყურადღებას და კანის დაცვას მოითხოვს.

ქერათმიანი ადამიანები, რომელთაც ნაზი, თეთრი კანი აქვთ, აგრეთვე ჟოლათმიანები და ჭორფლიანები და ისინიც, ვისაც ტანზე ბევრი მუქი ფერის ხალი აქვთ, უმჯობესი იქნება, თუ საერთოდ არ გაირუჯებიან.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ასევე სერიოზული მიზეზია იმისთვის, რომ მზეს მოერიდოთ.

საშიში ხუფის ქვეშ

ცხელი ზაფხული და ხანგრძლივი თბილი შემოდგომა ზომიერი სარტყლის ნამდვილი საჩუქარია. ამ დათბობაში გარკვეული როლი ითამაშა იმან, რომ ჩვენ აქტიური მზის პერიოდში ვცხოვრობთ. ინფრაწითელი (სითბური) გამოსხივებაც თავის გრადუსებს უმატებს. თუმცა, მეცნიერები ფიქრობენ, რომ სასიხარულო არაფერია. ცივილიზაციის მიერ შექმნილი გამონაბოლქვი და ნახშირორჟანგის სიჭარბე, ამასთანავე, მზის მომატებული აქტიურობა დედამიწის თავზე თავისებურ ხუფს ქმნის, ამის შედეგად კი ვითარდება საუნის ეფექტი, რომელშიც სითბოს ყველაზე დიდი მოყვარულებიც კი არ ისურვებდნენ ცხოვრებას.

სუანდალი — იტალიურად, ჯანმრთელობა — ფინურად

მზე ერთნაირად არ „ვეჭყლეტს“: რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ჩრდილოეთ პოლუსს (დედამიწის მაგნიტურ პოლუსს), მით უფრო ძლიერია გეომაგნიტური მღელვარება. ჩრდილოელები მზის პრესინგის ქვეშ ცხოვრობენ და ეს მათ ხასიათსა და ქცევას განსაზღვრავს. ჩრდილოელის სიტყვაძუნწობა და სიდინჯე გამართლებულია — მისი ნერვული სისტემა უბრალოდ, ვერ ეგუება იტალიურ ექსპანსიურობას. სამაგიეროდ, ჩრდილოელები ფიზიკურად მეტად ამტანები არიან: გამუდმებული გეომაგნიტური ტრენინგი მათ დაავადებებისადმი გამძლეობას უმუშავებს. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

სიცილი ინსულტს კურნავს

ავსტრიელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სიცილი საუკეთესო საშუალებაა იმ ავადმყოფთა სამკურნალოდ, რომელთაც ინსულტი გადაიტანეს. მოძრაობითი ჩვევების აღსადგენად ასეთი პაციენტები ჩვეულებრივ, ვარჯიშობენ. მაგრამ თუ ვარჯიშს სიცილსაც დავუმატებთ, ავადმყოფს კიდევ უფრო მნიშვნელოვნად უქვეითდება არტერიული წნევა. ეს კი ინსულტის წარმატებული მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია. ■

კითხვა + პასუხი

კითხვა: ჩემი პრობლემა ისაა, რომ კუჭში სულ რაღაც მიბუყბუყებს და ყურყურის ხმა ისმის. განსაკუთრებით მაშინ, როცა დასაძინებლად ვწვები. არადა, განსაკუთრებულს არაფერს ვჭამ. როგორ მოვიქცე, რომ ეს „მუსიკალური“ თანხლება მოვიშორო?

პასუხი: გაზების ჭარბად წარმოქმნასა და გამოყოფას კუჭ-ნაწლავში მეტეორიზმი ეწოდება. მნიშვნელობა არა აქვს, დგომისას ხდება ეს თუ წოლით მდგომარეობაში. მეტეორიზმი ხშირ შემთხვევაში რაიმე დაავადების გამოვლინებაა. იგი თან ახლავს ხოლმე ლამბლიოზურ ქოლეცისტიტს, გულის უკმარისობას, ქრონიკულ გასტრიტს, კუჭქვეშა ჯირკვლისა და ნაწლავების დაავადებებს.

ამ დაავადებათა გამოსარიცხავად უნდა მიაკითხოთ გასტროენტეროლოგს და აიღოთ ანალიზები ლამბლიოზზე (ჭიებზე) და დისბაქტერიოზზე. ალბათ დაგჭირდებათ გასტროდუოდენოსკოპიის გაკეთებაც. შესაძლოა, გაზების სიჭარბე ნაწლავური დისპეფსიის (მონელების დარღვევის) შედეგი იყოს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი დიეტის დაცვა და ნაწლავური ფლორის მოწესრიგება. უნდა მიიღოთ ნახშირი დანამცეცებული სახით.

კითხვა: მყავს 5 წლის გოგონა. ლაპარაკის დროს, ისეთი ხმა აქვს, ცხვირი თითქოს გაჭედილი აქვს, მაგრამ თავისუფლად სუნთქავს. მაინტერესებს, სჭირდება თუ არა მას ადენოიდების ამოკვეთა?

პასუხი: ადენოიდების ამოკვეთის მაჩვენებელია ცხვირით სუნთქვის დარღვევა. 5 წლის ასაკი ასეთი ოპერაციისთვის ოპტიმალური ვადაა. მაგრამ თუ პატარა, ცხვირით თავისუფლად სუნთქავს, ძილში პირი ღია არა აქვს, არ ხვრინავს, მაშინ ოპერაციული ჩარევა საჭირო არ არის, რადგან სქესობრივი მომწიფების პერიოდში შემთხვევათა 90%-ში ადენოიდური ქსოვილი ქრება და ყველა ის ჩივილი გაივლის, რაც მასთან იყო დაკავშირებული. ■

როგორ შევინარჩუნოთ მომხიბვლელობა მგზავრობისას

მოგზაურობა ხომ ახალ პეიზაჟთან, ახალ ადამიანებთან შეხვედრა, ახალი შთაბეჭდილებების მიღებაა. მგზავრობისას კი შესაძლოა, რომანტიკული ნაცნობობაც გელოდეთ. ამიტომ ყველაფრისთვის მზად უნდა იყოთ. მოგზაური ქალის მთავარი სამკაული, ღიმილი და მსუბუქი ბარგია.

სამგზავრო სილამაზის სალონი

თვითმფრინავის სალონი ან მატარებლის ვაგონი ლამაზმანთა პოდიუმის ადგილი ნამდვილად არ არის, მაგრამ მაინც უმჯობესია, თანამგზავრებისათვის იყოთ „ლამაზი ქალი გვერდით კუპეში“, ვიდრე „თმაგაბურძგნილი დეიდა“...

ბევრ კოსმეტიკურ ფირმას აქვს მზა სახის სამგზავრო კომპლექტები – შეგიძლიათ გამოიყენოთ ისინი ანდა საკუთარი შეაგროვოთ. თუ ალერგიული ხართ, კოსმეტიკას, რომელიც მანამდე არ გიხმარიათ, მოგზაურობისას ნუ წაიღებთ. მაშ ასე, ჩავალაგოთ სამგზავრო კოსმეტიკა:

- სპრეი ან პულვერიზატორი მინერალური წყლით, რომელსაც შეისხურებთ და ჰაერსაც დაატენიანებთ. გზაში სილამაზის მთავარი მტერი ტენის ნაკლებობაა: კანი სწრაფად შრება და მისი დაჭიმულობის შეგრძნება გეუფლებათ.
- ტონალური საცხი სახისათვის (თუმცა, კოსმეტოლოგები ცხიმიანი კანის დროსაც კი არ გვირჩევენ სპირტის შემცველებს, რადგან ისინი ძლიერ აშრობს კანს).
- დამატენიანებელი საცხი.
- სველი მადეზინფიცირებელი ხელსახოცები სახის, კისრისა და ხელების გასაწმენდად.
- მაკიაჟის მოსაშორებელი საშუალებები. მკვეთრი „საბრძოლო მოხატულობა“ მგზავრობისას უადგილოა, მით უმეტეს, რომ იგი შეიძლება გაგეთხაპნოთ. მაგრამ მსუბუქი მაკიაჟიც ძილის წინ უნდა მოიშოროთ, დილით (ან ფრენის დამთავრებისას) კი ახალი გაიკეთოთ.
- თვალების დაღლის საწინააღმდეგო წვეთები. გადაღლა, მტვერი, განათების მუდმივი ცვალებადობა არავის დაამშვენებს. წვეთების მაგივრად შეგიძლიათ ჩაის პაკეტები გამოიყენოთ (შავი ან მწვანე) მათ თვალებზე იდებენ 15-20 წუთის განმავლობაში. შემდეგ თვალის ირგვლივ შეიზელენ კრემს ან გელს.
- ანტიპერსპირანტული გელი ყველა დეზოდორანტზე უკეთესია: იგი ოფლისგანაც საიმედოდ დაგიცავთ და ტანსაცმელზეც არ ტოვებს კვალს.
- რაც შეეხება სუნამოსა და არომატულ წყალს – თვითმფრინავისა და ავტომობილის სალონისა თუ კუპეს ჩაკეტილ სივრცეში მხოლოდ ყველაზე ნაზი და მსუბუქი არომატების გამოყენებაა მისაღები.

საგზლად...

გამგზავრებამდე ერთი-ორი დღით ადრე, კარგი იქნება, თუ საკუთარი თავისთვის დროს გამონახავთ. მგზავრობისას ლამაზად რომ გამოიყურებოდეთ და თავდაჯერებული იყოთ, გამგზავრების წინ კოსმეტოლოგს ესტუმრეთ, გაიკეთეთ სახის მასაჟი, მატონიზირებელი ნიღაბი, გამაახალგაზრდავებელი პროცედურები, მაგრამ:

1. ნუ გაიკეთებთ ქიმიურ პილინგს, ნურც სახეს გაიწმენდთ, რადგან კანი ამ პროცედურებიდან მხოლოდ 7 დღის შემდეგ აღდგება მთლიანად.

2. ნუ გაიკეთებთ ორიგინალურ ვარცხნილობას. თმა მოხდენილად, მაგრამ პრაქტიკულად შეიჭერით. სამგზავრო ვარცხნილობას არ უნდა სჭირდებოდეს ხანგრძლივი და რთული ვარცხნა-შრობა.

3. ნუ მიჰყოფთ ხელს ეპილაციის მეთოდებით ექსპერიმენტირებას – თმის მოშორების უჩვეულო ხერხმა შეიძლება, კანის გაღიზიანება გამოიწვიოს ან ხანგრძლივი დროით „გაგალამაზოთ“ წითელწერტილებიანი მოხატულობით. ■

უცნაური ოპერაცია

ჰოლანდიელმა ოფთალმოლოგებმა პირსინგის ახალი სახეობა შექმნეს: პლატინის რამდენიმემილიმეტრიან ფირფიტას (რომელიც სამკაულის ფუნქციას ასრულებს) კონიუნქტივაში ნერგავენ. ასეთი ოპერაცია უკვე ექვს ქალსა და ერთ მამაკაცს გაუკეთდა როტერდამის ინოვაციური თვალის ქირურგიის ინსტიტუტში. როგორც ჰოლანდიელი სპეციალისტები ირწმუნებიან, პლატინის სამკაულის ჩანერგვის ოპერაცია აბსოლუტურად უსაფრთხოა. საიუველირო ნაკეთობას თვალში ადგილობრივი ანესთეზიით ნერგავენ 500 ევროდ. თუმცა, ინგლისელი ოფთალმოლოგებს მიაჩნიათ, რომ „თვალის პირსინგი“ საკმაოდ საშიშია. კონიუნქტივა ხომ არამკვრივი ქსოვილია, რომელშიც პლატინის ფირფიტა გამუდმებით გადაადგილდება. ეს კი ქრონიკულ ანთებას და ნიარევის წარმოქმნას გამოიწვევს. ექსტრემალური პირსინგის მოყვარულებს არ ანაღვლებთ სპეციალისტების გაფრთხილება. ჰოლანდიელი ქირურგები აცხადებენ, რომ თვალში ფირფიტის ჩასანერგად პაციენტებს რიგში დგომა უწევთ. ■



სხვისი გული

ჩვილ ბავშვებს, რომელთა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის თანდაყოლილი გულის მანკი, შეიძლება გადავუნერგოთ შეუთავსებადი დონორის ორგანოები – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი ტრანსპლანტოლოგები, რომლებმაც შეძლეს, გადაერჩინათ იმ პატარების სიცოცხლე, რომელნიც დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ გულს გადასანერგად. მედიკოსები ამ ფენომენს იმით ხსნიან, რომ ახალშობილებს ჯერ არა აქვთ ფორმირებული იმუნური სისტემა და მისი ორგანიზმი ეგუება სხვა ჯგუფის სისხლის მქონე დონორის ორგანოებს. თუ მსგავს ოპერაციას მოზრდილ ბავშვებს ჩავუტარებთ, დიდია ალბათობა, რომ იგი ავადმყოფის დაღუპვით დამთავრდეს. შეუთავსებადი ორგანოების გადანერგვის შესაძლო გართულებები ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი. თუმცა, კაკლისოდენა გულის მქონე ახალშობილთათვის შესაფერისი დონორის პოვნა საკმაოდ ძნელია და ბევრი მედიკოსი მიიჩნევს, რომ უმჯობესია, გარისკვა და ოპერაციის გაკეთება, ვიდრე რამდენიმე თვით შეთავსებადი ორგანოს ცდით, ბავშვის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება. ■



ღეროვანი უჯრედები გამელოტების წინააღმდეგ

პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის მკვლევარებმა აღმოაჩინეს ღეროვანი უჯრედები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გამელოტებასთან საბრძოლველად. სასწაულმოქმედი უჯრედები თმის ფოლიკულებშია მოთავსებული და შეუძლია, საფუძველი გახდეს არა მხოლოდ ახალი თმის, არამედ კანის სხვა სტრუქტურებისაც. იმისათვის, რომ ღეროვანი უჯრედიდან სწორედ თმა განვითარებულიყო, მეცნიერებს უჯრედის გენეტიკურ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა მოუხდათ. მერე მათ გადანერგეს მოდიფიცირებული ღეროვანი უჯრედები გამელოტების უბნებზე და 11 დღის შემდეგ დაფიქსირეს ახალი თმის ზრდა. მკვლევართა ვარაუდით, დროთა განმავლობაში, შესაძლებელი გახდება გადანერგვის გარეშე შედეგის მიღება. ძველი თმის ფოლიკულების ღეროვანი უჯრედების გენეტიკური გააქტიურებით შეიძლება, მათ დაუბრუნდეთ ახალი თმის წარმოქმნის უნარი. ■

აუტისტი და გენიოსი

მოწყობილობა, რომელიც ზრდის თავის ტვინის შემოქმედებით უნარს, უკვე შექმნილია და პირველი ტესტირებაც გაიარა. აპარატის მუშაობის პრინციპი ეფუძნება ტვინის გარკვეული უბნების მაგნიტურ სტიმულაციას. ავსტრალიის ტვინის ინსტიტუტის დირექტორი ალან სნაიდერი ამბობს, რომ ასეთი მოწყობილობის შექმნის იდეა მას შემდეგ მოუვიდა, რაც აუტიზმით დაავადებული პაციენტები შეისწავლა, რომელთაც სხვადასხვაგვარი ტალანტი (მაგალითად, რთული მათემატიკური გამოთვლის უნარი) აქვთ. ნორმალური ადამიანის ტვინი ამარტივებს მიღებულ ინფორმაციას, რათა არ დაუშვას „გადატვირთვა“. აუტიზმით დაავადებულთა ტვინი კი, არაფერს ფილტრავს და არაფერს ამარტივებს, ამიტომ მათ წარმოუდგენლად რთული ინტელექტუალური ამოცანების გადაჭრა შეუძლიათ. ექსპერიმენტის დროს, 11-დან 4 მონაწილეს აღმოაჩნდა ხუთნიშნა რიცხვებზე არითმეტიკული ოპერაციების მარტივად შესრულების უნარი. მეცნიერის თქმით, ტვინის გარკვეული უბნების სტიმულაციის გზით ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, საკუთარ თავში გენიოსი აღმოაჩინოს. ■



ქართველი კინორეჟისორი ლანა ...	სჯობს ..., ვიდრე არასდროს	რძის პროდუქტი	გულუბრყვილო	ტყის მასივი ციმბირში	ვაზით გამ... ფარ...
ლ ო ლ ო ბ ე ჩ ი ძ ე ბ ჩ ი ა ნ ბ ა ჩ ა ქ ი ბ ი ა ბ ი ტ ი ბ ა ი ბ ა ბ ი ბ ი					

მარტორქის ნაშიერი	სასულიერო პირი	სოფელი მცხეთასთან	თურქეთის დედაქალაქი	საბუნების-მეტყველო მეცნიერება	გამის ნოტი	ყვავილი	...-არაკი	მეტყველების ორგან...

მასაჟი კაბინეტიდან გაუსვლელად

თუ სამსახურში იმყოფებით და მნიშვნელოვანი სამუშაო გაქვთ დასამთავრებელი, მაგრამ გონება ალარ გიჭრით, ძალების მოსაკრებად მარტივ ხერხს მიმართეთ. დროებით გვერდზე გადადეთ საზრუნავი და სასწაულმოქმედი მასაჟი მოიშველიეთ. თავდაპირველად, ყურის ნიჟარები დაიზილეთ, თანაც — ენერგიულად, ისე, რომ გაგიხურდეთ. შესაძლოა, უკვე ამ პროცედურის შედეგად, თქვენი გონება ჩვეულ რიტმში ამუშავდეს. მაგრამ თუ ამანაც არ გიშველათ, ნუ დაუბრუნდებით სამუშაოს და მომდევნო ნაბიჯი გადადგით: ადექით, გაიზმორეთ, გააკეთეთ თავით წრიული მოძრაობები. ამის შემდეგ, საკუთრივ მასაჟზე შეგიძლიათ გადახვიდეთ.



დაიწყეთ კისრით: ჯერ მსუბუქად, ფრთხილად, თანდათან კი, უფრო და უფრო მაგრად დაიზილეთ კისერი, მერე გადადით მხრებზე, შემდეგ — ზურგის ზედა არეზე. გაითვალისწინეთ, რომ ნერვული სისტემის სტიმულირებას წყვეტილი მოძრაობები უწყობს ხელს. თუ სამსახურში იმდენად კარგი პირობები გაქვთ, რომ პატარა სათავსში პარფიუმერიის შენახვა შეგიძლიათ, მასაჟის ეფექტს გააძლიერებს რაიმე არომატული ზეთი: თუნდაც ერთი წვეთი ეთერზეთის მოშველიებით ჩატარებული პროცედურა ნამდვილ შვებას მოგგვრით და რამდენიმე წუთში, კვლავ სრულყოფილი შრომისუნარიანობა დაგიბრუნდებათ. ■

როგორ გავიწმინდოთ კანი მარილით

ბევრი ჰოლივუდელი ვარსკვლავი თურმე, მარილის მეშვეობით შინ გაკეთებულ პილინგს ამჯობინებს და ირწმუნება, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა კანის გასაწმენდად და „გასაპრიალებლად“. რეცეპტი საკმაოდ მარტივია: 0,5 ჩ/ჭ ზეითუნის ზეთს შეურიეთ 2 ჩ/ჭ სუფრის ან ზღვის მარილი და ნამიან კანზე წაისვით (პროცედურამდე, მიიღეთ შხაპი და ტანი არ შეიმშრალოთ). არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ პოპულარული მეთოდი: სუფთა კანზე თხლად წაისვით თაფლი (ცხადია, თუ ამ პროდუქტის მიმართ ალერგიული არ ხართ) და თითისწვერებით მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ — მანამდე, სანამ მასა არ გასქელდება. ამ უმარტივესი პროცედურის შედეგად, კანი მკვდარი უჯრედებისა და მავნე ნივთიერებებისგან გათავისუფლდება. ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ ჩამობანის შემდეგ, ლოსიონი უნდა წაისვათ. სხვათა შორის, ლოსიონიც თავადვე შეგიძლიათ დაამზადოთ — მაგალითად, ჭინჭრისაგან: 2 ჩ/კ წვრილად დაჭრილ ფოთლებს დაასხით მდულარე წყალი, გააჩერეთ 30 წთ და გაფილტრეთ. ეს ნაყენი რეკომენდებულია სახის კანის გასაწმენდად და კომპრესისთვის. დაასველეთ ორ ან სამ ფენად დაკეცილი დოლბანდის ხელსახოცი და დაიდეთ შუბლზე, ლოყებსა და ნიკაპზე 5-10 წთ-ით. ■

განმკურნავი ვაშლის წვენი

ბევრი დაწერილა იმის შესახებ, რომ ვაშლს უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვს. მათ, ვისაც თირკმლებსა და ნაღვლის ბუშტში კენჭები აქვს, შეუძლიათ სწორედ ამ ხილის საშუალებით გათავისუფლდნენ დაავადებისაგან.

რეცეპტი კი ასეთია:

დილის 8 საათზე ერთი, 10 საათზე კი ორი ჭიქა ვაშლის წვენი უნდა მიირთვათ. ნახევარი საათის შემდეგ კი, ნახევარი ჭიქა ზეითუნის ზეთი, ან კარგად გაფილტრული მზესუმზირის ზეთი დალიეთ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ვაშლის წვენი აუცილებლად ახალგამოწურული უნდა იყოს. მესამე დღეს, დილის რვა საათზე ორი ჭიქა ვაშლის წვენი დალიეთ. ნახევარი საათის შემდეგ — ნახევარი ჭიქა ზეითუნის ზეთი, რომელსაც მაშინვე მიაყოლებთ კიდევ ერთ ჭიქა წყალში გაზავებულ ვაშლის წვენს. ერთი-ორი საათის შემდეგ, შარდთან ერთად ქვიშისა და წვრილი კენჭების გამოყოფა დაგეწყებათ. ზოგჯერ კენჭები იშლება (ურატები, ფოსფატები) და გამოდის მომწვანო სითხის სახით. ამ დროს კარგია თბილი აბაზანის მიღება, წამოწოლა. რამდენიმე კვირის შემდეგ, შეგიძლიათ პროცედურა გაიმეოროთ. ჩატარებული მკურნალობის შემდეგ მოგეხსნებათ ტკივილი თირკმლის, შარდის ბუშტის, ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის არეში.

ისეთი შეგრძნება გექნებათ, თითქოს ეს ორგანოები გაახალგაზრდავდნენ — ისინი მთელი დატვირვით ამუშავდებიან და შესაბამისად, ორგანიზმის სხვა გაზარმაცებულ ორგანოებსაც აიძულებენ, რომ გააქტიურდნენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კენჭებისგან გათავისუფლებისთანავე, რასაც მოისურვებთ, ყველაფრის ჭამა შეგიძლიათ. რამდენიმე კვირის განმავლობაში მაინც, თავი უნდა შეიკავოთ შემწვარი, მარილიანი და ცხარე საჭმელებისგან.

ზომიერი დიეტის დაცვა, ყოველთვის საჭიროა. ■



...ბული ...ი	ელასტიკური ქსოვილი	სიმონ ... პეტროსიანი	ესკიმოსების ქოხი	აქლემის ნაშიერი	გამყიდველი მაღაზიაში	დაჭრილი კიტრი და პომიდორი	ამაღლებული ადგილი დედამიწაზე
ვაშლი, მსხალი... (ზოგადად)	ჩაღრმავებული ჯამი ვულკანის ყელზე		ყურძნის შაქარი		იგივეა, რაც ფილმი	... მოტანილს ქარივე წაიღებსო	... პუგაჩოვა	მომღერალი ... გოგუაძე

„მამაო ჩვენო“, რომელიც ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანმა ზეპირად უნდა იცოდეს და ხშირად წარმოთქვამდეს, იწოდება „საუფლო ლოცვად“, რადგან ის თავად უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ასწავლა თავის მოწაფეებს. „მამაო ჩვენო“ მოწოდებასაც შეიცავს, თხოვნასაც და დიდებისმეტყველებასაც — ე.ი. იგი განიყოფება მოწოდებად, შვიდ თხოვნად და დიდებისმეტყველებად.

რატომ იწოდება „მამაო ჩვენო“ საუფლო ლოცვად

მორენა მერკვილაძე

„საუფლო ლოცვა“ იწყება შემდეგი სიტყვებით: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ ლოცვის ეს ნაწილი იწოდება მოწოდებად. ამ სიტყვებით მივმართავთ ღმერთს, ზეციურ მამას ვუწოდებთ მას და ვთხოვთ, რომ შეისმინოს ჩვენი თხოვნა და ვედრება. ღმერთის, მამად წოდების უფლება მოგვცა მაცხოვარმა, ღმერთის ძემ, რადგან ღმერთს ვუყვარვართ, როგორც მამას. ამიტომ ლოცვის დროს უნდა განვიმსჭვალოთ ღვთისადმი სიყვარულითა და იმედით, როგორც შვილი თავისი მამისადმი. სიტყვა „ჩვენო“ კი მიუთითებს, რომ უნდა ვილოცოთ არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც, როგორც ამას „წმინდა წერილი“ მიგვითითებს: „აღიარებდით ურთიერთს ცოდვათა და ულოცვიდეთ ერთი-ერთსა...“ (იაკობი 5, 16), რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვილოცოთ ერთურთის გამო ჩვენი საერთო მამის წინაშე. ამიტომ ერთი ადამიანიც რომ ლოცულობდეს, მაინც წარმოითქმის — „მამაო ჩვენო“.

მოწოდების დროს, ასევე წარმოვთქვამთ სიტყვებს: „რომელი ხარ ცათა შინა“. „საუფლო ლოცვის“ ეს ნაწილი გვასწავლის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი ყველგან მყოფობს, მისი უპირატესი სამყოფელი ცათა შინა ბრწყინავს ანუ მიუთითებს ზეცაზე, როგორც ღმერთის განსაკუთრებულ ადგილსამყოფელზე, რომელიც იწოდება ღმერთის საყდრად, როგორც ამას დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „უფალმან ზეცას განჰმზადა საყდარი მისი, და სუფევაი მისი ყოველთა ზედა ეუფლებისა“ (ფსალ. 102, 19). როდესაც ლოცვას წარმოვთქვამთ, ჩვენი გონება და ზრახვები ქვეყნიურისა და ხრწნადისგან, ზეციურისა და უხრწნელისაკენ უნდა წარვმართოთ ანუ დავივიწყოთ ყველა მიწიერი საზრუნავი და ვიფიქროთ მხოლოდ ზეციურზე, რათა ჩვენი ლოცვა ღმერთის საყდრამდე ამაღლდეს, სანაცვლოდ კი ღვთიურ მადლსა და შეწევანს მივიღებთ.

როგორც აღვნიშნეთ, „საუფლო ლოცვა“ შვიდგზის ვედრებად — ანუ თხოვნად განიყოფება. **პირველი თხოვნა** გამოითქმის ასე: „წმინდა იყავნ სახელი შენი“. ამ სიტყვებით ღმერთს შევთხოვთ, შეგვეწიოს, რომ ვიცხოვროთ წმინდა და მართალი ცხოვრებით, რათა ჩვენი კეთილმსახური ცხოვრებით და ღვთისთვის სათნო საქმეების კეთებით განვადიდოთ ღმერთის ყოვლადწმინდა სახელი. ამასთანავე გამოვხატავთ სურვილს, რომ ჩვენი წმინდა ცხოვრების დანახვისას, სხვა ადამიანებსაც გაუჩნდეთ სურვილი, განადიდონ და „წმინდა“ ჰყონ ღმერთის სახელი. ამის შესახებ თვით მაცხოვარი გვმოძღვრავს: „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენ კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათასა“ (მათე 5, 16).

მეორე თხოვნაა — „მოვედინ სუფევა შენი“. ამ სიტყვებით შევთხოვთ ღმერთს, რომ თავისი მადლით, სიმართლითა და სახიერებით სუფევდეს მთელ ჩვენს არსებაში, უპირველესად კი გულში; არსებობს ღვთის ხილული და უხილავი სუფევა: ხილული სუფევაა ყოველივე თვალხილული, რაც ღმერთმა გააჩინა. უხილავი სუფევა ღვთისა კი მყოფობს ადამიანის გულსა და სულში და ვლინდება ადამიანის მოქმედებაში, გულისთქმასა და აზრებში. ადამიანში ღვთის სუფევა მაშინ დაიმკვიდრებს, როდესაც იცხოვრებს წმინდა და ღვთისთვის სათნო ცხოვრებით. აქედან გამომდინარე, ამ თხოვნის დროს ვევედრებით ღმერთს, რომ განწმინდოს ჩვენი ცხოვრება და მოგვცეს ძალა, ვიცხოვროთ ქრისტესმიერი ცხოვრებით, რათა უფალმა იმეუფოს — გამეფდეს ჩვენ შორის და წარმართოს ჩვენი ცხოვრება ჭეშმარიტი გზით.

მესამე თხოვნაა: „იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა“ — ანუ იყოს ყველაფერი არა ისე, როგორც ჩვენ გვსურს, არამედ იმგვარად, როგორც ღმერთს ნებავს, რადგან უფალმა უკეთ უწყის, რა უფრო საჭირო და სასარგებლოა ჩვენთვის და იმაზე მეტად სურს სიკეთე ჩვენთვის, ვიდრე ჩვენ საკუთარი თავისთვის. ამიტომ უნდა დავემორჩილოთ ღმერთის ნებას და დედამიწაზე ისევე უსიტყვოდ და უდრტვინველად აღვასრულოთ მისი ნება, როგორც ანგელოზები და წმინდანები აღასრულებენ მას — ზეციურ სავანეში — სიყვარულითა და მხიარულებით.

საუფლო ლოცვის **მეოთხე თხოვნაა:** „პური ჩვენი არსობისა, მომეც ჩუენ დღეს“. ამ თხოვნით, უპირველესად სულიერ — ანუ ევქარისტიულ პურს — უფლის უწმინდეს ხორცს ვითხოვთ, ე.ი. ზიარებას ქრისტეს ხორცისა და სისხლისას. პური არსობისა არის აგრეთვე სიტყვა ღვთისა, რომლის შესახებაც „წმინდა წერილში“ ნათქამია: „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“ (მათე 4, 4), ე.ი. ამ თხოვნისას ღმერთს შევთხოვთ — არ დაუშვას, რომ ვიცხოვროთ მისი წმინდა სიტყვის — ქრისტეს მოძღვრების შიმშილით, რომლის გარეშეც ადამიანი სულიერად კვდება. ბოლოს კი, არსობის პურში იგულისხმება ყოველივე, რაც მიწიერი ცხოვრებისთვისაა აუცილებელი: საკვები, ტანსაცმელი, სასმელი, საცხოვრებელი და სხვა.

მეხუთე თხოვნა გამოითქმის ასე: „...და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“. თანანადებნი არის ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვები. ამასთანავე

ვავალდებულებთ ჩვენს თავს, ისევე მივუტევოთ მოყვასს ჩვენ წინაშე ჩადენილი ცოდვები, როგორც ღმერთი მოგვიტევებს ჩვენ, ჩვენს ცოდვებს. ვისაც არ შესწევს ძალა, შეუნდოს და აპატიოს მოყვასს წყენა, იგი ამაოდ აღუვლენს უფალს ლოცვას, რადგან ღმერთი არც მას შეუნდობს საკუთარ ცოდვებს. ამის შესახებ თვით მაცხოვარი ბრძანებს: „უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნეთ თქვენ შეცოდებანი თქუენნი“ (მათე 6, 15).

„საუფლო ლოცვის“ **მეექვსე თხოვნაა:** „...და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“. „განსაცდელი არის იმისთანა შემთხვევა ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც შთააგდებს კაცს რაიმე ცოდვაში“ – განმარტებულია „მართლმადიდებლურ კატეხიზმოში“. მაგრამ „წმინდა წერილში“ და სასულიერო ლიტერატურაში სიტყვა „განსაცდელი“ აღნიშნავს არა მხოლოდ ცოდვით ცდუნებას, არამედ ტანჯვით გამოცდასაც. ამრიგად, „საუფლო ლოცვის ამ თხოვნაში ვევედრებით ღმერთს, აგვარიდოს ყოველივე ცუდი შემთხვევა და დაგვიფაროს ცოდვით დაცემისგან.

მეშვიდე თხოვნაა: „...არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან“. ამ თხოვნაში ღმერთს უპირველესად, ჩვენი სულიერი მტრის – ეშმაკისგან დაცვას ვევედრებით, რომელიც ყოველთვის ჩვენს დასაღუპავადაა გამზადებული. ამასთანავე ვთხოვთ, დაგვიფაროს ისეთი ბოროტისგანაც, რომლის გადატანაც ადამიანს ძალიან უჭირს: შიმშილი, ჭირი, ომები და სხვა მისთანანი.

„საუფლო ლოცვა“ მთავრდება დიდებისმეტყველებით: „რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“. დიდებისმეტყველებაში გამოვხატავთ იმედს, რომ მივიღებთ ყოველივეს, რაც ვითხოვეთ ღვთისგან, რადგან, ღმერთს ეკუთვნის სუფევა და მის უფლებაშია ყოველივე, რასაც მას ვევედრებით. მისი არის ძალა და დიდება, რომელსაც ვერაფერი შეეწინააღმდეგება ვერც ცათა შინა და ვერც ქვეყანასა ზედა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ „საუფლო ლოცვით“ ვადიდებთ და მადლობას ვწირავთ უფალს, წყალობას ვითხოვთ მისგან და ჩვენი ცოდვილი ცხოვრების გამო სინანულს გამოვხატავთ.

■

საქართველოში არაერთი ძირძველი გვარია ცნობილი, ზოგი სოციალურად პრივილეგირებული მდგომარეობით, ზოგიც ერისათვის გაწეული სამსახურით. თურმანიძეების გვარი, ისტორიაში, საეკლესიო საქმიანობითა და საგვარეულო, სამკურნალო მალამოს მეშვეობით შევიდა. ამ მალამოს მომზადების წესი, გვარში თაობიდან თაობას გადაეცემა და მათი შთამომავლები, დღესაც საიდუმლოდ ინახავენ მალამოში შემავალ კომპონენტთა ნუსხას. ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ სახალხო მკურნალი თურმანიძეები, მრავალი საუკუნის წინაც ცნობილი იყვნენ საზოგადოებისთვის, ხოლო ისტორიულ ძეგლებზე შემორჩენილი, სამადლობელი წარწერები კი, მათ წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ თურმანიძეების გვარი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, სახალხო მკურნალთა შთამომავლობას ყველა არ განეკუთვნება, შესაბამისად, მათთვის არც მალამოს დამზადების საიდუმლოა ცნობილი. თბილისშიც კი, მხოლოდ რამდენიმე ოჯახია ცნობილი, ვინც წინაპართაგან დანატოვარ საქმეს აგრძელებს. ჩვენც, სახალხო მკურნალების ერთ-ერთ შთამომავალს, პროფესორ ვახტანგ თურმანიძის შვილს ნანა თურმანიძეს ვესტუმრეთ.

mefeTa mkurnali

TurmaniZeebi

ემა ტუხიაშვილი

– მკურნალი თურმანიძეები წარმოშობით ზესტაფონის რაონიდან, სოფელ შორაპნიდან არიან. საუკუნეების განმავლობაში, ეს გვარი განსაკუთრებული წესით დამზადებული მალამოებით მკურნალობდა ჭრილობებს, დამწვრობას, მოტეხილობას. აღმოჩენილი ისტორიული წყაროების მიხედვით, თურმანიძეების გვარი უკვე IX-X საუკუნეებში იყო ცნობილი. ცნობილია, ის ფაქტიც, რომ 1912 წლის კახეთის აჯანყების დროს, დაჭრილი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის სამკურნალოდ (იგი მუხლში იყო დაჭრილი), ქუთაისიდან მკურნალი თურმანიძე მიუწვევიათ, რომელსაც საოცრად მოკლე დროში მოუხერხებია მისი გამოჯანმრთელება. ბაღდათის რაიონში, სოფელ წითელხევში შემორჩენილია პატარა, უძველესი ეკლესია, რომლის კედლებზე არაერთი ფრესკაა შესაბამისი ასომთავრული წარწერით, მაგალითად, ერთ-ერთზე გარკვევით იკითხება: „გიორგი თურმანიძე, მეუღლე გულფიქრია, შეუნდონ ღმერთმან და ამინ. ძე მათი თურმანი“. ამ წარწერას თან ახლავს ჯვრის ძალზე უცნაური გამოსახულება: ჯვრის მკლავების ირგვლივ მოცემული გველის კონფიგურაცია, რომელიც უდავოდ გარკვეული სიმბოლიკის მატარებელია. მსგავსი შინაარსის ქარაგმული წარწერები შემორჩა ბაღდათის რაონში დემეტრაძეებისა და დევიძეების საგვარეულო ეკლესიებზე, რომლებიც უწინ სავარაუდოდ თურმანიძეების გვარს ეკუთვნოდა...

სახალხო მკურნალები ანასტასია და ვლადიმერ თურმანიძეები

— თვით მალამოს შექმნის ისტორია თუ არის ცნობილი?

– სიმართლე რომ გითხრათ, მალამოს წარმოშობის ისტორია არავინ იცის. ფაქტია, რომ ეს მალამო, უკვე რამდენიმე საუკუნეა, არსებობს. არაერთი ისტორიული ცნობა ცხადყოფს, რომ ქართველ მეფეებს თავიანთ კარზე ყოველთვის ჰყავდათ მკურნალი თურმანიძეები და ისინი ბრძოლებში ყოველთვის ახლდნენ მეფეებს. ისტორიული წყაროებით ირკვევა აგრეთვე, რომ მკურნალი თურმანიძეები, თავიანთი სასწაულმოქმედი მალამოს წყალობით, საკმაოდ სწრაფად უშუშებდნენ იარებს ომში

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უშის წიგნაკიდან:

1. რუსეთში როზგს ტირიფისგან ამზადებდნენ.

2. ultimo ლათინურად უკანასკნელს ნიშნავს. აქედან წარმოიშვა სიტყვა „ულტიმატუმი“.

3. ხელით ბუზის მოგერიებას ავსტრალიურ მისალმებას ეძახიან.

4. მიუნხენის ყველაზე დიდ დასასვენებელ პარკს „ინგლისური პარკი“ ჰქვია.

5. ავტომობილის მართვა რუსი კომპოზიტორის სერგეი რახმანინოვის ჰობი გახლდათ.

6. მაგელანი კუნძულ მაქტანზე ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეტაკების დროს მოკლეს.

7. „ხშირი და ხშირი წყენითა სულს მოედება ჟანგიო“, – ღაღადებს ადიღეური აფორიზმი.

8. დაბალ და ძლიერ დარტყმას ჩოგბურთში დრაივი ჰქვია.

9. „ესლი ჟენშინა გავარიტ ნეტ, ეტა აზნაჩაეტ და, ნო პოზჟე“, – ამტკიცებს მიხაილ ზადორნოვი.

10. „ქართველ კაცს დაუბრუნდა რწმენა რწმენისა“, – წერს მემატიანე, გიორგი ბრწყინვალის შესახებ.

11. ტელეფონის გამომგონებელ ალექსანდრ ბელს არასოდეს უსაუბრია ტელეფონით დედასთან. დედამისი ყრუ იყო.

12. ვალის გადაუხდელობის გამო მოვალის საკუთარ სახლში დაპატიმრებას XVI საუკუნის ინგლისში კანონი კრძალავდა.

13. პირველი შამპანური ბერმა დომ პერინონმა შექმნა. იგი თითქმის დადუღებულ ღვინოში შაქარსა და საფუარს ურევდა.

14. „სიბრძნის მდელო“ – ამ ეპითეტით მოიხსენიებდა საქართველოს მეფეს ბაკურ იბერიელს რომაელი ფილოსოფოსი ლიბანიოსი.

15. ტიბეტელი ბერები ხელჩართული, უიარაღო ბრძოლის პირველი ოსტატები იყვნენ. იარაღის ხმარებას მათ რელიგია უკრძალავდა.

16. ჩაის სმის დროს სიჩუმის დარღვევას იაპონელები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიწყნარებენ, თუ საუბარი ბუნებას ან ხელოვნებას შეეხება.

17. „ეს არის სპილო, რომელსაც

ვახტანგ თურმანიძე

დაჭრილებს. მართალია, წარმომავლობით თურმანიძეები გლეხები იყვნენ, მაგრამ მეფის კარზე გაწეული ერთგული სამსახურისთვის ამ გვარს აზნაურის წოდება უბოძეს. არსებობს აგრეთვე ისტორიული ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოდან იტალიაში საგანგებოდ მიწვეულმა ერთ-ერთმა თურმანიძემ იტალიის სახალხო გმირი ჯუზეპე გარიბალდი განკურნა და ფეხის ამპუტაციას გადაარჩინა, მას შემდეგ კი, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, მკურნალი თურმანიძეები რუსეთის არმიაში ქირურგებად მსახურობდნენ. სწორედ ამან იქონია გავლენა იმაზე, რომ მოგვიანებით, საბჭოთა ხელისუფლებამ თურმანიძეებს სამკურნალო საქმიანობისთვის ოფიციალური ნებართვა მისცა.

— ცნობილია, რომ უწინ მალამოს დამზადების წესს თურმანიძეები მხოლოდ მათი გვარის მამაკაცებს ან მათ მეუღლეებს გადასცემდნენ. ქალიშვილებს რატომ არ ენდობოდნენ?

— ნამდვილად ასე იყო, ოჯახში რძალს უფრო ენდობოდნენ, რადგან ის უკვე ოჯახის წევრი იყო (მოგეხსენებათ, უწინ რძლები ასე ხშირად არ გარბოდნენ ოჯახებიდან, როგორც ეს ახლა ხდება), გათხოვილ ქალიშვილს კი შესაძლოა, მალამოს დამზადების საიდუმლო ოჯახიდან გაეტანა. მხოლოდ XX საუკუნეში გადაწყვიტეს ჩვენმა წინაპრებმა, რომ ეს საიდუმლო ქალიშვილებისთვისაც გაენდოთ, და პირველები, ვინც ამ საქმეს დაეუფლნენ, ჩემი მამიდები – თამარ და ქეთევან თურმანიძეები იყვნენ. მკურნალი გახლდათ მამაჩემიც, ექიმი ვახტანგ თურმანიძე, რომელსაც დაევალა, რომ ჩა-

ოლინკა თურმანიძე

ეტარებინა „თურმანიძეების მალამოს“ მეცნიერული კვლევა-ძიება. სწორედ ამ კვლევის დადებითი შედეგების წყალობით გახდა შესაძლებელი, თურმანიძეების მალამოს მასობრივი გამოყენება კლინიკებში. მეორე მსოფლიო ომის დროს, მამა ფრონტზე იბრძოდა და თავის მალამოს იქაც წარმატებით იყენებდა. ჩემი უფრო შორეული წინაპრები კი, სამკურნალო საქმიანობას ქუთაისში ეწეოდნენ. მამაჩემის ბებია ოლინკა თურმანიძე, მისი შთამომავლები ანასტასია და ვალოდია თურმანიძეები მხოლოდ მალამოს კი არ ამზადებდნენ, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ავადმყოფებს სახლშიც მკურნალობდნენ. ჩვენ ახლაც გვაქვს ქუთაისში შემორჩენილი წინაპრების სახლი, სადაც სარდაფები ამბულატორიად იყო გამოყენებული.

— თქვენი გვარი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ყველას შეუძლია მალამოს დამზადება?

— თბილისში მკურნალი თურმანიძეების მხოლოდ ორი ოჯახია. ისე კი, ჩვენი გვარი საკმაოდ დიდია. ჩემი მოგვარეები აჭარაშიც კი გავიცანი. გაგიკვირდებათ, მაგრამ თურმანიძეები თურქეთშიც ცხოვრობენ. XX საუკუნის დასაწყისში თურქეთში სოფელი თურმანიძე არსებობდა. სამწუხაროდ, ვერ დავადგინე დღემდე თუ არსებობს ეს სოფელი. მკურნალი თურმანიძეების შთამომავლები მხოლოდ ისინი არიან, ვისი ფესვებიც იმერეთიდან, სოფელ შორაპნიდან მოდის.

— როგორ მოახერხეთ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში შეინახეთ მალამოს დამზადების საიდუმლო?

— საერთოდ, თურმანიძეები ძალიან ერთგული და საკუთარი გვარის პატრიოტი ხალხია. საიდუმლოს შენახვა რთული ნამდვილად არ არის. მისი დამზადების პროცესი ჩვენთვის გარკვეული ოჯახური რიტუალია. როდესაც მე ან დედაჩემი მალამოს ვამზადებთ, აუცილებლად განვმარტოვდებით ხოლმე. სიმშვიდე და სიწყნარე ამ დროს აუცილებელი პირობაა. ერთს გეტყვით მხოლოდ: წმინდა ნაწილები ჩვენი მალამოს შემადგენლობაშიც შედის. ამ წლების განმავლობაში ბევრი უიმედო პაციენტი გადაგვირჩენია, ადამიანი მოუყვანიათ III-IV ხარისხის დამწვრობით – როდესაც

ოპერაცია ფაქტობრივად, გარდაუვალია – და „თურმანიძის მალამოს“ საშუალებით განკურნებულა.

— საზოგადოებისთვის ცნობილი პაციენტები თუ გყოლიათ?

– მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სახლის კარი ყოველთვის ღიაა ნებისმიერი ადამიანისთვის, ვნებავთ, პოპულარული და ვნებავთ, სრულიად უცნობისთვის. ჩვენთვის არ არსებობს განსაზღვრული სამუშაო საათები. ყოფილა შემთხვევები, როდესაც დილის 5 საათზე მოუყვანიათ „სასწრაფო დახმარების“ მანქანით პაციენტები. რა თქმა უნდა, ბევრი ცნობილი ადამიანიც მოსულა დახმარების სათხოვნელად. ჩემთვის კი ყველაზე საყვარელი პაციენტი პაატა ბურჭულაძის შვილი იყო.

— გარკვეული ასაკი თუ გაქვთ დაწესებული, როდესაც ოჯახის წევრს მალამოს დამზადების საიდუმლოს აზიარებთ?

– ამგვარი წესები არ არსებობს. მაგალითად, მე მალამოს დამზადება ბავშვობიდან ვისწავლე. თავდაპირველად, მამას ვეხმარებოდი პაციენტების მიღებაში: ხან წყალს ვაწვდიდი, ხან ბინტს, მოგვიანებით, ჭრილობის შეხვევაც მანდო და მალამოს დამზადების პროცესსაც დამასწრო. მე ეს საიდუმლო ჩემს შვილსა და რძალს გადავეცი და ჩემ შემდეგ ისინი გააგრძელებენ ამ საქმეს.

— მალამოს ხელით ამზადებთ, როგორც ვიცი, შესაბამის ლიცენზიასაც ფლობთ. ხომ არ გიფიქრიათ, რომ მალამო ქარხნული წესით დაგემზადებინათ და უფრო დიდი ოდენობით გამოგეშვათ?

– არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ მალამო სერიული სახით გამოვუშვათ *(როგორც ცნობილია, მკურნალ თურმანიძეთა მეორე ოჯახი სერიული წარმოების მომხრეცაა და ამ მალამოს აფთიაქში შეძენაც შესაძლებელია. – ავტ.)*. აუცილებელია, რომ იგი ხელით მომზადდეს, უშუალოდ უნდა შეეხო წამალს (თითქოს, ჩვენ ხელიც მადლიანი გვაქვს) და აუცილებლად ქილებში უნდა მოათავსო. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, სამუშაოდ ისრაელში მიწვევდნენ და საუკეთესო პირობებს მთავაზობდნენ. სიმართლე გითხრათ, ძნელი იყო გამეძლო ცდუნებისთვის, მაგრამ შემეშინდა, რომ იძულებით არ ეთქმევინებინათ ჩემთვის მალამოს დამზადების საიდუმლო ან სულაც საიდუმლოდ არ ეთვალთვალათ. ამის გამო წასვლაზე უარი ვთქვი. ახლა თურქეთში მცხოვრები ჩემი მოგვარეები მთხოვენ იქ ჩასვლას...

ნანა თურმანიძე: როდესაც მე ან დედაჩემი მალამოს ვამზადებთ, აუცილებლად განვმარტოვდებით ხოლმე. სიმშვიდე და სიწყნარე ამ დროს აუცილებელი პირობაა.

როგორც ქალბატონმა ნანამ საუბრის დასასრულს გვითხრა, თურმანიძეების გვარი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც გვხვდება. მაგალითისთვის, მან კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და გრიგოლ აბაშიძის პოემა „გიორგი VI“ მოიყვანა. თუმცა ყველაზე მეტად აკაკი წერეთლის პოემის – „კიკოლას ნაამბობის“ ნაწყვეტი მენიშნა, სადაც მგოსანი ვინმე მკურნალ თურმანიძეს ახსენებს.

ნანა თურმანიძე

„...იმერელი ვარ ნამდვილი,
იმერეთს დაბადებული.
გვარადაც თურმანიძე ვარ,
ჯანიოზობით ქებული.
თვით უკვდავების წყაროში
მოზელილი მაქვს მალამო,
მაგრამ ამ საიდუმლობას
დიდი სიფრთხილით ვმალავო.
ანდერძი საგვარეულო გვიწერს,
რომ უნდა დავფაროთ,
და მოსწავლედაც სხვა გვარის
ვერავინ ვერ მივიბაროთ.
ქალებსაც კი ვერ ვასწავლით,
წესი ამსაც გვაფრთხილებს,
რომ მერე მათ არ გადასცენ
ეს ცოდნა ქმარსა და შვილებს.
მხოლოდ იმ ჩვენს გვარს ეკუთვნის
ის სამკურნალო ხელობა
და უხსოვარი დროც არის
ამისი ძველისძველობა...“ ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ბულბული ჰყავს გადაყლაპული“, – წერდა პარიზული ჟურნალი „ექსპრესი“ მომღერალ მონსერატ კაბალიეს შესახებ.

18. ადამიანის თმა ტყვიასა და სპილენძზე მტკიცეა. ამ მხრივ მას მხოლოდ ფოლადი თუ შეედრება. იგი კვადრატულ სანტიმეტრზე 5 ტონის ზეწოლას უძლებს.

19. ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრალიამ, ინდოეთმა და ახალმა ზელანდიამ ფაშისტურ გერმანიას ომი 1939 წლის 3 სექტემბერს გამოუცხადეს. იგივე ნაბიჯი აშშ-ის მთავრობამ მხოლოდ 1941 წლის 11 დეკემბერს გადადგა.

20. ფრანგი ფსიქოლოგი ფრანსუა სიურჟე წერს, რომ ადამიანი საუბრისას ინფორმაციის 38% ინტონაციიდან იღებს, 55%-ს ჟესტებიდან და მიმიკიდან და მხოლოდ 7%-ს სიტყვებიდან.

21. ინგლისელმა იქტიოლოგმა და მწერალმა ფრენკ ბანკლანდმა თევზი პინაგორი აღწერა, რომელიც დღემდე, დელიკატესად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ფრენკ ბანკლანდი ამტკიცებს, რომ იგი გემოთი ტკბილ წებოს წააგავს. საქმე ისაა, რომ ამ თევზის დედალი და მამალი გემოთი ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან.

22. ობობის ზოგიერთი სახეობა თავისი ქსელის ცენტრში შედარებით სქელი ძაფებისგან გარკვეული სახის ზიგზაგებს ქსოვს. ამას იმ მიზნით აკეთებს, რომ ფრინველებმა შეამჩნიონ ბადე და შემთხვევით არ გახიონ იგი.

23. XVIII საუკუნეში გერმანელ არისტოკრატებში პოპულარული იყო ე.წ. „ხის ბიბლიოთეკები“. „წიგნებად“ გამოიყენებოდა გარკვეული ჯიშის ხის ყუთი, რომელიც იმავე ხის მერქნით იყო მოპირკეთებული და შიგ ამ ხის ნაყოფის, თესლის, ფესვის, ფოთლის ნიმუშები, მერქნის ნახერხი და ხის აღწერილობა იდო.

24. 1977 წელს, მილანში პატარა ბიჭი დაიკარგა. – დედას კალთაზე რატომ არ მოჰკიდე ხელი? – ჰკითხეს მას გამვლელებმა. – იქამდე ვერ ვწვდები! – თავი იმართლა ბავშვმა. P.S. ალბათ ზედმეტია მკითხველისთვის იმის შეხსენება, რომ იმ დროს, მინიკაბებისა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის მოდა ბატონობდა. ■

ᲓᲐᲚᲢᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲯᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲝᲜᲔᲑᲘ

მსოფლიოში ცნობილი მომღერალი მადონა საკმაოდ მდიდარი ადამიანია. 45 წლის სუპერვარსკვლავის კაპიტალი დაახლოებით 400 მლნ დოლარს შეადგენს. ბუნებრივია, ძალზე ბევრ ადამიანს ამერიკაში და მის ფარგლებს გარეთაც აინტერესებს — როგორ იყენებს და რაში ხარჯავს იგი ფულს. მაგრამ ათასობით მელომანის კერპს არ უყვარს თავის პირად ცხოვრებაზე ზედმეტი ლაპარაკი და მით უმეტეს, ფულთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება. უფრო მეტიც — ის ხშირად, ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომელიც საზოგადოებისგან მისი პირადი ცხოვრების დეტალების დაფარვისკენაა გამიზნული. 20-წლიანი კარიერის მანძილზე, მადონა გამუდმებით იცვლიდა არა მარტო გარეგნობას, არამედ აღმსარებლობასა და სექსუალურ ორიენტაციასაც კი.

ის მართლაც, ძალზე მდიდარი ადამიანია, მაგრამ მუდამ კიცხავდა ე.წ. მომხმარებელთა საზოგადოებას, რადგანაც კარგად ახსოვს – როდესაც პირველად მოხვდა ნიუ-იორკში, გაცრეცილ ხელჩანთაში მხოლოდ 80 დოლარი ედო... და თუმცა ახლა როკდედოფალი ელისაბედ მეორეზე მდიდარია, მას არ უყვარს, როცა ე.წ. ბოჰემურ-ბურჟუაზიულ წრეს მიაკუთვნებენ. ინგლისში მას ხუმრობით „ბომჟს“ ეძახიან, რადგან მას მუდმივი საცხოვრებელი არა აქვს: მომღერალი ხან თავის ლონდონურ სახლში ჩერდება, ხან, რამდენიმე თვე – ნიუ-იორკულ ბინაში. მას ხშირად ხედავენ მეუღლესთან – გაი რიჩისთან, 7 წლის ქალიშვილთან ლურდთან და 3 წლის ბიჭთან როკისთან ერთად, ბევერლი-ჰილზზე მდებარე მის საკუთარ ვილაში. მადონას სურს, შეიძინოს აგრეთვე მამული ბრიტანეთის დედაქალაქის მახლობლად. სხვათა შორის, ნიუ-იორკის ბინა მას 1 მლნ დოლარი, სახლი ლონდონში – 9, ხოლო ვილა ბევერლი-ჰილზზე – 12 მლნ დოლარი დაუჯდა. მამული, რომელიც როკვარსკვლავს თვალში მოუვიდა, თურმე 14 მლნ დოლარი ღირს.

მადონას ყოველი დილა იწყება მოთელვით მწვრთნელთან ერთად, რომელსაც სახელგანთქმული ქალბატონი ყოველთვიურად 2.000 დოლარს უხდის. საუზმეს მოსდევს იოგის გაკვეთილი, რომლის მასწავლებელსაც მადონამ 6.000-დოლარიანი ხელფასი დაუნიშნა. მადონას თავად უყვარს საყიდლებზე სიარული და ამ საქმეში შვილებმა რომ არ შეუშალონ ხელი, დაქირავებული ჰყავს სამი ძიძა, რომლებსაც კვირაში 6.000-ს უხდის. მაღაზიების შემოვლისას, ვარსკვლავს 2 პირადი მცველი დაჰყვება, თითოეული მათგანი ყოველდღე 1.200 დოლარს იღებს.

სურსათს ჭარბად არ ყიდულობს, რადგან ხშირად იცავს დიეტას. მის მაცივარში მუდამ არის „პოპ-კორნი“, სუში, სოკო და საყვარელი სასმელი – „რედ ბული“. გამოცდილი მზარეული კი, ყოველდღიურად სხვადასხვა დაბალკალორიულ კერძს უმზადებს მადონას და ამისთვის გასამრჯელოდ წელიწაში 144 ათას დოლარს იღებს.

საყიდლებზე მომღერალი ჩვეულებრივ, ორი მანქანით დადის: ესაა 45 ათას დოლარად ღირებული BMW ან 50-ათასიანი Mercedes 600. მის ფარეხში დგას აგრეთვე Mini Cooper (30.000) და 2 Lincoln (თითოეული – 40.000), რომლებიც მისი თანაშემწეებისა და მოახლეებისთვისაა განკუთვნილი.

როცა ოკეანის გაღმა უწევს მოგზაურობა, ის საგანგებოდ ქირაობს ლაინერს, რომლის თითოეული რეისი 50 ათასი დოლარი ჯდება. მნიშვნელობა არა აქვს, ის მარტო მოგზაურობს თუ ოჯახთან ერთად, მადონა ყოველთვის მრავალრიცხოვან ამალას იახლებს ხოლმე თან. გუნდში ყოველთვის იხილავთ პირად დალაქს ლუიჯი მურენს, რომლის ოსტატობა



ვარსკვლავს თვეში 18 ათასი დოლარი უჯდება; პარიზში მოხვედრისას, სადაც ამ რამდენიმე ხნის წინ, მისი წიგნის – „ინგლისის ვარდები“ პრეზენტაცია გაიმართა (სხვათა შორის, ეს წიგნი არა მარტო საფრანგეთში, არამედ ინგლისსა და აშშ-შიც ბესტსელერად იქცა), მადონა აუცილებლად მიემართება სენ-ჟერმენ დე პრეს უბანში და იქ მდებარე ანტიკვარიატის მაღაზი-

მადონა მეუღლესთან გაი რიჩისთან ერთად

ებში დიდძალ თანხას ტოვებს. ის თავს ესთეტად მიიჩნევს და სკანდალურად ცნობილი, თავისებური მექსიკელი მხატვარი ქალის – ფრიდა კალოს ტილოებს აგროვებს, რომლებიც დღემდე, უკვე 5 მლნ დოლარამდე დაუჯდა. ბუნებრივია, ამით არ შემოიფარგლება და სხვა მხატვრების ნაწარმოებებშიც ათასობით დოლარი აქვს დახარჯული.

მადონა დაეხმარა თავის უმცროს ძმას კრისტოფერს, ლონდონში რესტორანის გახსნაში. თუმცა, პოპვარსკვლავის განკარგულებით, მის კლიენტებს არ შესთავაზებენ სპირტიან სასმელებს და მხოლოდ მინერალური წყლით შეუძლიათ პირის გასველება.

როგორც ცნობილია, ბოლო დროს მომღერალი საკუთარ თავს კაბალიზმის (იუდაიზმთან მიახლოებული ფილოსოფიურ-რელიგიური დოქტრინის) მიმდევრად აცხადებს. მან ლონდონში კაბალისტური ცენტრის გასახსნელად ცოტა ხნის წინ 5 მლნ დოლარი გაიღო, მიმდინარეობის სულიერ ლიდერს კი 300 ათასი გადასცა ძღვნად.

როგორც დასავლური პრესის ფურცლებზე აღნიშნავენ, მადონა თავის გარეგოცვაზე ყოველთვიურად სულ 130 ათას დოლარს ხარჯავს. რაც შეეხება შემოსავლებს – როგორც ცნობილია, ისინი მოაქვს საკონცერტო გამოსვლებს, გამოშვებულ დისკებს და 1992 წელს დაარსებულ მუსიკალურ და აუდიოვიზუალურ ფირმას – „მევრიკ რეკორდს“, რომლის ყოველწლიური მოგება 100-დან 150 მლნ დოლარამდე მერყეობს. ასეთი შემოსავლის პატრონს ნამდვილად შეუძლია, მისცეს თავს უფლება, ფუფუნებაში იცხოვროს...

■

კლაუდია შიფერი ორგზის დედა გახდემა

33 წლის გერმანელი სუპერმოდელი მეორე შვილის მოლოდინშია – აუწყებს თავის მკითხველს გაზეთი „შპიგელი“, რომელიც ამ ცნობის გავრცელებისას, თავად კლაუდიასა და მისი ქმრის, კინოპროდიუსერ მეთიუ ვონის მიერ მეგობ-

ბრებისთვის გამჟღავნებულ ინფორმაციას ეყრდნობა. „ის სახარულისგან მეშვიდე ცაზეა, – უთქვამს ვარსკვლავური წყვილის ერთ-ერთ მეგობარს. – ცოლ-ქმარს ძალიან უნდა, რომ მათ წლინახევრის ბიჭუნას კასპარს და გაუჩნდეს“. ორსულობა შიფერს ჯერ არ ეტყობა, ბავშვი სავარაუდოდ, წლის ბოლოს მოევლინება ქვეყანას.

■

ახალგაზრდა ქალი ჯინოვარსკოვაის დეკნისთვის დააკავეს

კეტრინ ზეტა-ჯონსმა და იმის ოჯახის წევრებმა შვებით ამოისუნთქეს, როცა მათ აუწყეს, რომ სწორედ ის ქალი, რომელიც სავარაუდოდ, ვარსკვლავს მოსვენებას არ აძლევდა, დაკავებულია. რამდენიმე კვირის წინ, კეტრინ ზეტა-ჯონსმა ლოს-ანჯელესის შერიფს აცნობა, რომ ვიღაც გამუდმებით ემუქრება ფოსტითა და ტელეფონით. „ზარები და წერილები ბოლო დღეებში სულ უფრო აგრესიული და სპეციფიკური გახდა, – აღნიშნა ამასთან დაკავშირებით შერიფის თანაშემწემ. – შესაძლოა, საქმე გვაქვს შეშლილ ფანთან, ვარსკვლავის რომელიმე ყოფილ მოსამსახურესთან ან გადამღები ჯგუფის წევრთან“. დაკავებული – 32 წლის დაუნეტ ნაიტი თავის დანაშაულს უარყოფს, ასე რომ, კითხვებზე პასუხების გაცემას გამოძიებასა და სასამართლო მოსმენისგან ელიან.

■

კამერონ დიასს თავი უშნოდ ეჩვენება

ცნობილმა ფოტომოდელმა და ჰოლივუდელმა ვარსკვლავმა კამერონ დიასმა ბრიტანულ „სანს“ გაუზიარა ეჭვი, რომელიც ზოგჯერ, სარკეში ჩახედვისას ღრღნის: „არის დღეები, როდესაც მიმზიდველად ვგრძნობ თავს, მაგრამ ზოგჯერ, სარკეში ჩახედვისაც კი მეშინია. ასევე ძალიან არ მომწონს ჩემი უკანალი...“ – დასძინა 32 წლის დიასმა. სულ ცოტა ხნის წინ ის ამბობდა, რომ გათხოვებას არ აპირებს, რადგან დამოუკიდებლობა ძვირად უღირს, მაგრამ ამჯერად, სრულიად მოულოდნელად აღნიშნა – ვისურვებდი, კანონიერ ქორწინებაში შვილები მყოლოდაო... „ახლა დაბეჯითებით ვიცი, რომ ქალი ცხოვრებაში ერთხელ უნდა გათხოვდეს და ისეთი არჩევანი გააკეთოს, რომელიც სულიერ სიმშვიდეს მოუტანს“ – აღნიშნა ვარსკვლავმა და ბოლოს, ჟურნალისტს კიდევ ერთი შეხედულება გაანდო: „არ შემიძლია, სასიყვარულო კავშირი შევინარჩუნო მამაკაცთან, რომელიც მუდამ ჩემ გვერდით არაა. დისტანციური ურთიერთობა ჩემთვის მიუღებელია“. როგორც „სანის“ კორესპონდენტი წერს, ალბათ, სწორედ ამით აიხსნება მისი ამასწინანდელი ჩასვლა ავსტრალიაში, სადაც კამერონის ახალგაზრდა შეყვარებულს ჯასტინ ტიმბერლეიკს საკონცერტო ტურნე ჰქონდა. ■

მერაია ქერიმ მავშვების ჩაცმულობაზე ზრუნვა გადაწყვიტა

ბევრი ცნობილი მსახიობის, მომღერლისა თუ სპორტსმენის მსგავსად, მერაია ქერიც არ ჩამორჩა მოდურ ტენდენციას – თქვას საკუთარი სიტყვა მოდის ბიზნესში და ამ რამდენიმე ხნის წინ, გოლფის მოთამაშეებისთვის განკუთვნილი ტანსაცმლის თავისი პირველი ხაზი ჩაუშვა წარმოებაში. ამას მოჰყვა სხვადასხვა აქსესუარისა და საიუველირო ნაწარმის კოლექცია. სულ ახლახან კი, მომღერალმა, რომელიც არასდროს გამოირჩეოდა ბავშვებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით, განაცხადა, – ყველაზე პატარებისთვის განკუთვნილ კოლექციაზე ვმუშაობ. მისი თქმით, ბავშვებს მრავალფეროვან და ხალისიან ტანსაცმელს შესთავაზებს. ■

მრედ პიტს ტუჩემისა და თრჩსილემის ღიმვა ჰყვარებია

ეს საიდუმლო ჰოლივუდელი ვარსკლავის უმცროსმა დამ ჯული ნილმა გასცა, რომელმაც ჟურნალისტთან საუბრისას აღნიშნა: ბრედი თავისებური ჰობით იქცევს თავს, როცა ჩემს ოჯახში 6 წლის ტყუპი დისშვილის სანახავად და მათ გასართობად მოდისო... ბრედ პიტს სამი ძმისშვილიც ჰყავს, რომელთა მამა – მსახიობის უმცროსი ძმა დაგი ხაზს უსვამს იმას, თუ რარიგ უყვარს ბავშვები ბრედს, რომელსაც ჯერ მამობის სიხარული არ განუცდია. ის და მისი კოლეგა ცოლი ჯენიფერ ენისტონი შვილის ყოლას მომავალში აპირებენ. ■

გვინეტ პელტროუ შვილს მოცარტის მუსიკით ამინებს

„ახალგამომცხვარ“ ჰოლივუდელ დედიკოს სურს, ამთავითვე აზიაროს თავისი ნამცეცა გოგონა – ეფლი, გენიოსი კომპოზიტორის მუსიკას, რათა მას იდეალური სმენა და კარგი გემოვნება განუვითარდეს. ეფლი ჯერ მხოლოდ 6 კვირისაა, მაგრამ მისი ვარსკვლავი დედიკო ირწმუნება, რომ ყველაზე კარგად სწორედ კლასიკური მუსიკის თანხლებით იძინებს... თუმცა, მსახიობი ზოგჯერ უშვებს გამონაკლისს, რათა შვილს მისი მამის კრის მარტინის ჯგუფის – Coldplay-ს სიმღერებიც გააცნოს – გვინეტისა და კრისის სახლში გამუდმებით ისმის მოცარტი და დროდადრო – Coldplay, ოღონდ ეს უკანასკნელი – ძალზე ხმადაბლა...“ – აღნიშნა ჟურნალისტთან საუბრისას ინკოგნიტოდ დარჩენილმა წყვილის მეგობარმა და დასძინა: „როცა გვინეტი შინიდან გადის, ის ჩართულს ტოვებს DVD-ის, რომელზეც ჩაწერილია მისი საყვარელი ფილმი – „შეყვარებული შექსპირი“, იმისათვის, რათა ეფლს დედიკოს ხმა ამშვიდებდეს...“ ■

Toyota-ს უსაფრთხოების სისტემისთვის ხუთიანი დაუნერეს

Toyota Corolla Verso-მ წარმატებით გაიარა სტანდარტის – EuroNCAP კრეშ-ტესტი და უმაღლესი შეფასება – 35 ქულა და 5 ვარსკვლავი მიიღო. წინათ, მსგავსი წარმატებისთვის იაპონური კომპანიის მოდელებს შორის მხოლოდ Avensis-ს მიუღწევია. „კოროლა ვერსოს“ შემთხვევაში, ევროპელი ექსპერტები განსაკუთრებით გამოყოფენ უსაფრთხოების ფრონტალური ბალიშების ეფექტურობას და აგრეთვე, საგანგებოდ მძღოლის მუხლების დასაცავ ბალიშს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მანქანის სალონში მყოფი მგზავრები გვერდებიდანაც მაქსიმალურად დაცული იქნებიან.

Toyota Corolla Verso მესამე კომპაქტური ვენია, რომელსაც მიენიჭა 5 ვარსკვლავი EuroNCAP-ის კრეშ-ტესტის გავლისას. მანამდე ასეთი შეფასების ღირსად Renault Scenic და Volkswagen Touran ჩათვალეს. „ტოიოტა კოროლა ვერსო“ ორგვარი – ხუთ და შვიდადგილიანი ვერსიით გამოდის. ეს მოდელი დიდი ფუნქციონალობით გამოირჩევა: სისტემის – Easy 7 – წყალობით შესაძლებელია, უმარტივესი ოპერაციების შედეგად, დაკეცოთ ყველა (ცხადია, წინას გარდა) სავარძელი და სალონი იდეალურად სწორ სატვირთო პლატფორმად გადაქციოთ. იმ ძრავებს შორის, რომლებითაც კომპაქტური ვენი აღიჭურვება, სპეციალისტები განსაკუთრებით გამოყოფენ 116 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის აგრეგატს D-4D-ს, რომელიც სედანის – Avensis-ის წყალობითაა ცნობილი. „კოროლა ვერსო“ აღიჭურვება აგრეთვე 1,6 და 1,8 ლ სამუშაო მოცულობის ბენზინის ძრავებით, რომელთა სიმძლავრე შესაბამისად, 110 და 129 ცხ.ძ-ს შეადგენს. ■

განახლებული Hyundai Trajet

ეს მინივენი კორეული კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროდუქტია. 4,7 მ სიგრძის მანქანაში 7 მგზავრი ეტევა. ცოტა ხნის წინ, Trajet მოდერნიზაციის ობიექტი გახდა: შეიცვალა მაშუქების ფორმა, რადიატორის ცხაურს ქრომირებული დეტალები შეემატა, საბაზო კომპლექტაციას კი – კლიმატ-კონტროლი და საბორტო კომპიუტერი. სალონის ზომები არ შეცვლილა. განახლებული „ტრაჯეტის“ სატვირთო დანაყოფი, დაკეცილი სავარძლების შემთხვევაში, უწინდებურად 2700 ლ მოცულობისაა. ოპციის სახით ახლა მომხმარებელს შესთავაზებენ ტყავის სალონსა და გამჭვირვალე, პანორამულ სახურავს, რომელიც ელექტროამძრავის მეშვეობით იმართება. Trajet-ის საუკეთესო ვერსია, V ტიპის 6-ცილინდრიანი, 2,7 ლ მოცულობისა და 173 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავთი აღიჭურვება. მისგან განსხვავებით, საბაზო ვერსიას 2 ლ-იანი, 140 ცხ.ძ-იანი აგრეგატი აქვს. ■

სისწრაფის „ჰაინდი“ – Noble



იტალიასთან ერთად, ბრიტანეთი მოხდენილი სპორტული ავტომანქანების დაპროექტებისა და წარმოების მსოფლიო ცენტრს წარმოადგენს. ცნობილი ფირმების – Lotus-ისა და Morgan-ის გარდა, სპორტული მანქანების წარმოებასა და ტიუნინგს არაერთი წვრილი ფირმაც მისდევს, მათ შორის – Noble. ინგლისის ქალაქ ბირმინგემში სულ ცოტა ხნის წინ გამართულ ავტოსალონზე მან თავისი რამდენიმე ახალი ნაწარმი წარმოადგინა. გამორჩეული ადგილი უკავია მოდელ M400-ს, რომელიც M12 GTO-3-ის პლატფორმაზეა აგებული, მაგრამ უფრო მძლავრი აგრეგატითაა აღჭურვილი. M400-ს მართლაც, შესაშური ტექნიკური მახასიათებლები აქვს: V ტიპის 6-ცილინდრიანი, ტურბოდაბერვიანი ძრავა, რომელიც 430 ცხ.ძ-ს ავითარებს. კომპანია Noble იყენებს კორპორაცია „ფორდის“ მიერ წარმოებულ ძრავას – Duratec, თუმცა, ინგლისელმა ინჟინრებმა მისი მახასიათებლების გაუმჯობესება მოახერხეს. 1060 კგ მასის მქონე ავტომანქანა 300 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი, 3,5 წმ-ში აღწევს. Noble უკანაამძრავიანია და 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფით აღიჭურვება. ზღვრულ ჩქაროსნულ რეჟიმს მანქანის პროპორციებიც ემსახურება: სიგრძე – 4,089 მ, სიგანე – 1,885 მ, სიმაღლე – სულ 1,143 მ. Noble M400-ის ფასი 92.000 ევროს შეადგენს. ამ თანხაში გათვალისწინებულია: ტყავის სალონი, ვერტიკალურად რეგულირებადი საჭე, სპორტული სავარძლები. აი, კლიმატკონტროლის, მეტალიკისფრად შეღებვისა და აუდიოსისტემისთვის მსურველს დამატებითი თანხის გადახდა მოუწევს. ■



(დასაწყისი
იხ. „გზა“ № 26)

მცაცვებლის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს თავისი ბიზნესპარტნიორი შალვა ოშხერელი მცხეთაში, ნარკოტიკების გამსაღებლებთან სალაპარაკოდ ჩაიტყუებს. ანდროს თავისი თანამშრომელი და საყვარელი დალი ხაჩიძე ახლავს თან. რესტორანში, სადაც ანდრო და შალვა მოდავეებს ხვდებიან, ვიღაც უმისამართო სროლას ატეხს და ერთ ტყვიას კინაღამ ანდროსაც მოარტყამს. პასუხად, ანდროც რამდენჯერმე გაისვრის ჰაერში. სწორედ იმწუთას, მეზობელ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი იატაკზე უსულოდ დაეცემა. სროლის ხმაზე გასაკვირი ოპერატიულობით მოვარდნილი პოლიციელები ანდროს იარაღით ხელში დააკავებენ...

მეგი ლაღიძემ კვირა დილასაც ჩვეულებისამებრ, ადრიანად გაიღვიძა, თვალი მაშინვე მზის სხივებით განათებული ფანჯრისკენ გაექცა და თავადაც სახე გაუნათდა. თუმცა, მალევე მოიღუშა და გულში საკუთარი თავის ლანძღვას მოჰყვა: „ნამდვილი იდიოტი ვარ... ხომ სულ იმას მარიგებდა ბებიაჩემი, ახალგაღვიძებულზე ფანჯარას არ შეხედო, თორემ, ღამით ნანახი სიზმარი დაგავიწყდებაო. აკი, დამავიწყდა კიდეც!.. არადა, გული ისე უცნაურად მაქვს გამთბარ-გალაღებული, რომ აშკარად რაღაც ძალიან ლამაზი და სასიამოვნო ვნახე“... ბოლოს, მაინც სიამოვნებით გაიზმორა და ლოგინიდან მკვირცხლად წამოხტა.

მეგი ბებიის დანატოვარ პატარა, მაგრამ გემოვნებით მოწყობილ ბინაში ცხოვრობდა. როგორც მისი სიყრმის მეგობრები — ლიკა და ანი ირწმუნებოდნენ, ამ მყუდრო ბინის მთავარი მშვენება მაინც კოპწია სამზარეულო იყო, რომელსაც ხუმრობით „ლაღიძის ყავახანასაც“ ეძახდნენ. მეგი მართლაც, კარგ ყავას ადუღებდა და მეგობრების გამასპინძლებასაც არასდროს იზარებდა. თუმცა, ბოლო შაბათ საღამოს, ტრადიცია მაინც დაარღვია და მეგობრები მკაცრად გააფრთხილა:

— იცოდეთ, ხვალ აქ მოსული არ გნახოთ!..

— ვითომ რატომაო? — იკითხა სამზარეულოს ძველებურ სკამზე კატასავით ნებიერად მოკალათებულმა ანიმ და თან, სურნელოვანი ყავის რამდენიმე ყლუპი მოსვა.

— იმიტომ, რომ ხვალ დილიდან, გენერალური „უბორკა“ უნდა წამოვიწყო.

— საღამოს?.. — მაინც არ მოეშვა ანი.

— საღამოს სამსახურის საბუთები უნდა მოვაწესრიგო.

— ღამე?.. — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა ანიმ და გვერდით მჯდარ მდუმარე ლიკას მხარი წაჰკრა — შემომეშველეო...

— ღამე კაცი ჰყავს დაბარებული... — სანახევროდ მოწეული სიგარეტი საფერფლეში გამეტებით ჩააჭყლიტა ლიკამ და ფეხზე წამოდგა.

— ეჰ, ნეტავ, მართლა ეგრე იყოს და ხვალ კი არა, მთელი კვირა არ დავენახვებოდი! — ამოიოხრა ანიმ და ისიც წასასვლელად მოემზადა. — გასათხოვარი ქალის ამდენი შრომა ნამდვილად არ გამიგია მე!

— მე კი, გათხოვილი ქალების ამდენი წინ და უკან ხეტიალი არ გამიგია! წადით, რა, სახლებში, ქმარ-შვილს მიხედეთ!.. — დაუტატანა თავგასულ დაქალებს მეგიმ...

ანიმ და ლიკამ მეგის ბრძანება მართლაც, პირნათლად შეასრულეს და მთელი დღე ტელეფონითაც კი არ შეხმიანებიან. ამასობაში, მეგიმ ბინის საფუძვლიანი დალაგებაც მოასწრო და სადილის მომზადებაც. შეღამებულზე კი, საწერ მაგიდას მიუჯდა და ის იყო, დოკუმენტებით სავსე საქაღალდე გახსნა, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

— მაინც ვერ მოითმინეს ტუტუცებმა! — გაეღიმა მეგის, მაგიდის კუთხეში მდგარი ტელეფონის ყურმილს დასწვდა და მკაცრად ჩასძახა: — გისმენთ!

— ალო! მეგი, შენ ხარ? — გაისმა ყურმილში ანის შემპარავი ხმა.

— არა, ინგლისის დედოფალი! — ხმა კიდევ უფრო გაიმკაცრა მეგიმ.

— არ გამიბრაზდე, რა... — განაგრძო ანიმ. — ვიცი, რომ დღეს შენი მყუდროება არ უნდა დამერღვია, მაგრამ წეღან ისეთმა ვინმემ დამირეკა, რომ...

— მაინც ვინ? — გააწყვეტინა მეგიმ.

— ვინ და, მისმა უდიდებულესობა დალი ხაჩიძემ...

— დალი ხაჩიძემ?.. — გაკვირვება ვერ დაფარა მეგიმ. — ნეტავ, რამ გაახსენა შენი თავი?..

— ჩემი კი არა — შენი! მე აბა, ვის ვახსოვარ?! ის ნაგიჟარი შენ გეძებს და ჩემთან ამიტომაც დარეკა.

— მე მეძებს? — გაოცდა მეგი. — დალი ხაჩიძე?.. არ უთქვამს, რატომ?

— კი მითხრა, მაგრამ ისე არეულ-დარეულად ლაპარაკობდა, რომ ნახევარი ვერ გავიგე... მოკლედ, გუშინ სა-

ღამოს მცხეთაში ვიღაც ცნობილი ბიზნესმენი თუ მისი შვილი მოუკლავთ...

— ვიცი... მოსკოველი ბიზნესმენის ლადო ალასანიას შვილი მოკლეს... მაგრამ დალის ამ ამბავთან რა კავშირი აქვს?

— ხომ გითხარი — წესიერად ვერაფერი გამაგებინა-მეთქი... მგონი, მკვლელობას დალის შეფს „ტენიან“...

— მაინც, სად პოულობ ამ სიტყვებს? — შეუტია მეგობარს მეგიმ. — „ტენიან“ რაღა უბედურებაა?!.

— ჰო, კარგი — აბრალებენ... — სასწრაფოდ დახვეწა მეტყველება ანიმ. — დამშვიდდი?.. ჰოდა, დალიმ მითხრა — მეგის ნახვა მინდა, იქნებ, ამ საქმეს ხელი მოჰკიდოსო...

— ეტყობა, მართლა ძალიან შავად აქვს მაგის შეფს საქმე, რომ ამდენი წლის მოძულებული მეგობრებიც კი გავახსენდით... — თავისთვის ჩაილაპარაკა მეგიმ.

— გავახსენდით და ეგრე?.. — ისევ აქაქანდა ანი. — კინაღამ ყურმილში გამოძვრა: შენი ჭირიმე და შენ გენაცვალე, მეგის სთხოვე, უარი არ მითხრას, თორემ, დავიღუპებით, დიდი და პატარა მაგის პატიოსნებასა და გამოცდილებაზე ლაპარაკობს და იქნებ, გვიშველოსო...

— ახლა გავხდი პატიოსანი?.. — დამცინავად გაეღიმა მეგის და დაუმატა: — კარგი, უთხარი, დამირეკოს... თუმცა, არა! უმჯობესია, ახლავე ჩემთან მოვიდეს!

— რას შვრები, გოგო?.. — შეიცხადა ანიმ. — ასე უცბად თანხმდები?! ცოტა მაინც გაგვეწვალებინა...

— არა, არა! — გააწყვეტინა მეგიმ. — უთხარი, სასწრაფოდ აქ გაჩნდეს!.. თუ ამ საქმეს ხელი მართლა მოვკიდე, ჩემთვის, როგორც ადვოკატისთვის, ყოველი წუთი ძვირფასი იქნება!

— არა, რა! საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ შენ ჯერ ადვოკატი ხარ და მერე — ქალი... — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ანიმ და შემდეგ დაუმატა: — ისე, თავი მომჭერი, თუ დალი და მისი შეფი საყვარლები არ აღმოჩნდნენ...

— კარგი, კარგი! — გააწყვეტინა მეგიმ. — მსგავსი პიკანტური დეტალები არ მაინტერესებს!..

ამის შემდეგ, მეგი სასწრაფოდ დაეშვიდობა ანის, ყურმილი დადო და ჩაფიქრდა.

...მეგი და დალი ხაჩიძე ერთ დროს, თითქმის განუყრელი მეგობრები იყვნენ. იმდენად განუყრელი, რომ ანი და ლიკა ცოტა კიდეც ეჭვიანობდნენ და მეგის ხშირ-ხშირად ებუზღუნებოდნენ — ასეთი რა გაჭამა ამ ტეტიამ, რომ ბავშვობის მეგობრებს გვამჯობინეო?.. მეგი დაქალების მსგავს იერიშებს გულუბრყვილო არგუმენტებით იგერიებდა, მაგრამ გულში თავადვე ხვდებოდა, რომ ანი და ლიკა მართლები იყვნენ: დალი ხაჩიძე მას მართლაც, განსაკუთრებით მოსწონდა, მეტიც — მისი გამბედაობა თუ თავხედობა სამაგალითოდაც კი ეჩვენებოდა. სოფლიდან გუშინ ჩამოსულმა და მართლაც გაუთლელმა გოგომ ხომ ქალაქური იერიც უსწრაფესად მიიღო და როგორც პროვინციელების უმეტესობას სჩვევია, ბევრ ცნობილ ადამიანსაც მალე დაუახლოვდა და გაუშინაურდა... მოკლედ, საკუთარი თავხედობის წყალობით, დალი მალე ბევრ ისეთ თბილისურ ოჯახშიც მოხვდა, სადაც მეგი საგანგებო მიპატიჟების შემთხვევაშიც კი ვერ გაბედავდა მისვლას...

მაგრამ დალი რის დალი იქნებოდა, რომ გაუბედავი მეგობარიც არ აეყოლიებინა და მალე, მეგიმაც ბევრი, მისთვის საინტერესო თუ სრულიად უინტერესო ადამიანიც ახლოს გაიცნო. მათ შორის იყო მინისტრის ვაჟი კახა სუთიძეც, რომელმაც გაცნობისთანავე დაადგა მეგის თვალი. ამის შემხედვარე, დალიმ ერთი კი გაიბრძოლა, რადგან კახა თავად მოსწონდა, მაგრამ მერე თავისი მომავალი ქმარი — ზაზა აბაშმაძე გაიცნო და ერთხანს, კახა კი არა, მეგის არსებობაც კი დაავიწყდა...

მეგის მახსოვრობას ის პერიოდი ყველაზე ნათელ მოგონებად შემორჩა. კახა მას გვერდიდან საერთოდ აღარ შორდებოდა და ყოველდღე, პატარ-პატარა დღესასწაულსაც უწყობდა. მართალია, მაშინ საკმაოდ მძიმე დრო იყო: თბილისის ომი ის იყო, დამთავრდა და დედაქალაქიცა და ქვეყანაც დიდი გაჭირვებით ლაგდებოდა, მაგრამ კახას განწყობილებას და განსაკუთრებით ჯიბეს ეს ყველაფერი ოდნავადაც არ ეტყობოდა... ის მეგის, გაცნობის პირველი დღეებიდანვე, ხან სად ეპატიჟებოდა და ხან — სად... მერე იყო ულამაზესი პაემნები, ქალაქში თუ ქალაქგარეთ კახას მამის „ფირმა“ მანქანით სეირნობა, პირველი კოცნა, თავდავიწყებამდე მიყვანილი ალერსი და...

აქ მეგიმ ფიქრი შეწყვიტა და ხელი ისე უცნაურად აიქნია, თითქოს ამის შემდეგ რიგში ჯიუტად ჩამდგარი, მტანჯველი მოგონებების გაფანტვას ცდილობსო... სწორედ იმწუთას, შემოსასვლელ კარზე ზარიც დარეკეს.

„დალი მოვიდა!“ — თავად გაუკვირდა, ისე გაუხარდა მეგის და მაშინვე კარის გასაღებად გასწია. თუმცა, ბოლო წუთს, ლამის თანდაყოლილმა სიფრთხილემ სძლია და საჭვრეტელში მაინც გაიხედა. კარის წინ ნამდვილად დალი იდგა და ქარისგან აწეწილ თმას ნერვიულად ისწორებდა.

მეგიმ საკეტი სწრაფად გადაატრიალა, კარი ხმაურით გამოაღო და წლების უნახავი ყოფილი მეგობრები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ...

— გამარჯობა!.. — წამით ჩამოწოლილი უხერხული სიჩუმე დალიმ დაარღვია. — შეიძლება?..

— რა თქმა უნდა!.. მობრძანდი! — განზე გადგა მეგი და სტუმარს გზა დაუთმო.

სასტუმრო ოთახში შესულმა დალიმ ოთახს თვალი ყურადღებით მოავლო და ერთ დროს თავისი საყვარელი, ფართო სავარძელი ისევ ძველ ადგილზე რომ დახვდა, შვებით ამოისუნთქა.

— დაბრძანდი! — სწორედ ის სავარძელი შესთავაზა მეგიმ, რომელსაც სტუმრის რეაქცია არ გამოჰპარვია.

დალი სავარძელში მოხერხებულად მოეწყო, მეგი კი მის პირდაპირ მდგარი ტახტის კიდეზე ჩამოჯდა:

— გისმენ! — მაშინვე საქმეზე გადავიდა იგი. — მომიყევი, რა ხდება?

— ანის საერთოდ არაფერი უთქვამს? — დაინტერესდა დალი.

— ანიმ რაც იცოდა, ყველაფერი მითხრა. შენ ის ამიხსენი, სინამდვილეში რატომ მომძებნე? მეც ანისავით გულუბრყვილო ხომ არა ვარ, რომ უცბად დავიჯერო ყველაფერი?!

— ყველაფერში რას გულისხმობ?

— თუნდაც იმას, რომ გამორიცხულია, თქვენნაირ სოლიდურ ფირმას საკუთარი ადვოკატი არ ჰყავდეს...

— მართალი ხარ, ადვოკატი ნამდვილად გვყავს, თანაც, საკმაოდ გავლენიანი...

— უფრო კონკრეტულად?

— უფრო კონკრეტულად — სულხან ხომასურიძე. რამდენადაც ვიცი, შენც კარგად უნდა იცნობდე...

— კი, ბატონ სულხანს ნამდვილად კარგად ვიცნობ, მაგრამ ის კი ვერ გამიგია, ასეთი ცნობილი ადვოკატის პა-

ტრონებს, ჩემთან რაღა მოგარბენინებთ?

— სულხანი წუხელ, გვიან ღამით, ავარიაში მოყვა...

— რას მეუბნები?!. — შეწუხდა მეგი. — სად?

— ბათუმთან... თურქეთში იყო წასული, ჩვენი ფირმის საქმეებზე და ანდროს ამბავი რომ გაიგო...

— ანდრო შენი შეფია?

— ჰო, ჩვენი ფირმის პრეზიდენტია... — თვალები დამნაშავესავით დახარა დალიმ და ისე განაგრძო: — მოკლედ, ანდრო რომ აიყვანეს, სულხანს მაშინვე თურქეთში დავურეკე. მანაც სასწრაფოდ ყველაფერი მიატოვა და თავისი მანქანით აქეთ გამოეშურა. მაგრამ სიჩქარეში, ბათუმთან ახლოს თვითმცლელს შეასკდა... გონს მხოლოდ ამ საღამოს მოვიდა და პირველი, რაც გააკეთა, მე დამირეკა და მითხრა, შენ მომეძებნე. ამ საქმეს სხვა ადვოკატი არაფრით გაეკაროთო, — გამაფრთხილა...

— ესე იგი, შენს გამოჩენას ბატონ სულხანს უნდა ვუმადლოდე, ხომ?..

— ჰო, ეგრე გამოდის... — ამოიოხრა დალიმ და შემდეგ, ვედრებით დაუმატა: — მეგი, ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრა!..

— კარგი! — გააწყვეტინა მეგიმ. — საქმეს მივხედოთ. ხომ არ იცი, ანდროს საქმეს კონკრეტულად ვინ იძიებს?

— როგორ არა?! — გამოცოცხლდა დალი. — ვინმე სულიკო ჟვანია...

— ეგ ვინმე კი არა, ნამდვილი გაიძვერაა! — ამოიოხრა მეგიმ. — როგორც ბებიაჩემი იტყოდა, ქოთანს საიდანაც უნდა, იქიდან მოაბამს ყურს... მკვლელობის ფაქტს შენც შეესწარი?

— კი.

— იცოდე, არ დამიმალო, იმ კაცს მართლა შენმა შეფმა ესროლა?

— არა, რას ამბობ?! — ხელები გაასავსავა დალიმ. — ანდრომ მარტო ჰაერში გაისროლა! ისიც — მხოლოდ მას შემდეგ, რაც სუფრასთან, რომელსაც ის უბედური ეჯდა, ვიღაცამ უმისამართო სროლა ატეხა და ერთი ტყვია კინაღამ ანდროსაც მოარტყა.

— შენ თუ დაინახე, კონკრეტულად ვინ ისროდა?

— არა, მე იმ მომენტში კახა სუთიძეს ველაპარაკებოდი...

— ვის ელაპარაკებოდი?.. — გული გადაუქანდა მეგის.

— კახა სუთიძეს-მეთქი... შენს... ჩემს... ჩვენს ძველისძველ ნაცნობს... — როგორც იქნა, სათქმელს თავი მოუყარა დალიმ.

— კი, მაგრამ... — ხმა შეეცვალა მეგის. — კახა ხომ მოსკოვშია!

— მეც მოსკოვში მეგონა, მაგრამ თურმე, უკვე ორი თვეა, რაც თბილისში ჩამოვიდა... სხვათა შორის, შენი მოძებნა მთხოვა. მაგრამ მე თავი შორს დავიჭირე: მეგის რა მოძებნა უნდა? უკვე ისეთი ძლიერი ადვოკატია, რომ ნახევარი თბილისი იცნობს-მეთქი... იცი, როგორ გაუკვირდა შენი ადვოკატობა?

— არ უთქვამს, რატომ მეძებს? — ხმა გაებზარა მეგის...

— არა. უფრო სწორად — ვეღარ მოასწრო, იმიტომ, რომ მეზობელ სუფრასთან ზუსტად მაშინ ატყდა სროლა...

— კახა თქვენთან იჯდა თუ?..

— არა, მეზობელ სუფრასთან... საერთოდ, რაღაც უაზრო სუფრა ჰქონდათ... მამაკაცები გაუთავებლად სადღაც გადიშემოდიოდნენ, ქალები კი ნამდვილ „პუტანებს“ ჰგავდნენ... ერთ-ერთს მთელი საღამო ის უბედური ეტორღიალებოდა... საწყალმა ადგილზევე დალია სული... მართლა ძალიან შემეცოდა. მაგრამ ანდრო კიდევ უფრო მეცოდება, იმიტომ, რომ ეს მკვლელობა სულ ტყუილ-უბრალოდ აჰკიდეს... — თვალზე ცრემლი მოადგა დალის.

— თუ ჭკუას ვიხმართ, ვერ აჰკიდებენ!

— რა ვიცი, აბა... — ასლუკუნდა დალი. — ყველა მოწმე ანდროს ადებს ხელს. პოლიციამაც იარაღი რატომღაც, მხოლოდ მას აღმოუჩინა, თითქოს იმ მეორეს, ბუზიც კი არავისთვის აეფრინოს...

— ანდრო ახლა „კა-პე-ზეში“ ჰყავთ?

— ახლა არ ვიცი. წუხელ კი, ნამდვილად იქ იყო — მე თვითონ ვნახე...

— „კა-პე-ზეშიც“ შეაღწიე?

— კი... რა გიკვირს? ჩვენს პოლიციელებს „მწვანეები“ დაანახვე და კაცს თუნდაც, სიკვდილმისჯილის საკნიდან გამოგიყვანენ და გაჩვენებენ... ანდრო ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი წინასწარ იყო მოწყობილი და ვიღაცას, ერთი გასროლით ორი ადამიანის მოშორება ჰქონდა გადაწყვეტილიო. ასეც მოხდა: ის უბედური მკვდარია, ანდროს კი, ციხეში ამოალპობენ...

— კარგი იქნებოდა, შენს ანდროს ცოტა ადრე დაეწყო ფიქრი...

— ვინ გითხრა, რომ ანდრო ჩემია? — გაღიზიანდა დალი.

— არავინ... — მშვიდად უპასუხა მეგიმ. — „შენში“ შენს შეფს ვგულისხმობდი...

— მოხარშულს გიცნობ... — გააწყვეტინა დალიმ. — მაინც ვინ გითხრა, რომ მე და ანდრო...

— აბა, ამას ვინმეს თქმა უნდა?.. — მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა მეგიმ ყოფილ მეგობარს. — შენი ქმარი ვითომ, ვერაფერს ხვდება?

— რომელი ქმარი?.. სადღა მყავს ქმარი?!. — ამოიოხრა დალიმ.

— როგორ?.. — გაოცდა მეგი. — ზაზას გაეყარე?

— არა, თვითონ მიმატოვა... ისე აიღო თავზე ხელი, რომ ბავშვსაც კი აღარ ნახულობს... თავიდან მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მერე ანდროს შევხვდი და...

— მართალი გითხრა, ცოტა კი მიკვირს... — დაიწყო უცბად მეგიმ, მაგრამ დალიმ აღარ აცალა:

— მაინც, რა გიკვირს?.. ვიღაცამ მეც რომ მიმატოვა?

— არა, ანდროს ვგულისხმობ... — მშვიდად განაგრძო მეგიმ. — თავის დროზე ხომ, მარტო იმიტომ შემაქციე ზურგი, რომ შეგეშინდა — შენთვის ზაზა არ წამერთმია...

— ჰო, მაგრამ ანდრო რაღა შუაშია?!

— ხომ შეიძლება, ისტორია განმეორდეს?!. შენს ანდროს ჯერ არ ვიცნობ პირადად, მაგრამ უკვე ვხვდები, რომ ზაზას არაფრით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს. ასე არ არის?

— ასეა... — ამოიოხრა დალიმ. — უკეთესიცაა...

— მერე არ გეშინია, რომ ახლა ანდროს წართმევა დაგიპირო?

— არ მეშინია! — კიდევ ერთხელ ამოიოხრა დალიმ, — იმიტომ, რომ ანდრო მე ნამდვილად არ მეკუთვნის...

— რატომ?.. ცოლ-შვილი ჰყავს?

— ჰო. მაგრამ ეგ არ არის მთავარი. უბრალოდ, ანდროსნაირი მამაკაცის დაპატრონება ნებისმიერ ქალს ძალიან გაუჭირდება... ანდრო ყოველთვის იქ და იმასთან არის, ვინც თავად უნდა. სხვების სურვილებს კი, ნაკლებად ითვალისწინებს...

— ახლა კი, მართლა ძალიან მიკვირს — შენ რამ შეგაყვარა ასეთი კაცი?..

— მართალი გითხრა, მეც მიკვირს... — მხრები უმწეოდ აიჩეჩა დალიმ და შემდეგ დაუმატა: — ისე, ალბათ, ანდროს ცოლზეც უნდა იცოდე ცოტა რამ...

— მაინც რა?.. — გაეღიმა მეგის. —



ეჭვიანობის სცენებს როგორ გიწყობს?

— არა, ჩვენ ერთმანეთს საერთოდ არ ვიცნობთ... ანდრო და ის ერთმანეთს ჩემამდე დაშორდნენ... თუმცა, დღემდე აშანტაჟებს და დროდადრო, დიდ თანხასაც სძალავს. ამიტომაც მეშინია, რომ ანდროს ახლანდელი მდგომარეობითაც ბოროტად არ ისარგებლოს...

— კარგი, მაგ მომენტსაც გავითვალისწინებ. კიდევ რა გაღელვებს?

— კიდევ — ანდროს ძმაკაცი შალვა ოშხერელი. ოფიციალურად ანდროს ბიზნესპარტნიორია, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ძირს უთხრის... ძალიან ოხერი ვინმეა. ანდროს ხან რა შარში ხვევს და ხან — რაში... გუშინაც, მცხეთაში თავისი გაფუჭებული საქმის გასარკვევად ჩაგვიყვანა...

— მაინც რა საქმეა?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მგონი, ნარკოტიკებთან უნდა იყოს დაკავშირებული...

— გასაგებია... — ჩაფიქრდა მეგი. — როგორც ჩანს, შენი შეფი ყველგან შარშია გახვეული...

— კი, ნამდვილად ასეა...

— კარგი! — ფეხზე წამოდგა მეგი. — ახლა მეტს ველარაფერს გავარკვევთ, ხვალ დილიდან კი, უამრავი საქმე გვექნება გასაკეთებელი. ცხადია, თუ უკვე არ დავაგვიანეთ... მე დილიდან საადვოკატო ბიუროში შევივლი, ორდერს ავიღებ და შენი შეფის საქმეს ოფიციალურად გამოვითხოვ. მერე თავად მის ნახვას შევეცდები — თუ შემახვედრეს, რა თქმა უნდა...

— როგორ?.. — შეწუხდა დალი. — შეიძლება, არ შეგახვედრონ?

— კი, ჩვენში, სამწუხაროდ, ყველაფერი შეიძლება...

მეხუთე საპყრობილეში გადაყვანილი ანდროს ნახვის ნება მეგის მხოლოდ გამომძიებელ სულიკო ჟვანიას გამოჩენის შემდეგ დართეს. ამ უკანასკნელმა კი, მეგის დანახვაზე, ხელები თეატრალიზებულად გაშალა:

— მეგი, ჩემო კარგო! არ მითხრა ახლა, ანდრო სვანიძის დაცვას ვაპირებო!..

— ვაპირებ, ბატონო სულიკო, — მშვიდად მიუგო მეგიმ, — თუ, რაღა თქმა უნდა, თქვენთან გამკლავება მოვახერხე...

— მე აბა, რა შუაში ვარ, ჩემო კარგო?! — სახეზე კმაყოფილი ღიმილი დაეფინა სულიკოს. — ფაქტები, ფაქტები წყვეტენ ყველაფერს!

— არა მგონია, მთლად ასე მარტივად იყოს საქმე... — ხმა გაიმკაცრა მეგიმ. — მასალებს უკეთ რომ გავეცნობი, ჩემს აზრს მერე მოგახსენებთ.

— რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, საქმესაც გაეცნობი და შენს ახალ კლიენტსაც... სხვათა შორის, ძალიან სიმპათიური ვინმეა... — უშნოდ გაიკრიჭა სულიკომ.

— ძალიან კარგი, — მინიშნება არ შეიმჩნია მეგიმ. — მიყვარს სიმპათიურ კლიენტებთან ურთიერთობა...

მეგის ჯერ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ გამომძიებელმა უცბად, პირი ისე დააღო, თითქოს ჰაერი აღარ ჰყოფნისო...

— ცუდად ხომ არ ხართ, ბატონო სულიკო? — შეშინდა მეგი.

სულიკომ პიჯაკის ჯიბიდან წამლის მომცრო ბალონი დააძრო, ღილაკს თითი დააჭირა და სითხე პირში შეიშხაპუნა:

— არ მომსპო ამ ოხერმა?! — სული ძლივსღა მოითქვა მან და ბალონი ისევ ჯიბეში შეინახა. — ექიმები გამოკვლევაზე დაწოლას მირჩევენ, მაგრამ მე რომ დავწვე, ჩემს ცოლ-შვილს ვინ არჩენს?..

— ჩემგან არ გესწავლებათ, ბატონო სულიკო, მაგრამ ასთმასთან ხუმრობა ნამდვილად არ შეიძლება!.. — მორიდებით „დამოძღვრა“ მეგიმ გამომძიებელი.

— არც სულიკო ჟვანიასთან შეიძლება ხუმრობა, ჩემო მეგი... — ბოროტად ჩაეღიმა გამომძიებელს...

ამასობაში, ანდრო სვანიძე ბადრაგმა საგამოძიებო ოთახში შეიყვანა და სულიკო და მეგიც მაშინვე მათ მიჰყვნენ. მეგიმ თავიდან, ანდროს ფართო ზურგს მოჰკრა თვალი, შემდეგ კი, როცა ის შემობრუნდა, მისი გამჭოლი მზერაც დაიჭირა და შეკრთა. ანდრომ მალევე მოარიდა მეგის თვალი, გამომძიებლისთვის კი საერთოდ არ შეუხედავს.

— ძალიან ვბრაზობთ, ხომ, ბატონო ანდრო?.. — მაგიდას არხეინად მიუჯდა სულიკო, ცხვირზე სათვალე დაიკოსა და თასმით შეკრული ძველებური საქაღალდე გახსნა.

მეგი და ანდრო მაგიდას თითქმის ერთდროულად მიუსხდნენ.

— ჰო, მართლა... — უცბად დოკუმენტებს თავი ანება სულიკომ და ანდროს მეგიზე ანიშნა. — ქალბატონი მეგი ლაღიძე თქვენი ადვოკატია. იმედია, მისი თანდასწრებით მაინც ინებებთ ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემას.

— კითხვებს გააჩნია... — კბილებში ცივად გამოცრა ანდრომ.

— პასუხებსაც, ბატონო ანდრო... — ისევ მშვიდად განაგრძო სულიკომ. — მაშ ასე, მოდით, ამჯერად თქვენი მეუღლით დავიწყოთ...

— მე მეუღლე არ მყავს...

— აბა, ლანა სვანიძე ვინ არის?..

— ლანა სვანიძე ჩემი ყოფილი მეუღლეა.

— კარგი, — სასწრაფოდ დაეთანხმა სულიკო, — თქვენთვის ყოფილი იყოს, ჩემთვის კი — ანუ ოფიციალურად — დღემდე, ცოლ-ქმრად ითვლებით, ასე არ არის?..

— ასეა... — დაეთანხმა ანდრო.

— ...და საერთო შვილიც გყავთ.

— დიახ, გვყავს. მაგრამ არ მესმის, ჩემი ცოლ-შვილი აქ რა შუაშია?

— შვილი — არაფერში, აი, ცოლს კი... — სველი ტუჩები უშნოდ გაეწკლაპუნა სულიკომ. — ჩვენთან სიარული ხშირ-ხშირად მოუწევს...

მეგიმ ცხადად დაინახა, როგორ აუთამაშდა ანდროს სახის ყოველი კუნთი, შემდეგ სკამიდან ოდნავ წამოიწია და გამომძიებელს პირდაპირ ყელში სწვდა...

გაგარძელება იქნება

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე ოჯახში ისევე, როგორც სამსახურში, საკმაოდ გაწონასწორებული ადამიანია. მისი აზრით, ქალისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი კომპლიმენტია... რა უყვარს ბატონ რომანს, როგორი მამა და მეუღლეა ან რა პრეტენზია აქვს მის მიმართ უსაყვარლეს მეუღლეს? ყოველივე ამას მისი საუბრიდან შეიტყობთ.

ეკა მინდაძე

უკონფლიქტო ცოლ-ქმარი, კომპლიმენტი საჩუქრად და მეუღლის ეშობლებთან ოპტიმალური დისტანციის გაანსაზღვრის წესი...

— სად და როგორ გაიცანით თქვენი მეუღლე?

— ჩემი პირველი და ერთადერთი სიყვარული, ჩემი მეუღლე მანანა შარაშიძე ზამთრის ერთ ჩვეულებრივ დღეს, თბილისის კინოს სახლში გავიცანი. მეორედ მას მოულოდნელად, მეგობრის დაბადების დღეზე შევხვდი. მაშინ მივხვდი, რომ შემთხვევით არაფერი ხდება...

— როგორ აუხსენით სიყვარული?

— მე მას ვუთხარი, რომ მრავალჯერ განმეორებადი შემთხვევითობა არის კანონზომიერება — ე.ი. ის ფაქტი, რომ მე შენ სრულიად შემთხვევით რამდენჯერმე შეგხვდი, შემთხვევითობას არ წარმოადგენს, ეს არის განგების მიერ დაგეგმილი ბედისწერა-მეთქი... აი, ასეთი ფილოსოფიური სიტყვებით ავუხსენი სიყვარული მანანას.

— რამდენ ხანს ხვდებოდით ერთმანეთს?

— წელიწად-ნახევარი. მანანა ეროვნული მოძრაობის პერიოდში გავიცანი. იმ დროს, აქტიურად ვიყავი ჩაბმული პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც. მანანას ჩემი პოლიტიკური აქტივობა მოსწონდა, ვინაიდან მაშინ ყველა დამუხტული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით. მაგრამ მერე, როცა ვიცე-პრემიერი გავხდი, ეს არ ესიამოვნა. მანანას ერჩივნა, რომ მისი მომავალი მეუღლე მეცნიერი ყოფილიყო და არა სახელმწიფო მოხელე. მან პირდაპირ გამომიცხადა: სულაც არ მხიბლავს ჩინოვნიკის მეუღლეობაო... სიმბოლური დამთხვევა იყო ის, რომ ჩვენ მას შემდეგ ვიქორწინეთ, რაც მე ვიცე-პრემიერის პოსტიდან გადავდექი. მაშინ ვუთხარი: ახლა ხომ არ ვარ ჩინოვნიკი, რომ ცოლობაზე უარი მითხრამეთქი?!.

— რა ასაკში იქორწინეთ?

— მე ცოტა გვიან შევქმენი ოჯახი — დაახლოებით 35 წლისამ. ჩემი მეუღლე ჩემზე 6 წლითაა უმცროსი.

— დიდი ქორწილი გქონდათ?

— არა, ძალიან პატარა. ქორწილი ვიწრო წრეში გადავიხადეთ.

— თაფლობის თვე სად გაატარეთ?

— საბერძნეთში. მაშინ ახალი წამოსული ვიყავი მთავრობიდან, მაგრამ როცა ჩემი დაქორწინების ამბავი შეიტყო საბერძნეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა, რომელთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, 10 დღით ათენში დამპატიჟა.

— ბატონო რომან, სიყვარულზე ლექსი თუ დაგიწერიათ?

— სიყვარულზე უამრავი ლექსი მაქვს დაწერილი, მოთხრობებიც დამიწერია.

— რომანტიკოსი ხართ?

— ცოტათი, მაგრამ აბსოლუტურად არასენტიმენტალური.

— როგორ ფიქრობთ — რით მოგხიბლათ პირველ რიგში თქვენმა მომავალმა მეუღლემ?

— მანანას ბევრი დადებითი თვისება აქვს. იგი უაღრესად კეთილი და ჭკვიანია, უყვარს მეგობრები და ახლობლები. რაც მთავარია, მანანა დამოუკიდებელი პიროვნებაა და აქვს თავისი საქმე.

— ამჟამად რას საქმიანობს ქალბატონი მანანა?

— პროფესიით ფსიქიატრია და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორია. აქედან გამომდინარე, თავისუფალი დრო ძალზე ცოტა აქვს. ამის გამო ხშირად ვუბრაზდები კიდეც: ჩემი სურვილია, უფრო მეტი დრო დაუთმოს ბავშვს.

— საერთოდ, მოგწონთ საქმიანი ქალბატონები?

— ვერ ვიტყვი, რომ საქმიანი ქალით აღფრთოვანებული ვარ. თუმცა, მივესალმები საქართველოში საქმიანი ქალების მომრავლებას. რაც უფრო აქტიურია ქალი, მით უფრო მაღალია ქვეყნის კულტურისა და დემოკრატიის დონე. მიუხედავად ამისა, მირჩევნია, აქტიური ქალი ჩემგან მოშორებით იყოს, მე კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნაკლები აქტიურობით გამორჩეულ ქალს ვამჯობინებ. მაგრამ ჩემი მეუღლე სწორედ რომ საქმიანი ქალბატონია, რომელიც მუდამ დაკავებულია, მე კი ეს მაინცდამაინც არ მსიამოვნებს.

— ამბობენ, რომ პოლიტიკოსები გამუდმებით იტყუებიან. თქვენ უფრო ხშირად სად იტყუებით — სამსახურში თუ ოჯახში?

— საერთოდ, არიან პოლიტიკოსები, რომელთა ნათქვამის მხოლოდ 20% უნდა დაიჯერო... მე კი, როგორც პოლიტიკოსი, საზოგადოებაში 98% სიმართლეს ვამბობ და მხოლოდ 2%-ს — ტყუილს. ოჯახში უფრო მეტს ვიტყუები...

— მაინც რას ატყუებთ მეუღლეს ყველაზე ხშირად?

— ვიტყუები ყოფითი პრობლემების

ამჟამად ჩვენი საკამათო თემა ბავშვის აღზრდაა... ახლა ვკამათობთ იმაზე, თუ რომელ სკოლაში შევიყვანოთ ჩვენი ანა

გამო: აი, მაგალითად, დღეს, როცა მანანამ დამირეკა და მკითხა – დენის ფული თუ გადაიხადეო? – მე ვუპასუხე, რომ გადავიხადე, მაგრამ ეს სწორი არ არის.

— ეჭვიანი ხართ?

– ზომიერად. ჩემი აზრით, ყველა ადამიანი თავისებურად ეჭვიანია.

— როდესაც თქვენი მეუღლე უთქვენოდაა სადმე წასული, ხშირად ურეკავთ?

– საერთოდ, მანანას დღის განმავლობაში ხშირად ვურეკავ. ვურეკავ არა ეჭვიანობის, არამედ ზედმეტი ყურადღების გამოსაჩენად და სიფრთხილის გამო...

— ოჯახში რომელი თქვენგანია უფრო კონფლიქტური?

– მაინცდამაინც კონფლიქტური არც მანანაა და არც მე გახლავართ. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ოჯახში მუდამ დაშაქრულები ვსაუბრობთ. არ არსებობს ოჯახი, კამათის გარეშე. ამჟამად ჩვენი საკამათო თემა ბავშვის აღზრდაა... კონფლიქტური არა, მაგრამ მოკამათე, ორივენი ვართ. ახლა ვკამათობთ იმაზე, თუ რომელ სკოლაში შევიყვანოთ ჩვენი ანა.

— პოლიტიკაზე თუ კამათობთ?

– პოლიტიკა ჩვენს ოჯახში არასოდეს ყოფილა საკამათო თემა, რადგანაც მანანა პოლიტიკას თბილი ირონიით უყურებს.

— ბავშვთან მიმართებაში რომელი უფრო მკაცრია?

– მანანა, რა თქმა უნდა. მე საერთოდ არ ვარ მკაცრი, პირიქით – ზედმეტად რბილი ვარ, რის გამოც ჩემი მეუღლე მსაყვედურობს: მისი აზრით, ჩემი რბილი ხასიათით ბავშვს ვაუზრდელებ.

— როგორი რეაქცია აქვს თქვენს გოგონას, როცა ტელეეკრანზე გხედავთ?

– ნორმალური. თავიდან უკვირდა, ამ ბოლო დროს კი, იმდენად შეეჩვია ჟურნალისტებს, როგორც კი გაიგონებს, რომ ჩემთან ჟურნალისტი უნდა მოვიდეს, მაშინვე გაიქცევა და გამოიპრანჭება.

— შვილის აღზრდაში რა ფორმით მონაწილეობთ?

– მე მის სულიერ აღზრდაში ვმონაწილეობ: დამყავს თეატრში, ვუკითხავ ზღაპრებს, დავდივართ ტყეში და „მაკდონალდსში“. რაც შეეხება აკადემიურ აღზრდას – ეს მე არ მეხება. ამაში მისი აღმზრდელი გვეხმარება.

— თქვენი ოჯახით ცალკე ცხოვრობთ?

– დიახ.

— რა დამოკიდებულება გაქვთ მეუღლის მშობლებთან?

– ძალიან კარგი. მაგრამ ჩემი აზრით, როგორც რძალ-დედამთილმა არ უნდა იცხოვროს ერთად, ასევე დაუშვებელია სიძე-სიდედრის ერთად ცხოვრება. ჩვენ ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით, ქვედა სართულზე – მანანას მშობლები, ხოლო ზემოთ – ჩვენ. მართალია, ერთ სადარბაზოში ცხოვრება ამ თეორიაში არ იგულისხმება, მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, რომ ეს თეორია ცოტა განგვევრცო: ჩემი და მანანას ერთობლივი გადაწყვეტილებით, სადარბაზოდან გამოვედით და დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მოშორებით გადავედით. აღმოჩნდა, რომ ეს იდეალური ვარიანტია. როცა მანანას მშობლებს მოვენატრებით, ორ წუთში ჩვენთან არიან და როცა ჩვენ მოგვენატრებიან, ჩვენ ვართ მათთან...

— როგორი მეოჯახე ხართ?

– ვაღიარებ, რომ საოჯახო საქმიანობაში საკმაოდ მოვისუსტებ. 10 წელია, ბაზარში არ ვყოფილვარ. თუმცა, დიდი სიამოვნებით დავდივარ სასურსათო მაღაზიებში...

— გაიხსენეთ, თქვენმა მეუღლემ პირველად რა კერძი მოგიმზადათ...

– მგონი, მოხარშული სოსისი.

— მის მიერ მომზადებული კერძებიდან, რომელს გამოყოფთ?

– მე დიდი გურმანი არ გახლავართ, არც შემწვარ-მოხრაკულები მიყვარს. მიყვარს მის მიერ მომზადებული ღომი.

— ამბობენ — სიყვარული ნელდება და ქრებაო. თუ ეთანხმებით ამ აზრს?

– ჩემი აზრით, სიყვარული იცვლება. იმ ფორმას არ ინარჩუნებს, რომელიც თავიდან აქვს: ხდება ტრანსფორმაცია... ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ეტაპი ჯობია იმიტომ, რომ ყველა ეტაპს თავისი ხიბლი აქვს.

— მეუღლისთვის ყვავილის მირთმევა თუ გიყვართ?

– არა, არ მიყვარს, იმიტომ, რომ ყვავილი წარმავალია... მე გვიან დავქორწინდი და ამიტომაც, კომიკურად მეჩვენება, რომ წარმოვიდგენ ჩემს თავს ყვავილით ხელში... თუმცა, ძალიან კარგი იქნება, თუ საქართველოში უფრო მეტი შეყვარებული მამაკაცი ივლის ყვავილით ხელში... საერთოდ, ყვავილი ძალიან კარგია, ოღონდ, როგორც ჩანს, მე იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, ვინც თაიგულის საშუალებით ცდილობს, ქალს ასიამოვნოს.

— ხშირად ანებივრებთ თქვენს მეუღლეს საჩუქრებით?

– ჩემი აზრით, ქალისთვის ყველაზე კარგი საჩუქარი კომპლიმენტია. აბა, რა

ასეთ წესს ვიცავ: თუ ერთხელ ნივთს ვაჩუქებ, მეორედ – კომპლიმენტს ვუძღვნი. ეს უფრო იაფია...

სჯობს — აჩუქო ვარდი, რომელიც სამ დღეში დაჭკნება თუ უთხრა კომპლიმენტი, რომელიც მუდამ ემახსოვრება?.. ამრიგად, მე მუდამ ასეთ წესს ვიცავ: თუ ერთხელ ნივთს ვაჩუქებ, მეორედ — კომპლიმენტს ვუძღვნი. ეს უფრო იაფია. თუ ერთ დღეს საჩუქარში ფულს დავხარჯავ, მეორე დღეს უკვე კომპლიმენტს ვჩუქნი. ასე ეკონომიასაც აკეთებ და ქალსაც ასიამოვნებ. ამრიგად, ჩემი მეთოდის გამოყენებას სხვა მამაკაცებსაც ვურჩევ. ამით დაზოგავთ ფულს და მოიგებთ ქალის გულს.

— თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა პრეტენზიებს გიყენებთ ხოლმე მეუღლე?

— მანანას ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს, რომ ყველაზე ჰარმონიული ის ოჯახია, სადაც ქმარი არ აძლევს შენიშვნებს ცოლს; მით უმეტეს, რომ შენიშვნებით გამოსწორებული ქალი ჯერ არ დაბადებულა...

— გამოდის, რომ თქვენ აწუხებთ ხოლმე შენიშვნებით...

— არ ვიცი; რადგან ასე ამბობს, ეტყობა, შენიშვნებს მართლაც, ვაძლევ...

— მეუღლის ჩაცმულობით თუ ინტერესდებით?

— დიახ. მე არაერთი რჩევა მიმიცია მანანასთვის ჩაცმულობასთან დაკავშირებით. ვინაიდან ის ხშირად კლასიკურ სტილში იცვამს, მე ყოველთვის თავისუფალ სტილს ვურჩევ.

— ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ ქალში?

— ქალში მაღიზიანებს არაქალურობა; იმ კატეგორიის ქალი, რომელმაც შეიძლება, ყანწით დალიოს ღვინო.

— შინ მისვლისას, პირველ რიგში, რას ითხოვთ?

— მე მომთხოვნი არა ვარ და ჩემი მოსვლით ოჯახის წევრებს არ ვაწუხებ ხოლმე. საკუთარ თავს ყოველთვის თვითონ ვუვლი.

— მეუღლის სახით იპოვეთ ის, ვისაც ეძებდით?

— დიახ და ამით ბედნიერი ვარ.

— დაბოლოს: როგორც „სტაჟიანი“ მეოჯახე, რას ურჩევთ ახალშეუღლებულებს?

— იცხოვრეთ აუცილებლად ცალკე: რაც არ უნდა მძიმე პირობებში იყოთ, ცალკე ცხოვრება სჯობს, მშობლებთან ერთად ცხოვრებას. ხშირად არ მისცეთ ერთმანეთს შენიშვნა; ეცადეთ, რომ არ იჩხუბოთ, მაგრამ თუ იჩხუბებთ, ამას ტრაგედიად ნუ ჩათვლით, იმიტომ, რომ ადამიანური ურთიერთობები აგებულია წინააღმდეგობებზე, რომლებსაც უნდა შეეგუოთ, როგორც ოჯახის აუცილებელ ატრიბუტს. ამ ატრიბუტის გარეშე ხომ, ოჯახი ძალიან მოსაწყენი იქნებოდა... ■

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, როდესაც ცნობილმა ქართველმა მსახიობმა იპოლიტე ხვიჩიამ ქმარშვილიანი ქალი — ქუთაისის თეატრის მსახიობი, ლუბა ალფაიძე მოიტაცა და ისე გადამალა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ვერავინ პოულობდა. ქალბატონ ლუბას ერთი ქალიშვილი ჰყავდა — ნუნუ, რომელმაც მშვენივრად იცოდა როგორც მისი დედის მიმართ იპოლიტეს გრძნობის, ასევე მათი ადგილსამყოფლის შესახებაც. ის მაშინ 15 წლის იყო და მამასთან ერთად ეძებდა მოტაცებულ დედას. იმ სახლსაც ბევრჯერ აუარ-ჩაუარეს, სადაც ლუბა და იპოლიტე იმყოფებოდნენ, მაგრამ არ გაამხილა... შემდეგ თვითონაც დედასთან დარჩა. მართალია, მამამ ძალზე ინერვიულა, მაგრამ ბოლოს ბედს შეურიგდა და ცოლს ოფიციალურად გაეყარა. ნუნუს

გაზრდა იპოლიტემ ითავა, გვარიც მისცა და ის დიდი მსახიობის ერთადერთი შთამომავალია. ნუნუ ხვიჩია ახლა უკვე 72 წლის გახლავთ, ხუთი შვილის დედა და თორმეტი შვილიშვილის ბებიაა. ჩვენი შეხვედრა მისი ინიციატივით მოხდა, რადგან ქალბატონმა ნუნუმ გადაწყვიტა, ის საიდუმლო გაამხილოს, რომელიც წლების მანძილზე გულით უტარებია...

საიქიოში დანიშნული პაემანი

იპოლიტე ხვიჩიას ქალიშვილის უჩვეულო სიყვარულის ამბავი

მარი ჯაფარიძე

— ის, რაც ახლა უნდა გიამბოთ, მხოლოდ ორმა ადამიანმა ვიცოდით. ის დაიღუპა, მე კი უკვე მოვხუცდი, გული წარამარა მახსენებს თავს და არ ვიცი, როდის მიღალატებს. ამიტომ გადავწყვიტე, გიამბოთ ყოველივე და საიდუმლო თან არ გავიყოლო... მხოლოდ ერთ რამეზე შევთანხმდეთ: პიროვნება, რომელსაც ჩემი ამბავი ეხება, ძალზე ცნობილი კაცი იყო, ამიტომ მას მხოლოდ სახელით მოვიხსენიებ — არ მინდა, რომ ჩრდილი მიადგეს გარდაცვლილს ან მის ოჯახს... დავიწყებ იმით, რომ მე-11 კლასში ვსწავლობდი, როდესაც პრაქტიკაზე ახალგაზრდა პედაგოგი მოავლინეს და ჩვენს სკოლაში გაანწილეს. ჩემსა და ლევანს შორის მალე გაჩნდა გრძნობა... შემდეგ ჩავბარე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში და მისაღებ გამოცდაზეც ისტორიას ლევანი იბარებდა. კარგად ვიყავი მომზადებული, ყველაფერი სხაპასხუპით ვუპასუხე, მაგრამ ლევანს კომისიის წევრებისთვის უთქვამს — ამ გოგოს ერთი ცრემლი მაინც უნდა გადმოვაგდებინოო, — და მითხრა: — არ გეგონოს, შენთვის ხუთიანი არ მემეტება, მაგრამ ერთი შეკითხვა კიდევ უნდა დაგისვა, რა ეხატა აქილევსს ფარზეო? — დავიბენი და ცრემლი ყელში მომებჯინა, ვერაფრით გავიხსენე და ვუთხარი: — არ გნდომებიათ ნიშნის დაწერა და ავდგები და წავალ-მეთქი. გამოსვლისას კარის სახელურს ხელი რომ მოვკიდე, გამახსენდა, მივბრუნდი, — სახნისი-მეთქი — დავიძახე და ოთახიდან გავვარდი... შემდეგ იყო სტუდენტობის წლები და ჩემი საყვარელი ადამიანი ისტორიის ლექციებს მიკითხავდა. ყველამ იცოდა, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა. დაქორწინება გადავწყვიტეთ და გავუმხილეთ მამას და დედას *(აქაც და შემდგომაც მამაში ყოველთვის იპოლიტე ხვიჩია იგულისხმება. — ავტ.)*. ლევანი ჩემს სათხოვნელად და დასანიშნად ოჯახ-

ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ჯერ ჩვენი სადღეგრძელო არ ჰქონდათ შესმული, რომ კარზე კაკუნი გაისმა. ღია კართან ლევანის გამზრდელი დეიდა იდგა... (ნუნუ ხვიჩია, მამასთან იპოლიტე ხვიჩიასა და დედასთან ლუბა ალფაიძესთან ერთად)

ში გვეწვია ახლობლებთან ერთად. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ჯერ ჩვენი სადღეგრძელო არ ჰქონდათ შესმული, რომ კარზე კაკუნი გაისმა. ღია კართან ლევანის გამზრდელი დეიდა იდგა და შემოსვლის ნებართვას ითხოვდა. გაოცებულმა მამამ ჰკითხა: — შენ აქ რა გინდაო?! — რადგან ამ ქალბატონში თავისი ძველი ნაცნობი აღმოაჩინა. როდესაც მამამ მისი და ლევანის ნათესაობის ამბავი შეიტყო, ნიშნობა ჩაშალა: აღმოჩნდა, რომ ეს ქალბატონი 8 წლის განმავლობაში მისი საყვარელი ყოფილა და მამას დაუშვებლად მიაჩნდა ჩვენი დანათესავება.

— წარმომიდგენია, თუ რა თავზარდამცემი იქნებოდა ეს თქვენთვის...

— ბუნებრივია, უზომოდ გავნერვიულდი... შემდეგ ლევანს ნიშანი უკან დავუბრუნე და გადავწყვიტე, სასწრაფოდ გავთხოვილიყავი. ჩემი ბავშვობის მეგობარ გოგონას ჰყავდა ბიძაშვილი, რომელსაც მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, ჩინეთში, საბჭოთა კავშირის საელჩოში სამუშაოდ მიავლინეს და აუცილებელი იყო, რომ ცოლი მოეყვანა. ამაზე კარგ ვარიანტს ვერც ვინატრებდი... ასეთი ტრავმის შემდეგ, საქართველოდან წასვლა ჩემთვის შვების მომგვრელი იქნებოდა. ამიტომ უყოყმანოდ დავთანხმდი ამ კაცს ცოლობაზე. ჩემი პირველი მეუღლე გახლდათ ჟორა გოგიძე. ძალზე სიმპათიური და კარგი მამაკაცი იყო. მოსკოვში თითქმის ერთი თვე ვიყავით ერთად, საჭირო საბუთების მოწესრიგებამდე და ერთ ჭერქვეშ დაძმასავით ვცხოვრობდით. მოსკოვიდან სწორედ იმ დღეს გავფრინდით, როდესაც ნატო ვაჩნაძე დაიღუპა. კარგად მახსოვს, ნატო აეროპორტში, მეუღლესთან — მაღალ, ლამაზ, სამხედროფორმიან მამაკაცთან ერთად მოვიდა. ძალზე თბილად დაემშვიდობნენ ერთმანეთს და ნატო გაფრინდა. ჩვენს თვითმფრინავზე ჩასხდომა რომ გამოცხადდა, სწორედ მაშინ გამოაცხადა დიქტორმა: თვითმფრინავი, რომელშიც ქალბატონი ნატო ვაჩნაძე იჯდა, ჩამოვარდა და აფეთქდაო. ხალხი ხმამაღლა ტიროდა და ბღაოდა, ისე განიცადა ნატოს დაღუპვა... ჩინეთში დაგვხვდა საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრი, გივი ჩხაიძე და მისი მეუღლე, ქალბატონი თინა. ისინი ასაკით ჩემზე გაცილებით უფროსები იყვნენ და როგორც დედ-მამა, ისე მეპყრობოდნენ... მალევე დავფეხმძიმდი, მაგრამ თავს ძალზე ცუდად ვგრძნობდი. ორსულობა გართულებულად მიმდინარეობდა. საუკეთესო სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფებოდი, მაგრამ გადავწყვიტე, საქართველოში დავბრუნებულიყავი და 6 თვის ფეხმძიმემ ქუთაისს მივაშურე. ჩამოსვლიდან მესამე დღეს, ქალაქში გავედი საქმეზე. ფეხით მივდიოდი. უცებ, მესმის ხმა: — ამას ვის ვხედავ? ჩემო სიცოცხლევ!.. — ლევანი შემრჩა ხელში. მუცელზე ხელი მომითათუნა და მითხრა: — „ბუცულაში" ბაიები გყავს?.. — არ ვიცი, რატომ მითხრა მრავლობით რიცხვში, მაგრამ მე მართლაც, ტყუპს ველოდი. შემდეგ, ცოტა ხანს ვისაუბრეთ, იმავე ადგილზე დამტოვა — დამელოდეო, — მითხრა და სადღაც გაუჩინარდა. კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა, თვითმფრინავის ორი ბილეთი მოიტანა და მითხრა: — ლენინგრადში გავფრინდეთ, მაგ ბავშვებს მამობასაც გავუწევ, გვარსაც მივცემ, იპოლიტეს კი ნურაფერს ვკითხავთო. იმავე საღამოს რეისი იყო. შინ წავედი, რომ პასპორტი ამეღო. არც მიყოყმანია, ისე დავთანხმდი წასვლაზე. ამაზე ჭკვიანურს ვერც ვერაფერს მოვიმოქმედებდი, მაგრამ როგორც ჩანს, ღმერთს არ ეწადა ჩვენი ერთად ყოფნა: პასპორტი ვერ ვიპოვე, ისე კი, აბა, როგორ გავფრინდებოდით?!. ბილეთები მე მქონდა და დღესაც შენახული მაქვს...

მოსკოვიდან სწორედ იმ დღეს გავფრინდით, როდესაც ნატო ვაჩნაძე დაიღუპა. კარგად მახსოვს, ნატო აეროპორტში... ნუნუ ხვიჩია მეგობართან (მარცხნივ) ერთად

— მეუღლეს როგორ აუხსნიდით თქვენს საქციელს?

— არ დაგიმალავთ, რომ ჩინეთიდან სწორედ იმ აზრით წამოვედი, რომ ჟორასთან აღარც დავბრუნებულიყავი. ეს ადამიანი ახლოს რომ გავიცანი, მივხვდი, რომ საშიში პიროვნება გახლდათ. ის ბერიას „ბანდის" წევრი იყო. ასეთ ადამიანებს უშიშროება იოლად აქცევს ჯაშუშად... თვითონაც ბევრი ისეთი რამ მიამბო, რაც ჩემს ეჭვს ადასტურებდა. ამიტომ, როდესაც ვიმშობიარე, ტყუპს (ქალ-ვაჟი — მანანა და ავთო შემეძინა) ჩემი გვარი — ხვიჩია მივეცი და განქორწინების პროცესი წამოვიწყე, რადგან ვხვდებოდი — ისეთი კაცის მამობა, როგორიც ჟორა იყო, ბავშვებს კარგს არაფერს მოუტანდა. წლების შემდეგ, მის მანქანას საქართველოში თავს დაესხნენ და დაცხრილეს, სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. თავში დაიჭრა. გრუზა ქოჩორი გადაჰპარსეს და თავის ქალის ზედა ნაწილი ხელოვნური ქსოვილით შეუცვალეს. ჟორა ამ რამდენიმე წლის წინ დაიღუპა...

— განქორწინების შემდეგ, თქვენ და ლევანს არ გიცდიათ ურთიერთობის აღდგენა?

— არა. შემდეგ ლევანმა ცოლი მოიყვანა. ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ერეოდა, მაგრამ ამბავს მუდამ კითხულობდა. თუ

ხანდახან უნდოდა, რომ ჩავეხუტებინე და „ჩავებურჯგნე“, უნდოდა, ქალიც ენახა ჩემში, მაგრამ ამბობდა: — მირჩევნია, ამ სურვილმა მომკლას, ვიდრე ყველაფერი გავაფუჭოო...

იცოდა, რომ მიჭირდა, დამირეკავდა და მეტყოდა: — რას იზამ, ნუნუ, ცხოვრება ასეთია, უნდა გაუძლო. არ იფიქრო, ჩემი ცოლი რომ ყოფილიყავი, უკეთესად იქნებოდი, ოჯახში მე ძალზე სამაგელი და აუტანელი ვარო. კიდევ კარგი, ცოლ-ქმარი არ ვართ, თორემ შესაძლოა, დღეს ერთმანეთი აღარც კი გვყვარებოდაო... არასოდეს მეტყოდა — არ გეწყინოსო. არ გეტკინოსო, — ასე უყვარდა თქმა, რადგან კარგად იცოდა, მისგან მეტკინებოდა და არ მეწყინებოდა... შემდეგ ლევანმა ძალზე დიდი ტრაგედია გადაიტანა. პირველი შვილი ხუთი წლის ასაკში, სისხლის გათეთრებით გარდაეცვალა. უზომოდ უბედური ადამიანი იყო. მანქანაში, სარკეზე კახას ფაჩუჩები დაკიდა, გრძელი ზონრით ისე იყო დამაგრებული, რომ დამუხრუჭებისას ფაჩუჩები სახეში ურტყამდა — თითქოს თვითგვემის მიზნით... ერთხელ სოფელ ორპირში, დეიდასთან მივდიოდი და ლევანმა გზაზე შემნიშნა. მის მანქანაში რომ ჩავჯექი, ფაჩუჩები ჩამოვხსენი და „ბარდაჩოკში“ შევინახე. ასე არ შეიძლება-მეთქი, — ვუთხარი. — ისედაც ვიცით, რომ უზომოდ განიცდი შვილის სიკვდილს, ეს სულ მთლად გაგანადგურებს-მეთქი. გაფითრდა, სახე დაემანჭა, საჭეს ისე ჩააფრინდა, რომ თითები გაუთეთრდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— წელან თქვით — ჩემი პირველი ქმარიო... მეორედაც გათხოვდით?

— დიახ. ჩემი შვილები ხუთი წლისანი იყვნენ, როდესაც კაცურ კაცს, ძალზე კარგ ადამიანს — ილო გაბუნიას გავყევი ცოლად. მისგან სამი შვილი გავაჩინე — მაკა, ბესიკი და ნუკრი. დიდხანს ვიცხოვრეთ ერთად, შემდეგ დავქვრივდი.

— თქვენ და ლევანის ურთიერთობა როგორ წარიმართა მეორედ გათხოვების შემდეგ?

— ძველებურად. ისევ ისე იშვიათად თუ დამირეკავდა ან შემთხვევით გადავეყრებოდი ქუჩაში — ეგ იყო და ეგ. ჩვენ შორის ფიზიკური ურთიერთობა არ ყოფილა. ლოგინი წყვეტს ყველაფერს?! ეს სიბინძურე იქნებოდა. ჩვენ უფრო ძლიერად გვიყვარდა ერთმანეთი, ვიდრე ეს ლოგინისთვის არის საჭირო. ქუჩის ქალად რომ ვქცეულიყავი, მასთან სარეცელს ვერ გავინაწილებდი. სულითა და გულით მას ვეკუთვნოდი და რაღა საჭირო იყო ლოგინი?! ხუთი შვილი გავზარდე და ყოველთვის ვცდილობდი, თითოეული მათგანი მას დამსგავსებოდა, მისი თვისებები ჰქონოდა. მის ნაწარმოებებს ვაკითხებდი, ვასწავლიდი და ავტორის შესახებაც ვუამბობდი. ხშირად წავსულვართ მე და ლევანი არაგვის პირას. ორი „შტერი“, რომლებმაც არ იციან, რომ ერთი ქალია, მეორე — მამაკაცი... ხანდახან უნდოდა, რომ ჩავეხუტებინე და „ჩავებურჯგნე“, უნდოდა, ქალიც ენახა ჩემში, მაგრამ ამბობდა: — მირჩევნია, ამ სურვილმა მომკლას, ვიდრე ყველაფერი გავაფუჭოო... მისი მესაიდუმლე გახლდათ ბატონი თემურ შაშიაშვილი. დარწმუნებული ვარ, მან ყველაფერი იცოდა. ხშირად, როცა თემურს შევხვდებოდი, ლევანს დაურეკავდა და ეტყოდა: — ჩვენთან მოდი, ბიჭო, თეთრ ხიდთან, რესტორანში დავსხდეთ და ვიჭუკჭუკოთო. ამას წინათ, ერთ-ერთმა ჟურნალმა დაბეჭდა ინტერვიუ ლევანის შვილთან. მან თქვა — მამაჩემი მარტოსული იყოო... გული მეტკინა, ეს რომ წავიკითხე. დავურეკე და ვუსაყვედურე: — ის ბუმბერაზი ადამიანი იყო, ლევანის ნაწარმოებებზე უამრავი თაობა აღიზარდა, უამრავი მეგობარი და გულშემატკივარი ჰყავდა და რატომ იყო მარტოსული-მეთქი?.. ეს ინტერვიუ რომ წავიკითხე, მეორე დღეს მოვაგროვე ის ნივთები, რომლებიც ჩვენს ურთიერთობაში მნიშვნელოვანი იყო, წერილები, მივედი კათოლიკოს-პატრიარქთან და კურთხევა ვთხოვე, რომ უფლება მოეცა, მის საფლავზე დამემარხა. კურთხევა მივიღე და სწორედ ასე მოვიქეცი, ყველაფერი დავმარხე, რადგან მას ეკუთვნოდა. ლევანს ჩემთვის რომ ეთქვა — თავი უნდა მოიკლა, რადგან მე ასე მინდაო, იმ დღესვე დავამთავრებდი ჩემს ცხოვრებას... ახლა კი ის დროა, ყველაზე დიდი საიდუმლო გაგანდოთ.

— როგორ, კიდევ გაქვთ რაიმე გასამჟღავნებელი?

— ის, რაც მოისმინეთ, არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მოისმენთ... მე და ლევანმა ჯვარი დავიწერეთ...

— როდის? ვიდრე მეორედ გათხოვდებოდით?

— არა, მაშინ უკვე ხუთი შვილის დედა ვიყავი და ლევანსაც ცოლ-შვილი ჰყავდა... მოვამზადე საკონფერენციო თემა — „გალაკტიონი“. მაშინ მგოსანი ცოცხალი იყო. კონფერენცია ფოთში, გემზე ჩატარდა და ჩემმა თემამ გაიმარჯვა. შემდეგ ჩამოვედი თბილისში, პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულებს, შეხვედრა მოგვიწყვეს უნივერსიტეტში. მეორე დღეს ლევანი შემხვდა და მეგობრებთან ერთად ბუნებაში საქეიფოდ დამპატიჟა. შემდეგ ყველა სახლებში ჩამოარიგა, ჩვენ კი მზის ჩასვლამდე, სვეტიცხოველში დავიწერეთ ჯვარი. ის თავის ოჯახში დაბრუნდა, მე — ჩემს ოჯახში. ეს გააკეთა იმისთვის, რომ იმ ქვეყნად მაინც ვყოფილიყავით ერთად. თან ამბობდა: — შესაძლოა, ეს ცოდვაა, იმ ქვეყნად პაემანს რომ ვგეგმავთ, მაგრამ ამხელა სიყვარულს რა ვუყოთო?.. ის გარდაიცვალა. იმედი მაქვს, მართლაც, ენახავთ ერთმანეთს... თუმცა, ახლაც ხშირად მესიზმრება. ცოტა ხნის წინ, ინფარქტი გადავიტანე. იმ ღამით მესიზმრა, თითქოს სპანი გადამხდოდა და მციოდა, ამ დროს, ფანჯარაზე ვიღაცამ სანთელი შემოდგა; ლევანი იყო. შევჩივლე — ყინულში ვწევარ-მეთქი. უარის ნიშნად თავი გააქნია და გაქრა... სწორედ იმ ღამით დამემართა ინფარქტი... ■

ის, რაც მოისმინეთ, არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მოისმენთ... (ნუნუ ხვიჩია გიგა ლორთქიფანიძესა და კარლო საკანდელიძესთან ერთად)

„...მაშინ თბილისი სულ სხვა იყო... ნოდარ დუმბაძის ლიმონა — ილო დევდარიანი ცხოვრობდა ჩვენს უბანში. არსენას ქუჩის კუთხეში ვიკრიბებოდით ბიჭები. რომ მოსაღამოვდებოდა და დაგვინახავდა, გვეტყოდა — აბა, წადით ახლა შინ, წიგნები წაიკითხეთო... უფროსებისადმი რიდი და პატივისცემა იყო. დღევანდელ თაობაზე კი, რა მოგახსენოთ?..“ ასეთი განწყობით მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ამირან ბუაძე როდი გამოირჩევა — ეს მისი თაობის ბევრი წარმომადგენლისთვის დამახასიათებელი ნოსტალგიაა. ბუნებრივია, ყველაზე ნათელი და სასიამოვნო მოგონებები ბავშვობასა და სიყმაწვილეს უკავშირდება:

მთაწმინდის უბნისა და მარჯანიშვილის თეატრის „აკადემიაში“ ნასწავლი ამირან ბუაძის ოინები და...

ნოსტალგია

ნუცა თოფჩიშვილი

— დავიბადე და გავიზარდე მთაწმინდაზე. მთაწმინდის უბანი მაშინ სხვანაირი იყო, ხალხიც სხვანაირი იყო. ადამიანებს ერთმანეთი უყვარდათ... მახსოვს, უბანში ერთი მორფინისტი იყო. ჭირის დღესავით გვეშინოდა მისი და ნარკომანებისადმი ეს განწყობა დღემდე გამომყვა. უბნის ბიჭები ფუნიკულიორის ტრამვაის სადგურთან ვტრიალებდით. ფუნიკულორზე ავდიოდით ბამბუკის ჯოხების მოსატეხად. მილიციონერი (ხარიბეგა ერქვა) დაგვდევდა და გვიშლიდა ამას. წელზე უზარმაზარი „კაბურა“ ეკიდა. ცნობისმოყვარეობა გვკლავდა — ნეტავ, რა იარაღი უდევს შიგთქო?.. ერთხელაც, ავედით ბამბუკის ჯოხებისთვის ფუნიკულორზე და არ გამოგვეკიდა ხარიბეგა?.. შიშისაგან მოვკურცხლეთ და იმ სიმაღლიდან გადავხტით, ახლა რომ ვუყურებ იმ მთას, მიკვირს, როგორ გადავრჩით... მოადგა ხარიბეგა ხრამს ვაი-ვაის ძახილით: შევეცოდეთ — რამე ხომ არ მოუვიდათო?.. რომ ნახა, გადავრჩით, იქვე დაჯდა. რის ვაი-ვაგლახით ამოვბობღდით და შორიახლოდან ვუთვალთვალებთ. უცებ, რას ვხედავთ? — ამოიღო ამ „კაბურიდან“ თონის პური, ძეხვი და ჭამა დაიწყო!.. აგვიტყდა ხარხარი. წამოხტა: კიდევ ცოცხლები ხართ, თქვენიო!.. ჩხუბიც იყო ჩვენს დროს. პლეხანოველები და მთაწმინდელები ვჩხუბობდით ერთმანეთთან. მაგრამ ხელით ვჩხუბობდით — ისე კი არ იყო, ახლა ერთმანეთს იარაღით რომ კლავენ. ერთხელ ისეთი მუშტი მომხვდა, ახლაც მახსოვს... ჩხუბის შემდეგ, გაღმელები და გამოღმელები ვრიგდებოდით და ვძმაკაცდებოდით.

— რატომ გადაწყვიტეთ მსახიობობა?

— ბავშვობაში დასასვენებლად რაჭაში დავდიოდი. იქ სოფლის კლუბში პატარ-პატარა სპექტაკლებს ვდგამდით. აქედან წამოვიდა ხელოვნებისადმი ჩემი სიყვარული. წარმოიდგინეთ — დგახარ ზღვის ნაპირზე, ღამეა და შორს თეთრი, განათებული გემი მოჩანს. ხომ სხვა სამყაროა?.. ასეთი სხვა სამყარო იყო ჩემთვის თეატრი. თუმცა, სკოლას რომ ვამთავრებდი, კინაღამ სასოფლოში მეღვინეობაზე ჩავაბარე. ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო გია ფერაძე. მან მითხრა — წამოდი, თეატრალურში ერთად ჩავაბაროთო. ასე მოვხვდით „უპატრონო“ ბიჭები თეატრალურ ინსტიტუტში. მაშინ, 1966 წელს, თეატრალურში საოცარი ხალხი იყო, მარტო აკაკი ხორავა რად ღირს?!. ასეთი ბუმბერაზების წინაშე უნდა გავსულიყავით გამოცდაზე... მე და გიამ ერთად გავაკეთეთ ეტიუდი: ვითომ, ერთი — საბჭოთა პარტიზანი ვიყავით და მეორე — გერმანელი ჯარისკაცი. ისე შევიჭერით როლებში, რომ ერთმანეთს დავცხეთ. გამომცდელები სიცილით ამბობდნენ: კაი, კაი, მივიღოთ ეს სულელებიო...

— როგორ დაიწყო თქვენი სამსახიობო კარიერა?

— თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი პედაგოგი რეზო მირცხულავა იყო. ჩემი სტუდენტობის დროს, მარჯანიშვილის თეატრში მან საოცარი სპექტაკლები დადგა. მარტო „წმინდანები ჯოჯოხეთში“ რად ღირდა?!. 1969 წელს, სტუდენტი, „მთვარის მოტაცებაში“ სათამაშოდ მიმიწვია. სპეციალურად ჩემთვის დადგა სცენა — „ჯანსულო-ჯანგულო“ — და იმ მარულაში მათამაშა... თეატრში მიმიწვიეს, რასაკვირველია — შტატგარეშედ და მერე ბატონმა რეზომ გოლდონის „ორი ბატონის მსახურში“ მთავარი როლი — ტრუფალდინო მათამაშა. ასე დაიწყო... ინსტიტუტის დამთავრებისას, თენგიზ აბულაძის ფილმში „სამკაული სატრფოსათვის“ — ვთამაშობდი და ჯარში გამიწვიეს. მაშინ სხვა დრო იყო და არაფერმა გაჭრა... მაისში გაწვეული, სექტემბერში ჯარისკაცის ფორმით ავედი სცენაზე და ვითამაშე კიდევ ერთი როლი. „მადამ სანჟენიში“ სოფიკო ჭიაურელთან ერთად მქონდა ძალიან კარგი ეპიზოდი. ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ რომ გამოვჩნდებოდი, ტაშით მეგებებოდნენ და ტაშითვე მთავრდებოდა ეს სცენა. ერთხელ, სცენაზე სესილია თაყაიშვილი ამოვიდა და მსახიობებს უთხრა: ამ ჟანრში ბუაძესავით უნდა ითამაშოთო. ეს ჩემთვის გმირობის ტოლფასი იყო...

— ახალგაზრდა მსახიობს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ბუმბერაზ მსახიობებთან ერთად მოგიხდათ დგომა. როგორ გრძნობდით თავს მათ გვერდით?

— მარჯანიშვილის თეატრში რომ მივედი, იქ ყველა დიდი მსახიობი დამხვდა. მოვესწარი ვასო გოძიაშვილს, მედეა ჯაფარიძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს. საოცრება იყო მათ გვერდით დგომა... დაიდგა „მზის დაბნელება საქართველოში“. ახალგაზრდა ბიჭი ვარ და ყარაჩოხელს ვთამაშობ. პირველი მოქმედება ასე იწყებოდა: სცენაზე ყარაჩოხელები ქეიფობენ, მაყალზე მწვადი იწვება. ხელში ღვინით სავსე ფიალები გვიჭირავს და „ვუბერავთ“: „ეს ღმერთმა იმ წყვილს გაუმარ-

მარჯანიშვილის თეატრის კულუარებში

ჯოს, რომელიც მთვარის შუქზე დნება სიყვარულით და აუფფ...“ — ჩვენი გამნათებელი კაკო შაყირობს — ხან უმატებს განათებას და ხან უკლებს... სცენაზე ორი აივანია გაკეთებული: ერთზე მედეა ჯაფარიძე უნდა გამოვიდეს, მეორეზე — ვასო გოძიაშვილი. ჩვენი ეპიზოდის დროს, ვასო გოძიაშვილი ფარდის უკან დგას და ვერ ხედავს, რა ხდება სცენაზე. უცებ, მაყალში რაღაც მოხდა და ნაპერწკლები გაყარა, ერთხელ, მეორეჯერ; მერე — ბუხო! — რაღაც აფეთქდა და ბოლი გაუშვა. ადგილიდან წამოვხტი და კულისებისკენ გავვარდი. დანარჩენი ყარაჩოხელები — ორმეტრიანი ბიჭებიც გამომყვნენ. ვასო გოძიაშვილი გვიყურებს და ყვირის: რა ხდება, слуши, თქვენიო!.. ჩვენ აქედან ვუყვირით — ძია ვასო, „პაჟარია“! — აქ რა უნდა „პაჟარს“, თქვენიო!.. როგორც იქნა, დავწყნარდით და დაიწყო მეორე სურათი: ყარაჩოხელები შემოდიან სცენაზე ბრექით და მღერიან — „ისევ და ისევ ღვინითა, ჰარი ჰარალე“... — და მაყურებელმა ჩვენს დანახვაზე რომ ატეხა ხარხარი!.. რა ეცინებათ, კაცო, რა მოუვიდათო? — კითხულობს ვასო. სპექტაკლის შემდეგ ავუხსენით ძია ვასოს — მაყურებელს, შეშინებული ყარაჩოხელები თავქუდმოგლეჯილები რომ გარბოდნენ, ის აცინებდა-თქო... ვასო გოძიაშვილთან ვმეგობრობდი. საოცარი ადამიანი იყო. რამდენი მოგონება გვაკავშირებს!.. 1972 წელს, ლენინგრადში ვიყავით გასტროლებზე. ძია ვასოს ოთახში ვიკრიბებოდით: იაშა ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე, გოგი გელოვანი და მე, თქვენი მონა-მორჩილი, პატარა ბიჭი ვიყავი. ამოიღებდა თუმანს ძია ვასო და მეტყოდა: აჰა, ბუაძე, — ასე მეძახდა, — ამოიტანე კარგი ძეხვი და თეთრი (ე.ი. — არაყი)... თვითონ ლუდი სულ ჰქონდა, ჩაცივებული... დავსხდებოდით და ვქეიფობდით. მაგრამ მე და გოგი გელოვანი სულ ქალებში დავრბოდით. ერთხელ, შუა ქეიფში ვართ და ვასო გვეუბნება: ტრაწნაკუმ (ასე იცოდა), თქვენ ახლა მაიმუნობას თავი დაანებეთ, ამდენ ქალებში რომ დარბიხართ, ერთი ჩემთვის დაგენანათო?.. მე და გოგიმ ერთმანეთს გადავხედეთ და ერთხმად ვეკითხებით: ძია ვასო, რომელ საათზე? — აი, რა ვიცი, რომელ საათზეც „უჟინია“; რესტორანი არ გვინდა, ჩემს ნომერში ამოდითო. მე და გოგიმ ერთი ლამაზი „აფიციანტკა“ ავიყვანეთ. კარგი ქალი იყო შურა, მაგრამ ძალიან დიდი გავა ჰქონდა... ვაკაკუნებთ ნომრის კარზე — არ გვიღებს. მოკლედ, შევრცხვით ამ ქალთან... მეორე დღეს ავედით ბატონ ვასოსთან და ვეკითხებით: ძია ვასო, ეს რა გაგვიკეთე?! ქალი მოგვიყვანია, პურმარილი მოგვიტანია, ხარჯი გაგვიწევია... Слуши, მაგის გავა რომ დავინახე, გადავიფიქრე: მაგას რა მოერეოდაო?!. — ასე გვიპასუხა. როგორც ჩანს, რესტორანში დაგვინახა, ამ ქალს რომ „ვაბამდით“ და მიხვდა, მასთან რომ მიგვყავდა...

— როგორც ვიცი, გოგი გელოვანთან განსაკუთრებული მეგობრობა გაკავშირებდათ.

— გოგი ჩემს მეხსიერებაში, პირველ რიგში, დარჩება, როგორც კარგი პედაგოგი, აღმზრდელი. მასთან მეგობრობამ ისეთი სულიერება მომცა, ვერავითარ სიმდიდრეს ვერ შეედრება. ახალგაზრდებს სიმღერას გვასწავლიდა, თავისი მინიჯგუფი ჰყავდა. ჩემით სულ ამაყობდა. ვასო გოძიაშვილიც მეუბნებოდა: წადი, ბიჭო, პარალელურად კონსერვატორიაში ჩააბარეო. არ ვაფასებდი ჩემს ხმას და ბევრიც დავკარგე, რომ არ დავუჯერე უფროსების რჩევას. გოგი სინდისის, ნამუსის და პატიოსნების კაცი იყო. ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი, რაც ქალებთანაა დაკავშირებული. ორივე უცოლოები ვიყავით და ამიტომ, არც გაგვემტყუნებოდა...

ქალებს მაშინ რა უყვარდათ? ქეიფი და გიტარა. ერთხელ, „ძველი ოდევილების“ შემდეგ, პაემანი გვქონდა დანიშნული თეატრთან მე და გოგის და

წავედით მის სახლში საქეიფოდ. მივედით გოგისთან, გავშალეთ სუფრა, დავლიეთ, ვიმღერეთ. ქალებიც შეზარხოშდნენ. ერთ-ერთი საჩემო ქალი რომ იყო, გოგის მიუბრუნდა და ეუბნება: ბატონო გოგი, ორი ტყვია მაქვს!.. – რას ამბობ, კაცო? რა დროს ტყვიაა, გენაცვალე?! ვერ ხედავ – ვქეიფობთო! – ეუბნება გოგი. ადგა ეს ქალი, გახსნა რედიკიული და პატარა „პარაბელუმი“ არ ამოიღო?! გოგი მომიბრუნდა და ჩუმად მეუბნება: შე ჩემის კენტი-მენტისა, კაკო ყაჩაღი მოიყვანეო?! მე ვეუბნები: კაკო არ არის – დარიკოა, დარიკო-ყაჩაღიმეთქი... ამ დროს, ეს დარიკო გოგის მიუბრუნდა და ამბობს: ერთი ტყვია ჩემთვისაა, მეორე – ამირანისთვისო... ვზივარ გაშეშებული. პირველად ვნახე იარაღიანი ქალი. როგორც იქნა, ის საღამო გასროლის გარეშე დავამთავრეთ... მერე გოგი დიდხანს მეკითხებოდა – სად არის ის შენი კაკო ყაჩაღიო?..

— სიყვარულის გამო ალბათ გიჟური საქციელი ჩაგიდენიათ...

– ლენინგრადში ვართ გასტროლებზე. კარგი დრო იყო. სასტუმროში ჩემი ნომრის გვერდით ერთი პედაგოგი ქალი ცხოვრობდა. მისი ფანჯარა ჩემგან მესამე იყო. გავაბით მეგობრობა. ერთხელაც, ვერ შევხვდი, რაღაც საქმეების გამო და საღამოს ნასვამი, დიდი თაიგულით ხელში მისი ნომრის კარს მივადექი. როგორც ჩანს, ეძინა და ვერ გაიგო. შევედი ჩემს ნომერში და ფანჯრიდან, ვიწრო კარნიზის გავლით მივადექი მის ფანჯარას. არადა, მეათე სართულია!.. ხელში ყვავილები მიჭირავს და ნასვამი ვარ!.. რომ დამინახა – Ой, ты мой Печорин-ო! – წამოიძახა... მეორე დღეს გაკვირვებული ვფიქრობდი – რამ გადამარჩინა, როგორ არ გადავვარდი?.. ხომ იტყოდნენ, ამ ქალის გულისთვის მოიკლა თავიო!.. სიგიჟეა, აბა, რა არის?!

— შესანიშნავად მღერით და ალბათ, ხშირადაც გიწევთ ქეიფი, გასახსენებელიც ბევრი რამ გექნებათ. მაგრამ ზოგჯერ, ლამაზი ქეიფი უაზრო ღრეობაში გადადის და მომაბეზრებელია, არა?

ქალებს მაშინ რა უყვარდათ? ქეიფი და გიტარა. ერთხელ, „ძველი ვოდევილების“ შემდეგ, პაემანი გვქონდა დანიშნული...

– 56 წლის კაცი ვარ და ვისზეც გესაუბრეთ, იმ ხალხთან გატარებული წლები მთელი აკადემია იყო. ერთი ულამაზესი თამადა გახლდათ ირაკლი ბაქრაძე. ფილმში – „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“ – იღებდა გია მატარაძე. ონში გვქონდა გადაღებები და ყოველ საღამოს ვქეიფობდით. ამ კაცს რომ ვუყურებდი, გაოცებული ვიყავი მისი დახვეწილი მანერებით, საუბრით. ღილშეხსნილი პერანგით არ მიუჯდებოდა სუფრას – საზოგადოებას სცემდა პატივს... როგორ შეიძლება, გადაჭარბებული სმა მიყვარდეს?! დიდხანს ვერ ვძლებ სუფრასთან, გაპარვის დიდოსტატს მეძახიან. როცა ვხედავ – რაც საინტერესო იყო, ამოიწურა და ღრეობა იწყება, – ვიპარები. სუფრას თავისი ზღვარი აქვს. ქართველ კაცში სუფრის „პეწენიკობა“ ზის. ზღვარგადასული ქეიფი აუტანელია. ახლა ბევრს დაკარგული აქვს ზომიერება, არ იციან ქეიფი. გოგი გელოვანმა, ვასო გოძიაშვილმა და იმ თაობამ იცოდა ეს...

— დაბოლოს, ბატონო ამირან: მარჯანიშვილის თეატრში რემონტია. ამჟამად რას საქმიანობთ?

– შარშან მედიკო კუჭუხიძესთან გუსტავ ფლობერის პიესაზე უნდა გვემუშავა, ერთ-ერთი მთავარი როლი მქონდა. მაგრამ დაიწყო რემონტი და გავჩერდით. ის კაცი – ბიძინა ივანიშვილი – ღვთისნიერი კაცია. ასეთი მამულიშვილები ღმერთმა უცოცხლოს და უმრავლოს საქართველოს!.. ამბობენ, რემონტი იანვრის ბოლოს უნდა დამთავრდეს. ღმერთმა ქნას!.. ტელესერიალში – „ცხელი ძაღლი“ – გადამიღეს, მერე კიდევ რაღაც სერიალში მიმიწვიეს, მაგრამ უარი ვთქვი... გეგმებზე ვერაფერს ვიტყვი. მთავარია, ღმერთმა გადმოგვხედოს და ჯანმრთელად ვიყოთ. მაგის ფასი არაფერია. რამდენსაც იცოცხლებ, ლამაზად უნდა იცოცხლო და სხვებსაც მიანიჭო სიამოვნება...

■

ტესტი ერუდიციაზე

1) რისკენ მოუწოდებს ჩინელებს მათ ძვეყანაში ყველაზე გავრცელებული პლაკატი „ერთიან“-ში მდგარი ბავშვი?

ა) ყველაფერზე წინ, პირველ ადგილზე დააყენონ ბავშვი;
ბ) ოჯახებმა არ იყოლიონ ერთ შვილზე მეტი;
გ) იყოლიონ ერთ შვილზე მეტი.

2) რა ჰქვია თოკს გერმანულად?

ა) სინა;
ბ) შნური;
გ) რელსი.

3) რამდენჯერ იყო გათხოვილი ელიზაბეტ ტეილორი?

ა) არც ერთხელ;
ბ) რვაჯერ;
გ) თერთმეტჯერ.

4) რას ნიშნავს ლათინურად სიტყვა „პულსი“?

ა) დარტყმას;
ბ) სისხლის მოძრაობას;
გ) გულისცემას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

პირში ჩალაგამოვლებული ფავორიტები და ამაოდ «დამაშვრალი» შიშველი სხეულები...

დასასრულს მიუახლოვდა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც საკმაოდ საინტერესო და მოულოდნელობებით აღსავსე აღმოჩნდა. ისევე, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ტურნირმა ქომაგთა ნაწილი (ძირითადად, ფავორიტად მიჩნეული გუნდების გულშემატკივრები) იმედგაცრუებული დატოვა, ხოლო მთელ საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა განვითარების ახალ ფაზაში შედის. ამიტომ, ტყავის ბურთის გარშემო გაერთიანებული მსოფლიოს ძლიერ და სუსტ ქვეყნებად დაყოფაც თანდათან საფუძველს კარგავს. სწორედ ამის ბრწყინვალე მაგალითია პორტუგალიის მოედნებზე განვითარებული მოვლენები. თუნდაც ის რად ღირს, რომ ესპანეთის, გერმანიისა და იტალიის ნაკრებებმა ქვეჯგუფიდან საერთოდ ვერ გააღწიეს. სამაგიეროდ, მეოთხედფინალში გავიდა და შემდეგ ფრანგთა გუნდი გაამწარა გერმანელი ოტო რეჰაგელის მიერ დამოძღვრილმა საბერძნეთის ნაკრებმა, რომელსაც „ევრო-2004“-ის სტარტამდე ფავორიტად არავინ მიიჩნევდა.

მეოთხედფინალური ეტაპის ყველაზე დიდ მოულოდნელობად სწორედ ჟაკ სანტინის გუნდის ტურნირიდან გამოთიშვა იქცა. ქომაგებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ გასულ მუნდიალზე უხეიროდ ასპარეზობის შემდეგ, „მამლაყინწები“ პორტუგალიაში ერთიორად გაზრდილი მოტივაციითა და ბრძოლის ჟინით იასპარეზებდნენ და კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს არავის დაუთმობდნენ. თუმცა ზიზუმ და კომპანიამ გულშემატკივრებს იმედი გაუცრუეს. საბერძნეთისა და საფრანგეთის ნაკრებთა დაპირისპირების შემდეგ ელინთა შთამომავლები თავდავიწყებით ზეიმობდნენ, ხოლო სამფეროვანთა ფანები იძულებული იყვნენ, კიდევ ერთხელ გაესწორებინათ თვალი სიმართლისთვის: მათი საყვარელი გუნდი ზედიზედ მეორედ, მსხვილ ტურნირს დროზე ადრე ტოვებდა. ამ მარცხის შემდეგ იმედგაცრუებულმა ფრანგმა ფანებმა პარიზის ცენტრ „პომპიდუში“ ხუთი მაღაზიის ვიტრინა ჩაამსხვრიეს და პოლიციელებთან ხელჩართული ბრძოლა გამართეს. შეხლა-შემოხლის შედეგად სამართალდამცავებმა სამი ხულიგანი დააკავეს, ხოლო ერთ კაცს მედიკოსთა დახმარებაც დასჭირდა.

თავად პორტუგალიაში „მამლაყინწების“ წაგება ტრაგედიად არავის მიუღია (ცხადია, საფრანგეთის ნაკრების გულშემატკივრებს არ ვგულისხმობთ). უფრო მეტიც, კაფეებში მატჩის საყურებლად მისული ინგლისელები, გერმანელები, იტალიელები, ჰოლანდიელები თუ ჩეხები სულითა და გულით ბერძენთა გუნდს ქომაგობდნენ. ტურნირიდან უკვე გამოთიშულ ნაკრებთა გულშემატკივრებს დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ პორტუგალია კიდევ ერთ ფავორიტ გუნდს (ამ შემთხვევაში „მამლაყინწებს“) დაეტოვებინა, ხოლო ჰოლანდიელებსა და ჩეხებს წმინდა პრაგმატული მოსაზრება ამოძრავებდათ — მათი რჩეულები ხომ ასპარეზობას აგრძელებდნენ.

ბუნებრივია, საბერძნეთის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ, ფრანგთაგან ყველაზე დიდი კრიტიკის ქვეშ სამფეროვანთა გუნდის მთავარი მწვრთნელი მოექცა. „ტექნიკური თვალსაზრისით, ძალიან დაბალ დონეზე ვითამაშეთ, — დასძინა მატჩის შემდეგ ჟაკ სანტინიმ, — ვიცოდით, რომ მიზნის მისაღწევად აუცილებლად უნდა მოგვემატებინა, თუმცა ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ეს უკვე ჩემი საქმე აღარაა. ამიერიდან ნაკრების რიგით ქომაგთა რიცხვს მივეკუთვნები. ისე კი, შეიძლება ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაში გერმანელებზე 3:0-ით გამარჯვებამ კონცენტრაცია დაგვაკარგვინა. ალბათ საკუთარი შესაძლებლობები კარგად ვერ შევაფასეთ. ზოგიერთი ფეხბურთელი გამოფიტული ჩანდა. მათ თავ-თავიანთ კლუბებში მძიმე, დაძაბული სეზონი ჩაატარეს და უკვე აღარაფერი შეეძლოთ. როდესაც დაღლილობას გრძნობთ, ასეთ დიდ ტურნირზე თავს ვერ გამოიჩენთ. საერთოდ, როდესაც გუნდი ჩავიბარე, ოჯახის წევრებს მაშინვე ვუთხარი, რომ ჩემზე არ ენერვიულათ, რადგან ნაკრების წარუმატებლობისას ყოველთვის მწვრთნელია დამნაშავე. სამწუხაროდ, მოვლენები სწორედ ასე განვითარდა“.

ემოციები პიკს აღწევს, ძალები ილევა...

მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ, კომენტარი გააკეთა საფრანგეთის ნაკრების ლიდერმა, ზინედინ ზიდანმა: „უბრალოდ, დღეს საკუთარი შესაძლებლობები კარგად ვერ გამოვავლინეთ. პირველი 45 წუთის მანძილზე ბევრს არ ვმოძრაობდით, ხოლო გოლის გაშვების შემდეგ, ძალიან გაგვიჭირდა. შეთანხმებულად თამაშს ვერ ვახერხებდით. თქვენ ამბობთ, რომ ეს ფრანგული ფეხბურთის ეპოქის დასასრულია?... ამას ცხოვრება გვიჩვენებს, დღეს კი ჩვენ დამარცხებულები ვართ“. „მამლაყინწათა“ კიდევ ერთი წარმომადგენელი, ბიქსენ ლიზარაზუ მიიჩნევს, რომ მისმა გუნდმა ნახევარფინალში გასვლის ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან: „შემდგომ ეტაპზე გასვლაში ხელს არაფერი გვიშლიდა. ვფიქრობ, მეორე ტაიმში ბერძნებზე უკეთესად გამოვიყურებოდით. მათი დაცვა უკვე რღვევის პირას იყო მისული“. სამფეროვანთა კიდევ ერთი მცველი, ლილიან ტურამი კი თვლის, რომ მისმა გუნდმა მოწინააღმდეგე ჯეროვნად ვერ შეაფასა: „ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა — ჩვენ ამ გუნდიდან ასეთ წინააღმდეგობას არ მოველოდით. პირველ ტაიმში ვერაფერი მოვახერხეთ და მთელი ძალებით თამაში ძალიან გვიან დავიწ-

სკოლარი და რუი კოშტა: ჯერ ნახევარფინალში არ გავსულვართ...

ყეთ. ასეთი დონის ტურნირზე საგოლე მომენტების ხელიდან გაშვება არ შეიძლება“. მიუხედავად საფრანგეთის ნაკრების წარუმატებლობისა, მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და უკვე 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება რობერ პირესი. „ამ ჩემპიონატზე ბევრი ძლიერი გუნდი დამარცხდა. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ მათი კომპანიონები გავხდით, – დასძინა ფრანგმა ნახევარმცველმა, – საბერძნეთს მხოლოდ ორი საგოლე მომენტი ჰქონდა, რომელთაგანაც ერთი გამოიყენა, თუმცა მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ჩვენ ვფლობდით. საქმე ჩვენს ფიზიკურ კონდიციაში როდია. ტურნირისთვის და კერძოდ, ამ მატჩისთვის ძალიან კარგად მოვემზადეთ, თუმცა ჩვენი სათამაშო დონის გამოვლენა ვერ შევძელით. ახლა კი, იძულებული ვართ, ბერძნებს გამარჯვება მივულოცოთ. იმედგაცრუებული ვართ, მაგრამ ცხოვრება გრძელდება, წინ ახალი სამიზნეა – 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც გერმანია უმასპინძლებს. ამიერიდან ამ შეჯიბრებაზე მოხვედრისთვის ვიბრძოლებთ“.

აქვე გაცნობებთ, რომ ზიდანმა და ტურამმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ნათამაშები მატჩების რაოდენობის მიხედვით, რეკორდი დაამყარეს. თითოეულ მათგანს ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირზე 14-14 შეხვედრა აქვს ჩატარებული. ადრინდელი მიღწევა (13 მატჩი) კი, ფრანგებს – დიდიე დეშამსა და ლორან ბლანს, გერმანელებს – იურგენ კლინსმანსა და თომას ჰესლერს, ჰოლანდიელ დენის ბერგკამპს, იტალიელ პაოლო მალდინისა და დანიელ პეტერ შმეიხელს ეკუთვნით. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანია JVC-ს მიერ მოწყობილი სპეციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით „ევრო-2004“-ის ჯგუფური ეტაპის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ ზინედინ ზიდანი დასახელდა. ფრანგი ნახევარმცველის შემდეგ კი უეინ რუნი (ინგლისი), პაველ ნედვედი (ჩეხეთი), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია), ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი) მოდიან.

რაც შეეხება საბერძნეთის ნაკრებს, რომელმაც სამფეროვნები დროზე ადრე გაამგზავრა სამშობლოში, მისი გამარჯვება ელინების ქვეყანაში დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს. „თავისი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ნებისმიერი ბერძენი დღეს ჩვენს სამართლიან გამარჯვებას ზეიმობს, – განაცხადა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა, კოსტას კარამანლისმა, – ეს ბერძნული ფეხბურთის არსებობის მანძილზე ისტორიული მოვლენაა. ჩვენი ეროვნული ნაკრები ევროპის საუკეთესო ოთხ გუნდს შორის პირველად აღმოჩნდა. მოთამაშეთა დამსახურების წყალობით შეგვიძლია, ჩვენი ქვეყნით ვიამაყოთ“. ოტო რეჰაგელის გუნდს გამარჯვება მიულოცა ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის არქიეპისკოპოსმა, კრისტოდულოსმა: „ჩვენი ნაკრების გამარჯვებამ ყველა ბერძენის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების გული ეროვნული სიამაყით აღავსო. ჩვენ ყველა ვლოცულობთ, რათა თქვენ ასეთივე დიდი გამარჯვებებით გააგრძელოთ სვლა“.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მეოთხედფინალურ შეხვედრებში ყველაზე დიდი რეზონანსი პორტუგალიისა და ინგლისის ნაკრებთა მატჩს ჰქონდა. „არ უნდა ჩავთვალოთ, რომ საუკეთესონი ვართ. ჩვენ ევროპის ოთხ უძლიერეს გუნდს შორის მოვხვდით. ახლა, როგორც ბრაზილიაში ვამბობთ ხოლმე, მყარად დგომა უნდა შევძლოთ. იმისათვის, რომ ჩემი ოცნება ავისრულო, შემდეგი მატჩიც უნდა მოვიგოთ. პორტუგალია ძალიან მიყვარს. ამ ქვეყანას ჩემი ვაჟიშვილიც აღმერთებს და აქედან წასვლა არ მსურს“, – ამბობს „ევრო-2004“-ის მასპინძელთა ნაკრების თავკაცი, ლუიშ ფელიპე სკოლარი.

ბერძენი ფეხბურთელები ნაკრების უმაღლეს მიღწევას ზეიმობენ

როგორც ცნობილია, პორტუგალია-ინგლისის მატჩის შემდეგ სკოლარისა და ლუიშ ფიგუს დაპირისპირების შესახებ ათასგვარი ინფორმაცია ვრცელდებოდა. შეგახსენებთ, რომ შეხვედრის მეორე ტაიმში ბრაზილიელმა სპეციალისტმა ფიგუ მოედნიდან გაიყვანა. როგორც ჩანს, ამან „რეალის“ ნახევარმცველი მეტისმეტად გააღიზიანა, რის გამოც იგი პირდაპირ გასახდელისკენ გაეშურა და დიდი ვნებათაღელვით აღსავსე თამაში ისე დასრულდა, რომ სათადარიგოთა სკამზე აღარ დაბრუნებულა. მიუხედავად ამისა, პორტუგალიელებმა გამარჯვების მისაღწევად ძალ-ღონე არ დაიშურეს და შეხვედრის ბედი თერთმეტრიანი დარტყმების სერიაში თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს. სწორედ ამის შემდეგ, ფიგუსა და გუნდს შორის არსებულ დაპირისპირებაზე ათასგვარი ინფორმაცია ვრცელდებოდა. „გთხოვთ, პატივი ეცით მათ, ვინც ამას იმსახურებს. თუ ფიგუზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს კაცი საკუთარი ქვეყნის ღირსებას იცავს და ისე, როგორც არავინ, სამშობლოს სამსახურში დგას“, – ამგვარად განტვირთა დაძაბული ვითარება ლუიშ ფელიპე სკოლარიმ.

პორტუგალიისა და ინგლისის მეოთხედფინალური მატჩის წინ, ალბიონელი ფეხბურთელების ცოლებმა დასვენება გადაწყვიტეს და მაშინ, როდესაც მათი მეუღლეები მორიგი შეხვედრისთვის ემზადებოდნენ, მთელი საღამო ლისაბონის გარეუბანში მდებარე რესტორანში გაატარეს. ისინი ხუთი საათის განმავლობაში მიირთმევდნენ სხვადასხვა ალკოჰოლურ სასმელს, რის გამოც გვარიანად შეზარხოშდნენ, ხოლო სასტუმრო Penha Longa-სკენ მიმავალ გზაზე კიდევ უფრო გახალისდნენ. განსაკუთრებით თურმე ფრენკ ლამპარდის 27 წლის მეუღლე, ელენ რიკეზი აქტიურობდა, რომელიც ავტობუსში მიკროფონით მღეროდა სიმღერას „ჩვენ აქეთ მივდივართ!“ აღსანიშნავია, რომ დროს

ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე პაველ ნედვედი

ტარებაში მონაწილეობა არ მიუღია ვიქტორია ადამსს, რომელმაც თავის „კოლეგებთან“ სმასა და ღრეობას, ბრუკლინთან ერთად ყოფნა ამჯობინა.

ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ გამოშვებაში გაცნობეთ, რომ რუსეთის ეროვნული ნაკრების მოთამაშეთა „გასამხნევებლად“ მათმა ცოლებმა ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა. ინგლისისა და პორტუგალიის მეოთხედფინალურ დაპირისპირებამდე კი, ანალოგიური ნაბიჯი გადადგეს ალბიონელებმა, ოღონდ არა ფეხბურთელთა მეუღლეებმა, არამედ ჩვეულებრივმა მოდელებმა. „ბიუსტი გამარჯვებულს“, – ეს ჩარლის, მელანის, სოფიას, შარლოტას, ფრანჩესკას, რიტას, ნიკოლის, სიმონეს, ჰეილის, ლენასა და ლიას დევიზი გახლდათ ეროტიკულ ფოტოსესიაში მონაწილეობისას. თუმცა, როგორც ჩანს, ინგლისელმა ლამაზმანებმა სულაც არ გაითვალისწინეს ის, რომ შიშველი სხეულის დემონსტრირებით ფეხბურთში გამარჯვებას ვერ მიაღწევ. როგორც ცნობილია, სულ მალე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ბედი ინგლისელებმაც გაიზიარეს და „ევრო-2004“-ის მასპინძლებთან პენალტების სერიაში დამარცხდნენ. ამ შეხვედრის ანტიგმირად კი ისევ დევიდ ბექჰემი იქცა, რომელმაც ტურნირზე უკვე მეორე პენალტი ვერ გაიტანა. „იგი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოედნიდან გააძევეს, ამ ტურნირზე კი დევიდმა ორჯერ ვერ შეძლო თერთმეტმეტრიანი დარტყმის რეალიზება, – ამბობს ფრანც ბეკენბაუერი, – ვერ გამიგია, როგორ ვერ უნდა გაიტანოს თერთმეტმეტრიანი დარტყმა მოთამაშემ, რომელიც ასე ჩინებულად ასრულებს საჯარიმო დარტყმებს. შეიძლება, ბექჰემს ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს“. სწორედ დევიდის მიერ გაფუჭებული პენალტი იქცა იმის ერთ-ერთ საბაბად, რომ ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობამ სტადიონ „ლუჟის“ მწვანე საფარი დაიწუნა. „ამის შესახებ, ჯერ კიდევ ხორვატებთან გამართულ მატჩამდე ვაცნობე უეფას ინსპექტორს. პენალტის ნიშნული მოტვლეპილი იყო. მე დამარწმუნეს, რომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ აეჭრა ბურთი ფეხზე ბექჰემს. შეიძლება დევიდი საკუთარ თავს ადანაშაულებდეს, მაგრამ ასეთია ფეხბურთი. ნუ დავივიწყებთ – პენალტების სერია იგივე ლატარიაა“, – აცხადებს ალბიონელთა მთავარი მწვრთნელი, სვენ-გორან ერიქსონი.

...ეეპ

აი, თავად ბექსი კი, ყველაფერში მადრიდის „რეალს“ ადანაშაულებს: „ვფიქრობ, ასეთ ცუდ ფორმაში იმიტომ ვარ, რომ „რეალში“ ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით გაცილებით ცოტას ვვარჯიშობთ, ვიდრე „მანჩესტერში“. ასეთი ტრადიციაა ესპანეთში. იმდენად დავიღალე, რომ არ ვიცოდი, როგორ უნდა მეთამაშა გასულის სეზონის მეორე ნახევარში. ცხადია, ამან ევროპის ჩემპიონატზე ჩემს ასპარეზობაზეც უარყოფითად იმოქმედა“.

დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა სოლ კემპბელის მიერ პორტუგალიელთა კარში ვითომდა წესის დარღვევით გატანილ გოლს, რომელიც შვეიცარიელმა მსაჯმა, ურს მაიერმა არ ჩათვალა. The Sun წერს, რომ ამის გამო არბიტრმა ბოდიშიც კი მოუხადა სვენ-გორან ერიქსონს. იმავე გამოცემის ცნობით, მაიერი არცთუ ისე მოწესრიგებული კაცი ყოფილა. მან 41 წლის ცოლს, ფრანცისკას (რომელთანაც ორი შვილი ჰყავს) პირველ ქალ არბიტრთან, ნიკოლ პეტინიასთან ულალატა, რომელსაც უეფას თასის გათამაშების მატჩის მსაჯობის უფლებაც კი მისცეს. „ინგლისი მან ისევე მოუტყუა, როგორც მე, – ჰყვება ფრანცისკა მაიერი, – პორტუგალიასთან გამართული მატჩისთვის არ მიყურებია, მაგრამ ვფიქრობ, გოლი ნამდვილად გავიდა“. შვეიცარიელი არბიტრის ახლობლების თქმით, მაიერი ოჯახთან ერთად ძალიან ბედნიერი იყო. იგი, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, ბევრს მოგზაურობდა. ნებისმიერი ნაცნობისთვის ურსის მსხვილ საფეხბურთო ტურნირზე ხილვა ნამდვილი დღესასწაული იყო. სწორედ შეჯიბრებაზე გაუცნია მაიერს ნიკოლ პეტინია, რომელთან ერთადაც შვეიცარიული ლიგის მატჩიც უმსაჯია. „ამ ქალბატონის მიმართ არავითარი გრძნობა არ გამაჩნია, მხოლოდ ჩემს ქმარს ვესაუბრე და ვთხოვე, რომ შვილები გაიხსენოს, – ამბობს ფრანცისკა, – მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან მთრგუნავს. წარმოიდგინეთ, ჩვენი ოჯახი ხომ ურსის სამსახურის გამო ინგრევა“. მაიერმა და მისმა ახალმა რჩეულმა კი, ერთ-ერთ პატარა სოფელში უკვე შეიძინეს სახლი; შვეიცარიელი არბიტრი 45 წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ უეფას სამსაჯო კორპუსის მიერ დაწესებული მკაცრი ლიმიტის მიხედვით, მიმდინარე საფეხბურთო სეზონი მისთვის ბოლო იქნება. რითი დაკავდება სამსაჯო კარიერის დასრულების შემდეგ ურსი, ჯერჯერობით არავინ იცის ცნობილია მხოლოდ ის, რომ მაიერების ოჯახი ელექტროტექნიკის მაღაზიის მფლობელია.

დაბოლოს, პორტუგალია-ინგლისის მატჩზე სასწრაფო სამედიცინო დახმარება 130 გულშემატკივარს დასჭირდა. ნუ იფიქრებთ, რომ ისინი თავზეხელაღებულ ალბიონელ ფანთა მსხვერპლი გახდნენ, უბრალოდ მძაფრი ემოციების გამო მათ გულის შეტევა ემართებოდათ.

■

გულდაწყვეტილი ზიზუ

დამქანცველი სამუშაო წლის შემდეგ, ნებისმიერი ადამიანი შვებულებასა და კარგ დასვენებაზე ოცნებობს. ზოგი აგარაკს მიაშურებს, ზოგი მთას ან ზღვას, სოციალურად უფრო უზრუნველყოფილთა ფენა კი, ალბათ შვებულებას მსოფლიოს ცნობილ კურორტებზე გაატარებს... ბევრს აინტერესებს, თუ როგორ ისვენებენ და ატარებენ ზაფხულს ცნობილი ქართველები. ამ თემაზე სასაუბროდ მსახიობ დუტა სხირტლაძეს შევხვდით.

„ნეღავ, წარკითხოს ეს ინტერვიუ..."

დუტას საზაფხულო და სხვა თავგადასავლები

ემა ტუხიაშვილი

— დუტა სხირტლაძე, როგორც ადამიანი, ათი წლის წინ დამთავრდა და მასთან ერთად დამთავრდა საზაფხულო არდადეგებიც. მე მსახიობობა ავირჩიე, ამიტომ, როდესაც ყველა ისვენებს, ჩვენ ვმუშაობთ, რომ ეს ადამიანები დავასვენოთ. საერთოდ, თეატრში დასვენების დღე ორშაბათია, ყველაზე მეტი დატვირთვა კი შაბათ-კვირაზე მოდის. რა თქმა უნდა, ზაფხულში თეატრიც ისვენებს, მაგრამ მხოლოდ ერთი თვე ან უფრო ნაკლები — ორი კვირა.

— მაგრამ ორ კვირაშიც შეიძლება მოასწრო დასვენება, ასე არ არის?

— რაღაცას ნამდვილად მოასწრებ, მაგრამ კარგად მაინც ვერ დაისვენებ. მაგალითად, შარშან ლიკანში მოვახერხე წასვლა და ორი კვირა მეძინა. ჩემი მეუღლე ფეხმძიმედ იყო და მეხვეწებოდა — ვისეირნოთო, — მე კი ბალიშიდან თავს ვერ ვიღებდი. ლიკანში მყოფმა ბევრმა ჩემმა მეგობარმა მხოლოდ მეორე კვირის ბოლოს გაიგო, რომ მეც იქ ვიყავი, იმდენად იშვიათად გავდიოდი გარეთ.

— მითხარით — თეატრი ორშაბათობით ისვენებსო. ამ დღეს მაინც ვერ ახერხებ დასვენებას?

— თბილისში მე ვერ ვისვენებ, ვინაიდან ორშაბათი მთლიანად ჩემს ოჯახს, მის მოვლა-პატრონობას ეთმობა. მაგალითად, ბავშვი ექიმთანაა წასაყვანი და ა.შ. შუათანა ქალიშვილი ხშირად მსაყვედურობს: სულ სამსახურში ხარო!..

— ბავშვობაში სად და როგორ ისვენებდით ხოლმე?

— ბავშვობაში მთელ საზაფხულო არდადეგებს გალში ვატარებდი, სწორედ იქ ვისწავლე მეგრული. მეოთხე-მეხუთე კლასში რომ ვიყავი, მშობლები მატარებელში ჩამსვამდნენ, გამცილებელს ჩააბარებდნენ ჩემს თავს და გალში დამოუკიდებლად ჩავდიოდი... დღის განმავლობაში, წიგნებს ვკითხულობდი, საღამოს პლაჟზე *(გალის წყალსაცავზე. — ავტ.)* გავდიოდით, ფეხბურთს ვთამაშობდით და ბალსაც კი ვიპარავდით ხოლმე.

შუათანა ქალიშვილი ხშირად მსაყვედურობს: სულ სამსახურში ხარო!..

— ბანაკში არ ხართ ნამყოფი?

— ქვემო ხოდაშენში იყო რაღაც პიონერთა ბანაკი და ცოტა ხანს იქ ვიყავი. კედები მომპარეს, ტილებიც გადამდეს და გამოვიქეცი... ბავშვობაში დიდი ყურები მქონდა, ამიტომ ბანაკში სულ მეკითხებოდნენ: რა ხდება მოსკოვშიო?.. მეც ერთხელ ვუპასუხე: ცოტა ხანში ბრეჟნევი მოკვდება-მეთქი. მართლაც, იმ შემოდგომაზე მოკვდა... ერთხელ მე და ჩემი დეიდაშვილი გალში კომკავშირულ ბანაკში ვიყავით, იყო ასეთი საზღვაო კურორტი — პრიმორსკი და იქ ვნახე პირველად „პროფესორ დოუელის თავი" ღია კინოთეატრში. ძალიან მაგარი იყო, მარტო თავი ლაპარაკობდა! ბანაკში უმეტესობა კომკავშირელი იყო, მე და ჩემი დეიდაშვილი დათუნა კი, პიონერები ვიყავით. ძალიან ვიჩაგრებოდით ამის გამო, ბევრჯერ ლოყის წვის შეგრძნებას გავუღვიძებივარ და ვხვდებოდი, რომ მაგრად ვიყავი გაპასტული... მერე მე და დათუნამ შური ვიძიეთ, ერთი ღამე არ დავიძინეთ და ყველა გავპასტეთ. მახსოვს, ხოჭოებიან „სუპს" გვაჭმევდნენ ხოლმე. დილით ექვს საათზე გვაყენებდნენ და სამ კილომეტრს გვარბენინებდნენ. ეგ არის დასვენება და კარგი ამბავი?! ერთადერთი, რაც ბანაკში გატარებული ზაფხულიდან კარგად მახსენდება, კოცონთან გატარებული საღამოებია და კიდევ — ჩვენი დირექტორი თენგო, რომელმაც ფოკუსი მასწავლა — სიგარეტის გაქრობა. ნეტავ, წაიკითხოს ეს ინტერვიუ. მოგესალმებით, თენგო მასწავლებელო!..

— საკურორტო რომანი არ გქონიათ?

— მეშვიდე კლასში ვიყავი, როდესაც ბაკურიანში სანატორიუმში ვისვენებდი. იქ ერთი გოგო შემიყვარდა. „გამარჯობას" რომ მეტყოდა, მიხაროდა და თან მრცხვენოდა... მერე მთელი წელიწად-ნახევარი წერილებს ვწერდით ერთმანეთს, ისე, რომ აღარც გვინახავს ერთმანეთი. თითქმის ყველა წერილი ასე იწყებოდა: „ვიღებ კალამს და გიძღვნი

ხოჭოებიან „სუპს“ გვაჭმევდნენ ხოლმე. დილით ექვს საათზე გვაყენებდნენ და სამ კილომეტრს გვარბენინებდნენ. ეგ არის დასვენება და კარგი ამბავი?!

სალამს“. მერე დრომ თავისი როლი ითამაშა. რამდენიმე ხნის წინ, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. უცნაური შეგრძნებაა, როდესაც ბავშვობის სიყვარულს ნახავ... ახლა მას ქმარიც ჰყავს და შვილიც.

— **სალაშქროდ არ დადიოდით ხოლმე?**

— ცივის მთა დამიპყრია არაერთხელ. თელავი ტყის პირას არის, იმის იქით უკვე გომბორის ტყეები და ქედები იწყება. ყოველთვის ვცდილობდი, რომ გაკვეთილები სწრაფად მესწავლა და მეტი თავისუფალი დრო მქონოდა. ტყეში ავირბენდით ხოლმე ბავშვები, ქოხებს ვაშენებდით, „ომობანას“ ვთამაშობდით. ქოხში „ფეჩიც“ გვქონდა — გაფუჭებული, ჟანგიანი, სადაც კარტოფილს, სოკოსა და ხახვს ვწვავდით ხოლმე.

— **თევზაობა, ნადირობა თუ გიყვართ?**

— ნადირობა არ მიყვარს და არც სანადიროდ ვყოფილვარ ოდესმე. ბავშვობაში ალაზანზე კი დავდიოდი ხოლმე სათევზაოდ. ბოლოს მაშინ ვითევზავე, როდესაც ფოთში გადაღებები გვქონდა, თავისუფალი დრო გამოვნახეთ და სათევზაოდ ტბაზე წავედით.

— **წელს წახვალთ ზღვაზე?**

— ძალიან არ მინდა, რომ შავ ზღვაზე წავიდე.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ შავია...

— **მაშინ წითელ ზღვაზე წადით დასასვენებლად...**

— მგონი, ხმელთაშუა ზღვა უფრო კარგია. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, უბრალოდ, ცოტა მეტი თანხაა საჭირო. ჩემი მეგობარი მეპატიჟება, მეუბნება, რომ გზის ფულს ამინაზღაურებს, მხოლოდ საცხოვრებელი იქნება ჩემი გადასახდელი. ვნახოთ, რას გადავწყვეტ.

— **ასეთ სიცხეში ოჯახთან ერთად ჯერ კიდევ თბილისში ხართ?**

— მცხეთაში სახლი გვაქვს და ჩემი ოჯახის წევრები იქ არიან. მეც სამსახურში იქიდან დავდივარ.

— **გავიგე, დუტას მარჯვე ხელები აქვსო. აგარაკზე რას საქმიანობთ ხოლმე?**

— რაც გასაკეთებელია, აბსოლუტურად ყველაფერს ვაკეთებ: გასათიბია, გასათოხნია, დასაბარია — ყველაფერს საჭიროებისამებრ ვაკეთებ ხოლმე. ჩემი მეუღლის დეიდამ ბოსტანში პომიდორი მოიყვანა, მე კი საღამოობით ვრწყავ. შემიძლია აგრეთვე, ხის მოჭრა, კედლის აშენება, დალაგება, სახურავის შეკეთება — მე ხომ თელავში ვარ გაზრდილი!..

— **უცხოეთში გასტროლებზე ყოფნისას თუ ახერხებთ ხოლმე დასვენებას?**

— უცხოეთში ვცდილობ, რომ თავისუფალი დრო მაქსიმალურად გამოვიყენო უცხო ქალაქის დასათვალიერებლად. მაგალითად, პარიზში მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი, მაგრამ მისი ცენტრალური უბნები ხუთი თითივით ვიცი. ჩინურ კვარტალშიც კი ვიყავი. მთელი ღამე, მარტო დავბორიალებდი პარიზში და ყველაფერს ვეცნობოდი. მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შემხვდა, ვერ გავარკვიე — არგენტინელები იყვნენ თუ ბრაზილიელები.

— **დუტა, აქტიურ დასვენებაზე რას იტყვი?**

— დისკოთეკები და ღამის კლუბები არ მიყვარს, დიდი ხანია, გამოვედი მაგ ასაკიდან. მე „ბებრული“ დასვენება მირჩევნია — აი, ისეთი, ბევრი რომ გძინავს და არავინ გაწუხებს. ისე, ზაფხულში, ორი თვე მაინც აქტიურად ვვარჯიშობ ხოლმე. სპეციალურად რვა საათზე ვიღვიძებ, დავრბივარ, ტრენაჟორებზე დავდივარ, ვცურავ. ეს აუცილებელია, იმისათვის, რომ დანარჩენი ათი თვე სრული დატვირთვით მუშაობა შეგეძლოს. შარშან ჩემი უფროსი ქალიშვილი მარიამი მიწევდა კომპანიონობას, ახლა ის დედასთან არის გერმანიაში. უმცროსი შვილი, ლუკა კი ჯერ ძალიან პატარაა. შუათანას, ნინის ოპერაში წარმოდგენა აქვს: პატარა ბალერინაა. როგორც კი წარმოდგენა დასრულდება და მეტი თავისუფალი დრო ექნება, ჩემთან ერთად აუზზე ვატარებ.

■

უჩვეულო იმპროვიზაციები თბილისის ჯაზფესტივალზე

ალექსი რეხვიაშვილი

კომპანია Eastern Promotion-ის მიერ ჩვენს დედაქალაქში ორგანიზებულ ფესტივალზე წლეულს, ჯაზის რამდენიმე გიგანტმა მოიყარა თავი. ჯონ მაქლაგლინი, მაიკლ ფრენქსი, ქრის ბოტი, ბობი მაქფერენი...

„საქართველოს ბანკის თბილისის ჯაზფესტივალზე“ პირველი კონცერტი იმპროვიზაციის საოცარი უნარით დაჯილდოებულმა და ნოვატორული შემოქმედებით ცნობილმა, ლეგენდარულმა გიტარისტმა, ჯონ მაქლაგლინმა ჯგუფ Shakti-სთან ერთად გამართა. ჩვენი მსმენელი აღტაცებული დარჩა არა მარტო Shakti-ს თავბრუდამხვევი ინდური რიტმებითა და უჩვეულო ტრანსცენდენტულ-მისტიკური მელოდიებით, არამედ მაქლაგლინის იუმორის ნიჭითაც. *„დიდი მადლობა თბილისელებს. თქვენი წყალობით, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში. პირველად მოვისმინე ქართული ხალხური მუსიკა. განსაკუთრებით ფლეიტა მომეწონა* (როგორც ჩანს, გიტარისტმა სალამური იგულისხმა. — ავტ.), *რომელმაც სამხრეთინდური ინსტრუმენტი, ნაგასუარა მომაგონა. ბოლო 15 წელია, რაც ინფორმაცია მაქვს საქართველოს შესახებ. ჩემი ძმა რუსეთის ისტორიას სწავლობდა და გაზეთ „პრავდას“ ღებულობდა*

ხოლმე, რომელსაც მეც ვკითხულობდი. ასე რომ, თქვენს ქვეყანაზე ბევრი რამ მსმენოდა და ისიც ვიცოდი, რომ სტალინი საქართველოდან იყო“, – დასძინა ჯონ მაქლაგლინმა, რომელმაც თავის ჯგუფთან ერთად ფილარმონიაში თავშეყრილ მელომანებს არაჩვეულებრივი ორსაათიანი კონცერტი აჩუქა. მანამდე კი, „შაქტის“ დასარტყამ ინსტრუმენტზე დამკვრელ ზაქირ ჰუსეინს ორგანიზატორებმა ქართული დოლი მიართვეს.

ფესტივალის კიდევ ერთი სტუმარი, მესაყვირე ქრის ბოტი იოგითა და ჭადრაკით ყოფილა გატაცებული. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყო ის, რომ იგი საკმაოდ კარგად იცნობს ქართველი მოჭადრაკე ქალების მიღწევებს. *„თბილისში ჩემი დღის რეჟიმი იოგაში ვარჯიშს, მასაჟსა და რეპეტიციას მოიცავს. ჭადრაკს მოყვარულის დონეზე ვთამაშობ, მაგრამ თქვენი მსოფლიო ჩემპიონების წინაშე იძულებული ვიქნები, უკან დავიხიო“,* – განაცხადა ქრის ბოტმა, რომელმაც სურვილი მართლაც აისრულა და საჭადრაკო დაფას ნონა გაფრინდაშვილის პირისპირ მიუჯდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მუსიკოსი დამარცხდა, თანაც ძალზე სწრაფად. პარტიის შემდეგ კი, ჯაზის ვარსკვლავმა ქალბატონი ნონა თავის კონცერტზე დაპატიჟა.

საგულისხმოა, რომ ქრის ბოტმა კონცერტზე კომპოზიციები ნატო მეტონიძესა და ნიკა მემანიშვილთან ერთადაც შეასრულა. *„დიდი ბედნიერება და პატივია ჩემთვის ის, რომ საქართველოში ვარ და ამ შესანიშნავ მუსიკალურ ღონისძიებაში ვმონაწილეობ. ჯერ კიდევ ამერიკაში გადმომცეს გია ყანჩელის კომპაქტდისკი. ძალიან მომეწონა ქართული მუსიკა, რომელიც საოცრად ამაღლებული და რომანტიკულია. თავიდანვე მომხიბლა ნატოს არა მარტო ვოკალურმა მონაცემებმა, არამედ გარეგნობამაც“,* – დასძინა კრის ბოტმა და კომპლიმენტი, როიალთან მჯდომი ნიკა მემანიშვილისთვისაც არ დაიშურა: *„შენც კარგად გამოიყურები, ნიკა...“*

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჯაზფესტივალზე ყველაზე უჩვეულო და მოულოდნელობებით აღსავსე, ბობი მაქფერენის კონცერტი აღმოჩნდა. მან მთელი მუსიკალური წარმოდგენა ინსტრუმენტების გარეშე ჩაატარა და საკუთარი ფენომენალური ვოკალური მონაცემებით მართლაც გააოგნა მსმენელი. ამასთანავე, 10 „გრემის“ მფლობელმა ვარსკვლავმა საერთო ენა გამონახა არა მარტო ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელ ანსამბლ „უნივერსიტეტთან“, არამედ პუბლიკასთანაც, რომელთან ერთადაც იმპროვიზებული ნომრები შეასრულა.

წლევანდელი ჯაზფესტივალი პოპჯაზის პოპულარული შემსრულებლის მაილკ ფრენქსის კონცერტებით დასრულდება. ფრენქსმა პირველი წარმოდგენა გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა, დღეს კი, იგი „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ წარდგება მსმენელის წინაშე.

გარდა უცხოელ ვარსკვლავთა მონაწილეობისა, წლევანდელი ჯაზფესტივალი იმითაცაა განსაკუთრებით აღსანიშნავი, რომ მასზე გამოჩნდა ნორჩი ქართველი მუსიკოსი, რომელიც გადაუჭარბებლად, უნიკალურ შემსრულებლად შეიძლება შევრაცხოთ: ჯერ ხომ, საქსოფონზე დამკვრელი ქალი, მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია, აქ კი, ამ ურთულესი ინსტრუმენტით ხელში 12 წლის გოგონა ვიხილეთ.

ნანუკა ბითაძე: ჯაზი თავისუფლების მუსიკაა

ნანუკა ბითაძე, სხვა ქართველ შემსრულებლებთან ერთად კუს ტბაზე, ღია ცის ქვეშ მოწყობილ კონცერტში მონაწილეობდა. ნიშანდობლივია, რომ ის მსმენელის წინაშე პირველად გამოდიოდა, რის გამოც, ცოტა არ იყოს, ღელავდა კიდეც. მაგრამ სადებიუტო გამოცდას გოგონამ წარმატებით გაართვა თავი და პუბლიკის გულწრფელი აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. პატარა საქსოფონისტთან ჩვენი სახელდახელო ინტერვიუც აღნიშნულ კონცერტამდე შედგა.

– მუსიკამ 8 წლის ასაკიდან გამიტაცა. ვუსმენდი ფიუჟენს, ფანკს, სვინგს, ჯაზს, ხოლო წელიწად-ნახევრის წინ, საქსოფონით დავინტერესდი. მას შემდეგ ეს ინსტრუმენტი ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

— 12 წლის გოგონას საქსოფონით გატაცება ცოტა არ იყოს, უჩვეულოა, რადგან საქართველოში ამ ასაკის ბავშვები უფრო გასართობ, საესტრადო მუსიკას უსმენენ. რას უნდა მივაწეროთ ჯაზით შენი დაინტერესება?

– ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მამაჩემს, რომელიც ასევე ჯაზის დიდი თაყვანისმცემელია. საერთოდ, ცხოვრებაში არასოდეს მომწონდა ის მუსიკა, რომელიც დღეს პოპულარულია საქართველოში. ჯაზი არის მიმდინარეობა, რომელშიც თავისუფლება იგრძნობა და შემსრულებელს იმპროვიზაციის შესაძლებლობა ეძლევა. საქსოფონი კი იმიტომ ავირჩიე, რომ იგი ჯაზის კლასიკური ინსტრუმენტია.

— საინტერესოა, როგორ უყურებენ შენს გატაცებას მეგობრები?

– თავიდან, ახლობლები და მეგობრები ამის გამო გაკვირვებული იყვნენ, მაგრამ თანდათან მივაჩვიე. მათ ხშირად ვასმენინებდი ჩემი საყვარელი შემსრულებლების დისკებს, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო. ახლა ჩემი მეგობრებიც ჯაზით არიან გატაცებული.

— კი, მაგრამ ხომ იცი, რომ ჯაზი ფართო მასაში პოპულარობით არ სარგებლობს?

– ეს ასეა, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმით ეს მუსიკა და აფასებენ მას. ერთი სიტყვით, ჯაზი

ვინ იცის, იქნებ, სწორედ ამ კონცერტით დაიწყოს მისი შემოქმედებითი აღმასვლა?..

ყოველთვის ცოცხლობდა, ცოცხლობს და მომავალშიც იცოცხლებს.

— თუ ყოფილა ისეთი მომენტი, როდესაც რეპეტიციაზე მისვლა დაგზარებია?

– ასეთი შემთხვევა არასოდეს ყოფილა, რადგან ჯაზი მიყვარს და მაინტერესებს. ისე კი, დღეში მხოლოდ საათი, საათ-ნახევარი ვუკრავ, რადგან ჩემს ასაკში საქსოფონზე უფრო დიდხანს დაკვრა მიზანშეწონილი არ არის.

— იმ ვარსკვლავთა შორის, რომლებიც თბილისის ჯაზფესტივალში მონაწილეობენ, ვინმე გამორჩეულად ხომ არ გიყვარს?

– ყველაზე მეტად, ბობი მაქფერენის შემოქმედებით ვარ მოხიბლული.

— ნანუკა, როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი?

– ვერ გეტყვით, პროფესიონალი საქსოფონისტი გავხდები თუ არა, მაგრამ ეს ინსტრუმენტი ყოველთვის მეყვარება.

ალბათ მკითხველიც მიხვდა, რომ ნანუკა ბითაძე თავის ასაკთან შედარებით უჩვეულოდ სერიოზული, დაფიქრებული მოსაუბრეა. ნორჩი საქსოფონისტი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ საქმიანობას და ვინ იცის, იქნებ, სწორედ ამ კონცერტით დაიწყოს მისი შემოქმედებითი აღმასვლა?..

■

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი
(5 - 11 ივლისი)

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: დროებით თქვენთვის ჩვეული ენერგიულობა დაივიწყეთ და ეცადეთ, ეს კვირა მშვიდ ატმოსფეროში გაატაროთ. მოხერხებულად მოეწყვეთ სავარძელში და ტელევიზორის ცქერით ან საინტერესო წიგნის კითხვით შეიქციეთ თავი.

მამაკაცი: საქმეებით ძალიან გადაიღალეთ. თუ არ ამოისუნთქავთ, შესაძლოა, ყველაზე ძვირფასი – ჯანმრთელობა შეგერყეთ. ამიტომ ეს კვირა ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ და განტვირთვის დღეები მოიწყვეთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ყველაზე მხიარული წვეულებიდანაც კი გული შინისკენ მიგიწევთ. ნუ გაუწევთ წინააღმდეგობას თქვენს გულისთქმას. ამ კვირაში მხოლოდ ახლობელი ადამიანების გარემოცვაში იგრძნობთ თავს კომფორტულად და მშვიდად.

მამაკაცი: არ გაეკაროთ ალკოჰოლს და თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, წაგებული დარჩებით.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: ამ კვირაში ლოგიკური აზროვნების არაჩვეულებრივ უნარს გამოამჟღავნებთ, მაგრამ გაითვალისწინეთ ერთი რამ: არავითარ შემთხვევაში არ დაეყრდნოთ გადაუმოწმებელ ინფორმაციას.

მამაკაცი: აქამდე მოუგვარებელ პრობლემებს იოლად გაუმკლავდებით და ურთულეს თავსატეხსაც მარტივად ამოხსნით. კვირის მეორე ნახევარში გონება დაასვენეთ და ინტუიციას მიენდვეთ: ბედი სასიამოვნო და რომანტიკულ სასიყვარულო თავგადასავალს გიმზადებთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ამ კვირაში წამოწყებული ნებისმიერი საქმე თქვენთვის არნახულად წარმატებული იქნება: უახლოეს მომავალში ბინის გარემონტებასაც შეძლებთ და დიდი ხნის ნანატრ მოგზაურობასაც ეღირსებით.

მამაკაცი: ნუ გეწყინებათ, მაგრამ ამ კვირაში თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობებით ვერავის აღაფრთოვანებთ. ასე რომ, ჯობს, არ იაქტიუროთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: თუ უბრალო, რიგითი თანამშრომელი ხართ, ჩათვალეთ, რომ გაგიმართლათ, მაგრამ თუ ხელმძღვანელი მუშაკი ბრძანდებით, ქვეშევრდომებს ვერანაირ გონივრულ დავალებას ვერ მისცემთ – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უგონოდ ხართ შეყვარებული.

მამაკაცი: უფრთხილდით თანამშრომელი ქალბატონების ეჭვიან ქმრებს. უწყინარი კომპლიმენტის თქმისგანაც კი თავის შეკავებას გირჩევთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: გეჩვენებათ, რომ ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდით, გამოუვალია. სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდებით – მომავალი კვირიდან ყველაფერი გამოსწორდება. მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან და გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ სარისკო საქმეებისგან. მშვიდად აწონ-დაწონეთ თქვენი შანსები. ხელოვან ქალწულებს ამ კვირაში განსაკუთრებით გაუმართლებთ. თავისუფალ დროს, ოჯახთან ერთად, ქალაქგარეთ გაისეირნეთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: საგმირო საქმეებზე მამაკაცებმა იფიქრონ. თქვენ კი, შეეცადეთ, იყოთ უფრო ნაზი და ძლიერი სქესის წარმომადგენლებზე დაუცველი ქალის შთაბეჭდილება დატოვოთ. მათი დახმარებით ბევრ პრობლემას გადაჭრით.

მამაკაცი: შრომა დეპრესიისგან თავის დასაღწევად საუკეთესო საშუალებაა და რაც უფრო მომქანცველი და მძიმე იქნება ის, მით უკეთეს შედეგს გამოიღებს „მკურნალობა“. უქმე დღეებში საცურაო აუზს მიაშურეთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: არაჩვეულებრივად ახერხებთ კომერციული და შემოქმედებითი საქმიანობის ურთიერთშეთავსებას. უახლოეს მომავალში დიდ წარმატებას მიაღწევთ. ამ კვირაში კარგი იქნება, თუ ფულს არც ისესხებთ და არც გაასესხებთ.

მამაკაცი: სიყვარულში გიმართლებთ. ამ კვირაში ბევრი საინტერესო თავგადასავალი გელით. თქვენს გარემოცვაში ნებისმიერი მანდილოსანი კარგად იგრძნობს თავს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: თქვენთვის ჩვეული გულისხმიერება მოიშველიეთ, თავს ძალა დაატანეთ და შეეცადეთ, გარშემომყოფთა ტკივილი გულთან ახლოს მიიტანოთ. დიდი ხნის უნახავი ახლობლებიც მოინახულეთ.

მამაკაცი: პასუხისმგებლობით მოეკიდეთ საერთო პრობლემებს. ოჯახის წევრების გასახარებლად ფულს ნუ დაინანებთ. უქმე დღეები შინ გაატარეთ. ჯობს, მეგობრებიც თქვენთან მოიწვიოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ძალზე სერიოზული და პრაქტიკული იქნებით, რითიც შესაძლოა ახლობელი ადამიანები გააღიზიანოთ კიდეც. თავი შეიკავეთ შენიშვნებისგან, განსაკუთრებით სამსახურში. თქვენი კოლეგები, თუკი მათ გაანაწყენებთ, მომავალში პრობლემებს შეგიქმნიან.

მამაკაცი: ფრთხილად, საქმემ პირადი ცხოვრება არ გადაგავიწყოთ. მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანს – ის თქვენს თანადგომას საჭიროებს.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: მშვიდი და უღრუბლო დღეები გელით. ახლა შეგიძლიათ იოლად გადაჭრათ ნებისმიერი პირადი პრობლემა. კარგი იქნება, თუ ამ კვირაში სატრენაჟორო დარბაზშიც შეივლით და სილამაზის სალონსაც ეწვევით.

მამაკაცი: განსაკუთრებულ სიამოვნებას მოგანიჭებთ ახლობელი ადამიანების გარემოცვაში ყოფნა. ნუ გაატარებთ უქმე დღეებს სიმარტოვეში, ჯობს, ხალხმრავალ ადგილებს მიაშუროთ ან მეგობრებთან ერთად ბუნების წიაღში გაისეირნოთ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ნაცნობ-მეგობრების წრის გაფართოება და განახლება არ გაწყენდათ. უარს ნუ იტყვით მიპატიჟებაზე და ელიტის ცხოვრების წესს დროის ფუჭ ხარჯვად ნუ მიიჩნევთ.

მამაკაცი: გაუთვალისწინებელმა და მოულოდნელმა შეხვედრამ შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოს თქვენი ცხოვრება. თუ დასაოჯახებელი ხართ, გამორიცხული არ არის, შემდეგ კვირაში იქორწინოთ კიდეც.



							ს	შეხვედრა უმაღლეს დონეზე	„ყვითელი მდინარე“ ჩინეთში	დიპლომატი	მსახიობი ფილმში „ქარწაღებულნი“	ე	ვაჟიშვილი
							ს	ა	ხ	ე	ლ	მ	ძ	ღ
							ქმრის და	მ	უ	ლ	ი	სიტყვის ძირითადი ნაწილი	უ	ვ
							სპარსეთი	ი	ა	ჩ	მარადშეკვნეს სუბტროპიკული მცენარე	იტალიელი კინორეჟისორი	ფ	ა
							ი	ტ	ნ	ი	ფ	ცრუმოძრაობა სპორტში	ე	ნ
							რ	ი	ხ	ტკბილ ლაბისებური საჭმელი	ქ	ე	ლ	ე
მალვინას ძაღლი	ა	ვ	ლეგენდ. ქართველი მომღერალი ... სარკეშელი	პ	მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება	ა	შტატი აშშ-ში	ე	ი	3,14	ნ	ი	ლ
ქართველი საბჭოთა ისტორიკოსი	რ	ა	ტ	ი	ა	ნ	ი	ფორტეს ანტიპოდი	კ	ი	ა	ნ	ო
ი	ტ	ნ	ა	რ	გ	ი	ლ	ე	ავსტრალიური სირაქლემა	ლ	ე	ი	
გ	ე	ო	თამბაქოს მოსაწევი აღმოსავ. მოწყობ.	ა		სუბსიდიის სახეობა	ი	მ	რუმინული გალეტი / ნოტი	წყნარი ან ატლანტის ...	კ	ჩინური ჭადრაკი	რ
მიწის ქალღმერთი	მ		მოდელიერი	მ	ა	დ	ნ	უ		რ	ო	გ	ო
მოკლე სასაცილო მოთხრობა	ო	პ	მ	ი	სახელმწიფოს ფულადი დახმარება	ო	ო						
ა	ნ	ე	კ	დ	ო	ტ	ი						
გ	ი	ნ	ე	ა	პარკოსანი მცენარე	ა	ს						
ა	ძველებური ინგლის. ოქროს ფული	ა	რ	ესპანური თანხმობა	ო	ც	ი						
ბ	ა	ლ	ა	ნ	ს	ი	ფარულავა						
ჩვილთა დაწესებულება	საათის მექანიზმის ნაწილი	ტ	ვ	წილი საერთო საქმეში	პ	ა	ი						
შიიზმის თაყვანისმცემელი	შ	ი	ი	ტ	ი	ზეადგინა რამაზ ალანიამ							



23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა.
53-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-ბ; 4-ა.

ფასდაკლებული აღსანიშნავის მოსწრებული ფასდანთქვაფები

მდიდრული მემკვიდრეობა

„ვალსების მეფის“ იოჰან შტრაუსის სიკვდილის შემდეგ მის მელოდიებზე შექმნილი ბევრი ოპერეტა გამოჩნდა. პირველი იყო 1899 წელს მიულერ-უმცროსის „ვენის სისხლი“. მრავალი წარმოდგენის შემდეგ, რასაც ოპერეტამ გაუძლო, ვენის ერთ-ერთ გაზეთში გამოჩნდა სტატია ოპერეტის შესახებ, სადაც ასეთ სტრიქონებს ამოიკითხავდით: „მიულერმა, რომელმაც შტრაუსის მუსიკაზე ოპერეტა დაწერა, ქვიტკირის სახლი შეიძინა. ხოლო შტრაუსს რომ დაეწერა მიულერის მუსიკაზე ოპერეტა, შიმშილით სული გასძვრებოდა“.

ფაუსტის საჩუქარი

შარლ გუნოს „ფაუსტის“ პირველსავე წარმოდგენის შემდეგ ოპერის პოპულარობა ფრანგთა შორის ყოველდღიურად იზრდებოდა. გამომცემლობა ვერ ასწრებდა ამ ოპერის თემაზე კლავირებისა და პოპურების გამოცემას.

მაგრამ კომპოზიტორის მატერიალური კეთილდღეობა ამით მაინც არ იზრდებოდა...

ერთხელ მუსიკალური გამომცემლობის მფლობელმა მიიწვია გუნო ბულონის ტყეში მარხილებზე სასრიალოდ. „ფაუსტის“ შემქმნელი თავისი ძველი და საკმაოდ გაცვეთილი პალტოთი გამოცხადდა; გამომცემელს, რომელიც მას ქალაქგარეთა ვილაში ელოდა, ახალთახალი ელეგანტური ქურქი ეცვა.

გუნომ თითებით მოსინჯა უძვირფასესი ბეწვი.

— მომილოცავს, — უთხრა ღიმილით, — ეს ფაუსტის საჩუქარია არა?

ანეკდოტები

***

ინტერნეტის მეპატრონე:

— შვილო... რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, რომ მე გაგაჩინე და ინტერნეტიდან არ გადმოიქაჩიხარ!..

***

თბომავალმა კუნძულს ჩაუარა, საიდანაც წვეროსანი მამაკაცი რაღაცას ყვირის და ხელებს იქნევს.

— ეს ვინ არის?.. — ეკითხება მგზავრი კახელ კაპიტანს.

— რავი აბა... ფეხებზე არა მკიდია როო... ისე, ყოველ წელს გავივლი ხოლმე და სულ ასე იგიჟებს თავსა...

***

ბაზრობაზე:

— როგორ ყიდი?

— სამასად...

— ორასად არა?..

— წაიღე...

— აჰა, ასი და... გავიქეცი...

— კარგი. ჩქარა, თორემ პატრონი მოდის!

***

ებრაელი მოშე ხედავს ქუჩაში მაგარი ავარიაა. ავტობუსი ბოძს შეეჯახა. დამტვრეული ხალხი ასფალტზე წევს და კვნესის... სასწრაფოდ მიდის ხალხთან და ეკითხება:

— ბოდიშით... სადაზღვევო კომპანიიდან უკვე მოვიდნენ?..

— არა!

— მაშინ ჩაიწიეთ დაგენაცვლე... მეც წამოვწვები...

***

გაკვეთილზე:

— ბავშვებო... ახლა მე მოგიყვებით, თუ როგორ გაჩნდა პირველი ადამიანი...

— მასწ... ჯობია, მესამე როგორ გაჩნდა, ის მოყვეთ...

***

— კოსტია... რა მოწყენილი ხარ... რა გჭირს?..

— ჩემს ცოლს შიდსი აღმოაჩნდა... ე... ეე... ეეე... ვიხუმრე, ძმებო, რამ გაგაფითრათ!..

***

ორი მიკრობი ერთმანეთს შეხვდა და ერთი მეორეს ეკითხება:

— რა დაგემართა, ფერი არ გადევს?

— არ მომეკარო... მგონი, ანტიბიოტიკი ავიკიდე.

***

ახალგათხოვილი ქალი ფსიქიატრთან კონსულტაციაზე მივიდა:

— ექიმო... მგონი, ჩემს ქმარს რაღაც უცნაური დაავადება სჭირს... რასაც ვთხოვ, არაფერზე რეაგირებს და არც არაფერს ამბობს... რა შეიძლება იყოს ავადმყოფობის მიზეზი?..

— მდა... ეს ავადმყოფობა კი არა... ღვთივბოძებული ნიჭია!

***

— ჩემი ახალი მოსამსახურე ძალიან ზრდილობიანი აღმოჩნდა, — ეუბნება ერთი ახალი რუსის ცოლი მეორეს.

— რაში გამოიხატება მისი ზრდილობა?

— სანამ არ დააკაკუნებს და არ დარწმუნდება, რომ შიგნით არავინ ზის, კარადის კარს არ აღებს.

***

გაბრაზებული ავადმყოფი მიმართავს ექიმს:

— თქვენ თქვით, რომ მხოლოდ 2-3 კვირა ვიცოცხლებდი. მე კი, უკვე ორი თვეა საღ-სალამათი ვარ...

ჩაფიქრებული ექიმი პასუხობს:

— ჰოოო... ალბათ მკურნალობის არასწორი კურსი შევარჩიეთ...

***

ფსიქიატრიულში:

— ექიმო, მგონი მეორე პალატაში ჯანმრთელი ადამიანი წევს... ამბობს, ბაზარში ყასბად ვმუშაობო!..

— ეჰ, მაგას სიმდიდრის მანია სჭირს... სინამდვილეში, ჩვეულებრივი პედაგოგია...

***

ციხეში სვან პატიმარს ეკითხებიან:

— რაზე დაგიჭირეს, შმაგი?

— ბრაკონიერობაზე... ძლივს მოვიცალე საბანაოდ და ტბაში ჩავხტი... ყველა თევზი დაიხოცა...

რამდენად რთულია წონასწორობიდან თქვენი გამოყვანა?



სულიერი წონასწორობა ადამიანისთვის საკმაოდ საჭირო და კარგი თვისებაა. მოცემული ტესტი დაგეხმარებათ გაერკვეთ: ნამდვილად ნერვიული ადამიანი ხართ, უბრალოდ თავის შეკავება არ გსურთ, თუ საკმაოდ გაწონასწორებული ბრძანდებით.

1) ხომ არ გაღიზიანებთ გაზეთის დაკუჭული ფურცელი, რომლის წაკითხვასაც აპირებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს – 3 ქულა;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს – 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს – 0.

2) ტინეიჯერივით გამოწყობილი ქალბატონის დანახვა ხომ არ გაღიზიანებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს – 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს – 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს – 0.

3) თანამოსაუბრესთან მეტისმეტი სიახლოვე (ვთქვათ, პიკის საათში საზოგადოებრივ ტრანსპორტში ყოფნისას) ხომ არ გაღიზიანებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს – 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს – 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს – 0.

4) ქუჩაში მწეველი ქალის დანახვაზე ღიზიანდებით?
ა) ძალზე ვღიზიანდები – 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები – 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები – 0.

5) გაღიზიანებთ, როდესაც ვინმე პირდაპირ ცხვირ-პირში შემოგახველებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს – 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს – 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს – 0.

6) ხომ არ ღიზიანდებით, როცა ვინმე ფრჩხილებს იკვნეტს?
ა) ძალზე ვღიზიანდები – 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები – 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები – 0.

7) ვინმეს უადგილო სიცილი თუ გაღიზიანებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს – 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს – 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს – 0.

8) როცა ვინმე ჭკუას გარიგებთ, რა როგორ უნდა გააკეთოთ, ხომ არ ღიზიანდებით?
ა) ძალზე ვღიზიანდები – 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები – 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები – 0.

9) გაღიზიანებთ, როცა თქვენი შეყვარებული გამუდმებით იგვიანებს შეხვედრაზე?
ა) ძალზე მაღიზიანებს – 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს – 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს – 0.

10) ღიზიანდებით, როცა კინოთეატრში თქვენ წინ მჯდომი მაყურებელი გამუდმებით ცმუკავს და ფილმის სიუჟეტის თაობაზე გაუთავებლად კომენტარებს აკეთებს?
ა) ძალზე ვღიზიანდები – 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები – 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები – 0.

11) თუ ღიზიანდებით, როცა ვინმე ცდილობს, მოგიყვეთ საინტერესო წიგნის სიუჟეტი, რომლის წაკითხვასაც მოკლე ხანში თავადაც აპირებთ?
ა) ძალზე ვღიზიანდები – 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები – 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები – 0.

12) ხომ არ ღიზიანდებით, როცა რაიმე თქვენთვის გამოუყენებელ ნივთს გჩუქნიან?
ა) ძალზე ვღიზიანდები – 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები – 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები – 0.

13) საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხმამაღალი საუბარი თუ გაღიზიანებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს – 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს – 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს – 0.

14) ხომ არ ღიზიანდებით, როცა თქვენ ახლომახლო ვინმეს მძაფრი სუნამო დიდი რაოდენობით ასხია?
ა) ძალზე ვღიზიანდები – 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები – 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები – 0.

15) ხომ არ გაღიზიანებთ ადამიანი, რომელიც ლაპარაკისას დიდი რაოდენობით ჟესტებს იყენებს?
ა) ძალზე მაღიზიანებს – 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს – 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს – 0.

16) კოლეგის მიერ უცხო სიტყვების ძალზე ხშირად გამოყენება ხომ არ გაღიზიანებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს – 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს – 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს – 0.

დააჯამეთ ქულები

30 და მეტი ქულა: ქულათა ეს რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ მოთმინების უნარითა და სიმშვიდით ნამდვილად არ გამოირჩევით. თქვენ ღიზიანდებით ყველაფერზე, მათ შორის მეტად უმნიშვნელო რამეებზეც. ძალიან ფიცხი ხართ და სულ იოლად გამოდიხართ მდგომარეობიდან, ეს კი, საკმაოდ არასახარბიელოდ აისახება თქვენს ნერვულ სისტემაზე და სხვებსაც დისკომფორტს უქმნით. გირჩევთ, საკუთარი თავის ხელში აყვანა ისწავლოთ.

12-29 ქულა: სხვათა შორის, ყველაზე ხშირად სწორედ ამ ტიპის ადამიანები გვხვდებიან ცხოვრებაში. მათ მხოლოდ ძალზე უსიამოვნო რამეები აღიზიანებთ და თანაც არასოდეს ქმნიან დრამას ყოველდღიური წვრილმანი უსიამოვნებებისგან. მათ ძალუძთ „ზურგი აქციონ უსიამოვნებას“ და ძალზე იოლად დაივიწყონ ის.

11 და ნაკლები ქულა: ზედმიწევნით მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით. თუკი გულწრფელად უპასუხეთ კითხვებს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წონასწორობიდან თქვენი გამოყვანა საკმაოდ რთული საქმეა.

ლონდონის ცენტრალურმა მაღაზიამ შიშველი მყიდველები მიიწვია

ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უნივერმაღში პირველი „ნუდისტური შოპინგი“ მოეწყო, სადაც მყიდველები სრულიად შიშვლები გამოცხადდნენ. ამ უჩვეულო აქციის ორგანიზატორები აღნიშნავენ, რომ სავაჭრო ცენტრში ნავარაუდევზე გაცილებით ცოტა ადამიანი მივიდა. ორგანიზატორები ამაში მთლიანად „ევრო-2004“-ს „ადანაშაულებენ“ და ამბობენ, რომ ამჟამად ინგლისელთა ყურადღება მთლიანად ჩემპიონატზეა გადატანილი, მიუხედავად იმისა, რომ მათი გუნდი მეოთხედფინალის ბოლოს ჩემპიონატს გამოეთიშა.

ოქსფორდ სტრიტზე, სავაჭრო ცენტრ Plaza shopping centre-ში სულ 15 ნუდისტი გამოცხადდა, რომლებიც შესასვლელში რეგისტრაციას გადიოდნენ, ხოლო მაღაზიებისა და რესტორნების უმრავლესობა მათ ფასდაკლებით ემსახურებოდა.

აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში კიდევ ერთი მსგავსი ღონისძიების ჩატარებას გეგმავენ. ■

ყველაზე დიდი ულვაშები მსოფლიოში

ინდოელი მამაკაცი, რომელიც ამტკიცებს, რომ მსოფლიოში ყველაზე გრძელი ულვაშები აქვს, შეიძლება გინესის რეკორდების წიგნში, საპატიო ადგილას მოხვდეს.

ინდოეთის შტატ რავჯასტანის ქალაქ კემრში მცხოვრები, 61 წლის ბადასმინგ გურჯარ ხატანას ულვაშების სიგრძე 4 მ და 11,5 სმ-ია. ამჟამინდელი რეკორდი კი, 3,5 მ-იანი ულვაშის „მფლობელს“, ვინმე კალიან სეიმს ეკუთვნის.

„გურჯარ ხატანას ჯერჯერობით ჩვენთვის არ მიუმართავს, მაგრამ როგორც კი „დოკუმენტურ დადასტურებას“ წარმოადგენს, დაუყოვნებლივ რეკორდსმენად გამოვაცხადებთ“, – განაცხადა გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელმა.

თავად ხატანა ამბობს, რომ 26 წელია, რაც ულვაში არ მოუპარსავს. „ერთადერთი, რასაც ვაკეთებ, ისაა, რომ ყოველ დილით ულვაშს ცხიმით ვიპოხავ“, – თქვა მან. მისივე თქმით, ულვაში მათ დასახლებაში ღირსებისა და სიმამაცის ნიშანია. ■

ფეხბურთის გულშემატკივარმა ცოლს უჩივლა

მალაიზიის მკვიდრმა, 46 წლის ჩინელმა მამაკაცმა, ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს ეთნიკურ პარტიაში მეუღლის სახელზე საჩივარი შეიტანა.

საქმე ის გახლდათ, რომ მამაკაცს ცოლმა საფრანგეთი-ინგლისის მატჩის ყურება აუკრძალა – რადგან ქმარი დილით ადრე უნდა ამდგარიყო და ბავშვები სკოლაში წაეყვანა.

ღამით კაცი ჩუმად ადგა, მეორე ოთახში შეიპარა, ტელევიზორი დაბალ ხმაზე ჩართო და ეკრანს მიუჯდა, მაგრამ ზინედინ ზიდანის გადამწყვეტი გოლის შემდეგ სიხარულის ისეთი ყიჟინა დასცა, რომ ცოლს გაეღვიძა, ქმარს ტელევიზორი გამოურთო და ოთახიდან გაიტანა – ასე რომ, ფეხბურთის ფანს მატჩის ყურების საშუალება არანაირად არ მიეცა.

„ჩემი ცოლისთვის ჩემი ინტერესები აბსოლუტურად უცხოა. მას სრულებით არ ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის მატჩის ყურება და საერთოდ, რას ნიშნავს ჩემთვის ფეხბურთი“, – განაცხადა ფეხბურთის გულშემატკივარმა. ■

გამოსათხოვარი ჯოცნა



ჩილელმა ტინეიჯერმა, მეგობარ გოგონას ქვედა ტუჩი მოაკვნიტა.

გოგონამ ბიოფრენდს განუცხადა, რომ მასთან ურთიერთობის გაწყვეტას აპირებდა. მაშინ ვაჟმა მას გამოსათხოვარი კოცნის უფლება სთხოვა, კოცნისას ქვედა ტუჩი მოაკვნიტა, მერე მიწაზე გადააფურთხა და მიიმალა.

16 წლის გოგონა, რომელიც სისხლისგან იცლებოდა, შოკში ჩავარდა.

როგორც მსხვერპლმა მოგვიანებით მოჰყვა, ყოფილ ბოიფრენდთან დაშორება იმიტომ გადაწყვიტა, რომ ის მას „ცუდად კოცნიდა“. ■

ამჟამად მოზარდს ქალაქ სან-ფერნანდოს პოლიცია ეძებს.

თვითმფრინავი გაჩეული ინდაურს შეეჯახა

ამერიკული ავიაკომპანიის US Airways-ის თვითმფრინავი დილით ადრე, პიტსბურგის საერთაშორისო აეროპორტში ჩაფრენისთანავე, ასაფრენ-დასაჯდომ ბილიკს ასცდა და გვერდზე გადავიდა. ლაინერი ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ შარლოტიდან პიტსბურგის მიმართულებით საქალაქთაშორისო რეისს ასრულებდა. ინციდენტის მიზეზი Boeing 737-ის ფრინველთან შეჯახება აღმოჩნდა. როგორც ავიაკომპანიის წარმომადგენელმა ემი კუდვამ აღნიშნა, გარეული ინდაური თვითმფრინავის წინა შასს შეეჯახა და მართვის ტროსი დააზიანა. საბედნიეროდ, Boeing-მა დამუხრუჭება დროულად შეძლო.

იმ დროს ბორტზე 92 მგზავრი იმყოფებოდა. მათგან არავინ დაშავებულა. ■

ფოტოკუჩიოზები

ეკლესიური ცხოვრება

გამოვიდა ივლისის ნომერი

№6, ივლისი, 2004

ფასი 80 თეთრი

აპრიბჭე

მართლმადიდებლური ჟურნალი

ივლისის თემა:
აღსარებიდან ზიარებამდე

ქრისტიანი თუ ხარ, ზიარება უნდა გენატრებოდეს

ხატი ზეცის სარკმელია

დიდმოწამე მარინეს პატიოსანი მკლავი ზუგდიდშია დაბრძანებული

მორმონები უკვე საქართველოშიც ჩამოვიდნენ

მეუფე თეოდორე: „ისე და იქ შენდა მესახეური შფალს, როგორც და სადაც თავად ღმერთი მოიწყოს“

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ